

**International Instruments and Mechanism for the Fight
against Torture
- A Compilation of Legal Instruments and Standards
on Torture
Last Updated July 4, 2007**

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო
ინსტრუმენტები და მექანიზმები

- წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი
დოკუმენტებისა და სტანდარტების კრებული

2007 წლის 4 ივლისის მდგომარეობით
(ქართული ვერსია)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (IRCT)

The International Rehabilitation Council for Torture Victims

Borgergade 13 • P.O. Box 9049 • DK-1022 Copenhagen K • Denmark

Tel: +45 33 76 06 00 • Fax: +45 33 76 05 00 • E-mail: irct@irct.org

www.irct.org



irct

International Instruments and Mechanisms for the Fight against Torture

_A Compilation of Legal Instruments and Standards on Torture

Last Updated July 4, 2007

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო
ინსტრუმენტები და მექანიზმები

- წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი
დოკუმენტებისა და სტანდარტების კრებული

2007 წლის 4 ივლისის მდგომარეობით

(ქართული ვერსია)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო (*IRCT –
The International Rehabilitation Council for Torture Victims*)
Borgergade 13 • P.O. Box 9049 • DK-1022 Copenhagen K • Denmark
Tel: +45 33 76 06 00 • Fax: +45 33 76 05 00 • E-mail: irct@irct.org
www.irct.org



თბილისი, 2007

წინასიტყვაობა ქართული თარგმანისათვის

როგორც ცნობილია, წამება წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის ცხოვრებაზე, მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სოციალურ ფუნქციონირებაზე. წამების შედეგად განვითარებული ფიზიკურ თუ ფსიქიკურ აშლილობათა სიმპტომები შესაძლოა განკურნებულ იქნას, მაგრამ ის სულიერი თუ მორალური ზიანი, რასაც პიროვნება განიცდის წამების შედეგად, და ის მძიმე კვალი, რაც მის ოჯახზე და არა მარტო ოჯახზე, თაობებზეც აისახება, მუდმივ ჩრდილად გასდევს მთელს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სწორედ, პიროვნებისათვის წამების დამანგრეველი და გამანადგურებელი შედეგებიდან გამომდინარე, წამების აკრძალვა არ ექვემდებარება შეზღუდვას ნებისმიერ სიტუაციაში.

წამების პრევენციისათვის საერთაშორისო დონეზე მოწოდებულია უამრავი სამართლებრივი თუ სამედიცინო სტანდარტი, რომელთა ამოქმედება და განხორციელება საქართველოში ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხია წამების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამგვარად, ნათელია, რამდენად მნიშვნელოვანია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს (IRCT, Copenhagen, Denmark) მიერ გამოცემული პუბლიკაცია “წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ინსტრუმენტები და მექანიზმები”.

აღნიშნულ პუბლიკაციაში თავმოყრილია წამების პრევენციის, როგორც სამართლებრივი, ასევე სამედიცინო ხასიათის, ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი თუ სტანდარტი, 2007 წლის მდგომარეობით.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი “ემპათია” განსაკუთრებულ მადლობას უხდის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს აღნიშნულ სახელმძღვანელოზე თარგმანის უფლებისათვის; ასევე მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციებს, პირველ რიგში – ევროკავშირს, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს (IRCT/Oak foundation, Rausing Trust – ახალი ინიციატივები), ასევე გაეროს განვითარების პროგრამის პროექტს “საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება”, რომელთა დახმარებითაც განხორციელდა მოცემული პუბლიკაციის ქართულ ენაზე გამოცემა.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული თარგმანი, ხელს შეუწყობს წამების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტებისა და მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას საქართველოში.

მარიამ ჯიშკარიანი

*წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის
ცენტრი “ემპათია”ს პრეზიდენტი
ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის სექციის
“წამების ფსიქოლოგიური შედეგები და აღკვეთა” წევრი*

Introduction for Georgian Translation

As it is well known, torture leaves indelible trace on human's life, physical or psychological health and social functioning. The physical or mental consequences of torture could be recovered, but the spiritual or moral damage evenly affecting a person and his / her family (and much more) stays with him/her throughout the whole private and social life, alongside of the generations.

Taking in consideration the destructive results of torture – its prohibition cannot be viewed as a limitation at any circumstances.

There are number of legal and medical standards offered internationally with regards to the torture prevention. Their implementation and operation in Georgia would gain the fundamental meaning in terms of struggling against the torture.

Thus, the importance of the publication on “International Instruments and Mechanisms for the Fight against Torture” published by IRCT, Copenhagen, Denmark becomes obvious.

The mentioned publication compiles all significant international documents or standards of legal or medical guidelines existing with regards to torture prevention to 2007.

The Rehabilitation Centre for Victims of Torture - “Empathy” expresses its special gratitude toward the International Rehabilitation Council for Torture Victims for kindly transferring rights of translation of the present book.

The Center also expresses its gratitude toward the donor organizations, firstly, toward the European Union, IRCT/Oak foundation, Rausing Trust – New Initiatives; The UNDP project “Strengthening of the Public Defender’s Office in Georgia”, those significantly contributed to the publication of the Georgian version of the present book.

We hope that the present translation will facilitate implementation and operation of international standards and mechanisms of torture prevention in Georgia.

Dr. Mariam Jishkariani

President of the Rehabilitation Centre for Victims of Torture- “Empathy”
(RCT/EMPATHY, Georgia);
Member of the World Psychiatry Association
“Psychological Consequences of Torture and Persecution”

სარჩევი

შესავალი	09
გაერთიანებული ერები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარება	10
ადამიანის უფლებათა ახალი საბჭო	13
წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები	14
წამებასთან დაკავშირებული საყოველთაო დოკუმენტები	14
გაერთიანებული ერების კონვენციები	14
გაერთიანებული ერების წესდება	14
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	17
პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი	21
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართული მეორე ფაკულტატიური ოქმი	22
ზოგადი კომენტარი მე-4 მუხლზე	22
ზოგადი კომენტარი 20	28
ზოგადი კომენტარი 21	30
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	32
ზოგადი კომენტარი №. 14 (2000)	33
კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური	33
წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	43
ზოგადი კომენტარი №1	51
ბავშვის უფლებათა კონვენცია	52
საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	54
ზოგადი რეკომენდაცია №31 – რასობრივი დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ სისხლის სამართლის სამართლაწარმოების სისტემის ადმინისტრირებისა და ფუნქციონებისას	54
ზოგადი რეკომენდაცია №30: მოქალაქეობის არმქონე პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ	56
ზოგადი რეკომენდაცია №13: სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მომზადება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში	58
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია	58
ზოგადი რეკომენდაცია №19: (II სესია, 1992) ძალადობა ქალთა წინააღმდეგ	59
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	64
კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ	66
საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ	67
არა სავალდებულო ხასიათის დოკუმენტები	68
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	68
დეკლარაცია ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯისაგან დაცვის შესახებ	69
ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა	71
ძირითადი პრინციპები და გაიდლაინები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული მასობრივი ძალადობის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და კომპენსაციის შესახებ	72
დეკლარაცია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ	80
დეკლარაცია საგანგებო მდგომარეობებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ	81
გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა	82

მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ	
გაერთიანებული ერების წესები თავისუფლებადადკეითლ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ	82
ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის პრინციპთა ერთობლიობა	85
პატიმართა მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპები	92
გაერთიანებული ერების პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები	92
უსაფრთხოების ზომები სიკვდილმისჯილი პატიმრების უფლებების დასაცავად	94
სამედიცინო ეთიკის პრინციპები სამედიცინო პერსონალისათვის, განსაკუთრებით კი ექიმთათვის, დაკავებული პირებისა ან პატიმრების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, მათი როლის შესახებ	95
სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსი	96
სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები	98
სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ	100
დეკლარაცია სისხლის სამართლის დანაშაულისა და ძალის ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა მიმართ მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ	100
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები	101
დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ	101
დეკლარაცია ყველა პირის იძულებითი გაუზინარებისაგან დაცვის შესახებ	102
დეკლარაცია იმ პირების, ჯგუფების ან ორგანოების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების წახალისებასა და დაცვას	104
წამების აკრძალვა ჰუმანიტარულ სამართალში	108
ჟენევის კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა – ავადმყოფთა და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ	111
ჟენევის კონვენცია სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ	112
ჟენევის კონვენცია სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ომიანობის პერიოდში	116
1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის, და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ კონვენციების დამატებითი ოქმი (ოქმი I)	117
1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ	120
წამების აკრძალვა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და Ad Hoc ტრიბუნალები	121
სისხლის სამართლის ტრიბუნალის განახლებული სტატუსი ყოფილი იუგოსლავიის მიმართ	121
რუანდას საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუსი	123
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუსი	124
წამებასთან დაკავშირებული რეგიონული დოკუმენტები	126
დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მიერ	126
აფრიკის ქარტია ადამიანის და სახალხო უფლებების შესახებ	126
ბაჟშეის უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია	129
აფრიკის ადამიანის და სახალხო უფლებების ქარტიის ოქმი, აფრიკის ადამიანისა და სახალხო უფლებების სასამართლოს დაარსების შესახებ	130
აფრიკის ადამიანის და სახალხო უფლებების ქარტიის ოქმი, აფრიკაში ქალთა უფლებების დაცვის შესახებ	132
რეზოლუცია აფრიკაში წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვისა და პრევენციის ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ	132
ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტები	138
სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების	143

ამერიკული კონვენციის ოქმი	
წამების პრევენციისა და წამებაში მონაწილეთა დასჯის ინტერ-ამერიკული კონვენცია	143
ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის, დასჯის და აღმოფხვრის ინტერ-ამერიკული კონვენცია	147
ინტერ-ამერიკული კონვენცია ადამიანთა ძალადობრივი გაუჩინარების შესახებ	149
ვროპის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტები	149
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია	149
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია	153
ევროპული კონვენცია ძალადობრივი დანაშაულით დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ	158
რეზოლუცია 690 (1979) პოლიციის შესახებ დეკლარაციის თაობაზე	159
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (87) 3 წვერი სახელმწიფოთათვის ციხის ევროპული წესების შესახებ	159
მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006) 2 წვერი სახელმწიფოების მიმართ, ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით	160
მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (98) 7 წვერი სახელმწიფოების მიმართ, ციხეებში სამედიცინო მომსახურების ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ	164
მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (99) 3 წვერი სახელმწიფოების მიმართ, სასამართლო-სამედიცინო აუტოფსიის (გაკვეთის) წესების კარმონიზაციის შესახებ	167
ეუთოს (OSCE/CSC) მიერ მიღებული დოკუმენტები	168
კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი - ეუთოს ადამიანური განზომილება	168
ეუთოს კონფერენცია ადამიანური განზომილების შესახებ, მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი	169
ევროპის უსაფრთხოების ქარტია	170
ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტები	171
ევროკავშირის საყოველთაო უფლებების ქარტია	171
მესამე ქვეყნებში წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის შესახებ ევროკავშირის პოლიტიკის გაიდლაინები	172
ევროკავშირის დეკლარაცია წამების წინააღმდეგ	179
ახლო აღმოსავლეთი	
ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია	180
წამების შეტყობინების საერთაშორისო მექანიზმები და სასარჩელო პროცედურები	180
გაეროს სპეციალური მომსახურებელი წამების საკითხებზე	184
ადამიანის უფლების დამცველთა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი	186
აფრიკული მექანიზმები	186
აფრიკის სახალხო და ადამიანის უფლებების სასამართლო	187
სახალხო და ადამიანის უფლებების აფრიკული კომიტეტი	187
აფრიკის კონტინენტზე ციხეებსა და დაკავებულთა მდგომარეობაზე სპეციალური მომსახურებელი	188
ამერიკული მექანიზმები	188
ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული კომისია	188
ადამიანის უფლებების დაცვის ინტერ-ამერიკული სასამართლო	189
ევროპული მექანიზმები	189
წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)	190
წამებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პროფესიული სტანდარტები	191
მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია	191
ჟენევის დეკლარაცია	191
მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ტოკოს დეკლარაცია - ექიმთა გაიდლაინები დაკავებულთა და პატიმართა წამებასთან და სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახვე მოპყრობასა და დასჯასთან მიმართებაში	192
მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის დეკლარაცია - იმ ექიმთა მხარდაჭერის შესახებ,	193

რომლებიც უარს აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ ან შეურიგდნენ წამებისა ან სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებას	
მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის რეზოლუცია - ექიმთა ვალდებულების შესახებ გამოავლინონ წამების ან სასტიკი არაადამიანური მოპყრობის, ღირსების შემლახველი და დასჯის ფაქტები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა	194
ექთანთა საერთაშორისო საბჭო ICN ექთნების როლი დაკავებულთა და დაპატიმრებულთა მოვლაში	196
ექთნები და ადამიანთა უფლებები	197
წამება, სიკვდილით დასჯა და სასჯელადსრულების პროცედურაში ექთნების მონაწილეობა	198
ფიზიკური თერაპიის (რეაბილიტაციის) მსოფლიო კონფედერაცია	199
წამების მსხვერპლთა დღე და მისი მხარდამჭერი რეზოლუცია	200
მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაცია	200
მადრიდის დეკლარაცია ფსიქიატრიული პრაქტიკის ეთიკურ სტანდარტებზე	200
ევროპის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტი	202
მადრიდის დადგენილება	
ციხის სამედიცინო სამსახურების საერთაშორისო საბჭო	203
ათენის ფიცი	203
მეან-გინეკოლოგთა საერთაშორისო ფედერაცია (FIGO)	203
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირი (IUPS)	204
სხვა რელევანტური დოკუმენტები	205
წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური კვლევისა და დოკუმენტირების პრინციპები	205
პრიშტინას დეკლარაცია ეროვნული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და წამების პრევენციის შესახებ	207
საერთაშორისო ამინისტის	208
12- პროგრამა წამების პრევენციისათვის სახელმწიფო წარმომადგენელთა მხრიდან	
წამების პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები	210
წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ზოგადი რეკომენდაციები	210

შესავალი

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის სფეროში მომუშავე პირთა უზრუნველყოფა წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დოკუმენტების, პროფესიული სტანდარტების და მექანიზმების პრაქტიკული კრებული. წამება ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიიმე საერთაშორისო დანაშაულია, არა მხოლოდ მისი ბუნებიდან გამომდინარე, არამედ ასევე იმ მიზნების გამო, რომლისთვისაც ის გამოიყენება; ასევე იმ შორეული შედეგების გამო, რომელსაც წამება აჩვენებს მსხვერპლის ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ იდენტურობას.

უხშირესად, წამების მიზანია არა სიკვდილის გამოწვევა, არამედ მსხვერპლის პიროვნების გატეხვა - მიიმე ფიზიკური და გონებრივი ტანჯვის მიყენების გზით. გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1984) წამებას განმარტავს, როგორც:

“...ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, ან დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი, ან მესამე პირი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის საფუძველზე, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია წამებით ან თანხმობით, ან თანამდებობის პირის მდუმარე თანხმობით, ან სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა ოფიციალური პირის სტატუსით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მისგან გამოწვეული...”

წამება და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობა და დასჯა აკრძალულია როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ასევე მრავალი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტით. წამების აკრძალვა აბსოლუტურია – არანაირი გარემოების არსებობით არ შეიძლება იქნას ახსნილი ან გამართლებული მისი გამოყენება. უენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 75-ე მუხლი განმარტავს “...წამება [...] ფიზიკური დასჯა ... არის და უნდა დარჩეს აკრძალული ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას“. მიუხედავად აღნიშნული აკრძალვის არაერგზის დეკლარირებისა, უკანასკნელი 50 წლის

განმავლობაში, მიღებული მრავალი კონვენციისა თუ დეკლარაციისა და გაერთიანებული ერების წამების საწინააღმდეგო კონვენციის გამოქვეყნებისა (რომელიც ამჟამად გაერთიანებული ერების 127 წევრი სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული), წამების გამოყენების პრაქტიკა მაინც ფართოდ რჩება გავრცელებული.

ის ფაქტი, რომ მრავალი ქვეყნის მთავრობა აგრძელებს წამების პრაქტიკის გამოყენებას ან ტოლერანტულია ამ აკრძალვის მიმართ, აუცილებელს ხდის უფრო მეტი ძალისხმევის გამოყენება რათა გაიზარდოს გათვითცნობიერებულობა წამების აკრძალვასთან და მის პრევენციასთან დაკავშირებით. ასეთი გასათვითცნობიერებელი პროგრამები მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ყველა დონის წარმომადგენელთა – სამთავრობო ლიდერების, ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების, მედიისა და ფართო საზოგადოებრიობის მიმართ, რომლებიც წარმოდგენენ საზოგადოების ძირითადი მონაპოვრის - ადამიანის საყოველთაო უფლებებებისა და ღირებულებების ძირითად ბენეფიციარებს.

წამების პრევენცია დამოკიდებულია მთავრობის ნებაზე გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო და სასამართლო პოლიტიკა და განახორციელოს სარეაბილიტაციო და პრევენციული ღონისძიებების მორალური და ფინანსური მხარდაჭერა.

კონვენცია მკაფიოდ განსაზღვრავს მთავრობების ვალდებულებას, მოახდინოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენცია, გამოიძიოს წამების ფაქტები, უზრუნველყოს ტრენინგების და საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვა და უზრუნველყოს მსხვერპლთა რეაბილიტაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ აწარმოონ გაერთიანებული ერების კონვენციითა და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებით ნაკისრი წამების საწინააღმდეგო სამთავრობო ვალდებულებების მონიტორინგი. მათ ასევე შეიძლება ითანამშრომლონ მთავრობებთან წამების პრევენციული ღონისძიებების გატარებაში ტექნიკური დახმარების, ტრენინგების მოწყობისა და რეკომენდაციების მიწოდების სახით.

არასამთავრობო ორგანიზაციები საკვანძო როლს თამაშობენ წამების ფაქტების დოკუმენტირებაში და სათანადო ინფორმაციის მიწოდებაში მონიტორინგის ორგანოებისადმი

საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებლობის შემთხვევაში, წამების მრავალი ფაქტი დღესაც გაუმჟღავნებელი იქნებოდა. ფაქტია, რომ წამების შემთხვევათა უმრავლესობა ხდება ფარულად, მიუხედავად ამის ოფიციალური აკრძალვისა. წამების მსხვერპლთაგან შედარებით მცირე ნაწილს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ აუნაზღაურდეს ზარალი მათსავე საკუთარ ქვეყანაში. ამის ნაცვლად ისინი მინდობილნი არიან საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას რათა ყურადღება გამახვილდეს მათ კონკრეტულ შემთხვევებზე და შესაბამისად იპოვნონ სამართალი და აუნაზღაურდეთ ზარალი.

აღნიშნულ კონტექსტში, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო მიესალმება ადამიანის საერთაშორისო უფლებათა უხეში დარღვევების დროს ანაზღაურების და მსხვერპლთა რეაბილიტაციის უფლების ძირითადი პრინციპების აღიარებას. აღნიშნული პრინციპები განეკუთვნება ადამიანის საერთაშორისო უფლებათა უხეშ დარღვევებსა და საერთაშორისო კუმანტარული სამართლის სერიოზული იგნორირებას. ისინი არ ეფუძნება ახალ საერთაშორისო ან შიდა საკანონმდებლო ვალდებულებებს, არამედ ახდენს იმ მექანიზმთა, საშუალებათა, პროცედურებისა და მეთოდების იდენტიფიკაციას, რათა მოხდეს არსებული იურიდიული ვალდებულებების რეალიზაცია, რეაბილიტაციის სხვადასხვა ფორმებთან დაკავშირებით.

აღნიშნული სახელმძღვანელო დაყოფილია ოთხ ნაწილად, რათა დაინტერესებულ მხარეებს დახარება გაუწიოს ყველაზე უფრო რელევანტური ლეგალური დოკუმენტებისა ან სტანდარტების გაცნობაში, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს წამების შემთხვევათა დოკუმენტაციის, შეტყობინების ან წამებასთან დაკავშირებით საჭირო მოქმედებების დროს.

ნაწილი 1 მოიცავს ამონარიდებს მრავალი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტიდან წამებასთან დაკავშირებით. დოკუმენტები, რომლებიც მოცემულია I.I. თავში და მათ შორის გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ წარმოადგენს მიმდინარე ლეგალურ ვალდებულებას იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც უკვე მოახდინეს ამ დოკუმენტის რატიფიცირება, მსგავსად რიგი რეგიონული

კონვენციებისა. ნაწილი 1 ასევე მოიცავს მრავალ სხვა რეზოლუციასა და დეკლარაციას, რომლებიც შეთანხმებულ იქნა გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოების მიერ ან რომელიმე რეგიონული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ; მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი იურიდიულად საავალდებულო ნორმებს შეიძლება არ წარმოადგენდნენ. ამ ტიპის დოკუმენტებს ზოგჯერ უწოდებენ ე.წ. “რბილ სამართალს”.

ნაწილი 2 წარმოადგენს წამების შემთხვევათა გამოძიების, გამოაშკარავებისა და პრევენციის ძირითადი საერთაშორისო მექანიზმების მიმოხილვას სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისობისათვის ან წამების მსხვერპლის მიერ სამართლის პოვნისა და რეაბილიტაციისათვის.

ნაწილი 3 მოიცავს წამებასთან დაკავშირებულ დადგენილებებს, რომლებიც მიღებულია ჯანმრთელობის პროფესიული ასოციაციების მიერ.

ნაწილი 4 აერთიანებს რიგ სხვა დოკუმენტებს, წამების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

იმედს გამოვთქვამთ, სახელმძღვანელო პრაქტიკულ საშუალებად იქცევა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული გაიდრმაჟონ ცოდნა მათი საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ და ასევე იგი მიაწოდის რჩევებსა და რეკომენდაციებს, ასევე ხელს შეუწყობს იმ მიმართულებით, რომელშიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო სისტემა წამების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის.

ბაერთიანებული ერები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარება

მეორე მსოფლიო ომის დრამატული მოვლენების ასპექტების გათვალისწინებით, მრავალმა ერმა გამოხატა სურვილი ისეთი საერთაშორისო მექანიზმის შერჩევისა და დამკვიდრებისათვის, რომელიც ეფექტურად შესძლებდა მშვიდობის შენარჩუნებას საერთაშორისო თანამეგობრობას შორის და უზრუნველყოფდა კოლექტიურ უსაფრთხოებას. 1945 წელს, მსოფლიოს 50 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციაზე სან ფრანცისკოში, რათა შეემუშავებინათ გაერთიანებული ერების წესდება. წესდება მიღებული და ხელმოწერილი იქნა ყველა მონაწილე დელეგაციის მიერ 1945 წლის 26

იენის, ხოლო ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. აღნიშნული მიიხნევა თარიღად, როდესაც გაერთიანებულმა ერებმა ოფიციალურად დაიწყო არსებობა. როდესაც სახელმწიფოები ოფიციალურად ხდებიან გაერთიანებული ერების წევრები, ისინი თანხმდებიან აღიარონ ის ძირეული პრინციპები და ვალდებულებები რაც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების წესდებით – საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლებიც აწესებენ საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად პრინციპებს. წესდება იმეორებს ადამიანის უფლებათა ძირითად საფუძვლებს. წესდების მიხედვით, გაერთიანებული ერების ერთ-ერთი მიზანია “ხელი შეუწყოს და განამტკიცოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა განურჩევლად ყველასათვის”.

წესდება არ მოიცავს ადამიანის უფლებათა შინაარსის დეფინიციას. სამაგიეროდ, წესდება ქმნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს (ECOSOC), რომელიც თავის მხრივ 1946 წ. აფუძნებს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისიას - ადამიანის უფლებათა მთავარ სამთავრობათაშორისო ორგანოს გაერთიანებული ერების ფარგლებში. კომისიის პირველი მთავარი ამოცანა იყო მოემზადებინა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პროექტი რათა დეტალურად მომხდარიყო ადამიანის უფლებათა დეფინიცია იმ კონცეფციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია გაერთიანებული ერების წესდებაში. 2006 წელს, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისია შეიკრიბა ბოლოჯერ; აღნიშნულიდან მოყოლებული, იგი შეცვალა ახალმა ადამიანის უფლებათა საბჭომ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია 1948 წელს საჯაროდ გამოცხადდა გენერალურ ასამბლეაზე. დოკუმენტმა დააწესა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ვრცელდება ყველა ქალსა და მამაკაცზე. ეს უფლებები მოიცავს ყველა ადამიანის საყოველთაო უფლებას სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და პიროვნების უსაფრთხოებაზე; უფლებას ცხოვრების ადეკვატური სტანდარტების ქონაზე; უფლებას კერძო საკუთრების ფლობაზე; უფლებას აზრისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ, უფლებას განათლებაზე; უფლებას შეხედულებების, აღმსარებლობის და რელიგიური თავისუფლების შესახებ; და უფლებას წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან თავისუფლების შესახებ.

საყოველთაო დეკლარაცია ნამდვილად ევოლუციური ხასიათის დოკუმენტი გახლდათ

არა მარტო ადამიანის უფლებათა ისტორიულ ჭრილში, არამედ ზოგადად საერთაშორისო უფლებების ისტორიაში. იგი არის პირველი ადამიანის უფლებათა დოკუმენტი, რომლის შინაარსი გამოიყენება ნებისმიერი ადამიანის მიერ ნებისმიერ ადგილას. დეკლარაცია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ადამიანის ინდივიდუალური უფლებების დაცვა და პატივისცემა ამის შემდგომ უკვე აღარ წარმოადგენს თითოეული ერის შიდა სახელმწიფოებრივ მოვალეობას, არამედ იგი არის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ლეგიტიმურ საზრუნავი. მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებული იქნა, ადამიანის უფლებათა კომისიამ დაიწყო დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც გადმოიტანდა დეკლარაციის პრინციპებს საერთაშორისო ხელშეკრულ ასპექტში და რომელიც დაიცავდა სპეციფიკურ უფლებებს. გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა მოემზადებინა ორი პაქტის პროექტი, რომლებიც განსაკუთრებით გამოკვეთავდნენ უფლებათა ორ წყებას, რომლებიც მოცემულია საყოველთაო დეკლარაციაში: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

აღნიშნულის შემდგომ წლებში, წევრ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობდა. ზოგიერთი სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ ბოლო დაედოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაოობის იმ ზოგიერთი ასპექტისათვის, რომლებიც სრულად შეეხება საყოველთაო დეკლარაციას, მაგალითად ყველა ადამიანის თვით-გამორკვევის უფლებას, ასევე იმ საკითხებს, რომლებიც კავშირში იმყოფება ძირითად მოწყველად ჯგუფებთან: მაგალითად ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა და უმცირესობები; მაშინ, როცა სხვები-ამჯობინებდნენ განევითარებინათ მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც კავშირშია უშუალოდ საყოველთაო დეკლარაციასთან.

1966 წელს, საყოველთაო დეკლარაციის გამოცხადებიდან ორი ათეული წლის შემდეგ, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა ე.წ. “ტუპი პაქტები”: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR). ამ პაქტების რატიფიცირებით, ხელშეკრული სახელმწიფოები იღებენ იურიდიულ და ასევე მორალურ ვალდებულებებს, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

ორივე პაკტში პრეამბულა და 1,2,3 და 5 მუხლები ფაქტიურად იდენტურია. ორივეს პრეამბულა აღიარებს რომ ადამიანის უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან. ორივე პაკტის 1 მუხლი აცხადებს, რომ ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება და ამ უფლების ძალით, ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. მე-2 მუხლი ადასტურებს არადისკრიმინაციის პრინციპს, რაც გამომდინარეობს საყოველთაო დეკლარაციიდან, მაშინ, როცა მე-3 მუხლი ეხება იმას, რომ ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი უფლებები ქალსა და მამაკაცს შორის ხელი მიუწვდებოდეთ ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებით. ორივე პაკტის მე-5 მუხლი გამომდინარეობს საყოველთაო დეკლარაციის საბოლოო დებულებიდან, რომელიც უზრუნველყოფს შექმნას გარანტიები რათა არ იქნას დაშვებული ადამიანის რომელიმე უფლების ან ძირითადი თავისუფლების მოსპობა ან გადამეტებული შეზღუდვა. ამ პაკტების შემდეგ მიღებულ იქნა ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაკტის ორი დამატებითი ოქმი, რომელთაგანაც ერთი – აწესებს ინდივიდუალური საჩივრის პროცედურას, ხოლო მეორე მხარს უჭერს სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ორი საერთაშორისო პაკტი ძალაში არ შესულა 1976 წლამდე, სანამ ისინი არ იქნა რატიფიცირებული სახელმწიფოთა აუცილებელ რაოდენობის მიერ. ძალაში შესვლის შემდეგ, პაკტებმა მოახდინეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებების ეფექტური საკანონმდებლო განმტკიცება მარატიფიცირებულ ქვეყანათა კანონმდებლობაში. ეს ორი პაკტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და დამატებით ოქმებთან ერთად ქმნის ერთობლიობას რაც ცნობილია როგორც - **ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი.**

საერთაშორისო პაკტების შემდგომ, მომზადებული და მიღებულ იქნა მრავალი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა სფეროში; მოგვიანებით შემუშავებული უფლებები და თავისუფლებები შესულა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილიში. მათ შორის არის ოთხი კონვენცია, რომლებიც პაკტებთან ერთად ქმნის გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ბირთვს:

- **საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ** (მიღებულია 1965 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1969 წელს) განსაზღვრავს და სჯის რასობრივ დისკრიმინაციას. იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს გამოიყენონ ყველა ძალისხმევა, რათა აღმოფხვრან რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების დისკრიმინაცია და კანონმდებლობით დასაჯონ ასეთი ქმედებები.
- **კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ** (მიღებულია 1979 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1981 წელს) აკონკრეტებს იმ ღონისძიებებს რომელიც ხელს შეუწყობს ქალის წინა პლანზე წამოწევას და მისი როლის გაძლიერებას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობის, ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების სფეროებში.
- **კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ** (მიღებულია 1984 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1987 წელს) აწესებს წამების განმარტებას და ავალდებულებს ხელშეკრულ მხარეებს მის აბსოლუტურ აკრძალვასთან მიმართებაში. გაერთიანებული ერების ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები ვალდებულებას იღებენ მათ ქვეყნებში მოახდინონ წამების პრევენცია და განახორციელონ ის ღონისძიებები, რომლებიც ესაჭიროებათ წამების მსხვერპლებს, მათ შორის შესაძლებლობის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია (მუხლი 14.1 – გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ).
- **ბავშვის უფლებათა კონვენცია** (მიღებულია 1989 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1990 წელს) წარმოადგენს ყველაზე უფრო საყოველთაოდ რატიფიცირებულ დოკუმენტს ადამიანის უფლებათა სფეროში. იგი რატიფიცირებული არ არის მხოლოდ გაერთიანებული ერების ორი წევრი სახელმწიფოს მიერ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები და სომალი.

კონვენცია ადგენს ადამიანის მრავალ სპეციფიკურ უფლებას ბავშვის მიმართ, მათ შორის ბავშვთა დაცვას ეკონომიკური და სქესობრივი ექსპლუატაციისაგან.

აღნიშნული ხელშეკრულებების მიღებისა და ძალაში შესვლის გარდა, სხვა მნიშვნელოვან წინსვლად უნდა ჩაითვალოს ხელმომწერ სახელმწიფოებში ამ ხელშეკრულებათა იმპლემენტაციის და მათში ჩამოყალიბებული უფლებებით სარგებლობის მონიტორინგის მექანიზმების დაარსება. ამ ხელშეკრულებების შესაბამისად, შექმნილია ადამიანის უფლებათა შესახებ **გაერთიანებული ერების ექვსი ძირითადი ხელშეკრულების მონიტორინგის მექანიზმი.**

ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC) ახდენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) საერთაშორისო პაქტის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ უფლებათა კომიტეტი (CESCR) ახდენს ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ უფლებების შესახებ (ICESCR) საერთაშორისო პაქტის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობის კომიტეტი (CERD) ახდენს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის მოსპობის კომიტეტი (CEDAW) ახდენს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CAT) ახდენს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC) ახდენს ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

ადამიანის უფლებათა ახალი საბჭო

ადამიანის უფლებათა საბჭო დაფუძნებულია გაერთიანებული ერების 60/251 რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია

გენერალური ასამბლეის მიერ, მის მე-16 სესიაზე, 2006 წლის 15 მარტს. ადამიანის უფლებათა ახალი საბჭო შედგება 47 წევრისაგან, ნაცვლად 53-ისა, რომელსაც აერთიანებდა ადამიანის უფლებათა კომისია.

კომიტეტის წევრობა ღიაა გაერთიანებული ერების წევრი ყველა სახელმწიფოსათვის. წევრები აირჩევა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ ინდივიდური და პირდაპირი კენჭისყრით აბსოლუტური უმრავლესობით (96 ხმა). ადგილების განაწილება ხდება თანასწორი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპით (13 აფრიკის ჯგუფიდან, 13 აზიის ჯგუფიდან, 6 აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფიდან, 8 ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყანათა ჯგუფიდან, 7 დასავლეთ ევროპის და სხვა ქვეყნების ჯგუფიდან). ადამიანის უფლებათა ახალი საბჭოს პირველი წევრების არჩევა მოხდა 2006 წლის 9 მაისს. ყოველწლიურად, 47 ადგილიდან 1/3 ექვემდებარება განახლებას, 3 წლით არჩეული წევრებისაგან. საბჭოს წევრები შეიძლება არჩეული იყვნენ ზედიზედ მაქსიმუმ ორი ვადით.

საბჭოს წევრთა არჩევის დროს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ასარჩევი კანდიდატის დამსახურება ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის და დაცვის მიმართულებით. არჩევის დროს, ახალი წევრები იღებენ ნდობის მანდატს და ვალდებულია, რომ ითანამშრომლებენ საბჭოსთან და დაიცავენ ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის უმაღლეს სტანდარტებს. საბჭოს კანდიდატებმა ასევე ნებაყოფილობით უნდა დაამტკიცონ, რომ დაიცავენ და ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებებს. აღნიშნული საჭიროებები არ არსებობდა ადამიანის უფლებათა კომისიის მოღვაწეობის პერიოდში.

საბჭოს წევრებმა უნდა გაიარონ საბჭოს ახალი საყოველთაო გადასინჯვის მექანიზმი მათი, როგორც წევრის უფლებამოსილების პერიოდში. ამ საყოველთაო პერიოდული გადასინჯვის მექანიზმის მოდალობა და სიხშირე მტკიცდება საბჭოს მიერ, მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში მის პირველივე სესიაზე.

გენერალური ასამბლეა იტოვებს უფლებამოსილებას შეუჩეროს უფლებამოსილება და პრივილეგიები საბჭოს ნებიემიერი წევრის, თუ იგი მიიჩნევს და გადაწყვეტს, რომ წევრი, მისი უფლებამოსილების პერიოდში სისტემატურად და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს. უფლებამოსილების შეჩერების აღნიშნული პროცედურა საჭიროებს გენერალური ასამბლეის ხმათა 2/3-ს.

ადამიანის უფლებათა საბჭო წარმოადგენს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანოს. აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო პირდაპირ და სრულად ანგარიშვალდებულია გაერთიანებული ერების სრულუფლებიანი წევრების მიმართ.

ადამიანის უფლებათა საბჭო დაფუძნებულია ჟენევაში და მართავს არანაკლებ სამ სესიას წლის განმავლობაში (მათ შორის ძირითადი სესია) ანუ არაუმცირეს 10 კვირაში ერთხელ. კომისია იკრიბებოდა ერთხელ ყოველწლიურ 5 კვირიან სესიაზე. საბჭოს ასევე შეუძლია შეიკრიბოს საგანგებო მდგომარეობების პირობებში და ჩაატაროს სპეციალური რეგარეშე სესია საჭიროების შემთხვევაში საბჭოს წევრთა მოთხოვნით, მათი საერთო რაოდენობის 1/3-ის მხარდაჭერით.

საბჭო დაარსებულია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის ყველა საყოველთაო უფლების და ძირითადი თავისუფლების დაცვას ყველა ადამიანის მიმართ, განურჩევლად ნებისმიერი სახისა, თანაბარი და სამართლიანი მიდგომით. ადამიანის ყველა საყოველთაო უფლების დაცვა და ხელშეწყობა ითვალისწინებს საგანმანათლებლო და ტექნიკური დახმარების განხორციელებას, ასევე სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციის და პატივისცემის მონიტორინგს. საბჭო ასევე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, საბჭოს მიენიჭა მანდატი, მისი პირველი სესიის ჩატარებიდან ერთი წლის ვადაში შექმნას ეფექტური, ქმედუნარიანი, გამჭვირვალე და ობიექტური ადამიანის უფლებათა მონიტორინგის პროცედურები, სადაც ყველა სახელმწიფო თანაბარუფლებიან დამოკიდებულებაში იქნება და თავიდან იქნება აცილებული ორმაგი სტანდარტებით და პოლიტიზირებული მოქმედება.

მისი მანდატის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საბჭო, 2007 წლის 18 ივნისს უნდა შეთანხმდეს მისი ოთხი ძირითადი ადამიანის უფლებათა მონიტორინგის პროცედურის ინსტიტუციურ შენებაზე:

საყოველთაო პერიოდული გადახედვა უნდა იქცეს საბჭოს ძირითად საშუალებად, რათა შეფასდეს თითოეული სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების და მოვალეობების შესრულება;

სპეციალური პროცედურები, მათ შორის სპეციალური მომხსენებლები, დახმარებითი მონიტორინგი და ანგარიშების წარდგენა, ან ადამიანის უფლებათა თემატურ საკითხებზე ან კონკრეტულ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაწესებული იყო ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა ძველი კომისიის მიერ;

საკონსულტაციო კომიტეტი, რომელმაც შეცვალა ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის ყოფილი ქვეკომიტეტი, განახორციელებს საბჭოს წევრების ექსპერტულ დახმარებას და საბჭოსათვის რეკომენდაციების მიწოდებას;

საჩივრის წარდგენის პროცედურა, ხელმისაწვდომი რჩება, როგორც საშუალება კონკრეტული პირებისა და არასახელმწიფოებრივი ჯგუფებისათვის, წარმოადგინონ მათი საჩივარი ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების შესასწავლად.

სრული ოპერირების მიზნით, ადამიანის უფლებათა საბჭოს ინსტიტუციური შენების დასრულების შესახებ გადაწყვეტილება, მიღებულ იქნება საბჭოს მეორე ციკლის პერიოდში, რომელიც დაიწყება 2007 წლის 19 ივნისს. სპეციალურ პროცედურათა მანდატის გადახედვა (ქვეყნის და თემატური მანდატი) მოხდება მათი რაციონალიზაციის მიზნით. მეორე ციკლის სესიის დროს ასევე დაგეგმილია საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და განმტკიცების საკითხების განხილვა.

წამებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები

წამებასთან დაკავშირებული საყოველთაო დოკუმენტები

ბაერთიანებული ერების კონვენციები

ბაერთიანებული ერების წესდება

პრეამბულა

ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა გადავწყვიტეთ

თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს უბედურებანი ომისა, რომელმაც ჩვენს

ცხოვრებაში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას ენით გამოუთქმელი მწუხარება, და კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობისა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისა და დიდი და პატარა ერების თანასწორობისა, და

შევქმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდინა სამართლიანად და პატივისცემით მოვეყიდოთ საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებებიდან და სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, და

ხელი შევუწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში,

და ამ მიზნით

გამოვიჩინოთ შემწენარებლობა და ერთად ვიცხოვროთ მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად, და

გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, და

პრინციპების მიღებითა და მეთოდების დადგენით უზრუნველყოთ, რომ შეიარაღებული ძალები მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის მიემართოს, და

საერთაშორისო აპარატი გამოვიყენოთ ყველა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შესაწევნად, და

გადავწყვიტოთ გავაერთიანოთ ჩვენი ძაღისხმევა ამ მიზნების მისაღწევად.

თანახმად ამისა, ჩვენი შესაბამისი მთავრობები სან-ფრანცისკოში შეკრებილი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა მიერ წარმოდგენილი რწმუნებანი სათანადო ფორმისადაა მიჩნეული, შეთანხმდნენ მიეღოთ გაერთიანებული ერების წინამდებარე წესდება და ამით აფუძნებენ საერთაშორისო ორგანიზაციას “გაერთიანებული ერების” სახელწოდებით.

თავი 1

მიზნები და პრინციპები

მუხლი 1

გაერთიანებული ერები მიზნად ისახავს:

1. დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და ამ მიზნით ეფექტიური კოლექტიური ზომები მიიღოს მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევების აღსაკვეთად, და სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვაროს ანდა გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები, ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს;

2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად;

3. განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად და ადამიანის უფლებებისა და საყოველთაო ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისებისა და განვითარებისათვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად, და

4. იყოს ერების მოქმედებათა შესათანხმებელი ცენტრი საერთო მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2

I მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია და მისი წევრები მოქმედებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1. ორგანიზაცია დაარსებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპით.

2. გაერთიანებული ერების ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს წინამდებარე წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს. რათა ყველასათვის ერთობლივ უზრუნველყოს ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი;

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავებს აგვარებს მშვიდობიანი საშუალებებით, ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას;

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრითავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს არიდებს ძალით მუქარას ან ძალის გამოყენებას როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს

ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით;

5. გაერთიანებული ერების ყველა წევრი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ორგანიზაციას წინამდებარე წესდების შესაბამისად განხორციელებულ ყველა ქმედებაში და თავს იკავებს დაეხმაროს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც გაერთიანებული ერები ახორციელებს პრევენციული ან იძულებითი ხასიათის ქმედებებს;

6. ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რათა სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ მის წევრებს, მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად. ვინაიდან ეს შესაძლოა აუცილებელი გახდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასამყარებლად;

7. წინამდებარე წესდება გაერთიანებულ ერებს არ ანიჭებს არანაირ უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად რომელიმე სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას განეკუთვნება, და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების წევრებისაგან, რომ ამგვარი საქმეები წარმოადგინონ წინამდებარე წესდების წესით მოსაგვარებლად; თუმცა ეს პრინციპი ეჭვქვეშ არ აყენებს იძულებითი ზომების მიღებას VII თავის საფუძველზე.

[...]

თავი IX

საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა

მუხლი 55

იმ მიზნით, რათა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემაზე დამყარებული მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობებისათვის შეიქმნას აუცილებელი სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობები, გაერთიანებული ერები ხელს უწყობს:

ა) ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ დასაქმებას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს;

ბ) საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში და სხვა მსგავსი პრობლემების

გადაწყვეტას; საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების სფეროებში;

გ) ადამიანის უფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და მისი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

[...]

თავი X

ეკონომიკური და სოციალური საბჭო შემადგენლობა

მუხლი 62

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, აწარმოოს გამოკვლევები და შეადგინოს მოხსენებები ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში და მსგავს საკითხებზე, ან მოახდინოს სხვების მოტივირება ამით, აგრეთვე შესთავაზოს რეკომენდაციები ნებისმიერ ამ საკითხზე გენერალურ ასამბლეას, ორგანიზაციის წევრებს და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს.

2. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა და საყოველთაო ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის წახალისების მიზნით;

3. საბჭო უფლებამოსილია მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მოამზადოს კონვენციების პროექტები გენერალურ ასამბლეაზე წარსადგენად;

4. საბჭო უფლებამოსილია, ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენციები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

[...]

მუხლი 68

ეკონომიკური და სოციალური საბჭო ქმნის კომისიებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში და ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად, აგრეთვე სხვა ისეთ კომისიებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდნენ მისი ფუნქციების შესასრულებლად.

თავი XIV

საერთაშორისო სასამართლო

მუხლი 92

საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს გაერთიანებული ერების მთავარ სასამართლო ორგანოს. იგი მოქმედებს თანდართული სტატუტის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პაქტის სტატუსს და ქმნის წინამდებარე წესდების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 93

1. გაერთიანებული ერების ყველა წევრი ipso facto წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილეს.
2. სახელმწიფო, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე იმ პირობით, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

მუხლი 94

1. გაერთიანებული ერების ყველა წევრი კისრულობს ვალდებულებას შესასრულოს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საქმის გამო, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს.
2. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე არ შეასრულებს მასზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელმაც, თუკი ამას აუცილებლად მიიჩნევს, შეიძლება შეიმუშაოს რეკომენდაციები, ანდა გადაწყვიტოს ზომების მიღება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2200A (XXI). 1966 წლის 16 დეკემბერი

ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, 49-ე მუხლის შესაბამისად

პრეამბულა

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი;

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალს განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღწვოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლებს გამო:

[...]

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

2. თუ ეს უკვე გათვალისწინებული არ არის არსებული საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო

ღონისძიებანი თავისი საკონსტიტუციო პროცედურებისა და ამ პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

ა) ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა დაუშვებლად იქნება აღიარებული;

ბ) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, ადგენენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლებანი ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობანი;

გ) უზრუნველყოს კომპეტენტურ ხელისუფლებათა მიერ მათთვის მოცემული სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამოყენება.

[...]

მუხლი 4

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძველად დაედოს რაიმე გადახვევებს 6,7,8 (1 და 2 პუნქტები), 11,15,16 და 18 მუხლებიდან.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიადებინა ასეთი გადაწყვეტილება. ამავე შუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

[...]

მუხლი 7

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს, კერძოდ, არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება.

[...]

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებაა დაცული პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას.

მუხლი 28

1. იქმნება ადამიანის უფლებათა კომიტეტი (რომელსაც ქვემოთ ამ პუნქტში ეწოდება „კომიტეტი“). მასში შედის თვრამეტი წევრი და იგი ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და აღიარებული კომპეტენტურობა ადამიანის უფლებათა დარღვევაში, ამასთან გათვალისწინებულია, რომ სასარგებლოა იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობა.

3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ და ისინი მუშაობენ პირადად.

[...]

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა,

სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს ან განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობები განიხილება შემდეგი პროცედურის მიხედვით;

ა) თუ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს ეს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმდებარე სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება, მითითებას შინაგან პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;

ბ) თუ საკითხი არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად ექვსი თვის მანძილზე მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი ცნობა, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან ეს შეატყობინოს კომიტეტსა და მეორე სახელმწიფოს;

გ) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შინაგანი საშუალება. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება;

დ) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას;

ე) კომიტეტი გ ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს

დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი ამ პუნქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

ე) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა შეიძლება სთხოვოს ბ ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება;

ზ) ბ ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ უფლება წარმოდგინონ იყენენ კომიტეტში საკითხის განხილვისას და გააკეთონ წარდგინებანი ზეპირად ან წერილობით;

თ) შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი ბ ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას;

ი) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება ე ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას ერთვის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი. თითოეულ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უშლის რომელიმე იმ საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობის საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება

მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

1. ა) თუ რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს გადაეცემა 41-ე მუხლის შესაბამისად, არ გადაიტარა დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (რომელსაც შემდგომში ეწოდება „კომისია“), კომისია კეთილ სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი ამ პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე.

ბ) კომისიაში შედის დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშნვის თაობაზე ვერ მიადწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორ მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ან იმ სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელიც ამ პაქტის მონაწილე არ არის, ან იმ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავის თავმჯდომარეს და ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენგვის განყოფილებაში, მაგრამ სხდომები შეიძლება მოეწეოს სხვა მოსახერხებელ ადგილებშიც, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით უზრუნველყოფილი სამდივნო ემსახურება აგრეთვე ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია გადადის კომისიის განკარგულებაში და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება.

7. როცა კომისია მთლიანად განიხილავს საკითხს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 12 თვისა მას შედეგ, რაც მას გადაეცა ეს საკითხი, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებას დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად:

ა) თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;

ბ) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებსა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

გ) თუ ბ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტიური ხასიათის ყველა საკითხის გამო, რომლებიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებას და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

დ) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია ე ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს, ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებანი არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უფლება აქვს, თუ ეს საჭიროა, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, სანამ მათ აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სამართაშორისო პაქტის შავშლტაშური ოქმი

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2200 (XXI). 1966 წლის 16 დეკემბერი

ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, მე-9 მუხლის შესაბამისად

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (შემდგომში „პაქტი“) მიზნების მისაღწევად და მისი დადგენილების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“) მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს და განიხილოს, როგორც ამ ოქმშია გათვალისწინებული, შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტის აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ამ ოქმის მონაწილე ხდება, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. კომიტეტი არ მიიღებს არც ერთ ცნობას, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ ოქმის მონაწილე.

მუხლი 2

1 მუხლის დებულებების დაცვის შემთხვევაში პირებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პაქტში ჩამოთვლილი მათი რომელიმე უფლება დაირღვა, და რომლებმაც ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული შინაგანი საშუალება, შეუძლიათ კომიტეტის

განსახილველად წარადგინონ წერილობითი ცნობა.

მუხლი 3

კომიტეტს შეუძლია მიუღებლად მიიჩნიოს ამ ოქმის შესაბამისად წარმოდგენილი ყოველი ცნობა, რომელიც ანონიმურია ან, რომელიც, მისი აზრით, არის ასეთი ცნობების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება, ან იგი შეუთავსებელია პაქტის დებულებებთან.

მუხლი 4

1. მე-3 მუხლის დებულებათა დაცვის შემთხვევაში კომიტეტი ამ ოქმის თანახმად წარდგენილ ნებისმიერ ცნობას ატყობინებს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მტკიცების თანახმად, არღვევს პრაქტის რომელიმე დებულებას.

2. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო ექვსი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებას ან განცხადებას, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც ამ სახელმწიფოს შეიძლება მიეღო.

მუხლი 5

1. კომიტეტი განიხილავს ამ ოქმის შესაბამისად მიღებულ ცნობებს ცალკეული პირების და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისთვის წარდგენილი ყველა წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით.

2. კომიტეტი არ განიხილავს პირთა არც ერთ ცნობას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ:

ა) იგივე საკითხი არ განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად;

ბ) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა მისაწვდომი შინაგანი საშუალება; ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება.

3. ამ ოქმით გათვალისწინებული ცნობის განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას.

4. კომიტეტი აცნობებს თავის მოსაზრებებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და პირს.

**სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების
საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის
გაუქმებისადმი მიმართული მეორე
ვაკუშტატური ოქმი**

*მიღებულია და გამოცხადებულია გენერალური
ასამბლეის რეზოლუციით 2200 44/128. 1989
წლის 15 დეკემბერი*

მოცემული ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,

თვლიან რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს უწყობს ადამიანის ღირსების განმტკიცებასა და ადამიანის უფლებების პროგრესულ განვითარებას,

ყვრდნობიან რა, 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მე - 3 მუხლს და 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტის მე - 6 მუხლს,

აღნიშნავენ რა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტის მე -6 მუხლი, რომელიც ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას, წარმოადგენს მტკიცე მითითებას გაუქმების სასურველობის შესახებ,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების ყველა ზომა განხილულ იქნას როგორც პროგრესი სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის საქმეში,

სურთ რა, აიღონ საერთაშორისო ვალდებულება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. მოცემული ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი არც ერთი პირი სიკვდილით არ დაისჯება.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ყველა აუცილებელ ზომას თავისი იურისდიქციის ფარგლებში სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზნით.

მუხლი 2

1. მოცემულ ოქმისადმი არ დაიშვება არანაირი დათქმა, გარდა იმ დათქმისა, რომელიც გააკეთდა რატიფიცირების ან შეერთების დროს და ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას ომის დროს ბრალდების დადგენის

შემდეგ ჩადენილ მეტად მძიმე სამხედრო ხასიათის დანაშაულში.

[...]

ზოგადი კომენტარი მე-4 მუხლზე

*მიღებულია 2001 წლის 24 ივლისს, 1950-ე
სხდომაზე*

1. პაქტის მე-4 მუხლი უდიდესი მნიშვნელობისაა პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემისათვის. ერთის მხრივ იგი ცალმხრივად საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს დროებით არ შეასრულონ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. მეორეს მხრივ, მე-4 მუხლი აღნიშნულის ნაწილობრივად შეუსრულებლობის ამ ძალისხმევას და მის შედეგებს უქვემდებარებს უსაფრთხოების სპეციფიკურ რეჟიმს. სახელმწიფოს მიერ ამ ნორმის აღდგენა, რომლის დროსაც მოხდება პაქტის სრული გათვალისწინება, შეიძლება კვლავ იქნას უზრუნველყოფილი და პრედომინანტური ამოცანა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც შეზღუდავს კონვენციის მოქმედებას. ამ ზოგად კომენტარში, რომელიც ცვლის მე-5 ზოგად კომენტარს (მიღებულია მე-13 სესიაზე 1981 წელს), კომიტეტი მოელის დახმარებას მონაწილე სახელმწიფოებისაგან, შეასრულონ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავს პაქტის დებულებების მოქმედებას უნდა იყოს გამონაკლისი და დროებითი ბუნების. მანამ, სანამ სახელმწიფო განახორციელებს მე-4 მუხლში მოცემულ ამოცანას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორი ფუნდამენტური პირობა: მდგომარეობა უნდა აღიქმოდეს, როგორც საზოგადოებისათვის საგანგებო სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ცხოველყოფადობას და სახელმწიფოს ოფიციალურად უნდა ჰქონდეს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა. შემდეგი მოთხოვნილება არსებითია ლეგალურობის და კანონიერი ნორმების პრინციპების შესანარჩუნებლად იმ დროს, როდესაც აღნიშნული ყველაზე უფრო მეტადაა საჭირო. როდესაც სახელმწიფო აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს პაქტის რომელიმე დებულების მოქმედების შეზღუდვას, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს საკუთარი კონსტიტუციური და კანონიერი საფუძვლებით, რომლებიც არეგულირებს მსგავს სიტუაციებში მოქმედების წესებს და მართავს საგანგებო სიტუაციებს. კომიტეტის ამოცანაა კანონიერების მონიტორინგის დაწესება და გადაწყვეტა იმისა,

შესაბამისია თუ არა მე-4 მუხლის გამოყენება. იმისათვის, რომ კომიტეტმა შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა, პაქტის ხელშემკვერელი მხარე სახელმწიფოები, მათ ანგარიშებში ასახავენ 40-ე მუხლით გათვალისწინებულ არსებით და ზუსტ ინფორმაციას მათი კანონების შესახებ და ასევე იმ წესების შესახებ, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობების დროს.

3. მე-4 მუხლის 1 პარაგრაფის მოთხოვნათა შესაბამისად, ყველა სიტუაცია ან კატაკლიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობას არ შეიძლება იქნეს მინეული საგანგებო სიტუაციად. შეიარაღებული კონფლიქტის დროს (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბის), საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის წესები გამოყენებადი და დახმარებას უწევს მონაწილე მხარეებს, გარდა პაქტის მე-4 მუხლის და მე-5 მუხლის 1 პარაგრაფით გათვალისწინებული დებულებებისა, რათა თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფოს მიერ საგანგებო სიტუაციის ბოროტად გამოყენება. პაქტი მოითხოვს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროსაც კი, პაქტის მოქმედების შემზღუდავი ღონისძიებები დასაშვებია იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სიტუაცია გახანგრძლივდება და საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს. თუ მონაწილე სახელმწიფოები გადაწყვიტენ მე-4 მუხლის შესაბამისად მოქცევას, შეიარაღებული კონფლიქტისაგან განსხვავებულ სიტუაციებშიც, მათ დიდი სიფრთხილით უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მათ მოუწევთ დაწვრილებითი განმარტება, თუ რატომ მიიღეს ეს ზომები და რამდენად ლეგიტიმურია ეს უკანასკნელი კონკრეტულ სიტუაციაში. შემთხვევათა გარკვეულ ნაწილში, კომიტეტმა გამოხატა თავისი შეშფოთება ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომლებმაც შეზღუდეს პაქტით დაცული უფლებების უზრუნველყოფა, ან რომელ ქვეყანათა შიდა კანონმდებლობაც იძლევა უფლებას განხორციელდეს ამგვარი შეზღუდვა ისეთ სიტუაციებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული მე-4 მუხლით.

4. პაქტის მოქმედების შემზღუდავი ღონისძიების ნებისმიერი პრინციპული მოთხოვნა, როგორც გადმოცემულია პაქტის მე-4 მუხლის 1 პარაგრაფში, მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი ღონისძიებები მკაცრად შეზღუდული და გამოიყენება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს. აღნიშნული მოთხოვნები უკავშირდება ხანგრძლიობას, სახელმწიფოს გეოგრაფიულ მდგომარეობას და მატერიალურ შესაძლებლობას საგანგებო

სიტუაციების დროს; ასევე საგანგებო სიტუაციის დროს დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვის აღდგენას. პაქტით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების მოქმედების შეზღუდვა საგანგებო სიტუაციების დროს მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს იმ შეზღუდვებისა და აკრძალვებისაგან, რომლებიც დასაშვებია ნორმალური მდგომარეობის დროს, კონვენციის რამდენიმე დებულების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი შეზღუდვის ლიმიტირების დანიშნულება, რომელიც მეტად საჭიროა უკიდურესი აუცილებლობის დროს, აისახება პროპორციულობის პრინციპით, რომელიც ხშირია უფლებამოსილების შეზღუდვის ან ლიმიტირებისას. გარდა ამისა, ზოგიერთი კოკრეტული დებულების დასაშვები შეზღუდვისა არსებული ფაქტი, თავის მხრივ შესაძლოა განიმარტოს სიტუაციის უკიდურესობიდან გამომდინარე და ამ დროს არ შეიძლება იმ მოთხოვნებისაგან თავის არიდება, რომლებიც ადგენს სპეციფიკურ პირობებს ასეთი შეზღუდვის არსებობის ვითარებშიც კი. პრაქტიკულად, აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პაქტის არც ერთი დებულება, რამდენად კანონიერადაც არ უნდა იყოს შეზღუდული, სრულად გამოყენებადი იქნება მონაწილე სახელმწიფოს ქცევის დროს. კომიტეტის მიმართ წარდგენილი მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვის დროს, კომიტეტმა გამოხატა თავისი შეშფოთება იმ არასაკმარისი ყურადღების გამო, რომელიც ეთმობა პროპორციულობის პრინციპს.

5. საკითხები, იმის შესახებ თუ როდის არის შესაძლებელი უფლებების შეზღუდვა და რა მოცულობით, არ შეიძლება გაიმიჯნოს პაქტის მე-4 მუხლის 1 პარაგრაფში მოცემული დებულებისაგან, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ხელშემკვერელი სახელმწიფოს მიერ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესაზღუდავად, ლიმიტირებული უნდა იქნეს იმ ხარისხით, რაც მკაცრად გამომდინარეობს სიტუაციის უკიდურესობიდან. აღნიშნული სიტუაცია მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან მოითხოვს მკაფიო განმარტებას არა მხოლოდ მათი გადაწყვეტილების შესახებ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, არამედ ასევე ნებისმიერი სპეციფიკური ღონისძიების შესახებ, რომელსაც ეფუძნება აღნიშნული მდგომარეობის გამოცხადება. თუ ქვეყანა გადაწყვეტს გამოიყენოს მისი უფლება პაქტის შეზღუდვასთან დაკავშირებით, მაგალითად იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს ბუნებრივ კატაკლიზმებს, მასობრივ დემონსტრაციებს ძალადობის ელემენტებით ან ფართომასშტაბიან საწარმოო კატასტროფებს, მას უნდა შეეძლოს განმარტოს არა მარტო ის

რომ აღნიშნული მდგომარეობები საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს, არამედ ისიც, რომ ყველა მათი ძალისხმევა პაქტის მოქმედების შეზღუდვასთან დაკავშირებით მკაცრად იყო აუცილებელი მდგომარეობის უკიდურესობიდან გამომდინარე. კომიტეტის აზრით, პაქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა მაგალითად, გადაადგილების თავისუფლების (მუხლი 12) ან შეკრების თავისუფლების (მუხლი 21), ზოგადად საკმარისია ამ სიტუაციების დროს და არც ერთი დებულების შეზღუდვა არ უნდა განიმარტებოდეს სიტუაციის უკიდურესობიდან გამომდინარე.

6. ის ფაქტი, რომ პაქტის მე-4 მუხლის (მე-2 პარაგრაფი) ზოგიერთი დებულება არ წარმოადგენს შეზღუდვის ობიექტს, არ გულისხმობს იმას, რომ პაქტის სხვა მუხლები შეიძლება შეზღუდულ იქნეს სურვილისამებრ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს საფრთხე მოქალაქეთა სიცოცხლისათვის. სიტუაციის უკიდურესობიდან გამომდინარე, ყველა შეზღუდვის ფარგლების შევიწროების ლეგალური ვალდებულება დგინდება როგორც მონაწილე სახელმწიფოს, ასევე კომიტეტის მირ, რომელთა ამოცანა ამ დროს არის მოახდინონ პაქტის თითოეული პუნქტის ფრთხილი ანალიზი, გამომდინარე ობიექტური შეფასებისა და არსებული სიტუაციიდან.

7. პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია შემდეგი მუხლების შეზღუდვა: მუხლი 6 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 7 (წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა ან სამედიცინო/სამეცნიერო ექსპერიმენტირება თანხმობის გარეშე), მუხლი 8 (პარაგრაფი 1 და 2) (მონობის, მონებით ვაჭრობის და სერვიტუტის (დაბეჩავებული მდგომარეობა) აკრძალვა), მუხლი 11 (მხოლოდ სახელმწიფოებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა), მუხლი 15 (სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლეგალურობის პრინციპი, ანუ არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ისეთი მოქმედების თუ შეცდომის შედეგია, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად. ასევე დაუშვებელია დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში.), მუხლი 16 (თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს, უფლება აქვს მისი

სამართალსუბიექტად აღიარებისა) და მუხლი 18 (აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლება). ამ დებულებებით განმტკიცებული უფლებები, რომელთაგანაც გადავევა დაუშვებელია იმ გარემოების გამო, რომ ჩამოთვლილია მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფით. იგივე პრინციპი გამოიყენება იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებიც არიან პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე დამატებითი ოქმის, სიკვილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით, მონაწილეები, რაც გადმოცემულია ოქმის მე-6 მუხლში. კონცეპტუურად, პაქტის დებულებათა როგორც არა-შეზღუდვადობის კვალიფიკაცია, არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა განიმარტოს შეზღუდვა ან ლიმიტირება. მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფის კავშირი მე-18 მუხლთან, რაც გამოიხატება დებულებაში, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ ჩანაწერს მისი მე-3 პარაგრაფის შეზღუდვადობასთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ შეზღუდვათა დასაშვებლობა დამოუკიდებელია მუხლის მოქმედების შეჩერების საკითხისაგან. ყველაზე სერიოზული საგანგებო სიტუაციების დროსაც კი, სახელმწიფოები, რომლებიც ერევიან მანიფესტაციის თავისუფლებაში, მოქალაქეთა რელიგიური და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით უნდა განმარტავდნენ მათ ქმედებებს იმის გათვალისწინებით, რა სპეციფიკურ მოთხოვნებსაც ითვალისწინებს მე-18 მუხლის მე-3 პარაგრაფი. ზოგიერთ შემთხვევაში, კომიტეტმა გამოხატა თავისი შეშფოთებას მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში გათვალისწინებული უფლებების, რომელთაგანაც გადავევა დაუშვებელია შეზღუდვის გამო, რომლებიც შეჩერებულ იქნა ან არსებობდა მათი შეზღუდვის რისკი, ხელმოწერი სახელმწიფოს არაადეკვატური სამართლებრივი რეჟიმის გამო.

8. მე-4 მუხლის 1 პარაგრაფის შესაბამისად, ერთ-ერთი გამამართლებელი გარემოება პაქტის ნებისმიერი შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნას დაშვებული რასობრივი, სქესობრივი, ენობრივი, რელიგიური ან სოციალური დისკრიმინაციის ფორმები იმ ღონისძიებების შედეგად, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს პაქტის მოქმედების შეზღუდვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ პაქტის სხვა 26-ე მუხლის დებულებები, რომელიც დაკავშირებულია არა-დისკრიმინაციასთან (მუხლი 2, 3, 14, პარაგრაფი 4, 24, პარაგრაფი 1 და 25) არ არის ჩამოთვლილი მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფის შეუზღუდავ დებულებებში, არსებობს გარკვეული ელემენტები და არა-დისკრიმინაციის უფლების განზომილებანი, რომლებიც არ

შეიძლება შეიზღუდოს ნებისმიერ ვითარებაში. კერძოდ, მე-4 მუხლის 1 პარაგრაფის დებულებანი შესრულებულ უნდა იქნას განურჩევლად ნებისმიერი პირის მიმართ, როდესაც გარდაუვალია პაქტის შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენება.

9. გარდა ამისა, მე-4 მუხლის 1 პარაგრაფი მოითხოვს, რომ პაქტის შეზღუდვის არანაირი ღონისძიება არ შეიძლება იყოს შეთავსებული პაქტის მონაწილე სახელმწიფოს სხვა ვალდებულებებთან საერთაშორისო სამართლის მიხედვით, განსაკუთრებით კი აღნიშნული შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. პაქტის მე-4 მუხლი არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც პაქტის მოქმედების შეზღუდვის გამართლება, როდესაც ამგვარი შეზღუდვა გამოიწვევს სახელმწიფოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას, რომელიც ამ უკანასკნელს აღებული აქვს ხელშეკრულებით ან ზოგადად საერთაშორისო კანონმდებლობით. აღნიშნული ასახულია ასევე პაქტის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება შეჩერდეს ან შეიზღუდოს რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია სხვა დოკუმენტებში იმ საბაბით, რომ აღნიშნულს არ ითვალისწინებს პაქტი ან პაქტში შედარებით ნაკლებადია ასახული.

10. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ფუნქცია არ არის აწარმოოს მონაწილე სახელმწიფოს სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გადახედვა, იგი განიხილავს მის ფუნქციებს პაქტის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც კომიტეტს გააჩნია კომპეტენცია გაითვალისწინოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც შესაძლებელია რამენაირად კავშირში იყოს პაქტის სპეციფიკური დებულებების მოქმედებათა შეზღუდვასთან. ამის გამო, როდესაც გამოიყენება მე-4 მუხლის 1 პარაგრაფი, ან როდესაც ხდება ანგარიშის წარდგენა მე-40 მუხლის შესაბამისად საგანგებო სიტუაციების გამოცხადების საკანონმდებლო ჩარჩოების შესახებ, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ინფორმაცია მათი სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ, რომელიც შეეხება უფლებათა დაცვის საკითხებს, კერძოდ კი იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამოიყენება საგანგებო სიტუაციების დროს. აღნიშნული მიმართულებით, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის ის მოთხოვნები, რომელიც შეეხება საგანგებო

სიტუაციების დროს გამოყენებად ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

11. მე-4 მუხლში გათვალისწინებული არა-შეზღუდვადი დებულებების ჩამოთვლა დაკავშირებულია, მაგრამ იდენტური არ არის საკითხთან, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებები ატარებენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ კატეგორიულ (იმპერატიულ) ბუნებას. პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული არა-შეზღუდვადი ძირითადი უფლებების შესახებ დებულებების გამოცხადება ნაწილობრივ უნდა იქნეს დანახული, როგორც პაქტით გათვალისწინებული ზოგიერთი ძირითადი უფლების იმპერატიული ბუნების აღიარება (მაგალითად: მუხლი 6 და 7). მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ პაქტის სხვა ზოგიერთი დებულებები შესულია ისეთ უფლებათა ჩამონათვალში, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია, ვინაიდან ისინი არასოდეს არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს (მაგალითად: მუხლი 11 და 18). გარდა ამისა, იმპერატიული ნორმების კატეგორია ვრცელდება არა-შეზღუდვად უფლებათა ჩამონათვალზეც, რომლებიც გათვალისწინებულია მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში. მონაწილე სახელმწიფოებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ პაქტის მე-4 მუხლის გამოყენება იმის გასამართლებლად, რომ დაარღვიეს ჰუმანიტარული სამართალი ან საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები, მაგალითად მძევალთა აყვანით, კოლექტიური დასჯის გამოყენებით, თავისუფლების უსაფუძვლო აღკვეთით ან სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების გადახვევით, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით.

12. პაქტის მოქმედების შეზღუდვის ლეგიტიმურობის საკითხის განხილვისას, მიღებულ უნდა იყოს ერთი კრიტერიუმი, კერძოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის დეფინიცია უნდა განიმარტოს როგორც დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურები აცხადებენ, რომ მათ მიერ გატარებული საქმიანობა ეფუძნება ინდივიდური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს - დანაშაულისათვის ადამიანურობის წინააღმდეგ, იმ პირთა მიერ რომლებიც მონაწილეობენ ასეთ საქმიანობაში, პაქტის მე-4 მუხლი არ შეიძლება იქნას გამოყენებული გამამართლებელ გარემოებად იმისათვის, რომ საგანგებო მდგომარეობა ათავისუფლებს სახელმწიფოს მისი მოვალეობებისაგან, რომელიც

დაკავშირებულია მსგავს ქცევებთან. ესე იგი, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის თანამედროვე კოდიფიკაცია, იურისდიქციის თვალსაზრისით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდებაში, შეესაბამება პაქტის მე-4 მუხლის ინტერპრეტაციას.

13. პაქტის იმ დებულებებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში, არის ელემენტები, რომლებიც კომიტეტის აზრით არ შეიძლება გახდეს მე-4 მუხლის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი.

(ა) თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირს უნდა მოეპყრონ ჰუმანურად და მითი პიროვნული განუყოფელი ღირსების პატივისცემით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლება, რომელსაც შეიცავს პაქტის მე-10 მუხლი, არ არის განცალკევებით მოსხენიებული არა-შეზღუდვად უფლებათა ჩამონათვალში, რომელიც მოცემულია მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში პაქტი გამოხატავს ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას. აღნიშნული დებულება განმტკიცებულია ადამიანის ხელშეუვალი ღირსებით, რაც მოცემულია პაქტის პრეამბულაში და მე-7 და მე-10 მუხლებთან ახლო კავშირშია.

(ბ) მიუხედავად აყვანის, მოტაცების ან უკანონო დაკავების აკრძალვა, არ წარმოადგენს შეზღუდვის ობიექტს. ამ აკრძალვების აბსოლუტური ბუნება, საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, განიმარტება როგორც ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმა.

(გ) კომიტეტის აზრით იმ პიროვნებათა უფლებების საერთაშორისო დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, მოიცავს ელემენტებს, რომლებსაც პატივი უნდა მიეცოს ნებისმიერ სიტუაციაში. აღნიშნული ასახულია საერთაშორისო სამართალში გენოციდის აკრძალვის შესახებ, არადისკრიმინაციული დებულების ჩართვით თვითონ მე-4 მუხლში (პარაგრაფი 1), ასევე მე-18 მუხლის არა-შეზღუდვადობის ბუნებაში.

(დ) როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესახებ რომის წესდებითაა განტკიცებული, დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გამოძევება საფუძვლის გარეშე, რაც ნებადართულია საერთაშორისო სამართლით, იძულებითი გადაადგილების ფორმით, გაძევებით ან

იძულებითი/ძალისმიერი საშუალებებით იმ ტერიტორიიდან, რომლიდანაც ასეთი პირები იყვნენ დაკავშირებულნი და კანონიერი საფუძველით არსებობენ, ცხადდება დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ. საგანგებო სიტუაციების დროს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-12 მუხლის მოქმედების შეზღუდვა ვერასოდეს ვერ იქნება მიღებული ასეთი ქმედებების გასამართლებლად ან ასახსნელად.

(ე) საგანგებო სიტუაციის გამოცხადების არანაირი დეკლარაცია არ შეესაბამება მე-4 მუხლის 1 პარაგრაფს, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ქმედების გასამართლებლად მე-20 მუხლის საპირისპიროდ, რომელიც ითვალისწინებს ომის პროპაგანდას, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებას რაც გამოცხადებულია როგორც დისკრიმინაციის, საომარი მოქმედებების ან ძალადობაზე წაქეზებად.

14. პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფი პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს გამოიყენონ საშუალებები ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგ, რაც პაქტის დებულებებშია ასახული. აღნიშნული დებულება არ არის მოსხენიებული მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში განსაზღვრულ არა-შეზღუდვად უფლებათა ჩამონათვალში, თუმცა ისინი განმტკიცებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებით, რომელიც სრულიად განუყოფელია პაქტისაგან. სახელმწიფოსაგან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროსაც კი მკაცრად მოითხოვება ისეთი ღონისძიებების განხორციელება რომლებიც სიტუაციის უკიდურესობიდან გამომდინარეობს და საჭიროებს რეგულირებების შემოღებას იმ პროცედურათა პრაქტიკული წარმართვისათვის, რომლებიც არეგულირებენ იურიდიულ ან სხვა სახის საშუალებებს. ამ დროს პაქტის მონაწილე სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ძირითადი ვალდებულება, რაც განსაზღვრულია პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფით და ითვალისწინებს ეფექტური გამომასწორებელი ღონისძიებების გატარებას.

15. მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფში მკაფიოდ აღიარებული არა-შეზღუდვადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის დამახასიათებელია ის, რომ ეს უკანასკნელი დაცულნი უნდა იყოს პროცედურული გარანტიებით, მათ შორის ხშირად იურიდიული გარანტიებით. კონვენციის განხორციელება პროცედურული გარანტიების შესახებ, შესაძლოა არასოდეს არ გახდეს შეფასების საგანი რომელიც ცირკუმვენტულს გახდის არა-

შეზღუდვადი უფლებების დაცვას. მე-4 მუხლი შესაძლებელია არ იქნას აღდგენილი იმგვარად, რომ გამოიწვიოს არა-შეზღუდვადი უფლებების მოქმედების შეჩერება. ამგვარად, მაგალითისათვის, ვინაიდან პაქტის მე-6 მუხლი მოთიანად არა-შეზღუდვადია, ნებისმიერი სასამართლო, რომელიც გამოიტანს სასიკვდილო განაჩენს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მათ შორის მე-14 და მე-15 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

16. შეზღუდვებთან დაკავშირებული გარანტიები, როგორც პაქტის მე-4 მუხლშია ფორმირებული, ეფუძნება კანონიერების და იმ წესების პრინციპს, რომელიც ნიშანდობლივია მთელი პაქტისათვის. რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითადი ელემენტები პირდაპირაა გარანტირებული საერთაშორისო კუმანტარულ სამართალში შეიარაღებული კონფლიქტების დროს, კომიტეტი ვერ ხედავს ამ გარანტიების შეზღუდვის უზრუნველყოფის აუცილებლობას სხვა საგანგებო მდგომარეობების დროს. კომიტეტის აზრით, ლეგალობისა და კანონიერი ნორმის პრინციპები საჭიროებს სამართლიანი სასამართლოს იმ ძირითად მოთხოვნებებს, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს პატივი უნდა მიეგოს საგანგებო მდგომარეობების დროს. მხოლოდ საერთო სასამართლოებს შეუძლიათ მსჯავრის დადება პირისათვის სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის. უდანაშაულობის პრეზუმფციას პატივი უნდა მიეგოს. იმისათვის რომ დაცული იყოს უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა დაუშვებელია, უნდა არსებობდეს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება რათა საშუალება მიეცეს სასამართლოს მიიღოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ, დაკავების კანონიერების შესახებ. პაქტის მიხედვით აღნიშნული უფლების შეზღუდვა წევრი სახელმწიფოს მიერ არ შეიძლება იყოს გამოყენებული.

17. მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, როდესაც მონაწილე სახელმწიფო მიმართავს მის უფლებას, შეზღუდოს მე-4 მუხლის მიხედვით პაქტის მოქმედება, იგი ვალდებულია იღებს განახორციელოს საერთაშორისო შეტყობინება. მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც აპირებს გამოიყენოს პაქტის მოქმედების შეზღუდვის უფლება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სხვა მონაწილე სახელმწიფოებსაც გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის საშუალებით, იმ დებულებების შესახებ რომლის შეზღუდვაც მოსალოდნელია და ის მიზეზები თუ რატომ

უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული ღონისძიებები. ასეთი შეტყობინება აუცილებელია არა მხოლოდ კომიტეტის მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელებისათვის, კერძოდ რათა შეაფასოს თუ სახელმწიფოს მიერ ამგვარი ღონისძიების გამოყენება რამდენად არის აუცილებელი, არამედ ასევე საშუალება მისცეს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს განახორციელონ პაქტის დებულებების შესაბამისი მონიტორინგი. წარსულში, ამგვარი ხასიათის შეტყობინებების მიღების შეჯამების მიხედვით, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მონაწილე მხარეთა მიერ გამოგზავნილი შეტყობინებები უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებების შესახებ და მათი მიზეზების მკაფიო ახსნას. აღნიშნულს თან უნდა ერთვოდეს მათი შიდა კანონმდებლობის შესახებ სრული დოკუმენტაცია. თუ სახელმწიფო მომდევნო ეტაპად განახორციელებს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, საჭირო ხდება დამატებითი შეტყობინების გაგზავნა; მაგალითად ინფორმაცია საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლიობის გაგრძელების შესახებ. დაუყოვნებელი შეტყობინების მოთხოვნა თანაბრადაა აუცილებელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეტყობინება შეეხება ასეთი შეზღუდვების დასრულების პერიოდს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ვალდებულებები ყოველთვის არ სრულდება: მონაწილე სახელმწიფოებმა არ შეატყობინეს გენერალური მდივნის საშუალებით სხვა მონაწილე სახელმწიფოებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნულის გამო პაქტის ერთი ან რამდენიმე დებულების მოქმედების შეზღუდვის შესახებ; ზოგიერთ შემთხვევაში მონაწილე სახელმწიფოებმა მოახდინეს შეტყობინების გაგზავნის უგულებელყოფა ტერიტორიული ან სხვა სახის ცვლილებების შესახებ, ახორციელებდნენ რა მათ უფლებამოსილებას საგანგებო მდგომარეობის პირობებში. ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და სახელმწიფოს მიერ პაქტის მოქმედების შემზღუდავი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას კომიტეტის მხრიდან ყურადღება მიექცა სრულიად შემთხვევით, მაშინ როდესაც განიხილებოდა მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიში. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს მოახდინონ დაუყოვნებელი შეტყობინების გაგზავნის მოვალეობის შესრულება, როდესაც ერთ-ერთი სახელმწიფო მიიღებს რაიმე ზომებს შეზღუდოს საკუთარი მოვალეობა რაც გათვალისწინებულია პაქტით. კომიტეტის მოვალეობაა მოახდინოს კანონის და სახელმწიფოს მე-4 მუხლთან ქმედების შესაბამისობის მონიტორინგი, მიუხედავად იმისა

სახელმწიფოს მხრიდან შეტყობინება გაიგზავნება თუ არა.

ცალკეულ სახეებს შორის; სხვაობა დამოკიდებულია გამოყენებული ქცევის ბუნებაზე, მიზანზე და სიმძიმეზე.

ზოგადი კომენტარი 20

ცვლის მე-7 ზოგად კომენტარს წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ (მუხლი 7). (ორმოცდამეოთხე სესია, 1992)

1. აღნიშნული ზოგადი კომენტარი ცვლის მე-7 ზოგად კომენტარს (მეთექვსმეტე სესია, 1982), ასახავს და ავითარებს მას.

2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დებულებათა მიზანია ინდივიდთა - როგორც ღირსების, ასევე მათი ფიზიკური და ფსიქიკური ერთიანობის დაცვა. ხელშემკვერელი სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ყველას დაცვა საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებებით, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს იმ აქტების წინააღმდეგ, რომლებიც აკრძალულია მე-7 მუხლით, მაშინ თუ ეს ხორციელდება მათ მიერ, ვინც მოქმედებს, როგორც ოფიციალური თანამდებობის პირი, არა ოფიციალური მხარე ან კერძო პირი. პაქტის მე-10 მუხლის 1 პარაგრაფში მოცემული პოზიტიური მოთხოვნები წარმოადგენს მე-7 მუხლში ჩამოყალიბებული აკრძალვის დამატებას, რომელიც განმარტავს, რომ “ყველა თავისუფლება აღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას”.

3. მე-7 მუხლის შინაარსი არ ითვალისწინებს შეზღუდვას! კომიტეტი ასევე განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი, ის რაც შეეხება პაქტის მე-4 მუხლს, დაუშვებელია მე-7 მუხლით გათვალისწინებული დებულებების შეზღუდვა, და ეს დებულებები ყოველთვის უნდა დარჩეს ძალაში. ამის მსგავსად, კომიტეტი განმარტავს, რომ არანაირი გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება არ შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი მიზნით მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის თუ ეს უკანასკნელი სრულდება თუნდაც ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს ბრძანების საფუძველზე.

4. პაქტი არ შეიცავს მე-7 მუხლში ასახული კონცეფციების განმარტებას და არც კომიტეტი თვლის ამას აუცილებლად, რათა ჩამოაყალიბოს აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალი ან დააწესოს რაიმე მკვეთრი განსხვავებები დასჯისა და არაადამიანური მოპყრობის

5. მე-7 მუხლში მოცემული აკრძალვები შეეხება არა მარტო ისეთ ქმედებებს, რომლებიც იწვევს ტკივილს, არამედ ისეთ აქტებს, რომელსაც შედეგად მოსდევს მსხვერპლის გონებრივი ტანჯვა. კომიტეტის შეხედულების მიხედვით, უფრო მეტიც, აკრძალვა უნდა გაერცოდეს ფიზიკურ დასჯაზე, მათ შორის გადაჭარბებულ სასჯელზე, რომელიც ინიშნება ჩადენილი დანაშაულისათვის ან როგორც საგანმანათლებლო ან დისციპლინური ზომა. ამ მიმართებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მე-7 მუხლი იცავს განსაკუთრებით ბავშვებსა და მოსწავლეებს, ასევე პაციენტებს, რომლებიც გამოიყენებიან სასწავლო ობიექტებად სამედიცინო განათლების დროს.

6. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაკავებულთა ან მსჯავრდებულთა გახანგრძლივებული განმარტებითი პატიმრობა შეიძლება გაუთანაბრდეს იმ ქმედებებს, რომლებიც იკრძალება მე-7 მუხლის შესაბამისად. როგორც კომიტეტი თავის ნომერ 6 (18) ზოგად კომენტარში განმარტავს, პაქტი ზოგადად შეეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას და შესაბამისად მკაცრ რეკომენდაციას იძლევა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება სასურველია. უფრო მეტიც, როდესაც მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს სიკვდილით დასჯას, ძალიან მნიშვნელოვან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო, იგი არა მხოლოდ მკაცრად უნდა შეიზღუდოს მე-6 მუხლის შესაბამისად, არამედ ეს უკანასკნელი უნდა აღსრულდეს იმგვარად, რომ გამოიწვიოს შეძლებისდაგვარად მინიმალური ფიზიკური და გონებრივი ტანჯვა.

7. მე-7 მუხლი გარკვევით კრძალავს სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტირებას ობიექტის თავისუფალი თანხმობის გარეშე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მონაწილე ქვეყნების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ზოგადად შეიცავს ძალზედ მწირ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმიანობათა საჭიროებას, საშუალებებსა და ზედამხედველობას. კომიტეტი ასევე შენიშნავს, რომ ასეთი ექსპერიმენტებისათვის სპეციალური დაცვა აუცილებელია იმ პირთათვის, რომლებიც არაქმედუნარონი არიან და მათგან მოითხოვენ მისცენ ვალიდური თანხმობა; განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც იმყოფებიან ნებისმიერი ფორმის დაკავების ან პატიმრობის პირობებში. ასეთი პირები არ უნდა გახდნენ არანაირი სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების

ობიექტები, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიიყენონ მათ ჯანმრთელობას.

8. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-7 მუხლის იმპლემენტაციისათვის არასაკმარისად ჩაითვლება მსგავსი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ან ამ უკანასკნელის დანაშაულად მიკუთვნება. მონაწილე სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, მართლმსაჯულებითი და სხვა სახის ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ისინი მიმართავენ, რათა მოახდინონ პრევენცია და დასაჯონ წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტები იმ ნებისმიერი ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ვრცელდება მათი იურისდიქცია.

9. კომიტეტი მიიხედავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა ჩააგდონ საფრთხეში პირები, რომლებსაც შესაძლოა დაემუქროს წამება ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა სხვა სახელმწიფოში დაბრუნების გზით, მათი ექსტრადიციისას, გაძევებისას ან იძულებითი გადასახლებისას. მონაწილე მხარეებმა მათ ანგარიშებში უნდა მიუთითონ ამ მხრივ თუ რა გასატარებელი ღონისძიებები შეიმუშავეს.

10. კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ თუ მონაწილე სახელმწიფოები ფართოდ როგორ აერცვლებენ ინფორმაციას მოსახლეობაში წამებასთან და მე-7 მუხლში გადმოცემულ სხვა აკრძალვების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. სამართალდამცავი პირები, სამედიცინო პერსონალი, პოლიციის თანამშრომლები და ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც ახორციელებენ დაცვას ან მეურვეობას იმ პირთათვის, რომლებიც იმყოფებიან ნებისმიერი ფორმის პატიმრობაში, დაკავებულნი არიან ან ტუსაღობაში იმყოფებიან, უნდა აუცილებლად იღებდნენ შესაბამის ინსტრუქციებსა და გადიოდნენ ტრეინინგებს. კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებისაგან უნდა იღებდეს ინფორმაციას იმის შესახებ ეს უკანასკნელნი თუ როგორ ახორციელებენ ინსტრუქტაჟსა და ტრეინინგებს და როგორ სახავენ გზებს რათა მე-7 მუხლში ჩამოყალიბებული აკრძალვების იქცეს სამოქმედო წესებად და ეთიკურ სტანდარტებად, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდნენ ეს პირები.

11. გარდა აღწერილი ნაბიჯებისა მე-7 მუხლში აკრძალული ქმედებების გასატარებლად და ზოგადი დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც საყოველთაო ვალდებულებაა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ დეტალური

ინფორმაცია სპეციალური დაცვის გარანტიების შესახებ, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკის სისტემატური გადახედვა, ასევე იმ დაპატიმრებულ პირთა დაცვის (ბადრაგის) და ნებისმიერი ფორმით დაკავებულ, დაპატიმრებულ ან დატუსაღებულ პირთა მიმართ მოპყრობის ფორმების განხილვა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევათა პრევენციისათვის. დაკავებულ პირთა ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად, დაკავებულ პირთათვის უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რაც უნდა მოხდეს დაკავებისათვის განკუთვნილ ოფიციალურ ადგილებში, დაფიქსირდეს დაკავებულთა სახელები, დაკავების ადგილი; ასევე მათ დაკავებაზე პასუხისმგებელ პირთა სახელი. ეს მონაცემები უნდა იყოს რეგისტრირებული იმგვარად, რომ ინფორმაცია ადვილად იყოს ხელმისაწვდომი მათთვის, რომელ პირებსაც ის აინტერესებს, ასევე ნათესავებისა და მეგობრებისათვის. მსგავსი მიზნებისათვის, დაკითხვის დრო და ადგილი უნდა იქნას ჩაწერილი, ყველა იმ პირთა სახელებით, რომლებიც ამ მოქმედებას ესწრებიან და ეს ინფორმაცია ასევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული წარმოებისათვის. ასევე უნდა გატარდეს ზომები განცალკევებული (იზოლირებული გარემოსაგან) დაკავების საწინააღმდეგოდ. ამ მიმართებით, მონაწილე სახელმწიფოებმა გარანტირებულად უნდა უზრუნველყონ რომ დაკავების ნებისმიერი ადგილი თავისუფალი იქნება ნებისმიერი აღჭურვილობა-მოწყობილობისაგან, რომლითაც შესაძლებელია ჩატარდეს წამება ან არაადამიანური მოპყრობა. დაკავებულთა დაცვა ასევე მოითხოვს ექიმისა და ადვოკატისადმი დაუყოვნებელ და რეგულარულ ხელმისაწვდომობას და შესაბამის ზედამხედველობას (როცა გამოიძიება ამსა მოითხოვს) ოჯახის წევრთა მხრიდან.

12. მე-7 მუხლში აღწერილი ძალადობრივი აქტების აღსაკვეთათ მნიშვნელოვანია, რომ კანონმა აკრძალოს მართლმსაჯულების წარმოების პროცესში იმ განცხადებებისა და ჩვენებების დასაშვებობა, რომელიც მოპოვებულია წამების ან სხვა აკრძალული მოპყრობის გზით.

13. მონაწილე სახელმწიფოებმა მათი ანგარიშების წარდგენის დროს უნდა აღინიშნონ ის ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია მათი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, და რომლებიც სჯის წამება და სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავ

მოპყრობასა და დასჯას; სპეციფიკურ სასჯელის ზომებს, რომლებიც გამოიყენება ამ მიზნით ჩადენილი სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო პირთა სახელით. მათ ვინც დაარღვევს მე-7 მუხლს, იქნება ეს ამ აკრძალული აქტების წაქეზება, ბრძანება, ტოლერანტულობა თუ ჩადენა, უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მათ ვინც უარს განაცხადებს დაემორჩილოს ბრძანებას, არ უნდა დაისაჯოს ან მათ მიმართ არ უნდა განხორციელდეს რაიმე საწინააღმდეგოქმედება.

14. მე-7 მუხლი გაგებულ უნდა იქნას პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფთან ერთობლიობაში. მონაწილე სახელმწიფოებმა თავის ანგარიშებში უნდა მიუთითონ თუ რამდენად ეფექტურად ახდენს მათი შესაბამისი საკანონმდებლო სისტემები იმის გარანტირებას, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს მე-7 მუხლში გადმოცემული აკრძალვები და ასევე განხორციელდეს შესაბამისი ზარალის კომპენსაცია. შიდა კანონმდებლობა უნდა აღიარებდეს საჩივრის წარდგენის უფლებას მე-7 მუხლით აკრძალული არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ. საჩივრები გამოძიებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად, შესაბამისი უწყებების მიერ, ისე რომ უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური კანონიერი დაცვის საშუალება. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წაედგენილი ანგარიშები უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ ინფორმაციებს იმ სამართლებრივი დაცვის ფორმების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთათვის და იმ პორცელურების შესახებ, რომელიც მოჰყვება საჩივარს; ასევე სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრების რაოდენობის შესახებ და თუ როგორ იქნა გადაწყვეტილი ეს საქმეები.

15. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ გამოაცხადა ამნისტია წამების ფაქტებთან დაკავშირებით. ამნისტია ზოგადად შეუთავსებელია სახელმწიფოთა იმ მოვალეობებთან, რომლებიც ითვალისწინებს ამგვარი აქტების გამოძიებას და მისი იურისდიქციის ფარგლებში ამგვარი აქტებისაგან თავისუფლების გარანტიების უზრუნველყოფას; და იმის გარანტირებას, რომ აღნიშნული ქმედებები სამომავლოდ აღარ განმეორდება. ქვეყნებმა არ შეიძლება ჩამოართვან ინდივიდებს ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის უფლება, მათ შორის კომპენსაცია და შეძლებისდაგვარად სრული რეაბილიტაციის უფლება.

ზოგადი კომენტარი 21

ცვლის მე-9 ზოგად კომენტარს თავისუფლება აღკვეთილი პირებისადმი მოპყრობის შესახებ (მუხლი 10). (ორმოცდამეოთხე სესია, 1992)

1. აღნიშნული ზოგადი კომენტარი ცვლის მე-9 ზოგად კომენტარს (მეთექვსმეტე სესია, 1982), ასახავს და ავითარებს მას.

2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის 1 პარაგრაფი ვრცელდება მათზე ვისაც მონაწილე სახელმწიფოს მიერ კანონიერად აქვს აღკვეთილი თავისუფლება და მოთავსებულია საპყრობილეში, საავადმყოფოში – განსაკუთრებით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, კოლონიაში, გამასწორებელ დაწესებულებაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას. მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქ მოცემული პრინციპები დაცული იქნება მათ იურისდიქციაში მყოფ ყველა დაწესებულებაში და უწყებაში სადაც არ უნდა იყვნენ მოთავსებული ასეთი პირები.

3. მე-10 მუხლის 1 პარაგრაფი ავალდებულებს ხელშეკრულ მხარეებს პოზოტიური ვალდებულებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან მათი სტატუსის გამო, როგორც თავისუფლება აღკვეთილი პირები და დამატებით ამისა, კრძალავს წამებას და სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯას, რაც მოცემულია პაქტის მე-7 მუხლში. ამგვარად, არა მარტო იმ პირთა მიმართ იკრძალება მე-7 მუხლით გათვალისწინებული წამება ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა და დასჯა, და სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტირება, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი, არამედ ეს ქმედებები არ შეიძლება იქნას გამოყენებული ნებისმიერი გასაჭირში მყოფი ადამიანის ან სხვა ფორმით თავისუფლება აღკვეთილი ნებისმიერი პირის მიმართ; ამ პირთა ღირსების პატივისცემა გარანტირებული უნდა იყოს იგივე პირობებით, როგორც ეს უზრუნველყოფილია თავისუფლებაში მყოფ პირთა მიმართ. თავისუფლება აღკვეთილი პირები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რაც დაწესებულია პაქტის მიერ და რომლებიც შეიძლება გახდეს აურიდებელი შეზღუდვის საგანი დახურულ სივრცეში.

4. ყველა იმ პირის მიმართ ჰუმანური და მათი ღირსებისადმი პატივისცემით მოპყრობა, რომლებსაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, წარმოადგენ ძირითად და საყოველთაოდ აღიარებულ წესს. შესაბამისად, ამ წესის გამოყენება, როგორც მინიმუმ, არ შეიძლება

იყოს დამოკიდებული ხელშემკვრელი სახელმწიფოში არსებულ მატერიალურ რესურსებზე. ეს წესი უნდა გამოიყენებოდეს ნებისმიერი შეზღუდვის გარეშე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრისა, ეროვნებისა, სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი მსგომარეობისა დაბადებისა ან სხვა მდგომარეობისა.

5. მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში მიუთითონ თუ რა მოცულობით იყენებენ ისინი გაერთიანებული ერების შესაბამის სტანდარტებს პატიმართა მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით: პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები (1957), ნებისმიერი ფორმის დაკავების ან დაპატიმრების პირობებში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა კრებული (1988), სამართალდამცავ (ძალოვან უწყებათა თანამშრომელთა) პირთა ქცევის კოდექსი (1978) და სამედიცინო ეთიკის პრინციპები რომელიც შეესაბამება ჯანდაცვის პროფესიონალთა როლს, განსაკუთრებით ექიმთა, დაკავებულთა და პატიმართა დასაცავად წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯისაგან (1982).

6. კომიტეტი შეახსენებს, რომ ანგარიშები უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას ეროვნული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ უფლებებზე, რომელიც განმარტებულია მე-10 მუხლის 1 პარაგრაფში. კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ ანგარიშებისათვის ასევე მნიშვნელოვანია იმის დაკონკრეტება თუ რა კონკრეტული ღონისძიებები იქნა გატარებული უფლებამოსილი სტრუქტურების მიერ იმ წესების განხორციელების მონიტორინგისათვის, რომლებიც დაწესებულია თავისუფლება აღკვეთილი პირების მოპყრობის მიმართ. მონაწილე სახელმწიფოებმა ანგარიშებში უნდა ჩართონ ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის სისტემის შესახებ, წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის სპეციფიკური ღონისძიებების შესახებ და თუ რამდენად მიუკერძოებლად არის უზრუნველყოფილი ზედამხედველობის პროცესი.

7. გარდა ამისა, კომიტეტი ასევე მოითხოვს, რომ ანგარიშები უნდა მიუთითებდეს არის თუ არა სხვადასხვა შესაფერისი ინსტრუქციის ინტეგრალური ზომები და თავისუფლება აღკვეთილ პირთან შეხებაში მყოფი პერსონალის ტრენინგები და მომზადება უზრუნველყოფილი; და რამდენად განუსრულებად

ასრულებენ ეს პირები მათდამი დაკისრებულ მოვალეობებს. ასევე აუცილებელია მოხდეს დაკონკრეტება თუ რამდენად აქვთ დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს ამგვარი ინფორმაცია და ეფექტური ლეგალური საშუალებები რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ წესების შესრულება ან ჩივილის საშუალება თუ ეს წესები უგულებელყოფილია და მიიღონ ადეკვატური კომპენსაცია იმ შემთხვევაში თუ დარღვეულია.

8. კომიტეტი განმარტავს, რომ მე-10 მუხლის 1 პარაგრაფში მოცემული პრინციპები ადგენენ მონაწილე სახელმწიფოს უფრო სპეციფიკური ვალდებულებების საფუძველს სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რაც მოცემულია მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში.

9. მე-10 მუხლის მე-2 (ა) პარაგრაფი განსასჯელ პირთა სეგრეგაციას ბრალდებულებისაგან განიხილავს, როგორც გამონაკლის მდგომარეობას. ასეთი განცალკევება საჭიროა იმისათვის რათა ხაზი გაესვას მათი - როგორც არა-მსჯავრდებულების სტატუსს, რომლებიც იმავე დროს სარგებლობენ უდანაშაულობის პრეზუმფციით, რაც გათვალისწინებულია მე-14 მუხლის მე-2 პარაგრაფში. მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშები უნდა მიუთითებდნენ თუ რა შედეგი აქვს განსასჯელ და მსჯავრდებულ პირთა განცალკევებას და უნდა ხსნიდნენ თუ რითი განსხვავდება განსასჯელი და მსჯავრდებულ პირებისადმი მოპყრობა.

10. მე-10 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, რომელიც შეეხება მსჯავრდებულებს, კომიტეტი გამოხატავს სურვილს მიიღოს დეტალური ინფორმაცია მონაწილე სახელმწიფოს პენიტენციური სისტემის მოქმედების შესახებ. არც ერთი პენიტენციური სისტემა არ უნდა იყოს მხოლოდ დამსჯელობითი დაწესებულება. არამედ სისტემა უნდა ისწრაფოდეს პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი რეაბილიტაციისათვის. მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დააკონკრეტონ აქვთ თუ არა მათ ისეთი სისტემები, რომლებიც დაეხმარება პირებს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ და ასევე უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას ამგვარი საქმიანობის წარმატებულობის შესახებ.

11. გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავს სპეციფიკურ ფაქტებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია მსჯავრდებულ

პირთა საგანმანათლებლო უზრუნველყოფასთან. კომიტეტი მოითხოვს სპეციფიკურ ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რაც დაკავშირებულია მსჯავრდებულთა სწავლებასთან, განათლებასთან, ხელახალ განათლებასთან, პროფესიულ ხელმძღვანელობასთან და ტრენინგებთან; ასევე პატიმართა სამუშაო პროგრამებთან, როგორც პენიტენციური სისტემის შიგნით, ასევე მის გარეთ.

12. იმისათვის რომ განისაზღვროს თუ რამდენად სრულყოფილად სრულდება მე-10 მუხლის მე-3 პარაგრაფში მოცემული პრინციპები, კომიტეტი ასევე მოითხოვს ინფორმაციას იმ სპეციფიკურ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოიყენება დაკავების დროს, მაგალითად, თუ როგორ იქცევიან განსასჯელი პირები და როგორ ხდება მათი კატეგორიზაცია, დისციპლინური სისტემა, განცალკევებული მოთავსება, უსაფრთხო დაკავება და ის პირობები, რომლითაც დაკავებულებს კავშირი აქვთ გარემოსთან (ოჯახი, ადვოკატი, სოციალური და სამედიცინო სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები).

13. უფრო მეტიც, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფოს ანგარიშში, არ არის მოწოდებული ინფორმაცია დაკავებულ არასრულწლოვანთა და არასრულწლოვანი დანმაშავებებისადმი მოპყრობის შესახებ. მე-10 მუხლის 2(ბ) პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ დაკავებული არასრულწლოვანი პირები განცალკევებულად უნდა განთავსდნენ მოზრდილებისაგან. ანგარიშებში გადმოცემული ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფო არ აქცევს სათანადო ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ეს უკანასკნელი პაქტით გათვალისწინებულ აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს. ინფორმაცია ასევე მოიცავს, რომ არასრულწლოვანთა შესახებ წარმოებული საქმეები უნდა იწარმოებოდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად. ანგარიშები უნდა აკონკრეტებდნენ მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გატარებულ ღონისძიებებს ამ დებულებათა ეფექტური მოქმედების მიმართულებით. და ბოლოს, მე-10 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, არასრულწლოვანი დანმაშავები განცალკევებული უნდა იყვნენ ზრდასრულებისაგან და მათ მიმართ მოპყრობა უნდა შეესაბამებოდეს მათსავე ასაკს და ლეგალურ სტატუსს; ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული დაკავების პირობები; მათ უნდა დაუწესდეთ მოკლე სამუშაო საათები და კონტაქტი ნათესავებთან, იმ მიზნით რომ განხორციელდეს მათი ყოფის გაუმჯობესება და რეაბილიტაცია. მე-10 მუხლი არ მიუთითებს არასრულწლოვანთა არანაირ ასაკობრივ ლიმიტზე. იმდენად რამდენადაც აღნიშნული

უნდა განისაზღვროს თვითოეული მონაწილე სახელმწიფოს მიერ შესაბამისი სიცუალური, კულტურული და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. კომიტეტი მიიხნევს, რომ მე-6 მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად ყველა 18 წელზე უმცროსი პირი უნდა მიხნეულ იქნეს არასრულწლოვანად, სულ მცირე იმ საკითხებში მაინც, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას. სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია იმ პირთა ასაკობრივი ჯგუფების შესახებ, რომლებსაც მიიხნევენ არასრულწლოვანებად. ამ მიმართულებით, მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიუთითონ იყენებენ თუ არა გაერთიანებული ერების სტანდარტულ მინიმალურ წესებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრაციის შესახებ, რომელიც ცნობილია როგორც პეკინის წესები (1987).

სამართაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2200A (XXI). 1966 წლის 16 დეკემბერი

ძალაში შევიდა 1976 წლის 3იანვარს, 27-ე მუხლის შესაბამისად

პრეამბულა

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპები შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამოდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ასევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღვწოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის, შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

[...]

მუხლი 12

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე.

2. ღონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავენ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა:

[...]

დ) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

ზოგადი კომენტარი No. 14 (2000)

უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს მიღწევად სტანდარტებზე (ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი)

[...]

სპეციფიკური სამართლებრივი ვალდებულებები

34. კერძოდ, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, პატივი სცენ ჯანმრთელობის უფლებას, inter alia თავი შეიკავონ ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ, სამკურნალო და პალიატიურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამკრძალავი ან შემზღუდავი ღონისძიებებისგან ყველა ადამიანისათვის – პატიმრების ან დაკავებული პირების, უმცირესობების, თავშესაფრის მაძიებელთა და არალეგალურ მიგრანტთა ჩათვლით; თავი შეიკავონ დისკრიმინაციული პრაქტიკის

სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე დანერგვისაგან; და აგრეთვე თავი შეიკავონ ქალთა ჯანმრთელობის და მათი მოთხოვნებისადმი დისკრიმინაციული პრაქტიკისაგან. გარდა ამისა, პატივისცემის ვალდებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს თავი შეიკავოს ტრადიციული პროფილაქტიკური ღონისძიებების, მკურნალობის, მედიკამენტების აკრძალვის ან შეზღუდვისაგან, ასევე ჯანმრთელობისათვის არასაიმედო მედიკამენტების გაყიდვისა და იძულებითი მკურნალობისაგან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც დაკავშირებულია ფსიქიკურად დაავადებულ პირებთან და ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკასთან და მათზე კონტროლთან. ასეთი განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს სპეციფიკურ და შემზღუდავ პირობებს, უნდა ხორციელდებოდეს საუკეთესო მეთოდების გამოყენებით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის ფსიქიკურად დაავადებულ პირთა და ფსიქიატრიული დახმარების გაუმჯობესების პრინციპებს.

კონვენცია წამებისა და სხვა სსსტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 39/46. 1984 წლის 10 დეკემბერი

ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს, 27(1)-ე მუხლის შესაბამისად

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანის ოჯახის ყველა წევრის თანაბარი და განუყოფელი უფლებების აღიარება თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველია,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

ითვალისწინებენ სახელმწიფოთა ვალდებულებას წესდების, სახელდობრ, 55-ე მუხლის შესაბამისად ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს და მოქალაქეობრივ პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო აქტის მე-7 მუხლს, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯას,

ითვალისწინებენ აგრეთვე წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან და დასჯისაგან ყველა პირის დაცვის დეკლარაციას, რომელიც მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 1975 წლის 9 დეკემბერს;

სურთ აამაღლონ მთელ მსოფლიოში წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება “წამება” ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივ, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშევა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული.

2. ეს მუხლი ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს უფრო ფართოდ გამოყენების დებულებებს.

მუხლი 2

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის

იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.

2. არავითარი განსაკუთრებული გარემოებებით, როგორც უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება წამების გამართლება.

3. ზემდგომი უფროსის ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანება არ შეიძლება იყო წამების გამართლებელი საბუთი.

მუხლი 3

1. არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს (რეფოულერ) ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.

2. ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

მუხლი 4

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოს, რომ წამების ყველა აქტი, მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილებოდეს როგორც დანაშაული, იგივე ეხება წამების მცდელობის და ნებისმიერი პირის მოქმედებას, რომელიც თავისი ბუნებით არის წამებაში თანამონაწილეობა ან მონაწილეობა.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო განსაზღვრავს შესაბამის სასჯელს ასეთი დანაშაულისათვის მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით.

მუხლი 5

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მე-4 მუხლში აღნიშნულ დანაშაულებათა მიმართ მისი იურისდიქციის დასადგენად შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ

ტერიტორიაზე, ან ქვეყანაში რეგისტრირებულ სახლგაო ან საჰაერო ხომალდში;

ბ) როცა სავარაუდო ბოროტმოქმედი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა;

გ) როცა მსხვერპლი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა ან თუ მოცემულ სახელმწიფოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ანალოგიურად იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია ასეთ დანაშაულობათა მიმართ შემთხვევებში, როცა სავარაუდო ბოროტმოქმედი იმყოფება მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, და იგი მე-8 მუხლის შესაბამისად არ გადასცემს მას ამ მუხლის I სტატიაში ნახსენებ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერ სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6

1. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, როცა მის ხელთ არსებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ დარწმუნდება, რომ ამას გარემოება მოითხოვს, ზემოაღნიშნულ პირს აპატიმრებს ან იღებს ისეთ იურიდიულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასწრებას, დაპატიმრება და სხვა ასეთი ზომების მიღება ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სისხლის სამართლებრივი საპროცესო მოქმედებისათვის ან გადასაცემად მოქმედებისათვის.

2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ ახდენს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ამ მუხლის I პუნქტის საფუძველზე დაპატიმრებულ ნებისმიერ პირს უნდა შეეწყოს ხელი, რათა დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტრაქტი იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმომადგენელთან, რომლის მოქალაქეც ის არის, ან, თუ ის მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, სადაც ის ცხოვრობს.

4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად რომელიმე პირს აპატიმრებს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მე-5 მუხლის I პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფოებს ასეთი პირის დაპატიმრების ფაქტს და გარემოებებს, რომლებიც საფუძველად დაედო მის დაკავებას. სახელმწიფო, რომელიც აწყობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, მიღებულ მონაცემებს დაუყოვნებლივ აცნობინებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს და აღნიშნავს, აპირებს თუ არა იგი თავისი იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 7

1. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომლის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე აღმოჩენილია მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამნაშავის გადაცემას არ აპირებს, მოცემულ საქმეს გადასცემს თავის კომპეტენტურ ხელისუფლებას სასამართლო დენისათვის.

2. ეს ხელისუფლებები იღებენ ისეთივე გადაწყვეტილებას, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი სერიოზული ხასიათის დანაშაულის შემთხვევაში ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სასამართლო დენისათვის და მსჯავრდებისათვის საჭირო მტკიცებებისადმი წაყენებული მოთხოვნები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მათზე ნაკლებად მკაცრი, რომლებიც გამოიყენება მე-5 მუხლის I პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში.

3. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება გარჩევა მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის გამო, გარანტირებული უნდა ჰქონდეს სამართლიანი მოპყრობა გარჩევის ყველა სტადიაში.

მუხლი 8

1. მე-4 მუხლში აღნიშნული დანაშაულობანი მონაწილე სახელმწიფოთა შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გადაცემის თაობაზე, უნდა შეტანილ იქნეს როგორც დანაშაულობანი, რომლებიც იწვევს დამნაშავის გადაცემას. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას ასეთი დანაშაულობანი შეიტანონ გადაცემის თაობაზე ერთმანეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში როგორც დანაშაულობანი, რომელიც იწვევს დამნაშავის გადაცემას.

2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გადაცემას განაპირობებს ხელშეკრულების არსებობით, იღებს თხოვნას გადაცემის თაობაზე სხვა მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას ასეთი ხელშეკრულება არ აქვს დადებული, მას შეუძლია ეს კონვენცია ასეთ დანაშაულებათა მიმართ განიხილოს როგორც სამართლებრივი საფუძველი დამნაშავის გადაცემისათვის. გადაცემა ხდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართავს თხოვნით გადაცემის თაობაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც გადაცემას არ განაპირობებენ ხელშეკრულების არსებობით, ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ასეთ დანაშაულებებს განიხილავენ როგორც დანაშაულებებს, რომლებიც იწვევს დამნაშავის გადაცემას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართავს თხოვნით გადაცემის თაობაზე.

4. ასეთი დანაშაულობანი გადაცემის მიზნებისათვის მონაწილე სახელმწიფოებს შორის განიხილება ისევე, როგორც ისინი ჩადენილი რომ ყოფილიყო არა მარტო მათი ჩადენის ადგილას, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც, რომლებიც ვალდებული არიან დააწესონ თავიანთი იურისდიქცია მე-5 მუხლის I პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები, რაც შეიძლება ეფექტიან დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს მე-4 მუხელში ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლებრივ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით, მათ შორის გადასცემენ მათს ხელთ არსებულ ყველა მტკიცებას, რომლებიც საჭიროა სასამართლო გარჩევისათვის.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ ამ მუხლის I პუნქტის თანახმად და სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც შეიძლება დაიდოს მათ შორის.

მუხლი 10

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მასალები და ინფორმაცია, რომლებიც ეხება წამების აკრძალვას, სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის,

სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა პირთა მომზადების პროგრამებში, რომლებსაც შეიძლება საქმე ჰქონდეთ იმ პირთა პატიმრობასთან და დაკითხვებთან, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს, ან მათდამი მოპყრობასთან.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ასეთი აკრძალვა შეაქვს წესებსა ან ინსტრუქციებში, რომლებიც ეხება ნებისმიერი ზემოაღნიშნული პირის მოვალეობებსა და ფუნქციებს.

მუხლი 11

ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლის და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა.

მუხლი 12

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწრაფად და მიუკერძოებლად მოაწიონ გამოძიება, როცა საკმარისი საფუძველია ეჭვისათვის, რომ მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე გამოყენებული იყო წამება.

მუხლი 13

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად.

მუხლი 14

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას და

მას ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით განმტკიცებული სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის, მათ შორის რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სასსრების მიღების უფლება. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ეძლევათ მის კმაყოფაზე მყოფთ.

2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლის ან სხვა პირის კომპენსაციის ნებისმიერ უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 15

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებად ნებისმიერი სასამართლო გარჩევის დროს. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცება, რომ ეს განცხადება გაკეთდა.

მუხლი 16

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა აქტები, რომლებსაც არ მოიცავს I მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება, როცა ასეთ აქტებს სწადიან სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ან მათი ნებართვით ან მდუმარე თანხმობით. სახელდობრ, ვალდებულებები, რომლებსაც შეიცავს მე-10, 11, 12 და 13 მუხლები, გამოიყენება, ოღონდ მათში ნახსენები განსაზღვრება “წამება” უნდა შეიცვალოს განსაზღვრებით “სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა სახეობანი”.

2. ამ კონვენციის დებულებები ზიანს არ აყენებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს, რომლებიც კრძალავენ სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯას ან ეხება დამნაშავეის გადაცემას ან გასახებას.

ნაწილი II

მუხლი 17

1. იქმნება წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომში იწოდება კომიტეტად), რომელიც ახორციელებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც მაღალი მორალური თვისებები აქვთ და თავიანთი კომპეტენტურობით აღიარებული არიან ადამიანის უფლებათა სფეროში და მოქმედებენ დამოუკიდებლად. ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები, ამასთან ყურადღება ექცევა სამართლის გეოგრაფიულ განაწილებას და იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობის მიზანშეწონილობას.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახლებულ პირთაგან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი კანდიდატურა თავის მოქალაქეთაგან, მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ ისეთ პირთა დასახელების მიზანშეწონილობას, რომლებიც აგრეთვე მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესაბამისად დაარსებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრები არიან და რომლებიც გამოთქვამენ წამების საწინააღმდეგო კომიტეტში მუშაობის სურვილს.

3. კომიტეტის წევრების არჩევა ხდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირებზე, რომლებსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ამ თათბირებზე, რომელთა ქეორუმი შეადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, კომიტეტის წევრებად არჩეულებად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა უმრავლესობას და თათბირზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ რიცხვს.

4. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ექვსი თვის შემდეგ ამ კონვენციის ამოქმედების დღიდან. მორიგი არჩევნების თარიღამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ სამი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეაქვს დასახელებული პირები იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს და სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ აქვთ განმეორებით არჩევის უფლება, თუ განმეორებით იქნებიან დასახელბული. ოღონდ პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება ორი წლის პერიოდის დასასრულს, პირველი არჩევნებისთანავე წილისყრით განისაზღვრება ამ ხუთი წევრის ვინაობა, რომელსაც აწყობს ამ მუხლის მე-3 პუნქტში ხსენებული თათბირის თავმჯდომარე.

6. კომიტეტის წევრის სიკვდილის ან გადადგომის ან მის მიერ რაიმე სხვა მიზეზით კომიტეტში ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი კანდიდატურის დამსახელებელი მონაწილე სახელმწიფო დარჩენილ ვადით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან, რომელსაც იწონებს მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა. კანდიდატურა მოწონებულად ითვლება, თუ მონაწილე სახელმწიფოთა ნახევარმა ან უფრო მეტმა უარყოფითად არ უპასუხა შემთავაზებული დანიშვნის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან ინფორმაციის მიღების შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში.

7. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ კომიტეტის წევრთა ხარჯების დაფარვას მათ მიერ კომიტეტში მოვალეობათა შესრულების პერიოდში.

მუხლი 18

1. კომიტეტი ირჩევს თავის თანამდებობის პირთ ორი წლის ვადით. დაიშვება მათი განმეორებითი არჩევა.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებში, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ა) ექვსი წევრი ქმნის კვორუმს.
- ბ) კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალს და პირობებს კომიტეტის ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისათვის ამ კონვენციის შესაბამისად.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ თათბირს, კომიტეტი თავისი პირველი თათბირის შემდეგ იკრიბება მისი პროცედურის წესებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

5. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ მონაწილე სახელმწიფოთა და კომიტეტის თათბირების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ნებისმიერი ხარჯების ანაზღაურებას, როგორც არის პერსონალის გასამრჯელო და პირობების ხარჯები, რომლებსაც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამიად.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგენენ მოხსენებებს მოცემული სახელმწიფოებისათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში თავიანთ ვალდებულებათა განსახორციელებლად მიღებული ზომების თაობაზე. შემდგომში მონაწილე სახელმწიფოები ოთხ წელიწადში ერთხელ წარუდგენენ დამატებით მოხსენებებს ნებისმიერ ახალ ღონისძიებათა თაობაზე, აგრეთვე სხვა მოხსენებებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს კომიტეტმა.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს უგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

3. თითოეულ მოხსენებას განიხილავს კომიტეტი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ისეთი ზოგადი ხასიათის შენიშვნები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიჩნევს, და უგზავნის მათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს შეუძლია პასუხად კომიტეტს წარუდგინოს ნებისმიერი შენიშვნა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის.

4. კომიტეტს თავის შეხვედრებისამებრ შეუძლია მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გააკეთებული ნებისმიერი შენიშვნები, შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსაგან მიღებულ შენიშვნებთვინ ერთად შეიტანოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც ამზადებს 24-ე მუხლის თანახმად. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით კომიტეტს შეუძლია აგრეთვე თავის მოხსენებაში შეიტანოს ამ მუხლმს 1 პუნქტის შესაბამისად ზემოაღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების ეგზემპლარი.

მუხლი 20

1. თუ კომიტეტი სარწმუნო ინფორმაციას იღებს, რომელიც, მისი აზრით, შეიცავს სრულიად დასაბუთებულ მონაცემებს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატიური გამოყენების თაობაზე, იგი ამ მონაწილე სახელმწიფოს სთავაზობს თანამშრომლობას ასეთი ინფორმაციის განხილვაში და ამ მიზნით თავისი შენიშვნების წარდგენას.

2. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი შენიშვნის, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია, თუ იგი ამას მიზანშეწონილად ჩათვლის. თავისი ერთ ან რამდენიმე წევრს დაავალოს კონფიდენციალური გამოძიება და კომიტეტისათვის შესაბამისი მოხსენების სასწრაფოდ წარმოდგენა.

3. თუ ამ მუხლის მე -2 პუნქტის თანახმად ტარდება გამოძიება, კომიტეტი ესწრაფვის თანამშრომლობის დამყარებას შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან. ამ მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით ასეთი გამოძიება შეიძლება ითვალისწინებდეს მის ტერიტორიაზე ჩასვლას.

4. ამ წევრის ან წევრთა მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარედგინება ამ მუხლის მე -2 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტი ამ შედეგებს ნებისმიერ შენიშვნებთან და წინადადებებთან ერთად, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიაჩნია, უგზავნის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს.

5. ამ მუხლის 1-4 პუნქტებში აღნიშნული კომიტეტის მთელი მუშაობა კონფიდენციალური ხასიათისაა, და ამ სამუშაოს ყველა ეტაპზე უნდა ესწრაფვოდნენ მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას. ასეთი სამუშაოს დამთავრების შემდეგ მე -2 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული გამოძიების თაობაზე კომიტეტს, შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ სამუშაოს შედეგების შესახებ მოკლე ანგარიში შეიტანოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც 24 - ე მუხლის შესაბამისად ამზადებს.

მუხლი 21

1. ამ მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და

განიხილოს ცნობები, რომლებიც ეხება ერთი მონაწილე სახელმწიფოს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთი ცნობები ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების შესაბამისად მიიღება და განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება მის მიმართ კომიტეტის კომპეტენციის ცნობის თაობაზე. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს ცნობებს, თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ამ მუხლის თანახმად მიღებული ცნობები განიხილება შემდეგი პროცედურით:

ა) თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციის დებულებებს, შეუძლია წერილობით აცნობოს ეს საკითხი აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ ცნობის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მისი მიმღები სახელმწიფო ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს ასევე წერილობით წარუდგენს ახსნა-განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, შიდა პროცედურებს და ზომებს, რომლებიც მიიღეს ან და შეიძლება მიიღონ;

ბ) თუ საკითხის გადაწყვეტა ვერ აკმაყოფილებს ორივე მონაწილე სახელმწიფოს მიმღები სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი ცნობის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, ნებისმიერ მათგანს აქვს უფლება ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს და ამის თაობაზე აცნობოს კომიტეტს და მეორე სახელმწიფოს;

გ) კომიტეტი ამ მუხლის თანახმად გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ მიღებული იყო ყველა შიდა ხელმისაწვდომი ზომა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ზომების მიღება გაუძარტლებლად ჭიანჭურდება ან ვერავითარ ეფექტიან დახმარებას ვერ გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია;

დ) ამ მუხლის თანახმად ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

ე) კომიტეტი ე) ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ მომსახურებას უწევს შესაბამის

მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე საკითხის მეგობრულად გადაწყვეტის მიზნით. ამისათვის კომიტეტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შექმნას სპეციალური შეთანხმებული კომისია;

ე) ამ მუხლის შესაბამისად მისთვის გადაცემული ნებისმიერი საკითხის გამო კომიტეტს შეუძლია მოუწოდოს ბ) ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

ზ) შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც აღნიშნულია ბ) ქვეპუნქტში, აქვთ კომიტეტში საკითხის განხილვისას წარმომადგენლობის და წერილობითი ან ზეპირი წარდგინების შეტანის უფლება;

თ) კომიტეტი ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის განმავლობაში წარადგენს ცნობებს:

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ე) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, და კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტების და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლედ ჩამოყალიბებით;

ii) თუ გადაწყვეტილება ე) ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, და კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტების მოკლედ ჩამოყალიბებით, ცნობას თან ერთვის წერილობითი წარდგინებანი და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა ზეპირ განცხადებათა ჩანაწერი.

ყოველ საკითხზე ცნობა ეგზავნებათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის ხუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად. ასეთი განცხადებანი შესაბამისად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ცალკე უზღავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების უკან გატანა შეიძლება ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განაცხადების უკან გატანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობა ამ მუხლის შესაბამისად არ მიიღება გენერალური მდივნის მიერ განცხადების უკან გატანის თაობაზე

შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამისმა მონაწილე სახელმწიფომ ახალი განცხადება არ გააკეთა.

მუხლი 22

1. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ამ მუხლის შესაბამისად შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ იმ პირთა ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის მსხვერპლი არიან, ან მათი სახელით შემოსული სხვა ამგვარი ცნობები. კომიტეტი არავითარ ცნობებს არ იღებს, თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია.

2. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად მიუღებლად თვლის ნებისმიერ ცნობას, რომელიც ანონიმურია, ან, მისი აზრით, არის ასეთი ცნობის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება ან შეუთავსებელია ამ კონვენციის დებულებებთან.

3. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით კომიტეტი ამ მუხლის შესაბამისად მისთვის წარდგენილ ყველა ცნობას ატყობინებს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება I პუნქტის თანახმად და რომელიც თითქოს არღვევს კონვენციის ამა თუ იმ დებულებას. ექვსი თვის განმავლობაში ცნობის მიმღები სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს წერილობით ახსნა-განმარტებას ან განცხადებას, რომელიც აზუსტებს საკითხს და ნებისმიერ ღონისძიებებს, რომლებიც შეეძლო მიეღო ამ სახელმწიფოს.

4. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ცნობებს კომიტეტი განიხილავს მთელ იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც მას წარუდგენენ მოცემული პირი ან მისი სახელით და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფო.

5. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს არავითარ ცნობას რომელიმე პირისაგან, თუ იგი არ დარწმუნდება, რომ:

ა) იგივე საკითხი არ განხილულა ან არ განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან რეგულირების რომელიმე სხვა პროცედურით;

ბ) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა არსებული ზომები; ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როცა ამ ზომების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება ან ვერავითარ ეფექტიან

დახმარებას ვერ გაუწევს პირს, რომელიც კონვენციის დარღვევის მსხვერპლია.

6. ამ მუხლის მიხედვით ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს.

7. კომიტეტი თავის აზრს აცნობებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და მოცემულ პირს.

8. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის ხუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად. ასეთი განცხადებანი შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ვალებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს განცხადების უკან გატანა შეიძლება ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განცხადების უკან გატანა ზიანს არ უნდა აყენებდეს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა, ნებისმიერი პირის მიერ ან მისი სახელით გაგზავნილი არავითარი შემდგომი ცნობა არ მიიღება ამ მუხლის შესაბამისად გენერალური მდივნის მიერ განცხადების უკან გატანის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

მუხლი 23

კომიტეტის და სპეციალური შემთანხმებელი კომისიის წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ 21-ე მუხლის I პუნქტის ე) ქვეპუნქტის თანახმად, აქვთ იმ ექსპერტთა შეღავათების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტის უფლება, რომლებიც მოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის შესაბამის კარებით.

მუხლი 24

კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ამ კონვენციის შესაბამისად თავისი მუშაობის თაობაზე ყოველწლიურ მოხსენებას.

ნაწილი III

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.
მუხლი 26

ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის შესაერთებლად. შეერთება ხდება შეერთების თაობაზე საბუთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების გზით.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც დაარატიფიცირებს ამ კონვენციას ან შეუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების თარიღიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 28

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს მე-20 მუხლით განსაზღვრული კომიტეტის კომპეტენციას.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს შენიშვნას ამ მუხლის I პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს იგი, რაც უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 29

1. ამ კონვენციის ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ შესწორებას უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, რომ აცნობონ, უჭერენ თუ არა მხარს მონაწილე

სახელმწიფოთა კონვენციის მოწვევას ამ წინადადების განხილვისა და კენჭისყრის მოწყობის მიზნით. თუ ასეთი წერილის გაგზავნის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვეგდით. ნებისმიერ შესწორებას, რომელსაც მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, გენერალური მდივანი წარუდგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოს დასამტკიცებლად.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეატყობინებს, რომ მიიღეს ეს შესწორება თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

3. როცა შესწორება ძალაში შედის, იგი სავალდებულოა ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა ამ კონვენციის ის დებულებანი და ნებისმიერი წინა შენიშვნები, რომლებიც მათ მიიღეს.

მუხლი 30

1. ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოთა ნებისმიერი დავა ამ კონვენციის განმარტების ან ამოყენების გამო, რომელიც ვერ რეგულირდება მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟში თხოვნის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას არბიტრაჟის ორგანიზაციის თაობაზე, ერთ-ერთი ნებისმიერი მხარის თხოვნით დავა შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რუტიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია გააკეთოს განცხადება, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებს. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებები სავალდებულო არ იქნება იმ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც გამოთქვამს შენიშვნას ამ მუხლის მე

-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს თავის შენიშვნა, რაც უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 31

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ასეთი დენონსაცია მონაწილე სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ნებისმიერი მოქმედებისა და დაუღვერობისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე, და დენონსაცია არანაირ ზიანს არ აყენებს ნებისმიერი საკითხის განხილვის განგრძობას, რომელსაც კომიტეტი განიხილავდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსათვის დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ კომიტეტი არ იწვევს ახალი საკითხების განხილვას, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოს ეხება.

მუხლი 32

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და ყველა სახელმწიფოს, ვინც ხელი მოაწერა ამ კონვენციას ან შეუერთდა მას, აცნობებს:

ა) ხელმოწერას, რატიფიკაციას და შეერთებას 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად;

ბ) ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის შესაბამისად და ნებისმიერი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს 29-ე მუხლის შესაბამისად;

გ) დენონსაციებს 31-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 33

1. ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ ეგზემპლარს უბზავნის ყველა სახელმწიფოს.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის ფაქულტატიური ოქმი

მიღებულია 2002 წლის 18 დეკემბერს, გენერალური ასამბლეის 57-ე სესიაზე A/RES/57/199 რეზოლუციით

ოქმი გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად 2003 წლის 4 თებერვლიდან (ანუ იმ თარიღიდან, რომლიდანაც პროტოკოლის დედანი იქნა დაწესებული) გაერთიანებული ერების შტაბ ბინაში, ნიუ-იორკში

პრეამბულა

წინამდებარე ოქმის მხარეები,

ადასტურებენ რა, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენება აკრძალულია და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას.

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ აუცილებელია შემდგომი ზომების მიღება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მიზნების მისაღწევად და თავისუფლდება ადკვეთილი პირების დასაცავად წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან,

მიუთითებენ რა, რომ კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების მიხედვით თითოეული მხარე ვალდებულია მიიღოს ეფექტური ზომები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით თავისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე,

აღიარებენ რა, რომ სახელმწიფოთა უპირველესი ვალდებულებაა აღნიშნული მუხლების შესრულება, და რომ თავისუფლებადკვეთილ პირთა დაცვის გაძლიერება და მათი უფლებების პატივისცემა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს საერთო მოვალეობას, და რომ საერთაშორისო აღმასრულებელი ორგანოები

ხელს უწყობენ ეროვნულ დონეზე შესაბამისი ზომების გატარებას,

მიუთითებენ რა, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია განათლებისა და სხვადასხვა სახის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომების გაერთიანება,

ითვალისწინებენ რა ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციის მიერ გაკეთებულ განაცხადს იმასთან დაკავშირებით, რომ წამების სრულად აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები პირველ რიგში კონცენტრირებულ უნდა იქნეს მის პრევენციაზე, და ასევე კონფერენციის მიწოდებას კონვენციის ფაქულტატიური ოქმის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს პრევენციული სისტემის შექმნას დაკავების ადგილებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების მიზნით,

გამოთქვამენ რა რწმენას, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან თავისუფლებადკვეთილ პირთა დაცვა შესაძლებელია უფრო ეფექტურად განხორციელდეს სასამართლოს გარეშე პრევენციული ხასიათის ისეთი ღონისძიების გზით, როგორცაა დაკავების ადგილების რეგულარული მონახულება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

ზოგადი პრინციპები

მუხლი 1

წინამდებარე ოქმის მიზანია დამოუკიდებლად საერთაშორისო და ეროვნულ ორგანოთა რეგულარული ვიზიტების დაწესება თავისუფლებადკვეთილ პირთა დაკავების ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 2

1. წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტთან შეიქმნება წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტი (შემდგომში პრევენციის ქვეკომიტეტი), რომელიც შეასრულებს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის საქმიანობას განახორციელებს გაეროს წესდების ფარგლებში, ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და პრინციპების, ასევე გაეროს მიერ თავისუფლებადაცვეთილ პირებთან დაკავშირებით მიღებული სხვა ნორმების შესაბამისად.

3. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის საქმიანობაში ასევე იხელმძღვანელებს კონფიდენციალურობის, მიუკერძოებლობის, განურჩევლობის, უნივერსალურობისა და ობიექტურობის პრინციპებით.

4. პრევენციის ქვეკომიტეტი და მხარეები ითანამშრომლობენ წინამდებარე ოქმის განხორციელების მიზნით.

მუხლი 3

თითოეული მხარე ადგილობრივ დონეზე შექმნის, დანიშნავს ან აამოქმედებს ვიზიტების განმახორციელებელ ერთ ან რამდენიმე ორგანოს, წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით (შემდგომში პრევენციის ეროვნული მექანიზმი).

მუხლი 4

1. წინამდებარე ოქმის შესაბამისად და მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული მექანიზმების საშუალებით, თითოეული მხარე თანახმაა განხორციელებდეს ვიზიტები მისი იურისდიქციისა და კონტროლის ქვეშ არსებულ ნებისმიერ ადგილზე, სადაც იმყოფებიან ის პირები, რომელთაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ბრძანების, ან მოთხოვნის, ან თანხმობის საფუძველზე (შემდგომში დაკავების ადგილი). ასეთი ვიზიტების მიზანია აღნიშნულ პირთა დაცვის გაძლიერება წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან.

2. წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის, თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას ან პირის მოთავსებას საერთო ან ცალკე იზოლატორში, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე.

ნაწილი II

პრევენციის ქვეკომიტეტი

მუხლი 5

1. პრევენციის ქვეკომიტეტი შედგება ათი წევრისაგან. წინამდებარე ოქმის ორმოცდამათხუთე რატიფიცირების ან მასთან მიერთების შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრთა რაოდენობა გაიზრდება ოცდახუთამდე.

2. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და გააჩნდეთ პროფესიული გამოცდილება სამართალწარმოების, კერძოდ სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების ან პოლიციის ორგანოთა, ან თავისუფლებადაცვეთილ პირებთან მუშაობის ამა თუ იმ სფეროში.

3. პრევენციის ქვეკომიტეტის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანაბარი გეოგრაფიული გადანაწილებისა და სხვადასხვა იურიდიული სისტემებისა და ცივილიზაციების წარმოდგენის პრინციპი.

4. დაკომპლექტებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას თანაბარი გენდერული წარმომადგენლობა თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

5. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე.

6. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები მოქმედებენ ინდივიდუალურად, არიან დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები და უზრუნველყოფენ პრევენციის ქვეკომიტეტის ფუნქციურ მუშაობას.

მუხლი 6

1. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ მხარეს შეუძლია დაასახელოს ორი კანდიდატი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხობენ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მხარეები მათ მიერ დასახელებული კანდიდატების შესახებ წარმოადგენენ დეტალურ ინფორმაციას.

2. (ა) კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ წინამდებარე ოქმის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოქალაქეობა;
(ბ) ორიდან ერთ კანდიდატს მაინც უნდა გააჩნდეს წარმდგენი მხარის მოქალაქეობა;
(გ) არ შეიძლება დასახელებულ იქნას ერთი მხარის ორ მოქალაქეზე მეტი;
(დ) ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოქალაქის დასახელებამდე, აუცილებელია ამ მეორე მხარის თანხმობის მიღება

3. არა ნაკლებ ხუთი თვით ადრე მხარეთა სხდომის ჩატარებამდე, რომლის დროსაც გაიმართება არჩევნები, გაეროს გენერალური მდივანი წერილობით მიმართავს მხარეებს სამი თვის ვადაში თავიანთი კანდიდატურების წარმოდგენასთან დაკავშირებით. გენერალური მდივანი შეადგენს სიას, რომელშიც ანბანური რიგით განლაგდება ყველა დასახელებული კანდიდატი წარმდგენი ქვეყნის მითითებით.

მუხლი 7

1. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები აირჩევიან შემდეგი წესით:

(ა) პირველ რიგში გათვალისწინებულ იქნება კანდიდატის შესაბამისობა წინამდებარე ოქმის მე-5 მუხლში მითითებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან;

(ბ) თავდაპირველი არჩევნები გაიმართება წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა;

(გ) მხარეები პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს აირჩევენ ფარული კენჭისყრით;

(დ) პრევენციის ქვეკომიტეტის წევრთა არჩევნები ჩატარდება გაეროს გენერალური მდივნის მიერ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოწვეულ მხარეთა სხდომებზე. ასეთ სხდომებზე, რომელთა ქვორუმსაც შეადგენს მხარეთა ორი-მესამედი, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებად აირჩევიან ის პირები, რომლებიც დააგროვებენ ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

2. თუ კენჭისყრის შედეგად პრევენციის ქვეკომიტეტის წევრობისათვის საჭირო ხმების ოდენობას დააგროვებს მხარის ორი მოქალაქე, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გახდება ის კანდიდატი, რომელსაც უფრო მეტი ხმა აქვს მიღებული. იმ შემთხვევაში თუ ორივე მოქალაქე მიიღებს ერთი და იმავე ოდენობის ხმებს, გამოიყენება შემდეგი პროცედურა:

(ა) თუ ორი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი იქნა დასახელებული იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გახდება ეს მოქალაქე;

(ბ) თუ ორივე კანდიდატი დასახელებულ იქნა იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქეებსაც წარმოადგენენ, ჩატარდება ცალკე ფარული კენჭისყრა, რომელიც გამოავლენს ქვეკომიტეტის წევრს;

(გ) თუ ორიდან არც ერთი კანდიდატი არ ყოფილა დასახელებული იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქეებსაც ისინი წარმოადგენენ, ჩატარდება ცალკე ფარულ კენჭისყრა, რომელიც გამოავლენს ქვეკომიტეტის წევრს.

მუხლი 8

თუ პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი გარდაიცვალა ან გადადგა, ან რაიმე მიზეზის გამო აღარ შეუძლია თავის ფუნქციების შესრულება, ამ წევრის წარმდგენი მხარე დაასახელებს სხვა პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და პასუხობს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და რომელიც შეასრულებს თავის ფუნქციებს მხარეთა მომდევნო სხდომის ჩატარებამდე, მხარეთა უმრავლესობის თანხმობით. ასეთი თანხმობა ივარაუდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა ნახევარი ან უფრო მეტი გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს გაეროს გენერალური მდივნის მიერ ასეთ დანიშვნასთან დაკავშირებით მათთვის ინფორმაციის მიწოდებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

მუხლი 9

პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. განმეორებითი არჩევა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, ხელახალი ნომინაციის შემთხვევაში. პირველი არჩევნების შედეგად არჩეულ წევრთა ნახევარს ქვეკომიტეტში სამსახურის ვადა უმთავრდება ორი წლის შემდეგ. პირველი არჩევნების დამთავრებისთანავე, ეს წევრები შეირჩევიან კენჭისყრით მე-7 მუხლის 1(დ) პუნქტში მითითებული სხდომის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 10

1. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის თანამშრომლებს ირჩევს ორი წლის ვადით. ეს თანამშრომლები შეიძლება არჩეულ იქნან ხელმეორედ.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი შეიმუშავებს თავის საპროცედურო წესებს. ამ წესების მიხედვით:

(ა) ქვორუმს შეადგენს წევრთა ნახევარს პლუს ერთი წევრი;

(ბ) პრევენციის ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით;

(გ) პრევენციის ქვეკომიტეტის სხდომები დახურულია.

3. პრევენციის ქვეკომიტეტის პირველ სხდომას იწვევს გაეროს გენერალური მდივანი. პირველი სხდომის შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტის სხდომები გაიმართება საპროცედურო წესებით გათვალისწინებული პერიოდულობით. პრევენციის ქვეკომიტეტი და წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი ერთდროულ

სსდომებს გამართავენ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

ნაწილი III

პრევენციის ქვეკომიტეტის მანდატი
მუხლი 11

პრევენციის ქვეკომიტეტი:

(ა) მონახულებს მე-4 მუხლში მითითებულ ადგილებს და წარუდგენს რეკომენდაციებს მხარეებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლებაადკვეთილ პირთა დაცვასთან დაკავშირებით;

(ბ) პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან დაკავშირებით:

(i) კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს მხარეებს ასეთი მექანიზმების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებში;

(ii) შეინარჩუნებს პირდაპირ და საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურ ურთიერთობას პრევენციის ეროვნულ მექანიზმებთან, უზრუნველყოფს მათ სწავლებითა და ტექნიკური დახმარებით მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;

(iii) კონსულტაციას და დახმარებას გაუწევს მათ საჭიროებათა შეფასებასა და იმ საშუალებათა განსაზღვრაში, რომელთა გამოყენება აუცილებელია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თავისუფლება ადკვეთილ პირთა დაცვის გაძლიერების მიზნით;

(iv) რეკომენდაციებსა და შენიშვნებს წარუდგენს მხარეებს პრევენციის ეროვნული მექანიზმების შესაძლებლობებისა და მანდატის გაფართოების მიზნით, რაც უზრუნველყოფს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილებას.

(ვ) წამების თვიდან აცილების მიზნით, თანამშრომლებს გაეროს შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, ასევე საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან თითოეული პირის დაცვის გაძლიერების სფეროში.

მუხლი 12

პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ მე-11 მუხლით გათვალისწინებული მანდატის შესრულების მიზნით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას:

(ა) მიიღონ პრევენციის ქვეკომიტეტი თავიანთ ტერიტორიაზე და მისცეს მას დაკავების ადგილებში შესვლის შესაძლებლობა წინამდებარე ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად;

(ბ) მიაწოდონ პრევენციის ქვეკომიტეტს შესაბამისი ინფორმაცია იმ ზომების განსაზღვრის მიზნით, რომელთა მიღებაც საჭიროა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან პირთა დაცვის გაძლიერების სფეროში;

(გ) ხელი შეუწყოს კონტაქტების დამყარებას პრევენციის ქვეკომიტეტსა და პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს შორის;

(დ) განიხილონ პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები და გამართონ ნასთან დიალოგი იმპლემენტაციის შესაძლო ზომების გატარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 13

1. მე-11 მუხლით გათვალისწინებული მანდატის შესრულების მიზნით, პრევენციის ქვეკომიტეტი კენჭისყრის საფუძველზე შეიმუშავებს მხარეთა ქვეყნებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების პროგრამას.

2. კონსულტაციების შემდეგ, პრევენციის ქვეკომიტეტი გააცნობს მხარეებს ამ პროგრამას, რათა მათ გატვირთვის გარეშე შეძლონ ვიზიტებთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებების გატარება.

3. ვიზიტებში მონაწილეობას მიიღებს პრევენციის ქვეკომიტეტის არა ნაკლებ ორი წევრი. საჭიროების შემთხვევაში, ამ წევრებს შეიძლება თან ახლდნენ მაღალი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ექსპერტები, რომელთა შერჩევა მოხდება მხარეთა, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისისა და გაეროს საერთაშორისო დანაშაულთა პრევენციის ცენტრის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შედგენილ ექსპერტთა სიიდან. ასეთი სიის შედგენის მიზნით, დაინტერესებული მხარეები დაასახელებენ არა უმეტეს ხუთ ექსპერტს. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას რომელიმე კონკრეტული ექსპერტის ვიზიტში ჩართვაზე, რის შემდეგაც პრევენციის ქვეკომიტეტი ასახელებს სხვა ექსპერტის კანდიდატურას.

4. იმ შემთხვევაში თუ პრევენციის კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ, მას შეუძლია წარმოადგინოს წინადადება რეგულარული ვიზიტის შემდეგ საკონტროლო ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 14

1. პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ თავისი მანდატის შესრულების მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ მას:

(ა) იმ ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით, რომელიც ასახავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებადკვეთილ პირთა და მათი დაკავების ადგილების რაოდენობასა და მათ ადგილმდებარეობას;

(ბ) იმ ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობას და ასევე მათი დაკავების პირობებს;

(გ) ქვემოთ მოცემული მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკავების, დაკავების ადგილებსა და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებში შეუზღუდავი შესვლის უფლებით;

(დ) მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, თავისუფლებადკვეთილ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან შეუძლიათ პრევენციის ქვეკომიტეტისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

(ე) მოსანახულებელი ადგილების ან პირების საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის უფლებით.

2. ვიზიტი დაკავების რომელიმე ადგილზე შესაძლებელია არ განხორციელდეს ეროვნული თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე დაკავების ადგილზე ბუნებრივი კატასტროფის და ისეთი სერიოზული არეულობის შემთხვევაში, რომელსაც შეუძლია გარკვეული ვადით შეაფერხოს ვიზიტის განხორციელება. ექსტრემალური მდგომარეობის არსებობა არ შეიძლება მხარის მიერ დასახელდეს როგორც ვიზიტისგან თავის შეკავების მიზეზი.

მუხლი 15

არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ქვეკომიტეტისათვის ან მისი წარმომადგენლებისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.

მუხლი 16

1. პრევენციის ქვეკომიტეტი თავის რეკომენდაციებს და შენიშვნებს კონდიფენციალური წესით გადასცემს მხარეს,

და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს.

2. პრევენციის ქვეკომიტეტი მხარის მოთხოვნით გამოაქვეყნებს თავის ანგარიშს ამ მხარის მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ შენიშვნასთან ერთად. თუ მხარე საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ანგარიშის რომელიმე ნაწილს, პრევენციის ქვეკომიტეტს შეუძლია ასეთი ანგარიშის გამოქვეყნება როგორც მთლიანად, ისე მაწილობრივ.

პირადი მონაცემები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას დაინტერესებული პირის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე.

3. პრევენციის ქვეკომიტეტი წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს წარუდგენს თავის საჭიროების ამსახველ ყოველწლიურ ანგარიშს.

4. თუ მხარე უარს იტყვის პრევენციის ქვეკომიტეტთან თანამშრომლობაზე მე-12 და მე-14 მუხლების მიხედვით, ან მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ზომების მიღებაზე პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად, წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს, პრევენციის ქვეკომიტეტის მოთხოვნით და თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო განცხადების გაკეთების ან პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდება მხარის მოსაზრებები.

ნაწილი IV

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მუხლი 17

წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან, ან მისი რატიფიკაციიდან ან მასთან მიერთებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, თითოეული მხარე დანიშნავს ან შექმნის პრევენციის ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ ეროვნულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე წამების თავიდან აცილების მიზნით. დეცენტრალიზებულ ერთეულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა შეუძლიათ წინამდებარე ოქმის მიზნების განსახორციელებლად, თუ ამ მექანიზმების საქმიანობა შესაბამისობაშია ოქმის დებულებებთან.

მუხლი 18

1. მხარეები უზრუნველყოფენ როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფუნქციურ

დამოუკიდებლობას, ასევე მათი პერსონალის დამოუკიდებლობასაც.

2. მხარეები გაატარებენ აუცილებლად ზომებს, რათა უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ექსპერტთა პროფესიონალიზმი და შესაბამისი უნარ-ჩვევები. მხარეები ასევე უზრუნველყოფენ გენდერული ბალანსის შენარჩუნებას და ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ და სხვა უმცირესობათა სათანადოდ წარმოდგენას.

3. მხარეები უზრუნველყოფენ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების მოპოვებას.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნისას, მხარეები გაითვალისწინებენ ეროვნული ინსტიტუტების ძირითად პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გაძლიერების სფეროში.

მუხლი 19

პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს ენიჭებთ შემდეგ უფლებამოსილებათა მინიმუმი:

(ა) მე-4 მუხლში მითითებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებადაკვეთილ პირთა მიმართ ქცევის წესების რეგულარული შემოწმება, მათი დაცვის გაძლიერების მიზნით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისაგან;

(ბ) შესაბამისი ორგანოებისათვის რეკომენდაციების წარდგენა თავისუფლებადაკვეთილ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, გაეროს შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

(გ) არსებულ კანონმდებლობასთან ან კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადებისა და შენიშვნების წარდგენა.

მუხლი 20

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავიანთი მანდატის განხორციელების მიზნით, წინამდებარე ოქმის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ ისინი:

(ა) იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც ასახავს მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაკავების ადგილებში მყოფ თავისუფლებადაკვეთილ პირთა და ასევე მათი დაკავების ადგილების რაოდენობასა და მათ ადგილმდებარეობას;

(ბ) იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლებით, რომელიც შეეხება ამ პირთა მიმართ მოპყრობის და ასევე მათი დაკავების პირობებს;

(გ) დაკავების ადგილებსა და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებში შეუზღუდავი შესვლის უფლებით;

(დ) მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, თავისუფლებადაკვეთილ პირებთან, ასევე ნებისმიერ იმ პირებთან კერძო საუბრის გამართვის შესაძლებლობით, რომლებსაც შეუძლიათ პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

(ე) მოსანახულებელი ადგილების ან პირების საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის უფლებით;

(ვ) პრევენციის ქვეკომიტეტთან ურთიერთობის, მისთვის ინფორმაციის წარდგენის და მასთან შეხვედრის უფლებით.

მუხლი 21

1. არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შეგროვებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ ექვემდებარება გამჟღავნებას. პირადი მონაცემები არ გამოქვეყნდება დაინტერესებული მხარის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე.

მუხლი 22

დაინტერესებული მხარის კომპეტენტური ორგანოები შეისწავლიან პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოებულ რეკომენდაციებს და გამართავს მასთან დიალოგს იმპლემენტაციის შესაძლო ზომების გატარებასთან დაკავშირებით.

მუხლი 23

წინამდებარე ოქმის მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოაქვეყნონ და გააგრძელონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების წლიური ანგარიშები.

ნაწილი V

განაცხადი

მუხლი 24

1. რატიფიკაციის შემდეგ, მხარეებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი წინამდებარე ოქმის III ან IV ნაწილებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა გადავადებასთან დაკავშირებით.

2. ამგვარი გადავადება ძალაშია არა უმეტეს სამი წლის ვადით. მხარის მიერ შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენისა და პრევენციის ქვეკომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, წამების წანააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება კიდევ ორი წლით.

ნაწილი VI

ფინანსური დებულებები

მუხლი 25

1. წინამდებარე ოქმის განხორციელების დროს პრევენციის ქვეკომიტეტისათვის წარმოშობილ ხარჯებს დაფარავს გაერო.

2. გაეროს გენერალური მდივანი პრევენციის ქვეკომიტეტს უზრუნველყოფს საჭირო პერსონალითა და აპარატურით, წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით.

მუხლი 26

1. გენერალური ასამბლეის პროცედურის შესაბამისად იქმნება სპეციალური ფონდი, რომლის მართვაც განხორციელდება გაეროს ფინანსური ნორმებისა და დებულებების მიხედვით, და რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დაფინანსებას ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე ვიზიტის შემდეგ პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

2. სპეციალური ფონდის ფინანსურ რესურსებს შესაძლებელია კმნიდეს მთავრობების, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებათა ნებაყოფლობითი შემოწირულობები.

ნაწილი VII

საბოლოო დებულებები

მუხლი 27

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას.

2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას ნებისმიერი იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გენერალურ მდივანს.

3. წინამდებარე ოქმი ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდა მას.

4. მიერთება ხორციელდება მიერთების აქტის გაეროს გენერალური მდივნისათვის გადაცემის გზით.

5. გაეროს გენერალური მდივანი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის გადაცემის შესახებ აცნობებს ყველა იმ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა წინამდებარე ოქმს ან მიუერთდა მას.

მუხლი 28

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული იმ მხარისათვის, რომელმაც მოახდინა წინამდებარე ოქმის რატიფიცირება ან მიუერთდა მას გაეროს გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის გადაცემის შემდეგ, წინამდებარე ოქმი ძალაში შევა ამ მხარის სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 29

წინამდებარე ოქმის დებულებები ვრცელდება ფედერალურ სახელმწიფოთა ყველა სუბიექტზე ყოველგვარი შეზღუდვების ან გამონაკლისების გარეშე.

მუხლი 30

წინამდებარე ოქმი არ ითვალისწინებს დათქმების გაკეთებას.

მუხლი 31

წინამდებარე ოქმის დებულებები არ ზღუდავს მხარეთა მიერ რომელიმე რეგიონული

კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს დაკავების ადგილებში ვიზიტების ჩატარების სისტემის შექმნას. პრევენციის ქვეკომიტეტი და რეგიონული კონვენციების შესაბამისად შექმნილი ორგანოები გამართავენ კონსულტაციებს და ითანამშრომლობენ ერთმანეთთან ერთი და იგივე ზომების თავიდან აცილებისა და წინამდებარე ოქმის მიზნების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

მუხლი 32

წინამდებარე ოქმის დებულებები არ ზღუდავს უნევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხი კონვენციისა და 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმების ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებებს, ასევე ნებისმიერი მხარის უფლებას ნება დართოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მონახულოს დაკავების ადგილები ისეთ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.

მუხლი 33

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსირება გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით, რომელიც აცნობებს ამის შესახებ წინამდებარე ოქმისა და კონვენციის მონაწილე სხვა მხარეებს. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთ წლის შემდეგ.

2. ასეთი დენონსაცია არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან იმ ქმედებებთან ან გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე, ან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელთა გატარების შესახებ ამ მხარის მიმართ პრევენციის ქვეკომიტეტმა მიიღო ან შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება. დენონსაცია ასევე არ აფერხებს პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ ისეთი საკითხების განხილვას, რომლებიც უკვე განიხილებოდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. წინამდებარე ოქმის დენონსირების ძალაში შესვლის შემდგომ, პრევენციის ქვეკომიტეტი აღარ დაიწყებს რაიმე ახალი საკითხის განხილვას იმ მხარესთან მიმართებაში, რომელმაც მოახდინა ოქმის დენონსირება.

მუხლი 34

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია გაეროს გენერალურ მდივანს წარუდგინოს წინადადება წინამდებარე ოქმში შესწორების შეტანასთან დაკავშირებით. გაეროს გენერალური მდივანი შემოთავაზებული შესწორების ტექსტს გააცნობს წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეებს, რომლებმაც უნდა აცნობონ გენერალურ მდივანს უჭერენ თუ არა მხარს მხარეთა კონფერენციის მოწვევას წინადადების განხილვისა და კენჭისყრის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან ოთხი თვის ვადაში მხარეთა არანაკლებ ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთი კონფერენციის ჩატარებას, გენერალური მდივანი მოიწვევს კონფერენციას გაეროს ეგიდით. გაეროს გენერალური მდივანი ნებისმიერ იმ შესწორებას, რომელიც მიღებულია კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობით, დასამტკიცებლად გადასცემს ყველა მხარეს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მას დამტკიცებს წინამდებარე ოქმის მონაწილე მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობა შესაბამისი კონსტიტუციური წარმოების გზით.

3. ძალაში შესვლის შემდეგ შესწორებები სავალდებულო იქნება იმ მხარეებისათვის, რომლებმაც დამტკიცეს ეს შესწორებები, ხოლო სხვა მხარეებისათვის სავალდებულო იქნება წინამდებარე ოქმის დებულებები და მათ მიერ ადრე დამტკიცებული შესწორებები.

მუხლი 35

პრევენციის ქვეკომიტეტისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმების წევრებს ენიჭებათ ის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ თავიანთი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებისათვის. პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს ენიჭებათ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გაეროს 1946 წლის 13 თებერვლის კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიები და იმუნიტეტები, ამ კონვენციის 23-ე კარის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 36

მხარის ტერიტორიაზე ვიზიტით ყოფნის დროს, პრევენციის ქვეკომიტეტის წევრები, წინამდებარე ოქმის დებულებებისა და მიზნების, ასევე მათთვის მინიჭებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუზღუდავად:

- (ა) დაიცავენ იმ ქვეყნის კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, სადაც იმყოფებიან ვიზიტით;
- (ბ) თავს შეიკავებენ ნებისმიერი ისეთი ქმედების ან საქმიანობისაგან, რომელიც არ შეესაბამება მათი მოვალეობების მიუკერძოებელი და ინტერნაციონალურ ხასიათს.

მუხლი 37

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.
2. გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს ყველა სახელმწიფოს.

ზოგადი კომენტარი №1

კონვენციის მე-3 მუხლის იმპლემენტაცია 22-ე მუხლის კონტექსტში

წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის კონვენციის 22-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის მოთხოვნათა კონტექსტში, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს 22-ე მუხლის შესაბამისად მიღებული შეტყობინება ყველა იმ ინფორმაციის ფონზე, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა რომელიმე პირის მიერ ან მისი საშუალებით ან დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ,

რომელიც საჭირო გახდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პროცედურული კომიტეტის (CAT/C/3/Rev.2) III-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის გამოყენებით ან მის შედეგად და

კონვენციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული მე-3 მუხლის იმპლემენტაციისათვის საჭირო პროცედურის სახელმძღვანელო პრინციპის საჭიროებისამებრ.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მე-19 სესიაზე, 317-ე შეხვედრაზე, 1997 წლის 21 ნოემბერს, მიიღო წინამდებარე ზოგადი კომენტარი შეტყობინებათა ავტორებისა და მონაწილე სახელმწიფოთათვის მითითებების მიცემის მიზნით:

1. მე-3 მუხლის გამოყენება შეზღუდულია იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მყარი საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ განმცხადებელი შეიძლება იმყოფებოდეს

წამების საფრთხის წინაშე, რაც გათვალისწინებულია კონვენციის 1 მუხლით.

2. კომიტეტის აზრით, მე-3 მუხლში მოხსენიებული ფრაზა “სხვა სახელმწიფო” შეეხება ქვეყანას რომლიდანაც დაინტერესებული ინდივიდი გაძევებული, გადაცემული ან ექსტრადირებულია, ასევე ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომლიდანაც განმცხადებელი შეიძლება შესაბამისად გაძევებულ იქნეს, გადაეცეს ან ექსტრადირებულ იქნეს.

3. 1 მუხლის შესაბამისად, მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფში მოცემული კრიტერიუმი “აღამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივი პრაქტიკა” შეეხება მხოლოდ დარღვევას, რომელიც ჩადენილია საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი პირის მიერ ან ასეთ პირთა წაქეზებით ან მდუმარე თანხმობით.

დასაშვებლობა

4. კომიტეტის აზრით, განმცხადებლის მოვალეობაა წარმოადგინოს საქმის აღძვრისათვის საჭირო საკმარისი სერიოზული მტკიცებულებები კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში, მისი შეტყობინების დასაშვებლობის მიზნით კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, და ამასთან შეასრულოს კომიტეტის საპროცედურო წესების 107-ე წესით გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნა.

შესაბამისობები

5. კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენებით შემთხვევის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი ეკისრება წარმოდგენილი არგუმენტირებული შემთხვევის ავტორს. აღნიშნული გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ავტორის პოზიციის ფაქტობრივი საკმაო საფუძველი, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეაგორებას.

6. იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილე სახელმწიფო და კომიტეტი ვალდებული არიან შეაფასონ თუ რამდენად რეალურია იმის საფუძველი, ირწმუნონ რომ განმცხადებელი იმყოფება წამების საშიშროების ქვეშ იქ სადაც იგი გააძვევს, გადასცეს ან ექსტრადირებულია, წამების რისკი უნდა შეფასდეს ჭეშმარიტი ეჭვის მიტანის თეორიის საფუძველზე. თუმცა, რისკი არ საჭიროებს მალაღ ალბათობაზე გადამოწმებას.

7. განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი იმყოფება წამების საფრთხეში და ამის

საფუძველი რეალურია აღწერილი გზით, და ეს საფრთხე არსებობს და პერსონალურ ხასიათს ატარებს. ყველა სათანადო ინფორმაცია შესაძლოა წარმოდგენილ იყოს და დაერთოს საქმეს რომელიმე მხარის მიერ.

8. შემდეგი ინფორმაცია სრულყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება სათანადოდ:

(ა) წარმოადგენს თუ არა დაინტერესებული ქვეყანა ერთ-ერთ მაგალითს, სადაც ხდება ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივი პრაქტიკა (იხ. მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფი)?

(ბ) აწამეს ან მოექცნენ თუ არა არაადამიანურად გამოძიების მიმდინარეობის დროს ან მისი უშუალო მიზეზით საჯარო მოხელის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი პირის მიერ ან ასეთ პირთა წაქეზებით ან მდუმარე თანხმობით? დადებითი პასუხის შემთხვევაში მოხდა თუ არა აღნიშნული ფაქტი ახლო წარსულში?

(გ) არსებობს თუ არა სამედიცინო ან სხვა დამოუკიდებელი დამადასტურებელი ფაქტორი, რომელიც მეტყველებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტის სასარგებლოდ, რომ წარსულში იგი აწამეს ან არაადამიანურად მოექცნენ? არსებობს თუ არა წამების შემდგომში გამოჩენილი შედეგები?

(დ) შეიცვალა თუ არა მდგომარეობა, რომელიც შეეხება ზემოთ (ა) ჩამოთვლილ ფაქტებს? შეიცვალა თუ არა შიდა სიტუაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით?

(ე) იყო თუ არა განმცხადებელი ჩაბმული პოლიტიკურ ან სხვა სახის საქმიანობაში დაინტერესებული ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ, რაც შეიძლება გამხდარიყო ამ პირის მოწვევადობის ფაქტორი წამების რისკის მიმართ იმ ქვეყანაში რომელიდანაც იგი გაძევებულ გადაცემულ ან ექსტრადირებულ იქნა?

(ვ) არსებობს თუ არა რაიმე მტკიცებულება განცხადებულის სარწმუნოების შესახებ?

(ზ) არსებობს თუ არა ფაქტობრივი შეუსაბამობები განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ შეტყობინებაში? თუ კი, რამდენად საფუძვლიანია ეს შეუსაბამობები?

9. იმის გათვალისწინებით, რომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი არ წარმოადგენს სააპელაციო ორგანოს, კვაზი-მართლმსაჯულებით ან ადმინისტრაციულ

ორგანოს, არამედ ის არის მონიტორინგის განმხორციელებელ სტრუქტურა, რომელიც შექმნილია თვითონ მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მხოლოდ მადეკლარირებული უფლებამოსილებით, იგი ახორციელებს შემდეგს:

(ა) მნიშვნელოვანი ყურადღება მიენიჭება კომიტეტის იურისდიქციის განხორციელებას, რომელიც წარიმართება კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, იპოვოს ფაქტები რომლებიც ჩადენილია მონაწილე სახელმწიფოთა სტრუქტურების მიერ, მაგრამ,

(ბ) კომიტეტს არ ეკისრება ვალდებულება ან არ გააჩნია რაიმე უფლებამოსილება გარდა კონვენციის 22-ე მუხლის მე-4 პარაგრაფში მოცემული სტატუსისა, დამოუკიდებლად შეაფასოს ფაქტები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სიტუაციის სრული გარკვევის საფუძველზე.

ბავშვთა უფლებათა კონვენცია

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 44/25. 1989 წლის 20 ნოემბერს

ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, 49-ე მუხლის შესაბამისად

[...]

მუხლი 2

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს ღონობენ დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებებისა და მრწამსის საფუძველზე.

[...]

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) ყოველი ბავშვი დაცული იყოს წამებისაგან, ან სხვა მკაცრი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან სხვა სასჯელისაგან. არც სიკვდილით დასჯა არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ

შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს;

ბ) არცერთ ბავშვს არ ადევნოს თავისუფლება უკანონო ან თვითნებური გზით. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ატუსაღოში ჩასმა ხორციელდება კანონის შესაბამისად და გამოიყენება მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში;

გ) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო, ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრის გზით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება დაუყოვნებლივ მიაღწიოს სამართლებრივ და სხვა შესაბამის დახმარებას, აგრეთვე უფლება გააპროტესტოს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლო ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი საპროცესო მოქმედების მიმართ.

[...]

მუხლი 43

1. ამ კონვენციის შესაბამისად მიღებული ვალდებულებების შესრულებაში მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით, ფუძნდება ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტში შედის ათი ექსპერტი, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ცნობილი არიან კომპეტენტურობით წინამდებარე კონვენციით მოცემულ სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი მოქალაქეებიდან და გამოდიან პირადად; ამასთანავე ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებაზე, აგრეთვე მთავარ უფლებრივ სისტემებზე.

[...]

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები იმის თაობაზე, თუ რა იღონეს კონვენციაში აღიარებული უფლებების დამკვიდრებისათვის და რა პროგრესს მიაღწიეს ამ უფლებათა განხორციელებაში:

ა) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;
ბ) შემდგომ ყოველ ხუთ წელიწადში.

2. ამ მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებული უნდა იყოს ფაქტორები და სირთულეები, თუ ასეთი რამ შეხვდათ, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე მოიცავენ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ უზრუნველყონ კომიტეტის მიერ მოცემულ ქვეყანაში კონვენციის მოქმედების სრული გაგება.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოველს მოცემულ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენის შემდგომ მოხსენებებში გაიმეორეს ადრე აღნიშნული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ კონვენციის განხორციელებას.

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით, ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ანსამბლეს.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროობას.

[...]

მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისთვის ეფექტური ხელშეწყობისა და ამ კონვენციით მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

ა) სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

სხვა ორგანოებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. თუ მიზანშეწონილად მიიჩნევა, კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გარეთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, რომ მათ წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გარეთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

ბ) კომიტეტი, როცა ამას მიზანშეწონილად მიიჩნევა, სპეციალიზებულ დაწესებულებებში, გარეთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში წარადგენს მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებებს, რომლებიც მოიცავენ თხოვნას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ ან მიუთითებენ ამის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნებისა და მითითებების თაობაზე;

გ) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ანსამბლეს წინადადება მისცეს გენერალურ მდივანს, მისი სახელით გამოიკვლიონ ცალკეული საკითხები, რომლებიც ბავშვის უფლებას ეხება;

დ) კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ანსამბლეს მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი რამ იქნება.

[...]

სამართალშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად

გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2106 (XX). 1965 წლის 21 დეკემბერს

ძალაში შევიდა 1969 წლის 4 იანვარს, 19-ე მუხლის შესაბამისად

[...]

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები გმობენ რასობრივ დისკრიმინაციას და ვალდებულებას იღებენ ყველა შესაძლო ხერხებით დაუყოვნებლივ გაატარონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა და ხელი შეუწიონ რასებს შორის ურთიერთგაგებას, და ამ მიზნით:

თითოეული მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას პირების, ჯგუფების ან დაწესებულებების მიმართ არ ჩაიდინოს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული აქტები ან ქმედებები და უზრუნველყოს როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ამ ვალდებულების შესაბამისად მოქმედება;

[...]

მუხლი 5

ამ კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნული ძირითადი მოვალეობების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებით შემდეგი უფლებების განხორციელებისათვის:

პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლება ძალადობისა და სხეულის დაზიანებებისაგან, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დაწესებულებები;

ზოგადი რეკომენდაცია №31 – რასობრივი დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ სისხლის სამართლის სამართალწარმოების სისტემის ადმინისტრირებისა და უწყვეტიობისას

(მიღებულია 2005 წლის 17 აგვისტოს)

[...]

შემდეგი რეკომენდაციები ფორმულირებულია და მიმართულია მონაწილე მხარე-სახელმწიფოებისადმი:

ურთიერთობის დროს, რომლებიც მოხსენიებულია პრეამბულის ბოლო პარაგრაფში;

I. ზოგადი ზომები

I.1 ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას რასობრივი დისკრიმინაციის არსებობისა და მისი ხარისხის შესაფასებლად სისხლის სამართლის საქმეთა ადმინისტრირების და სამართალწარმოების დროს და იმ ინდიკატორების დასადგენად, რომელიც დაამოწმებს ამგვარ დისკრიმინაციას

A. ფაქტობრივი ინდიკატორები:

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უდუდესი ყურადღება უნდა მიაქციონ რასობრივი დისკრიმინაციის შემდეგ შესაძლო ინდიკატორებს:

1.1. კონვენციის პრეამბულის ბოლო პარაგრაფში მოხსენიებულ ჯგუფებს მიეკუთვნებულ პირთა რაოდენობა და პროცენტული შემადგენლობა, რომლებიც წარმოადგენენ აგრესიის ან სხვა სამართალდარღვევის მსხვერპლებს, განსაკუთრებით როდესაც ეს ქმედებები ჩადენილია პოლიციის თანამშრომელთა ან სხვა საჯარო მოხელეთა მიერ;

1.2. ქვეყანაში რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებული საჩივრების, გამოძიებებისა და გასამართლებების ფაქტების არარსებობა ან მცირე რაოდენობა. ასეთი სტატისტიკა არ უნდა იქნეს განხილული, როგორც აუცილებლად პოზიტიური, განსხვავებით ზოგიერთი სახელმწიფოს მოსაზრებისა. ასევე გამოვლენილია, რომ მსხვერპლებს ან არ გააჩნდათ ადეკვატური ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, ან ისინი იმყოფებიან სოციალური ცენზურის, პოლიტიკური რეპრესალების, ან იმის შიშის გავლენის ქვეშ, რომ მსხვერპლის შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე იურიდიული პროცედურების ღირებულებისა და სირთულის გამო ვერ შესძლებენ ამ უფლებების დაცვას; ან პოლიციისა და სასამართლო ინსტიტუტების მიმართ არის დაბალი ნდობა; ან სახელმწიფო სტრუქტურები არასაკმარისად არიან მომზადებულნი ასეთი დანაშაულის და მათ შორის რასიზმის აღსაკვეთად.

1.3. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების მიერ მათივე ქცევის შესახებ ინფორმაციის არასაკმარისი ან საერთოდ არ ფლობა იმ პირებთან უშუალო

14. დანაშაულის პროპორციულად მაღალი ღირებულება, ჩადენილი იმ პირთა მიერ, რომლებიც მიეკუთვნებიან ისეთ ჯგუფებს, განსაკუთრებით რომლებიც ჩადიან ქუჩის დანაშაულს, ნარკოტიკულ დანაშაულთან და პროსტიტუციასთან დაკავშირებულ ქმედებებს, როგორც ექსკლუზიის ინდიკატორები ან ასეთ პირთა საზოგადოებაში არა-ინტეგრირებულობა;

1.5. იმ პირთა რაოდენობა და პროცენტულობა, რომლებიც მიეკუთვნებიან იმ ჯგუფებს, რომლებიც იმყოფებიან ციხეებში ან პრევენციული დაკავების ადგილებში, მათ შორის ინტერნირების ცენტრებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ან აეროპორტების მიმდინარე ტერიტორიებზე;

1.6. სასამართლოების მიერ იმ პირთა მიმართ მკაცრი ან შეუსაბამო განაჩენების გამოტანა, რომლებიც მიეკუთვნებიან ასეთ ჯგუფებს;

1.7. ასეთ პირთა არასაკმარისი წარმომადგენლობითობა, მათ რიგებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ პოლიციის ჩინოსნებს, მართლმსაჯულების სისტემას, მსაჯულებს და სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებს.

2. იმისათვის, რომ აღნიშნული ფაქტობრივი ინდიკატორები საყოველთაოდ ცნობილი და გამოყენებული იყოს, მონაწილე სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ რეგულარულად და საჯაროდ შეაგროვონ ინფორმაცია პოლიციის, სასამართლოს და პენიტენციური დაწესებულებებიდან; ასევე საიმპერაციო სამსახურებიდან და ამ დროს დაიცვან კონფიდენციურობა, ანონიმურობა და პირადი ინფორმაციები.

3. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია რასიზმისა და ქსენოფობიის შემთხვევათა საჩივრების, გამოძიებისა და სამართალწარმოების შესახებ; ასევე ასეთი აქტების განხორციელების შემთხვევაში მსხვერპლის კომპენსაციის მექანიზმების შესახებ, მიუხედავად იმისა კომპენსაციის გადახდა ეკისრება სამართალდამრღვევს, რომელმაც ჩაიდინა ეს ბოროტმოქმედება, თუ სახელმწიფო კომპენსაციის გეგმას, რომელიც ფინანსდება საზოგადოებრივი წყაროებიდან.

B. საკანონმდებლო ინდიკატორები

რასობრივი დისკრიმინაციის პოტენციური შემთხვევების ინდიკატორად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

1. შიდა კანონმდებლობის ნებისმიერი შეუსაბამობა რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მონაწილე მხარეებმა თავიანთი კანონმდებლობა სრულად უნდა შეუსაბამონ კონვენციის მე-4 მუხლს და დანაშაულად გამოაცხადონ რასიზმის ნებისმიერი გამოვლინება, როგორც აღწერილია ამ მუხლში, განსაკუთრებით კი რასობრივი უპირატესობების შესახებ იდეების გავრცელება, რასობრივი შეუღლის გაღვივება, რასობრივი ძალადობა ან რასობრივი ძალადობის წაქეზება, ასევე რასობრივი პროპაგანდისაკენ მიმართული საქმიანობები, რასისტულად განწყობილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მონაწილე სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ მათ შესაბამის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაითვალისწინონ ზომები იმ სამართალდარღვევათა ეფექტების შესახებ, რომლებიც შეეხება რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულს და გამოაცხადონ აღნიშნული დამამძიმებელ გარემოებად.

2. არსებული შიდა კანონმდებლობის პოტენციური არაპირდაპირი დისკრიმინატორული ეფექტი, კერძოდ კანონმდებლობა ტერორიზმის, იმიგრაციის, მოქალაქეობის, მოქალაქეობის არმქონე პირთა ქვეყნიდან დეპორტაციის შესახებ, ასევე კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს - გარკვეული ჯგუფების ან გარკვეული თანამეგობრობების წევრების მიმართ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სახელმწიფოებმა უნდა გამოიხატონ გზები რათა მოახდინონ ამგვარი კანონმდებლობიდან დისკრიმინატორული ეფექტების ელიმინაცია და ნებისმიერ შემთხვევაში პატივი სცენ პროპორციულობის პრინციპს მისი გამოყენების დროს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან პრეამბულის ბოლო პარაგრაფში მოხსენიებულ კატეგორიებს.

[...]

ზოგადი რეკომენდაცია №30: მოქალაქეობის არმქონე პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ

01/10/2004

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი,

[...]

იძლევა რეკომენდაციას,

იმ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, რომ კონვენციაში მონაწილე სახელმწიფო, მათი სპეციფიკური მდგომარეობის შესაბამისად ატარებს შემდეგ ზომებს:

II. ზოგადი ხასიათის ღონისძიებები

6. გადახედონ და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ კანონმდებლობა კონვენციასთან, განსაკუთრებით მე-5 მუხლში აღწერილ დებულების სარგებლობის უფლებასთან, დისკრიმინაციის გარეშე;

7. უზრუნველყონ, რომ რასობრივი დისკრიმინაციის უზრუნველყოფელი საკანონმდებლო გარანტიები გამოყენებადი იყოს მოქალაქეობის არმქონე პირების მიერაც, მიუხედავად ასეთ მოქალაქეთა საიმიგრაციო სტატუსისა; და ამასთან კანონმდებლობის იმპლემენტაციას არ უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის არმქონე პირთათვის დისკრიმინაციული ხასიათი;

8. დიდი ყურადღება გამოიჩინონ მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ მრავლობითი დისკრიმინაციის ფაქტების მიმართ, განსაკუთრებით მოქალაქეობის არმქონე მომუშავე პირთა ბავშვების და მეუღლეების მიმართ; თავი შეიკავონ მოპყრობისა და დამოკიდებულების განსხვავებული სტანდარტების გამოყენებისაგან მოქალაქეობის არმქონე პირთა მეუღლე - ქალებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მეუღლე - მამაკაცების მიმართ; მოახდინონ ნებისმიერი ამგვარი პრაქტიკის შეტყობინება და გაატარონ ამ მიმართულებით ყველა აუცილებელი ზომა;

9. უზრუნველყონ, რათა საიმიგრაციო პოლიტიკას არ ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული რასა, კანის ფერი, შთამომავლობა, ეროვნება ან ეთნიკური წარმომავლობა;

10. უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც გატარდება ტერორიზმის წინააღმდეგ, არ გამოიწვევს მისი მიზნისა და შედეგიდან გამომდინარე მოქალაქეობის არმქონე პირთა დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, შთამომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით, ასევე არ მოხდება ამ პირთა დაჯგუფებული განხილვა რასობრივი ან ეთნიკური სტერეოტიპების მიხედვით.

[...]

16. შეამცირონ მოქალაქეობის არმქონეობა, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, რაც დაეხმარება მათ მშობლებს მოითხოვონ მოქალაქეობა მათთვისაც და ასევე საშუალება მისცენ ორივე მშობელს გადასცენ მათი მოქალაქეობა ბავშვებს;

17. დაარეგულირონ ყოფილ მოქალაქეთა და წინამორბედი ქვეყნის მოქალაქეთა სტატუსი, რომლებიც ამჟამად მოქცეულნი არიან მონაწილე მხარე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ;

V. მართლმსაჯულების წარმოება

18. უზრუნველყონ რათა მოქალაქეობის არმქონე პირებმა ისარგებლონ თანაბარი დაცვით და კანონის წინაშე თანაბრად იყვნენ აღიარებულნი, და ამ კონტექსტში წინ აღუდგნენ რასობრივი მოტივაციით განხორციელებულ ძალადობას; უზრუნველყონ მსხვერპლთა მიერ ეფექტური ლეგალური კომპენსაციის ხელმისაწვდომობა და უფლება მოიძიონ სწორი და ადეკვატური რეპარტაცია ძალადობის შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზარალის შემთხვევაში;

19. უზრუნველყონ მოქალაქეობის არმქონე პირთა უსაფრთხოება, განსაკუთრებით დაუსაბუთებელი დაკავების შემთხვევებისას; ასევე უზრუნველყონ, რომ ლტოლვილთა და თავშესაფარის მაძიებელთა ცენტრებში არსებული პირობები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

20. უზრუნველყონ, რათა მოქალაქეობის არმქონე პირთა დაკავების ან დაპატიმრებისას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, ამ პირთა დაცვა სათანადოდ იქნება გარანტირებული შიდა კანონმდებლობით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, ლტოლვილთა და ჰუმანიტარულ კანონმდებლობის სტანდარტებს;

21. შეებრძოლონ მოქალაქეობის არმქონე პირებისადმი არაადეკვატურ მოპყრობას და დისკრიმინაციას პოლიციის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა, ასევე საჯარო მოხელეთა მხრიდან, რომლებმაც ზუსტად უნდა გამოიყენონ შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და სანქციები; სახელმწიფომ უნდა ასევე უზრუნველყოს, რომ ოფიციალურ პირებს, რომლებსაც აქვთ შესება მოქალაქეობის არმქონე პირებთან, გავლილი ჰქონდეთ

შესაბამისი ტრენინგები, მათ შორის ადამიანის უფლებათა სფეროში;

22. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეიტანონ დებულებები, რომლებიც აღკვეთავენ რასისტული მოტივაციის დანაშაულს ან დააწესებენ დამამძიმებელ გარემოებას მათთვის ვინც ასეთ დანაშაულს ჩაიდენს ამ უკანასკნელთა უფრო მკაცრად დასჯის მიზნით;

23. უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ წარდგენილი საჩივარი რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ გამოძიებული იქნება და საჩივრები, ოფიციალური ორგანოების მიმართ, რომელიც აშკარად შეიცავს დისკრიმინაციულ ან რასისტულ ელემენტებს გამოძიებულ იქნება მიუკერძოებლად ეფექტურად და ყურადღებით;

24. დაარეგულირონ მტკიცებულების ტვირთი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მათ შორის დისკრიმინაციისას, რომელიც ეფუძნება რასობრივ, კანის ფერის, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობის საფუძველს იმგვარად, რომ მას შემდეგ, რაც მოქალაქეობის აქმქონე პირი წარადგენს prima facie შემთხვევას, რომლის მიხედვითაც დასტურდება რომ იგი წარმოადგენს ამგვარი დისკრიმინაციის მსხვერპლს, მან უნდა წარმოადგინოს საკმარისი და ობიექტური ახსნა-განმარტებითი საფუძველი.

VI. მოქალაქეობის არმქონე პირთა გაძევება და დეპორტაცია

25. უზრუნველყონ, რომ კანონები დეპორტაციის ან მოქალაქეობის არმქონე პირთა ამ იურისდიქციიდან სხვა ფორმებით გასვლის შესახებ არ ატარებდნენ დისკრიმინაციულ ხასიათს; სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს ამ პირთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის ნიშნით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებს უნდა გააჩნდეთ ეფექტური საკომპენსაციო მექანიზმები, მათ შორის გაასაჩივრონ გაძევების ორდერები და ხელი მიუწვდებოდეთ ეფექტური კომპენსაციის მისაღებად;

26. უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები არ წარმოადგენენ კოლექტიური გაძევების სუბიექტებს, განსაკუთრებით იმ სიტუაციებში, როდესაც არ არსებობს საკმარისი გარანტიები რომლის მიხედვითაც პირადი გარემოებები თითოეული ამ პირისა მხედველობაში იქნება მიღებული;

27. უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები არ იქნებიან დაბრუნებულნი ან გაძევებულნი იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე,

სადაც ისინი აღმოჩნდებიან ადამიანის უფლებათა დარღვევის სერიოზული რისკის ქვეშ, მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა წამების, სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის რისკი;

28. თავი შეიკავონ მოქალაქეობის არმქონე პირთა, განსაკუთრებით ხანგრძლივად მცხოვრები რეზიდენტების გაძევებისაგან, რაც გამოიწვევს ოჯახური ცხოვრების უფლებაზე დისპროპორციულ გავლენას;

VII. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები

[...]

34. გაატარონ ეფექტური ზომები რათა მოახდინონ იმ სერიოზულ პრობლემათა პრევენცია და გამოსწორება, რომლებიც შეეხება მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუშაობენ, განსაკუთრებით - მოქალაქეობის არმქონე შიდა მომუშავე პერსონალის, მათ შორის ვალით დამოკიდებულება, პასპორტის ჩამორთმევა, არაკანონიერი დაკავება, გაუპატიურება და ფიზიკური ძალადობა;

[...]

36. უზრუნველყონ, რომ მონაწილე სახელმწიფო პატივს სცემს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ადეკვატურ სტანდარტებზე, *inter alia*, და თავი შეიკავონ პრევენციული, სამკურნალო და პალიატიური მოვლის მომსახურების შეზღუდვის ან მოსპობისაგან;

[...]

**ზოგადი რეკომენდაცია №13:
სამართალდამცავი სტრუქტურების
თანამშრომელთა მომზადება ადამიანის
უფლებათა დაცვის სფეროში**

21/03/93

1. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლის 1 პარაგრაფის შესაბამისად, მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, რომ ყველა ეროვნული და ადგილობრივი საჯარო სამსახური და საჯარო დაწესებულება, არ გამოიყენებს რასობრივი დისკრიმინაციის არანაირ პრაქტიკას; აქედან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ კონვენციის მე-5 მუხლით

განმტკიცებული გარანტიები და არ დაუშვან დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით.

2. აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულება მეტწილად დამოკიდებულია ეროვნული სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობაზე, რომლებიც ფლობენ პოლიციურ ძალას, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ევალება დაკავება და დაპატიმრება და ისინი საკმარისად უნდა იყვნენ იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც ნაკისრი აქვს მათსავე ქვეყანას და რომელიც განმტკიცებულია კონვენციით. სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ინტენსიური ტრენინგები რათა მათი მოვალეობების შესრულებისას უზრუნველყოფილი იყოს ამ მოვალეობებისადმი პატივისცემა; ასევე ადამიანის ღირსების დაცვა, მათი უფლებების უზრუნველყოფა ნებისმიერი ადამიანისათვის განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობისა.

3. კონვენციის მე-7 მუხლის იმპლემენტაციისათვის, კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს გადახედონ და გააუმჯობესონ მათსავე ქვეყნებში სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა ტრენინგება, იმისათვის, რომ შესრულდეს კონვენციის სტანდარტები და ასევე 1979 წელს მიღებული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსი. შესაბამისი ინფორმაცია მხარეებმა უნდა ჩართონ პერიოდულ ანგარიშებში.

**ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის კონვენცია**

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 34/180. 1979 წლის 18 დეკემბერი

ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, 27(1)-ე მუხლის შესაბამისად

[...]

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება “დისკრიმინაცია ქალთა მიმართ” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა

თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, - მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას.

[...]

მუხლი 17

1. ამ კონვენციის შესრულების მიმდინარეობის განსახილველად ფუნქცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში კომიტეტად წოდებული). იგი კონვენციის ძალაში შესვლის მომენტში შედგება თვრამეტი, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან შეერთების შემდეგ, ოცდასამი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი მორალური თვისებები და კომპეტენტური არიან სფეროში, რომელსაც ეს კონვენცია მოიცავს. ამ ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთაგან და მოქმედებენ დამოუკიდებლად, ამასთან გაითვალისწინება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციის, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

[...]

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ განხორციელებს ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მიადწიეს;

ა) დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

ბ) ამის შემდეგ სულ ცოტა ყოველი ოთხი წლის მერე და შემდგომში, როცა ამას კომიტეტი მოითხოვს.

2. მოხსენებებში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

[...]

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად მართავს სხდომებს, როგორც წესი, არაუხანგრძლივებს, ვიდრე ორკვირიანს, რათა განიხილოს მოხსენებები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 21

1. კომიტეტი ყოველწლიურად ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით წარუდგენს მოხსენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას თავისი საქმიანობის შესახებ და შეუძლია შეიტანოს ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება მონაწილე სახელმწიფოსაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლაზე, ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი რამ იყო.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის ქალთა მდგომარეობის კომისიას.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთ წინადადებათა განხორციელების საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს შესთავაზოს წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ ისეთ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის.

ზოგადი რეკომენდაცია №19: (II სესია, 1992) ძალადობა ქალთა წინააღმდეგ

შესავალი

1. გენდერზე დაფუძნებული ძალადობა წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას ისარგებლონ უფლებებითა და თავისუფლებებით, მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე.

2. 1989 წელს, კომიტეტმა სახელმწიფოებს მისცა რეკომენდაცია, რათა ამ უკანასკნელებმა თავის

ანგარიშებში მოიცვან ინფორმაცია ძალადობის და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც სახელმწიფოთა მიმართ მიმართულია ამ პრობლემასთან გასამკლავებლად (ზოგადი რეკომენდაცია 12, მერვე სესია).

3. 1991 წელს, მე-10 სესიაზე გადაწვდა, მე-11 სესიის ნაწილი დათმობდა კონვენციის მე-6 და სხვა მუხლების შესწავლასა და განხილვას, რომლებიც შეეხება ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, ასევე სქესობრივ ძალადობას და ქალის ექსპლუატაციას. აღნიშნული თემატიკა წინასწარ შეირჩა 1993 წლის მსოფლიო კონფერენციისათვის “ადამიანის უფლებათა შესახებ”; და შესაბამისად აისახა გენერალური ასამბლეის 1990 წლის 19 დეკემბრის 45/155 რეზოლუციაში.

4. კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ყველა ანგარიში არ ასახავს ადეკვატურად ქალთა წინააღმდეგ წარმოებულ დისკრიმინაციას, გენდერულ ძალადობას და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს. კონვენციის სრული იმპლემენტაცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვს რათა ამ უკანასკნელებმა დასახონ პოზიტიური ღონისძიებები რათა აღმოფხვრიდ იქნას ყველა ფორმის ძალადობა ქალთა მიმართ.

5. კომიტეტი ურჩევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ ამ უკანასკნელებმა საკუთარი კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხილვისას, ასევე კონვენციის შესაბამისად ანგარიშების წარდგენის დროს, გაითვალისწინონ, კომენტარები, რომლებსაც შეიმუშავებს კომიტეტი გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით.

6. კონვენციის 1 მუხლში განმარტებულია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის დეფინიცია მოიცავს გენდერულ ძალადობას, რომელიც წარმოადგენს ძალადობის ფორმას, მიმართულს ქალის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი ქალია ან აღნიშნული ხელს უშლის დისპროპორციულობას. მუხლი ასევე ითვალისწინებს ფიზიკურად, გონებრივად ან სქესობრივი გზებით მიყენებად აქტებს, ამ აქტებზე მუქარას, იძულებას და თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებს. გენდერულ ძალადობას შეიძლება მივაკუთვნოთ კონვენციის სპეციფიკური დებულებებიც, მიუხედავად იმისა აღნიშნული ჩანაწერები გამოხატულად შეიცავენ ძალადობას თუ არა.

7. გენდერული ძალადობა, რომელიც აუძღურებს ან სპობს ქალის მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით

სარგებლობის შესაძლებლობას, რაც გარანტირებულია ზოგადი საერთაშორისო კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციებით, წარმოადგენს დისკრიმინაციას კონვენციის 1 მუხლის შესატყვისად.

უფლებები და თავისუფლებები მოიცავს:

- (ა) სიცოცხლის უფლება;
- (ბ) უფლება არ დაექვემდებარონ წამებას ან სხვა სახის სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას;
- (გ) თანასწორი დაცვის უფლება ჰუმანიტარული ნორმების მიხედვით საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტების დროს;
- (დ) პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
- (ე) კანონის წინაშე თანასწორი დაცვის უფლება;
- (ვ) ოჯახში თანასწორობის უფლება;
- (ზ) უფლება - ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებისადმი;
- (თ) უფლება - შრომის და მუშაობის ხელსაყრელ პირობებზე.

8. კონვენცია გამოიყენება საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი ძალადობის მიმართ. ძალადობის ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ზოგადი სამართლით და სხვა კონვენციებით ნაკისრი ქვეყნის ვალდებულება; გარდა ამისა ამით ირღვევა წინამდებარე კონვენციაც.

9. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობების ან მათი სახელით ჩადენილი დისკრიმინაცია ამ კონვენციის მიხედვით არ არის შეზღუდული (იხ. მუხლი 2(ე), 2(ვ) და 5). მაგალითად, კონვენციის მე-2(ე) მუხლის მიხედვით, დოკუმენტი მოუწოდებს სახელმწიფოებს გაატარონ ყველა შესაბამისი ზომები აღმოფხვრან ყველა სახის დისკრიმინაცია ქალის წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ. ზოგადი საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სპეციფიკური პაქტების მიხედვით, სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია იმ კერძო ქმედებებზეც, რომელიც არღვევს სავალდებულო ძალისხმევას აღმოფხვრას უფლებათა დარღვევები ან გამოიძიოს და დასაჯოს ძალადობის ფაქტები; ასევე გასცეს კომპენსაცია.

კომენტარები კონვენციის მე-2 და მე-3 სპეციფიკურ მუხლებზე

10. მე-2 და მე-3 მუხლები აწესებენ სრულყოფილ ვალდებულებებს აღმოფხვრას ძალადობა ნებისმიერი მისი ფორმით, დამატებით იმ სპეციფიკური ვალდებულებებისაგან რაც გათვალისწინებულია 5-16 მუხლებით.

მუხლი 2(ე), 5 და 10 (ვ)

11. ტრადიციული დამოკიდებულებები, რომელთა თანახმადაც ქალი სუბორდინაციულ დამოკიდებულებაშია მამაკაცთან, ან მას გააჩნია სტერეოტიპული როლი, განმტკიცებულია ფართო პრაქტიკით, რომელიც მოიცავს ძალადობას ან იძულებას, მაგალითად ოჯახურ ძალადობას, იძულებით ქორწინებას, იძულებით სიკვდილს და ქალის წინადაცვეთას. აღნიშნული ცრუ შეხედულება და პრაქტიკა გარკვეულწილად განაპირობებს გენდერულ ძალადობას, როგორც ქალის დაცვის ან კონტროლის ფორმას. ამგვარი ძალადობის ეფექტი ქალის ფიზიკურ და გონებრივ ერთიანობაზე წარმოადგენს ქალსა და მამაკაცს შორის ადამიანის უფლებებითა და ძირიადი თავისუფლებებით სარგებლობის თანაბარი უფლების შელახვას. მაშინ, როცა ეს კომენტარი ძირითადად შეეხება არსებულ ძალადობას ან მის საფრთხეს, როგორც გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ფორმას, იგი ხელს უწყობს ქალის სუბორდინაციული როლის გაგრძელებას და მოითხოვს საკანონმდებლო დონეზე პოლიტიკური ნების გამოხატვას; ასევე მის ასახვას დაბალ საგანმანათლებლო დონეზე, უნარებზე და შრომით შესაძლებლობებზე.

12. ეს დამოკიდებულებები ასევე ხელს უწყობს პორნოგრაფიის გავრცელებას და ქალის, არა როგორც ინდივიდის, არამედ როგორც სქესობრივი ობიექტის სხვა სახით კომერციულ ექსპლუატაციას. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ქმნის გენდერულ ძალადობას.

მუხლი 6

13. მე-6 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაატარონ ყოველგვარი ღონისძიებები რათა აკრძალონ ქალებით ვაჭრობა და ქალთა პროსტიტუციით ექსპლუატაცია

14. სიღარიბე და უმუშევრობა ზრდის ქალთა ტრეფიკინგის შესაძლებლობას. გარდა ტრეფიკინგის არსებული ფორმებისა, არსებობს სქესობრივი ექსპლუატაციის ახალი ფორმები, მაგალითად სექს-ტურიზმი, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებადი ქვეყნების შიდა შრომით ბაზარში ქალთა ჩაბმა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელი ქალების ორგანიზებული ქორწინებები უცხო

ქვეყნის მოქალაქეებზე. აღნიშნული პრაქტიკა არათავსებადია ქალთა უფლებების თანაბარი სარგებლობის და ქალთა უფლებების და მათი ღირსების პატივისცემის ასპექტებთან. ეს პრაქტიკა ქალებს აყენებს ძალადობის და ბოროტად მოპყრობის სპეციფიკური რისკის პირობებში.

15. სიღარიბე და უმუშევრობა უბიძგებს მრავალ ქალს, მათ შორის ახალგაზრდა გოგონებს ჩაებან პროსტიტუციაში. პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები კი ქმნიან განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას ძალადობისათვის, ვინაიდან მათი სტატუსი, რომელიც შესაძლოა იყოს არალეგალური, უბიძგებს ასეთ ქალებს მარგინალიზაციისაკენ. ამ კატეგორიის ქალებს ესაჭიროებათ კანონის ძალით თანასწორი დაცვა გაუპატიურების და ძალადობის სხვა ფორმებისაგან.

16. ომები, შეიარაღებული კონფლიქტები და ტერიტორიათა ოკუპაციები სშირად იწვევს პროსტიტუციის, ტრეფიკინგის და ქალთა სქესობრივი შეურაცხოფის დონის ზრდას, რასაც ესაჭიროება სპეციფიკური დაცვის მექანიზმები და სადამსჯელო ღონისძიებები.

მუხლი 11

17. დასაქმებისას თანასწორობამ შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ქალის გენდერული ძალადობის ობიექტად ქცევაზე, მაგალითად სამუშაო ადგილზე სქესობრივი გარყვნილობის ფორმების არსებობა.

18. სქესობრივი გარყვნილობები მოიცავს ისეთ მიუღებელ სქესობრივ ქცევებს, როგორცაა ფიზიკური კონტაქტი და სხვა სახის სქესობრივი ქცევები, პორნოგრაფიის ჩვენება და სქესობრივი მოთხოვნილებების დაკამეოფილება სიტყვიერი გზით ან საქციელით. აღნიშნული ქცევა შესაძლებელია იყოს შეურაცხმყოფელი და მას თან ახლავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის სარისკო პრობლემები; დისკრიმინაციულად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ქალს აქვს საკმარისი საფუძველი ირწმუნოს, რომ მის მიერ არასასურველ ქმედებაზე უარის თქმა შეიძლება არაკეთილსაიმედოდ აისახოს მის სამსახურობრივ მდგომარეობაზე, მათ შორის მის დასაქმებაზე ან პრომოციაზე ან მისთვის კეთილგანწყობილ სამუშაო გარემოს ფორმირებაზე.

მუხლი 12

19. მე-12 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაატარონ ზომები, რათა უზრუნველყონ ჯანმრთელობის

დაცვის მიმსახურებებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა. ქალთა წინააღმდეგ ძალადობა იწვევს ამ უკანასკნელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებას.

20. ზოგიერთ ქვეყანაში, არსებობს ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც განმტკიცებულია კულტურული და ტრადიციული ასპექტებით და რომელიც საშიშია ქალის და ბავშვის ჯანმრთელობისათვის. აღნიშნული პრაქტიკა მოიცავს ორსული ქალის დიეტურ შეზღუდვას, მამრობითი სქესის შვილისათვის უპირატესობის მინიჭება და ქალთა წინადაცვეთა ანუ გენიტალური დასახინრება.

მუხლი 14.

21. სოფლად მცხოვრები ქალები იმყოფებიან გენდერული ძალადობის მომეტებული რისკის ქვეშ, ვინაიდან სოფლის თანასაზოგადოებებში არსებობს ტრადიციული დამოკიდებულებები, რაც მდგომარეობს ქალის სუბორდინაციულ როლში. ასეთი სოფლის თანასაზოგადოებებიდან გამოსული გოგონები იმყოფებიან ძალადობის და სქესობრივი ექსპლუატაციის სპეციალური რისკის პირობებში, როდესაც ისინი ტოვებენ სოფლის თანამეგობრობებს და მიდიან ქალაქებში სამსახურის საძებნელად.

მუხლი 16 (და მუხლი 5)

22. სავალდებულო სტერილიზაცია და აბორტები უარყოფითად მოქმედებენ ქალის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობაზე და არღვევენ ქალის უფლებას გადაწყვიტოს მისი შვილების რაოდენობა და განთავსება.

23. ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას. აღნიშნული პრაქტიკა არსებობს ყველა სოციალურში. ოჯახური დამოკიდებულების პირობებში, ყველა ასაკის ქალი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახის ძალადობის სუბიექტი; მათ შორისაა ცემა, გაუპატიურება, სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმები, ფსიქიკური და სხვა ფორმის ძალადობა. აღნიშნული პრაქტიკა ხშირად ტრადიციული შეხედულებებითაა განმტკიცებული. ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბალი დონე მრავალ ქალს უბიძგებს დარჩნენ ამგვარ ძალადობრივ დამოკიდებულებაში. ოჯახური მოვალეობების შესრულებაზე უარის თქმა მამაკაცის მხრიდან შეიძლება ჩაითვალოს ძალადობის და იძულების ფორმად. ძალადობის ამგვარი ფორმები ქალის ჯანმრთელობას აყენებს რისკის ქვეშ და

ზღუდავს მის უნარს მონაწილეობა მიიღოს ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორობის პრინციპით.

სპეციალური რეკომენდაცია

24. აღნიშნული კომენტარების შუქზე, ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიეტეტი იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

(ა) სახელმწიფო მხარეებმა უნდა გაატარონ შესაბამისი და ეფექტური ზომები, რათა დაძლიონ გენდერული ძალადობის ყველა ფორმა, ჩადენილი როგორც ოფიციალურ, ისე კერძო პირთა მიერ;

(ბ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის, გაუპატიურების, სქესობრივი იძულების და სხვა სახის გენდერული ძალადობის შესახებ ადგენდეს ყველა ქალის ადეკვატურ დაცვას და მათი ერთიანობის და ღირსების პატივისცემას. მსხვერპლთა მიმართ უნდა დადგინდეს ასევე შესაბამისი დამცველობითი და მხარდაჭერითი მომსახურებები. კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სამართალდამცავ, მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა ტრენინგები სპეციფიკურ გენდერულ საკითხებზე;

(გ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა აწარმოონ სტატისტიკა და კვლევა ძალადობის მოცულობის, მიზეზებისა და ეფექტების შესახებ და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს ძალადობის პრევენციისა და მასთან გამკლავებისათვის;

(დ) გადადგმულ უნდა იყოს ეფექტური ნაბიჯები რათა უზრუნველყოფილი იყოს მედიის საშუალებების მიერ ქალისადმი პატივისცემა და ამ პატივისცემის ხელშეწყობა;

(ე) სახელმწიფო მხარეებმა თავიანთ მოხსენებებში უნდა ჩამოაყალიბონ მიდგომების ბუნება და მოცულობა, ასევე წეს-ჩვეულებები და ის პრაქტიკა, რომელიც განამტკიცებს ქალთა წინააღმდეგ ძალადობას და მისგან გამომდინარე შედეგებს. მათ უნდა ასახონ ანგარიშში ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გაატარეს ძალადობის გადალახვის მიმართულებით და ამ ღონისძიებათა მიერ გამოღებული შედეგები;

(ვ) გატარებულ უნდა იქნას ეფექტური ღონისძიებები, რათა დაიძლოს არსებული შეხედულებები და პრაქტიკა. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო და

საზოგადოებრივი ინფორმირების პროგრამები რათა დაეხმაროს მცდარი შეხედულებების აღმოფხვრას, რაც ზღუდავს ქალთა თანასწორობას (რეკომენდაცია №3, 1987);

(ზ) ტრეფიკინგისა და სქესობრივი ექსპლუატაციის პრობლემის დასაძლევად საჭიროა სპეციფიკური პრევენციული და სადამსჯელო ღონისძიებების შემოღება;

(თ) სახელმწიფო მხარეებმა თავიანთ ანგარიშებში უნდა აღწერონ ყველა ამ პრობლემის არსი და გატარებული ღონისძიებები, მათ შორის სადამსჯელო ღონისძიებები, პრევენციული და სარეაბილიტაციო ზომები, რომლებიც მიღებულ იქნა იმ ქალთა დასაცავად, რომლებიც ნაბმულნი არიან პროსტიტუციაში ან წარმოადგენენ ტრეფიკინგის და სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმების მსხვერპლებს. ასევე უნდა აღიწეროს ამ ღონისძიებათა ეფექტურობა;

(ი) უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჩივრის წარდგენის ეფექტური პროცედურები და საშუალებები, მათ შორის საკომპენსაციო მექანიზმები;

კ) სახელმწიფო მხარეებმა ანგარიშში უნდა ასახონ ინფორმაცია სქესობრივი იძულების და სამუშაო ადგილზე ამ იძულებისაგან ქალთა დაცვის ფორმების შესახებ;

(ლ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა დააწესონ და მხარი დაუჭირონ ოჯახური ძალადობის, გაუპატიურების, სქესობრივი იძულების და გენდერული ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლთა, მათ შორის ღტოლვილების, მხარდაჭერის სამსახურებს, სპეციალურად მომზადებული ჯანდაცვის მუშაკებით, რეაბილიტაციისა და კონსულტაციების გზით;

(მ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები რათა გადალახულ იქნას ამგვარი პრაქტიკა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ანგარიშის მომზადებისას, მხედველობაში უნდა მიიღონ ქალთა წინადაცვეთის შესახებ (რეკომენდაცია №14) კომიტეტის რეკომენდაცია;

(ნ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა გაატარონ ზომები რათა აღიკვეთოს ნაყოფიერებასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებული იძულების სახეები, ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ ქალები იძულებულნი არ ხდებიან რათა ეძებონ არა უსაფრთხო სამედიცინო პროცედურები, როგორცაა კრიმინალური აბორტი,

ნაყოფიერების კონტროლისათვის საჭირო შესაბამისი მომსახურებების არასაკმარისობის გამო;

(ო) სახელმწიფო მხარეებმა მათ ანგარიშებში უნდა ასახონ პრობლემის მოცულობა და უნდა მიუთითონ ღონისძიებებზე რომლებიც გატარებულ იქნა და ამ ღონისძიებათა შედეგები;

(პ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ის სამსახურები, რომლებიც შექმნილია ძალადობის მსხვერპლთათვის, ხელმისაწვდომი იქნება იმ ქალებისათვის, რომლებიც განეკუთვნებიან სოფლის მეცხოვრებლებს და ასევე იარსებებს სპეციალური მომსახურების სახეები რომელსაც მიიღებენ იზოლირებული თანამეგობრობების წევრი ქალები;

(ჟ) ღონისძიებები მათი ძალადობისაგან დასაცავად, უნდა მოიცავდეს ტრენინგებს და დასაქმების საშუალებებს; ასევე შიდა მოსამსახურეთა ბაზარზე დასაქმების პირობების მონიტორინგს;

(რ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა ასახონ ანგარიშებში ის რისკები, რომელიც არსებობს სოფლად მეცხოვრები ქალებისათვის, ძალადობის მოცულობისა და ბუნების შესახებ და ძალადობის ის სახეები, რომელთა მსხვერპლნიც ისინი შეიძლება გახდნენ; მათი საჭიროებები, მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობა; ასევე ძალადობის დასაძლევად გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა;

(ს) ოჯახური ძალადობის დაძლევისათვის აუცილებელი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს:

(I) საჭიროების შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დასჯა და სამოქალაქო მექანიზმები ოჯახური ძალადობის შემთხვევაში;

(II) კანონმდებლობა რათა ამოღებულ იქნას ღირსების დაცვა შეურაცხოვის ან ქალის ოჯახის წევრის მკვლელობის დროს;

(III) მომსახურებები რათა განმტკიცდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება და უშიშროება, მათ შორის ღტოლვილების შემთხვევაში, საკონსულტაციო მხარდაჭერისა და სარეაბილიტაციო პროგრამების სახით;

(IV) ოჯახური ძალადობის სარეაბილიტაციო პროგრამები;

(V) იმ ოჯახთა მხარდაჭერითი სამსახურები, სადაც მოხდა ინცესტი ან სქესობრივი ძალადობა;

(გ) სახელმწიფო მხარეებმა ანგარიშებში უნდა ასახონ ოჯახური და სქესობრივი ძალადობის მოცულობა და ის პრევენციული, სადამსჯელო და საკომპენსაციო მექანიზმები, რომლებიც განხორციელდა;

(უ) სახელმწიფო მხარეებმა უნდა ამოქმედონ ყველა საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ქალის ეფექტური დაცვისათვის გენდერული ძალადობისაგან, მათ შორის *inter alia*:

(I) ეფექტური საკანონმდებლო ღონისძიებები, მათ შორის სადამსჯელო სანქციები, სამოქალაქო საკომპენსაციო მექანიზმები და დამატებითი ღონისძიებები, რათა ქალი დაცული იყოს ძალადობის ნებისმიერი ფორმისა ან, *inter alia* ძალადობა ოჯახში, სქესობრივი იძულება და სამუშაო ადგილში სქესობრივი იძულებითი ქმედებები;

(II) პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის საზოგადოებრივი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამები, რათა შეიცვალოს დამკვიდრებული დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის როლისა და სტატუსის მიმართ;

(III) დამცველობითი ღონისძიებები, მათ შორის ლტოლვილებისათვის, საკონსულტაციო მხარდაჭერა რეაბილიტაცია და იმ პირთა მხარდაჭერითი მომსახურებები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ან იმყოფებიან ძალადობის რისკის ქვეშ;

(ფ) სახელმწიფო მხარეებმა ანგარიშებში უნდა ასახონ ყველა სახის გენდერული ძალადობის ფორმები; ასეთი ანგარიშში ასევე უნდა შეიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას ძალადობის თითოეული ფორმის სიხშირის შესახებ; ასევე მსხვერპლ ქალებზე ამგვარი ძალადობის ეფექტებს;

(ქ) სახელმწიფო მხარეების ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ საკანონმდებლო, პრევენციულ და დაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დასაძლევად; ასევე ამ ღონისძიებათა ეფექტურობის შესახებ.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შავშულტატიური ოქმი

[...]

მუხლი 1

აღნიშნული ოქმის მონაწილე – სახელმწიფო (“მონაწილე სახელმწიფო”) აღიარებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის კომპეტენციას (“კომიტეტი”) მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, რომლის წარდგენა მოხდა მე-2 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2

შეტყობინების წარდგენა ხდება კერძო პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციაში ასახული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი. თუ შეტყობინება წარდგენილია ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფების მიერ, ეს ხორციელდება მათი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელი ასაბუთებს თავის მოთხოვნას მათი სახელით ასეთი თანხმობის გარეშე.

მუხლი 3

შეტყობინების წარდგენა ხდება წერილობითი სახით და არ უნდა იყოს ანონიმური. კომიტეტი არ იღებს ისეთ შეტყობინებას, თუ ეს უკანასკნელი შეეხება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის წინამდებარე ოქმის წევრი.

მუხლი 4

1. კომიტეტი მანამ არ განიხილავს შეტყობინებას, სანამ არ დარწმუნდება იმაში, რომ ყველა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალება ამოწურულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც შეგნებულად ჭიანურდება ან ნაკლებად სარწმუნო ალბათობით გამოიღებს შედეგს.

2. კომიტეტი შეტყობინებას მიღებულად გამოაცხადებს თუ:

(ა) მსგავსი საკითხი უკვე განხილული იყო კომიტეტის მიერ ან განიხილებოდა ან ამ მომენტისათვის განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან რეგულირების სხვა პროცედურის შესაბამისად;

(ბ) იგი არ თანხვდება კონვენციის დებულებებს;

(გ) იგი აშკარად უსაფუძვლოა ან არასაკმარისადაა დასაბუთებული;

(დ) იგი წარმოადგენს ასეთი შეტყობინების გაგზავნის უფლების ბოროტად გამოყენებას;

(ე) ფაქტებს, რომლებიც წარმოადგენს შეტყობინების წარდგენის საგანს, ადგილი ჰქონდა მანამ, სანამ წინამდებარე ოქმი შევიდა ძალაში შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, თუ მხოლოდ ამ ფაქტებს ადგილი არ ჰქონიათ ამ ხსენებული თარიღის შემდეგაც.

მუხლი 5

1. შეტყობინების მიღებიდან და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს, კომიტეტს შეუძლია გაუგზავნოს შესაბამის მონაწილე მხარეს თხოვნა დაუყოვნებელი განხილვის შესახებ რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ისეთი დროებითი ზომები, რომლებიც საჭიროა შესაძლო გამოუსწორებელი ზარალის მიყენების აცილებისათვის დაზარალებულის ან განმცხადებლის წარმდგენი დაზარალებულების მიმართ.

2. თუ კომიტეტი ახორციელებს თავის დისკრეციულ უფლებას, ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ეს არ ნიშნავს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება წარდგენილი შეტყობინების დასაშვებადობასთან დაკავშირებით.

მუხლი 6

1. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კომიტეტი შემთხვევას დასაშვებად მიიჩნევს, მონაწილე მხარე-სახელმწიფოს მითითების გარეშე, და იმ პირობით, რომ პირი ან პირები თანახმანი არიან გაუმხილონ თავიანთი სახელი მონაწილე სახელმწიფოს, კომიტეტი კონფიდენციალურად აწვდის მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც ამ კონვენციის შესაბამისად მისდამი არის გაგზავნილი.

2. შეტყობინების გადაგზავნის შემდეგ, მონაწილე სახელმწიფო ექვსი თვის ვადაში კომიტეტს წერილობით უგზავნის ახსნა-განმარტებას ან განცხადებას, რომელიც ახსნის ამ საკითხს და ასევე აცნობებს ნებისმიერი იმ ღონისძიების შესახებ, თუ ასეთი განხორციელდა, რომლებიც შესაძლოა მიეღო ამ წევრ სახელმწიფოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 7

1. წინამდებარე ოქმის შედეგად მიღებულ შეტყობინებებს კომიტეტი განიხილავს ყველა იმ

ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მას მიეწოდა პირის ან პირთა ჯგუფების მიერ, რომელიც შეეხება მონაწილე-სახელმწიფოს, თუ ასეთი ინფორმაცია წარმოდგენილია დაინტერესებული მხარის მიერ.

2. წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული შეტყობინების განხილვისას, კომიტეტი ატარებს დახურულ სხდომებს.

3. განცხადების შესწავლის შემდეგ, კომიტეტი წარმოადგენს თავის მოსაზრებას შეტყობინებასთან დაკავშირებით, მის მიერ მიწოდებულ შესაბამის რეკომენდაციასთან ერთად, თუ ეს უკანასკნელი არსებობს და უგზავნის დაინტერესებულ მხარეებს.

4. მონაწილე სახელმწიფო, შესაბამისი წესით განიხილავს კომიტეტის მოსაზრებებს მის რეკომენდაციებთან ერთად, თუ ასეთი არსებობს, და ექვსი თვის ვადაში წარუდგენს კომიტეტს წერილობით პასუხს, მათ შორის ინფორმაციას ნებისმიერი იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც მან გაატარა კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.

5. კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მონაწილე სახელმწიფოს წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ნებისმიერი იმ ზომების შესახებ, რომელიც მიიღო მონაწილე სახელმწიფომ მისი მოსაზრებების და რეკომენდაციების (თუ ასეთი არსებობს) საპასუხოდ, მათ შორის, თუ კომიტეტი სათანადოდ ჩათვლის ამას, მონაწილე ქვეყნის ბოლო ანგარიშების მიხედვით, რომელსაც ეს უკანასკნელი წარადგენს კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8

1. თუ კომიტეტი მიიღებს სანდო ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოს მიერ ხდება კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებების სისტემატური და სერიოზულ დარღვევები, კომიტეტი სთავაზობს ამ მონაწილე სახელმწიფოს ითანამშრომლოს მასთან ამ ინფორმაციის შესასწავლად და ამასთან დაკავშირებით წარუდგინოს შენიშვნები შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. ნებისმიერი შენიშვნის გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარედგინოს დაინტერესებულ მხარე-სახელმწიფოებს, ასევე ნებისმიერი სხვა სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც მას გააჩნია, კომიტეტმა შეიძლება დანიშნოს ერთი ან რამდენიმე თავისი წევრი გამოძიების ჩასატარებლად და მოხსენების დანიშნული წარდგენისათვის კომიტეტისადმი. იმ შემთხვევებში როდესაც ეს გამართლებულია,

და მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით, გამოძიებამ შეიძლება მოიცვას მისი ტერიტორიის მონახულების კომპონენტი.

3. ასეთი გამოძიების შედეგების მიღების შემდეგ, კომიტეტი ამ შედეგებს უგზავნის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს, ნებისმიერ შენიშვნასა და რეკომენდაციასთან ერთად.

4. კომიტეტის მიერ მიღებული შედეგების, შენიშვნების და რეკომენდაციების მიღების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში, შესაბამისი სახელმწიფო წარუდგენს კომიტეტს თავის შენიშვნებს.

5. ასეთი გამოძიებები წარიმართება კონფიდენციალურად, და საქმიანობის ყველა ეტაპზე მიიღება ზომები თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ამ მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან.

მუხლი 9

1. კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მონაწილე სახელმწიფოს, წარმოდგენილ მოხსენებაში ჩართოს კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დეტალური ინფორმაცია ნებისმიერი იმ ზომების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ გამოძიებასთან.

2. საჭიროების შემთხვევაში, ექვსთვიანი პერიოდის დასრულების შემდეგ, რომლის შესახებაც ლაპარაკია 8.4 მუხლში, კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზომების შესახებ რომელიც ამ უკანასკნელის მიერ მიღებულია ამგვარ გამოძიებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10

1. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე ოქმის ხელმოწერის, რატიფიცირების და მიერთების დროს განაცხადოს, რომ ის არ ცნობს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ კომიტეტის კომპეტენციას.

2. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გააკეთებს განცხადებას, რომელიც აღწერილია ამ მუხლის 1 პუნქტში, იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს უარი თქვას ამ განცხადებაზე, რის შესახებაც იგი აცნობებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

მუხლი 11

მონაწილე სახელმწიფო დგავს ყველა შესაბამის ნაბიჯს იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირები, რომლებიც მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან არ დაექვემდებარონ არაადამიანურ მოპყრობას ან დაშინებას იმ შემთხვევაში თუ ისინი კომიტეტს გაუგზავნიან შეტყობინებას წინამდებარე ოქმის შესაბამისად.

მუხლი 12

კომიტეტი კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად თავის ყოველწლიურ მოხსენებაში რთავს მოკლე ანგარიშს წინამდებარე ოქმის შესაბამისად საკუთარი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 13

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია იღებს ფართოდ გაავრცელოს და საზოგადოებამდე დაიყვანოს კონვენცია და წინამდებარე ოქმი და უზრუნველყოს კომიტეტის შეხედულებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ შეეხება მონაწილე სახელმწიფოს.

[...]

კონვენცია ბენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ

მიღებულია 1948 წლის 9 დეკემბერს, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 260 (III) A რეზოლუციით

[...]

მუხლი 1

ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ გენოციდი, იმის მიუხედავად, თუ როდის ხდება იგი, მშვიდობიან თუ საომარ დროს, წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რომლის წინააღმდეგ ისინი ვალდებული არიან, წინასწარ მიიღონ ზომები და დასაჯონ მისი ჩადენისათვის.

მუხლი 2

წინამდებარე კონვენციაში გენოციდი გულისხმობს ნებისმიერ შემდეგ ქმედებას, რომლებსაც სწადიან იმ განზრახვით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპონ რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორცაა:

[...]

(ბ) ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი ზიანის მიყენება;

მუხლი 3

დასჯადია შემდეგი ქმედებები:

- (ა) გენოციდი;
- (ბ) შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;
- (გ) პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენაზე;
- (დ) გენოციდის ჩადენის მცდელობა;
- (ე) გენოციდში თანამონაწილეობა.

მუხლი 4

ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი ან მე-3 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ქმედება, უნდა დაისაჯონ იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები, თანამდებობის თუ კერძო პირები.

მუხლი 5

წინამდებარე კონვენციის დებულებების ძალაში შესვლისათვის, ხელშემკვერელი მხარეები ვალდებული არიან, განახორციელონ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები, თითოეულმა თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად, და კერძოდ, დააწესონ ეფექტური სასჯელი იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გენოციდის ან მე-3 მუხლში მოყვანილი რომელიმე სხვა დანაშაულის ჩადენაში.

მუხლი 6

ის პირები, რომლებსაც ბრალი ედებათ გენოციდის ან მე-3 მუხლში ჩამოთვლილ სხვა ქმედებებში, გასამართლებულ უნდა იქნენ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ეს ქმედება, ან ისეთი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია პქონდეს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციის იმ მონაწილე მხარეთა მიმართ, რომლებმაც უკვე ცნეს ასეთი სასამართლოს იურისდიქცია.

მუხლი 7

გენოციდი და მე-3 მუხლში ჩამოთვლილი სხვა ქმედებები არ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად დანაშაუვთა ექსტრადიციის მიზნით. ხელშემკვერელი მხარეები მოვალენი არიან განახორციელონ ექსტრადიცია თავისი

მოქმედი კანონმდებლობის და ხელშემკვერლების თანახმად.

მუხლი 8

ამ კონვენციის თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს გაერთიანებული ერების შესაბამის ორგანოს და მოსთხოვოს რომ მან გაერთიანებული ერების წესდების დებულებათა შესაბამისად, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება იმ მიზნით, რომ აცილებულ და აღკვეთილ იქნეს გენოციდის აქტი ან მე-3 მუხლში ჩამოთვლილი სხვა რომელიმე ქმედება.

საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ

მიღებულია და გახსნილია ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და ასამოქმედებლად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 3068 (XXVIII). 1973 წლის 30 ნოემბერს.

ძალაში შევიდა 1976 წლის 18 ივლისს, XV მუხლის შესაბამისად

[...]

მუხლი I

1. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ აპარტიდი წარმოადგენს დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ და რომ არაადამიანური აქტები, რომლებიც წარმოადგენენ აპარტიდის პოლიტიკისა და პრაქტიკის შედეგს, ასევე მისი მსგავსი რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის კონვენციის II მუხლით, არის დანაშაულები, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო სამართალს, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, და ქმნიან სერიოზულ საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

2. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები სისხლის სამართლის დანაშაულებად აცხადებენ იმ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და ცალკეულ პირებს, რომლებიც სწადიან აპარტიდის დანაშაულს.

[...]

მუხლი II

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „აპარტიდის დანაშაული“, რომელიც გულისხმობს აგრეთვე მის მსგავს რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის პოლიტიკასა და პრაქტიკას იმ სახით, როგორც იგი გამოიყენება აფრიკის სამხრეთ ნაწილში, ნიშნავს შემდეგ არაადამიანურ აქტებს, რომელთაც სწადიან ერთი რასობრივი ჯგუფის წევრები ადამიანთა სხვა რასობრივ ჯგუფებზე ბატონობის დამყარებისა და შენარჩუნების, ასევე მათი სისტემატური ჩაგვრის მიზნით:

[...]

ii) რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრებისათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი აშლილობის ან მათი თავისუფლებისა და ღირსების ხელყოფის ან მათ მიმართ სასტიკი წამების, არაადამიანური ანდა ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის გამოყენების გზით;

[...]

მუხლი III

მიუხედავად მოტივებისა, საერთაშორისო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება ყველა პირი, ორგანიზაციების წევრები, დაწესებულებებისა და სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ, როგორც იმ სახელმწიფოში სადაც ხორციელდება ამდგარი ქმედებები, ასევე ნებისმიერ სახელმწიფოში, სადაც ისინი:

ა) უშუალოდ მოქმედებენ, მონაწილეობენ, აქეზებენ ან გეგმავენ ისეთი სახის ქმედებებს, რომლებიც მითითებულია ამავე კონვენციის მე-2 მუხელში.

ბ) უშუალოდ უწყობენ ხელს, აქეზებენ ან თანამშრომლობენ აპარტიდის დანაშაულის ჩადენის საქმეში.

მუხლი IV

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას:

ა) მიიღონ საკანონმდებლო ან სხვა სახის ყველანაირი ზომები, რომლებიც აუცილებელია ასეთი ქმედებების აღსაკვეთად და ასევე აპარტიდის დანაშაულის ხელშეწყობისა და აპარტიდის მსგავსი სეგრეგაციული პოლიტიკისა ან მისი გამოვლინებების თავიდან აცილებისა და იმ პირების დასჯის მიზნით, რომლებიც დამნაშავეები არიან ამ დანაშაულთა ჩადენაში.

ბ) თავიანთი იურისდიქციის შესაბამისად მიიღონ საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები იმ პირთა დევნის, გასამართლების და დასჯისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ან ბრალი ედებათ, წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი აქტების ჩადენაში, მიუხედავად იმისა იმყოფებიან თუ არა ეს პირები იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელზეც ხორციელდება ეს აქტები, და არიან თუ არა ისინი ამ ქვეყნის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არ მქონე პირები.

მუხლი V

პირები, რომელთაც ამ კონვენციის მე-2 მუხელში ჩამოთვლილი აქტების ჩადენის გამო, წაყენებული აქვთ ბრალი, შეიძლება გასამართლებულ იქნენ ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია შეიძინოს იურისდიქცია ბრალდებულ პირებზე, ან გასამართლებულ იქნენ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ, რომელსაც აქვს იურისდიქცია იმ წევრ-სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებიც იღებენ მის იურისდიქციას.

არა საკლდეზულო ხასიათის დოკუმენტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

პრეამბულა

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელია ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს, და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უზღუდვად და აბუნად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც ადაშფოთებს კაცობრიობის სინდისს და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და

გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია, როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება, და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის, და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი, გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს ღონეს მეტი თავისუფლების პირობებში, და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას, და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულებების მთლიანად შესრულებისათვის

გენერალური ასამბლეა აცხადებს:

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყოველი ხალხი და სახელმწიფო რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისაღმე დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.

მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

[...]

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

[...]

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნას აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

[...]

დეკლარაცია ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯისაგან დაცვის შესახებ

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3452 (XXX), დანართი 30 GAOR, დამატება (34), გაერთიანებული ერების დოკუმენტი A/10034 (1975)

მუხლი 1

1. ამ დეკლარაციის მიზნებიდან გამომდინარე, წამება გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც იწვევს ტკივილს ან ტანჯვას, იქნება ეს ფიზიკური თუ მენტალური, და ჩადენილია წინასწარ განზრახვით ან პროვოცირებულია სახელმწიფო მოხელეების მხრიდან და მიმართულია იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც ისჯება იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, ან არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა, მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის მიღების ან აღიარების მიზნით, ან მისი ან სხვა პირის დაშინების მიზნით. აღნიშნული არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ კანონიერი სანქციებით, არამედ ის მოიცავს ასევე პატიმართა მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებსაც, იქნება ეს წინასწარგანზრახული თუ შემთხვევითი,

2. წამება წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის დამძიმებულ და წინანსარგანზრახვით ჩადენილქმედებას.

მუხლი 2

წამების ნებისმიერი აქტი ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა, ეს არის ადამიანის ღირსების შელახვა და შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უარის თქმა გაეროს წესდების მიზნებზე ან როგორც ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა, რაც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

მუხლი 3

არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება დაუშვას ან ტოლერანტული იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ფაქტების მიმართ. გამონაკლისი გარემოებების დროს, ისეთი როგორცაა ომის ან ომისწინა მდგომარეობა, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა რაიმე საზოგადოებრივი გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის გამამართლებელი გარემოება.

მუხლი 4

დეკლარაციის დებულებებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ეფექტური ზომები, რათა მოხდეს წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პრაქტიკის პრევენცია მისი იურისდიქციის ფარგლებში.

მუხლი 5

სამართალდამცავი ორგანოების პერსონალისა და სახელმწიფო მოხელეთა ტრენინგი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავისუფლება აღკვეთილ პირებზე, იქნება გარანტი იმისა, რომ გატარდება შესაბამისი ზომები წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ. ეს აკრძალავს ასევე შეტანილი იქნება ზოგად ინსტრუქციებსა და წესებში, სადაც განსაზღვრულია იმ პირთა მოვალეობები და ფუნქციები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება დაკავებულ ადამიანებთან ურთიერთობას და მათ დაცვას.

მუხლი 6

ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია სისტემატურად აკონტროლოს დაკითხვის მეთოდები და პრაქტიკა, ისევე როგორც ღონისძიებები, რომლებიც ტარდება დაკავების ადგილებში იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაკავებული არიან მათ ტერიტორიაზე, რათა მოხდეს წამებისა ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ნებისმიერი შემთხვევის პრევენცია.

მუხლი 7

ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების ყველა აქტი, როგორც ეს განმარტებულია 1 მუხლში, ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად. იგივე შეიძლება ითქვას ასევე ქმედებებზე, რომლებიც გულისხმობს წამებაში მონაწილეობას, წაქეზებას ან მის მცდელობას.

მუხლი 8

ნებისმიერი პირი, რომელიც ადასტურებს წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფაქტს ხელისუფლების მოხელის მხრიდან ან მისი უშუალო მონაწილეობით, უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს და მიადლოს საქმის მიუკერძოებელ გამოძიებას

მუხლი 9

როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ განხორციელებულია წამების აქტი, (მუხლი 1), სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს სამართლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება, მკითხველად იმისა არსებობს თუ არა ოფიციალური სარჩელი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

მუხლი 10

თუ გამოძიება მე-8 ან მე-9 მუხლის მიხედვით დაადგენს, რომ განხორციელებულია წამების აქტი (მუხლი 1), ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს კანონდამრღვევის ან კანონდამრღვევების წინააღმდეგ. თუ არსებობს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმების სარწმუნო დადასტურება, დამნაშავე ან დამნაშავეები დაექვემდებარებიან სისხლის

სამართლის, დისციპლინარულ ან სხვა შესაბამისი სახის დევნას.

მუხლი 11

იქ სადაც დასტურდება სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფაქტი, სახელმწიფო მოხელის მიერ ან მისი წაქეზებით, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მსხვერპლზე გათვალისწინებულია შესაბამისი კომპენსაციის გაცემა.

მუხლი 12

ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთდება წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის გამოყენების საფუძველზე, არ შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც სამხილი გამოძიების პროცესში იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ფიგურირებს აღნიშნულ საქმეში ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ.

ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა

მიღებულია ადამიანის უფლებათა თაობაზე მეორე მსოფლიო კონფერენციაზე, 1993 წლის 25 ივნისს

[...]

B. თანასწორობა, ღირსება და ტოლერანტობა

[...]

წამებისაგან თავისუფლება

54. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია მიესალმება კონვენციის რატიფიკაციას კონვენციის წევრი სახელმწიფოების მხრიდან წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ და მოუწოდებს ასევე ყველა სხვა წევრ სახელმწიფოებს ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში, რაც ხელს შეუწყობს რატიფიკაციის დაჩქარებას.

55. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალადობის აქტებს შორის ადამიანის ღირსების შელახვის ყველაზე უფრო სასტიკი ფორმა ეს არის წამება, რომელიც ანგრევს ადამიანის ღირსებას და აკნინებს მსხვერპლის უნარს გააგრძელოს ჩვეული ცხოვრება და მოღვაწეობა.

56. მსოფლიო კონფერენცია ადამიანის უფლებების შესახებ ადასტურებს, რომ

ადამიანის უფლებების კანონმდებლობისა და საერთაშორისო კუმანიტარული კანონმდებლობიდან გამომდინარე წამებისაგან თავისუფლება, ეს არის უფლება, რომელიც უნდა იყოს დაცული ნებისმიერ პირობებში იქნება ეს შიდა და საერთაშორისო პრობლემები თუ შეიარაღებული კონფლიქტები.

57. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია მოუწოდებს და ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს, დაუყოვნებლივ შეწყდეს წამების პრაქტიკა და საშუალოდ მოისპოს ბოროტების ეს ფორმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და ასევე რელიგანტური კონვენციების დანერგვისა და გამოყენების საფუძველზე და სადაც ეს აუცილებელია მოხდეს არსებული მექანიზმების გაძლიერება. ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს წამების საკითხთან დაკავშირებით ითანამშრომლონ სპეციალურ მომხსენებელთან, რომელსაც მანდატით მინიჭებული აქვს შესაბამისი უფლებები.

58. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამედიცინო ეთიკის პრინციპების პატივისცემას და მათ ეფექტურ დანერგვას, რაც უშუალო შეხებაშია ჯანდაცვის სფეროში მომსახურე პერსონალის, განსაკუთრებით კი ექიმთა როლთან, რომელიც ითვალისწინებს წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯისაგან პატიმართა და დაკავებულთა დაცვას და განსაზღვრულია გაეროს გენერალური ასსამბლეის მიერ.

59. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია ხაზს უსვამს შემდეგომი კონკრეტული ნაბიჯების განხორციელების მნიშვნელობას (გაეროს ჩარჩოებში) წამების მსხვერპლთა დასახმარებლად და მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციისათვის უფრო ეფექტური საშუალებების გამოძიებას. პრიორიტეტი ენიჭება აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია გაეროს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობით ფონდში დამატებითი კონტრიბუციების განხორციელების საშუალებით.

60. სახელმწიფოებმა მოქმედებიდან უნდა ამოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელსაც მიყვავართ იმ პირთა დაუსჯელობისკენ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებების დარღვევებსა და ძალადობაზე, ისეთი როგორიცაა მაგ. წამება და აღკვეთონ ასეთი ძალადობები, რაც განხდება მყარი საფუძველი სამართლებრივი ნორმისათვის.

61. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წამების ფაქტების აღმოსაფხვრელად ძალისხმევა ერთხელ და სამუდამოდ კონცენტრირებული უნდა იქნას პრევენციაზე და აქედან გამომდინარე მოუწოდებს დროულად იქნას მიღებული წამების, ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, რომლის მიხედვითაც განზრახულია პრევენციული სისტემის ჩამოყალიბება, რაც ითვალისწინებს რეგულარული ვიზიტების განხორციელებას დაკავებულთა საპატიმროებში.

[...]

D. ადამიანის უფლებების სწავლება

78. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციის მიხედვით ადამიანის უფლებების პრინციპების სწავლება, ტრენინგები და საზოგადოებრივი ინფორმაცია განიხილება როგორც აუცილებელი პირობა საზოგადოებაში სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობების მიღწევისა და პრომოციისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ორმხრივი გაგების, ტოლერანტობისა და მშვიდობის დამკვიდრებას.

79. სახელმწიფოები უნდა ეცადონ აღმოფხვრან გაუნათლებლობის პრობლემა და შესაბამისად მიმართონ საგანმანათლებლო ძალისხმევა ადამიანის პიროვნულობის განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების პატივისცემის გაძლიერებისაკენ. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია მოუწოდებს სახელმწიფოებსა და ინსტიტუტებს რომ ყველა საგანმანათლებლო ოფიციალური თუ არაოფიციალური დაწესებულების სასწავლო პროგრამებში შეიტანონ ისეთი საგნების სწავლება, როგორცაა ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული კანონმდებლობა, დემოკრატია და სამართალმცოდნეობა (სამართლებრივი ნორმები).

80. ადამიანის უფლებების სწავლება უნდა მოიცავდეს მშვიდობის, დემოკრატიის განვითარების და სოციალური სამართლიანობის სწავლებას, როგორც ეს მოყვანილია ადამიანის უფლებების სწავლების საერთაშორისო და რეგიონულ დოკუმენტებში, რათა მიღწეული იქნას ურთიერთგაგება, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ადამიანთა უფლებებისადმი საყოველთაო ვალდებულებების განვითარებას.

81. ადამიანის უფლებების და დემოკრატიის სწავლების პროგრამის მსოფლიო გეგმის, რომელიც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის საერთაშორისო კონგრესის მიერ 1993 წლის მარტში და ეძღვნებოდა ადამიანთა უფლებების სწავლებას და ადამიანთა უფლებების სწავლების სხვა ინსტრუმენტების მხედველობაში მიღების საფუძველს, ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია იძლევა რეკომენდაციას შემდეგზე: სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ სამეცნიერო პროგრამები და მოქმედების სტრატეგიები ადამიანთა უფლებების ფართო მასშტაბით სწავლების უზრუნველსაყოფად და ინფორმაციის გასავრცელებლად, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ქალთა უფლებების დაცვას.

82. მთავრობებმა, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, უნდა მოახდინონ ადამიანის უფლებებისა და ორმხრივი ტოლერანტობის ხელშეწყობა და პრომოცია. ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებზე მსოფლიო საზოგადოების ინფორმირების კამპანიას, რომელიც ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვეგდით. მათ უნდა აიღონ ინიციატივა და ხელი შეუწყონ საზოგადოების განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ და მოახდინონ ამ სფეროში საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკონსულტაციო სამსახურებს და ტექნიკური დახმარების პროგრამების სისტემას უნდა შეეძლოს დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს სახელმწიფოთა მოთხოვნები, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებების სფეროში საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას და ასევე სპეციალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო უფლებების დოკუმენტებსა და ჰუმანიტარულ კანონმდებლობაში და მათ გამოყენებას სპეციალური ჯგუფებისათვის, როგორცაა სამხედრო ძალები, სამართალდამცავი ორგანოების პერსონალი, პოლიცია და ჯანდაცვის სფერო. შეიძლება ასევე განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკადის გამოცხადება ადამიანის უფლებების სწავლების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაციას.

**ძირითადი პრინციპები და ბაიბლანეზი
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სამართლით განსაზღვრული მასობრივი
ძალადობის და საერთაშორისო**

**ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული
უხეში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების
დაცვისა და კომპენსაციის შესახებ**

24 ოქტომბერი 2005

გენერალური ასამბლეა:

ხელმძღვანელობს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, 1. საერთაშორისო პაქტით ადამიანთა უფლებების შესახებ, 2. სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას; ვენის დეკლარაციით და მოქმედების პროგრამით,

ადასტურებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული სერიოზული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და რეპარაციის საკითხის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სისტემატური და სრულყოფილი განხილვის მნიშვნელოვნებას,

აღიარებს, რომ მსხვერპლის უფლებათა პატივისცემას და სარგებელს, რომელსაც მსხვერპლი იღებს რეპარაციის სახით, საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია შეინარჩუნოს მსხვერპლის, გადარჩენილთა და მომავალი თაობების ნდობა და კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სფეროში საერთაშორისო კანონმდებლობას.

შეახსენებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული სერიოზული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და რეპარაციის შესახებ ძირითადი პრინციპებისა და გაიდლაინების მიღებას ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ რეზოლუცია 2005/35, 19 აპრილი 2004 და ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ, რეზოლუცია 2005/30, 25 ივლისი 2005, სადაც საბჭო აძლევს რეკომენდაციას გენერალურ ასამბლეას რომ მან მიიღოს აღნიშნული პრინციპები და გაიდლაინები,

1. იღებს ძირითად პრინციპებსა და გაიდლაინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული სერიოზული ძალადობის მსხვერპლთა

უფლებების დაცვისა და კომპენსაციის შესახებ;

2. რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს მხედველობაში მიიღონ აღნიშნული პრინციპები და გაიდლაინები, მოახდინონ მათი დაცვის პრომოცია და მიიქციონ მთავრობის აღმსრულებელი ორგანოების წევრთა, განსაკუთრებით კი პოლიციის, სამხედრო და უშიშროების ძალების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების, მსხვერპლთა, მათ წარმომადგენელთა, ადამიანის უფლებების დამცველთა, ადვოკატთა, მედიის და ზოგადად საზოგადოების ყურადღება;

3. სთხოვს გენერალურ მდივანს მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს აღნიშნული პრინციპებისა და გაიდლაინების ფართო გავრცელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ოფიციალურ ენაზე, სამთავრობო, და არა-სამთავრობო ორგანიზაციების დონეზე მათი გავრცელების და ასევე გაეითიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემაში, "საერთაშორისო დოკუმენტების კრებული", აღნიშნული პრინციპებისა და გაიდლაინების გამოქვეყნების ჩათვლით.

დანართი

ძირითადი პრინციპები და გაიდლაინები ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული სერიოზული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და კომპენსაციის შესახებ.

პრეამბულა

გენერალური ასამბლეა,

შეახსენებს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის უფლებას და შეტანილია მრავალრიცხოვანი საერთაშორისო დოკუმენტების ნუსხაში, მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - მუხლი 8, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - მუხლი 6, კონვენცია წამების, სხვა სასტიკის, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ - მუხლი 14, ბავშვთა უფლებების

კონვენცია – მუხლი 39, და საერთაშორისო კუმანიტარული კანონმდებლობა ფორმულირებული –1907 წლის 18 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მუხლი 3-ში, რომელიც შეეხება ხმელეთზე ომის წარმოების კანონებსა და წესებს (კონვენცია IV), 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხლი 91, რომელიც შეეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების (ოქმი I, 8 ივნისი, 1977 წელი) მსხვერპლთა დაცვას და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის წესდება, მუხლები 68, 75.

შეახსენებს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის უფლებას, რომლებიც ასახულია რეგიონულ კონვენციებში, კერძოდ: აფრიკის სახალხო და ადამიანის უფლებათა ქარტიაში – მუხლი 7, ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში – მუხლი 25, და კონვენციაში ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ – მუხლი 13; შეახსენებს სისხლის სამართლის დანაშაულისა და უფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლთა ძირითადი სამართლის პრინციპების დეკლარაციას, გამომდინარე გაერთიანებული ერების მეშვიდე კონგრესის დისკუსიებისა და განხილვებიდან, რომელიც მიემდგვნა სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავეთა მოპყრობის საკითხებს და ასევე განერაღებული ანსამბლეს რეზოლუციას 40/43, 29 ნოემბერი, 1985 წელი, რომლის მიხედვითაც ასამბლეამ მიიღო კონგრესის მიერ რეკომენდებული დოკუმენტი.

კვლავაც ადასტურებს პრინციპებს, რომლებსაც მოიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის და უფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლთა ძირითადი სამართლის პრინციპების დეკლარაცია, რომელიც ასახავს მსხვერპლის თანაგრძნობას და მისი ღირსების პატივისცემას; კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება სამართლიანობის და კომპენსაციის მექანიზმების ხელმისაწვდომობაზე და ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის მექანიზმების სწრაფ განვითარებასთან ერთად, წახალისებული უნდა იყოს მსხვერპლთა კომპენსაციის ეროვნული ფონდის დაარსება და განვითარება.

შენიშნავს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი მოითხოვს “ძალადობის მსხვერპლთათვის ისეთი ნორმების დაწესებას, რომლებიც მოიცავენ: რესტიტუციას (მორალური უფლებების აღდგენას), კომპენსაციას და რეაბილიტაციას”,

წვერი სახელმწიფოების ასამბლეისაგან მოითხოვს, რომ დაარსდეს მსხვერპლთა რეაბილიტაციის ნდობის ფონდი, სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში, ძალადობის მსხვერპლთა ოჯახებისათვის და სასამართლოს მიეცეს მანდატი “დაიცვას მსხვერპლთა უსაფრთხოება, ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობა, ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეწყობა; და მიეცეს უფლება მსხვერპლს მონაწილეობა მიიღოს წარმოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპში, რომელიც სასამართლოს მიერ იქნება განსაზღვრული”,

ადასტურებს, რომ აქ მოყვანილი ძირითადი პრინციპები და გაიდლაინები მიმართულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უხეში ძალადობისა და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული სერიოზული ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც მათი ბუნებიდან გამომდინარე ახდენენ ადამიანის ღირსების შეურაწმყოველი ფაქტების დადგენას.

ხაზს უსვამს, რომ აქ მოყვანილი ძირითადი პრინციპები და გაიდლაინები არ ითვალისწინებენ ახალი საერთაშორისო და იურიდიული ვალდებულებების განსაზღვრას, არამედ ადგენენ არსებული იურიდიული ვალდებულებების განხორციელების მექანიზმებს, მოდალობებს, პროცედურებსა და მეთოდებს, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული არსებული იურიდიული ვალდებულებების შესრულება.

შეახსენებს, რომ საერთაშორისო სამართალი მოიცავს ვალდებულებას განახორციელოს განსაზღვრული საერთაშორისო სისხლის სამართლის დამნაშავეთა დევნა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებისა და ეროვნული სამართლის მოთხოვნების ან საერთაშორისო იურიდიული ორგანოების წესდების შესაბამისად და რომ ვალდებულება განახორციელოს დევნა ეფუძნება საერთაშორისო იურიდიულ ვალდებულებებს, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს ეროვნული იურიდიული მოთხოვნებისა და პროცედურების თანახმად და მხარს უჭერს კომპლემენტარობის კონცეფციას.

აცხადებს, რომ თუმცა დევნის თანამედროვე ფორმები, ძირითადად მიმართულია გარკვეული პირების წინააღმდეგ, ის ასევე შეიძლება იქნას მიმართული ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ რომლებიც წარმოადგენენ კოლექტიურ სამიზნეს,

აღიარებს, მსხვერპლის უფლების პატივისცემას - ისარგებლოს შესაბამისი დაცვისა და რეპარაციის უფლებით; ამით საერთაშორისო საზოგადოება შეინარჩუნებს მსხვერპლის, გადარჩენილთა და მომავალი თაობების ნდობას და კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სფეროში პასუხისმგებლობის და კანონიერების საერთაშორისო პრინციპებს.

დარწმუნებულია, რომ მსხვერპლზე-ორიენტირებულობით, საერთაშორისო საზოგადოება ადასტურებს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ძალადობის აქტების მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობას, მათ შორის ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული ძალადობების მიმართ, ქვემოთ მოცემული ძირითადი პრინციპებისა და გაიდლაინების შესაბამისად.

იღებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

I. ვალდებულება ადამიანის უფლებების პატივისცემის, მისი პატივისცემის უზრუნველყოფის და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დანერგვის შესახებ ყოველდღიურ ცხოვრებაში

1. ადამიანის უფლებების და მათი უზრუნველყოფის პატივისცემის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანერგვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც ეს განსაზღვრულია სახელმწიფო სამართლის შესაბამისი ორგანოების მიერ ეფუძნება შემდეგს:

- (ა) ხელშეკრულებები, რომელშიც სახელმწიფო წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს,
- (ბ) საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი,
- (გ) თითოეული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა

2. თუ მათ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, სახელმწიფოებმა, როგორც ეს მოთხოვნილია საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ ეროვნული სამართლის შესაბამისობა მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან შემდეგი პრინციპებით:

(ა) ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შეტანა მათ ეროვნულ კანონმდებლობაში ან მათი დანერგვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში;

(ბ) შესაბამისი და ეფექტური კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელება, ასევე სხვა ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანი, ეფექტური და დროული სასამართლოს უფლება;

გ) ადამიანის უფლებების ადეკვატური, ეფექტური, დროული და შესაბამისი დაცვის ხელმისაწვდომობა, კომპენსაციის ჩათვლით, როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული; და

დ) გარანტირება იმისა, რომ მათი ქვეყნის შიდა ეროვნული კანონმდებლობა სულ მცირე უზრუნველყოფდეს ძალადობის მსხვერპლთა დაცვის იგივე დონეს, როგორც ეს განსაზღვრულია მათ მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით

II. ვალდებულებათა ჩარჩოები

3. პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების და მათი პატივისცემის უზრუნველყოფაზე და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების დანერგვაზე, მოიცავს *inter alia* შემდეგ ვალდებულებებს:

(ა) ძალადობის პრევენციის მიზნით საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა შესაბამისი ზომების მიღება;

(ბ) ძალადობის ფაქტების ეფექტური, დროული და მიუკერძოებელი გამოძიება და საჭიროების შემთხვევებში, ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადეკვატური ქმედებების განხორციელება იმ პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ, ვისზეც არსებობს ეჭვი, რომ მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ ქმედებებში;

გ) ეფექტური მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფამათთვის, რომლებიც აცხადებენ, რომ არიან ძალადობის მსხვერპლნი, ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული

სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ძალადობაზე; და
დ) ძალადობის მსხვერპლთათვის ეფექტური კომპენსაციის უზრუნველყოფა, მათ შორის რეპარაცია, ისე, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

III. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით წარმოადგენს დანაშაულს

4. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით წარმოადგენს დანაშაულს, სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს აღნიშნული ფაქტი და საკმარისი სამხილის არსებობის შემთხვევაში გადასცეს საქმე გამოძიებას იმ პირის წინააღმდეგ რომელზეც ეჭვია რომ პასუხისმგებელია აღნიშნულ ფაქტზე და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში დასაჯოს ის შესაბამისი კანონმდებლობით. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებმა, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და დაეხმარონ საერთაშორისო სასამართლოს აღნიშნული ფაქტების გამოძიების და დასჯის პროცესში.

5. ამ მიზნით, სადაც ეს განსაზღვრულია შეთანხმებით ან სხვა საერთაშორისო სამართლის ვალდებულებით, სახელმწიფოებმა საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა შეიტანონ ან დანერგონ საყოველთაო იურიდიულის შესაბამისი დებულებები. უფრო მეტიც, სადაც ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით ან სხვა საერთაშორისო იურიდიული ვალდებულებებით, სახელმწიფოებმა უნდა გაამარტივონ სხვა სახელმწიფოსთვის ან შესაბამის საერთაშორისო სამართლის ორგანოებისთვის დამნაშავეთა გადაცემის, ექსტრადირების პროცედურა, უზრუნველყონ იურიდიული დახმარება და სხვა სახის თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის ძიების პროცესში, რაც

გულისხმობს მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებასა და დაცვას, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის იურიდიულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს; მაგალითად, როგორცაა წამების ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა

IV. შემზღუდავი დებულებები

6. სადაც ეს განსაზღვრულია შეთანხმებით ან სხვა საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებით, შემზღუდავი არ უნდა გავრცელდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების ფაქტებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით წარმოადგენს დანაშაულს.

7. ძალადობის სხვა ფორმებზე შემზღუდავის შიდა ეროვნული წესები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით არ წარმოადგენს დანაშაულს, სხვადასხვა პროცედურებზე დროის შეზღუდვების ჩათვლით, არ უნდა იყოს ხელშეშლად გამკაცრებული.

V. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების მსხვერპლები

8. აღნიშნული დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, მსხვერპლად ჩაითვლება პირი ან პირები, რომლებსაც ინდივიდურად ან ჯგუფურად მიადგათ ზარალი, მათ შორის: ფიზიკური ან მენტალური ტრავმა, მორალური ზარალი, ეკონომიკური დანაკარგი ან მათი ფუნდამენტური უფლებების მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც ჩადენილია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევებით. საჭიროების მიხედვით, ან შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ტერმინი “მსხვერპლი” ასევე მოიცავს მსხვერპლის ოჯახის უშუალო წევრებს და მათზე დამოკიდებულ პირებს, რომლებსაც ასევე მიადგათ ზიანი, მსხვერპლის დახმარებისას ან იმ დროს როდესაც ცდილობდნენ მოეხდინათ დანაშაულის პრევენცია.

9. პირ შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დამნაშავე, იდენტიფიცირებული, დაკავებული, ან გასამართლებული და მიხედავად იმისა, არსებობს თუ არა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ოჯახური დამოკიდებულება.

VI. მოპყრობა მსხვერპლთა მიმართ

10. მსხვერპლთა რეაბილიტაცია უნდა მოხდეს ჰუმანური მოპყრობის, მათი ღირსებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემით, საჭიროა ასევე, რომ მიღებული იქნას შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი, ასევე მათი ოჯახების უსაფრთხოება, ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობა და პირადი ცხოვრების ხელშეწყობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, მსხვერპლს, რომელმაც განიცადა ძალადობის აქტი ან ტრავმა, მიეძღვნოს განსაკუთრებული ყურადღება რათა თავიდან იქნას აცილებული ამ უკანასკნელი რეტრავმატიზაცია იმ სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურების მიმდინარეობის დროს, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართლმსაჯულება და რეპარაცია.

VII. მსხვერპლთა უფლებები კომპენსაციაზე

11. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების მსხვერპლთათვის კომპენსაცია ითვალისწინებს მსხვერპლის უფლებას, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებზე:

- (ა) მართლმსაჯულების ეფექტური და თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- (ბ) მიყენებული ზარალის ადეკვატური, ეფექტური და დროული ანაზღაურება;
- (გ) ძალადობასთან და კომპენსაციის მექანიზმებთან დაკავშირებული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა.

VIII. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა

12. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების მსხვერპლს

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, უნდა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა ეფექტურ მართლმსაჯულებით დაცვის საშუალებაზე. მსხვერპლისათვის ხელმისაწვდომი დაცვის სხვა საშუალებები მოიცავს, როგორც ადმინისტრაციული და სხვა ორგანოების ხელმისაწვდომობას, ასევე მექანიზმებს, მოდალობებსა და სასამართლო განხილვებს ქვეყნის კანონმდებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც ითვალისწინებს სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებას, ასახული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა:

- (ა) გაავრცელოს ინფორმაცია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების წინააღმდეგ არსებული ყველა ხელმისაწვდომი დამცავი მექანიზმების შესახებ, ყველა საზოგადოებრივი და კერძო მექანიზმების ამოქმედების საშუალებით;
- (ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა შეამციროს მსხვერპლის პრობლემები, დაიცვას ისინი მათ პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევისაგან და უზრუნველყოს მათი დაცულობა მუქარისა და რევანშისტული რეპრესიებისაგან; ასევე უნდა უზრუნველყოს მათი ოჯახებისა და მოწმეების დაცულობა, როგორც მართლმსაჯულების, ადმინისტრაციულ და სხვა პროცესების მიმდინარეობისას, ასევე მათი დასრულების შემდგომ, რადგან აღნიშნული პროცედურები უშუალოდ უკავშირდება მსხვერპლის ინტერესებს;
- (გ) უზრუნველყოს შესაბამისი დახმარება მსხვერპლთათვის, რომლებიც მოითხოვენ მართლმსაჯულების განხორციელებას;
- (დ) უზრუნველყოს ყველა იურიდიული, დიპლომატიური და საკონსულო საშუალებების ხელმისაწვდომობა, რათა ძალადობის მსხვერპლს საშუალება მიეცეს დაიცვას საკუთარი უფლებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების შემთხვევებში.

13. მართმსაჯულებაზე ინდივიდური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ განავითარონ და აამოქმედონ შესაბამისი პროცედურული მექანიზმები, რაც საშუალებას მისცემს ძალადობის მსხვერპლთა ჯგუფებს მოითხოვონ კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად და შესაბამისად მიიღონ ის.

14. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების წინააღმდეგ ადეკვატური, ეფექტური და დროული დაცვის მექანიზმი უნდა მოიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ და შესაბამის საერთაშორისო პროცედურას, რომელშიც პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული სტატუსი და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული საშუალებებს.

IX. განცდილი ზიანის ანაზღაურება

15. ადეკვატური, ეფექტური და დროული ანაზღაურება მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების მსხვერპლთათვის ზარალის ანაზღაურების საშუალებით მართმსაჯულების ხელშეწყობას და განვითარებას. კომპენსაცია უნდა იყოს ძალადობის და მიყენებული ტრავმის სირთულის პროპორციული. ეროვნული კანონმდებლობიდან და საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კომპენსაცია ძალადობის მსხვერპლთათვის იმ ქმედებებისა ან უმოქმედობების გამო, რაც შეიძლება მიეწეროს სახელმწიფოს და შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზულ დარღვევებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირი, იურიდიული ან სხვა, აღმოჩნდება პასუხისმგებელი მსხვერპლისათვის კომპენსაციის გადახდაზე, კომპენსაცია უნდა გადაეცეს უშუალოდ მსხვერპლს ან სახელმწიფოს, ამ უკანასკნელს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფომ უკვე გადაუხადა მსხვერპლს აღნიშნული კომპენსაცია

16. სახელმწიფო უნდა შეეცადოს მსხვერპლთა დასახმარებლად რეპარაციის ეროვნული პროგრამების შემუშავებას იმ შემთხვევაში როდესაც მხარეს, რომელიც პასუხისმგებელია ძალადობის განხორციელებაზე, არ შეუძლია ან არ სურს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

17. სახელმწიფომ, მსხვერპლთა მიერ წარდგენილი საჩივრის პატივისცემით, უნდა გააძლიეროს შიდა სამართლებრივი მექანიზმები იმ პირთა რეპარაციის წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ განცდილ ზარალზე და უნდა შეეცადოს აიძულოს უცხოეთის სასამართლო მიიღოს გადაწყვეტილება რეპარაციის თაობაზე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ამ მიზნით, სახელმწიფოებმა ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ეფექტური მექანიზმების განვითარება რეპარაციის შესახებ.

18. ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად და ინდივიდური გარემოებების მხედველობაში მიღების საფუძველზე, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების მსხვერპლმა, ძალადობის სიმძიმის ხარისხიდან და თითოეული შემთხვევის გარემოებიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს სრული და ეფექტური რეპარაცია, როგორც ეს მოყვანილია დებულებებში 19 – 23 და რაც მოიცავს: რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას და გარანტიებს, რომ აღნიშნული ფაქტები აღარ განმეორდება

19. სადაც ეს შესაძლებელია, რესტიტუციის საშუალებით უნდა მოხდეს მსხვერპლის საწყისი მდგომარეობის შემსუბუქება, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო კუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების ფაქტების დადასტურებამდე. რესტიტუცია მოიცავს: თავისუფლების აღდგენას, ადამიანის უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფას, იდენტურობას, ოჯახურ ცხოვრებასა და მოქალაქეობას, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, სამსახურში აღდგენას და ქონების დაბრუნებას.

20. კომპენსაცია უნდა გაიცეს ნებისმიერი ეკონომიკურად ანაზღაურებადი ზარალისათვის,

ძალადობის სიმძიმის ხარისხის პროპორციულად და თითოეული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევებით; მაგალითად ისეთი როგორცაა:

- (ა) ფიზიკური ან მენტალური ტრავმა;
- (ბ) დაკარგული შესაძლებლობები, მაგალითად სამსახური, განათლება და სოციალური სარგებელი;
- (გ) მატერიალური ზარალი და საარსებო საშუალებების დაკარგვა, საარსებო საშუალებების პოტენციალის ჩათვლით;
- (დ) მორალური ზიანი;
- (ე) ხარჯები, რომელიც საჭიროა იურიდიული დახმარების, ექსპერტიზის, სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის, ასევე ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურებისთვის.

21. რეაბილიტაცია უნდა მოიცავდეს სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მოვლას, ასევე იურიდიულ და სოციალურ მომსახურებას.

22. კომპენსაცია უნდა მოიცავდეს, იქ სადაც შესაძლებელია, ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმეს ან ყველას ერთად:

- (ა) ეფექტური ზომების მიღება, რომელთა მიზანია მიმდინარე ძალადობის შეწყვეტა;
- (ბ) ფაქტების ვერიფიკაცია და სრული სიმართლის სააშკარაოზე გამოტანა იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი გამოაშკარავება რაიმე საფრთხეს არ შექმნის და არ დაემუქრება მსხვერპლის, მსხვერპლის ნათესავების, მოწმეების ან იმ პირების უსაფრთხოებასა და ინტერესებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მსხვერპლის დახმარებაში ან წინ აღუდგნენ ძალადობას და მოახდინეს მისი პრევენცია;
- (გ) გაუზიარებულ პირთა ადგილსამყოფელის ძებნა, გატაცებულ ბავშვთა იდენტიფიცირება და ასევე მოკლულთა გვამების მოძიება და გადაცემაში დახმარება, გვამების ექსპუზიცია და იდენტიფიცირება, მათი ხელახლა დაკრძალვა მსხვერპლთა მიერ გამოხატული ან დაბარებული სურვილის შესაბამისად, ან გარდაცვლილთა

ოჯახის კულტურული და ეროვნული ტრადიციების შესაბამისად.

(დ) მსხვერპლის და მსხვერპლის ახლობლების ღირსების, რეპუტაციისა და უფლებების აღდგენის შესახებ ოფიციალური გამოცხადება ან სასამართლო გადაწყვეტილება;

(ე) საჯაროდ ბოდიშის მოხდა, ფაქტების დადასტურებისა და პასუხისმგებლობების აღიარების ჩათვლით

(ვ) სასამართლოს და ადმინისტრაციული სანქციების დაკისრება იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ძალადობაზე;

(ზ) მსხვერპლის ხსოვნის აღნიშვნა და პატივის მიგება;

(თ) ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზული დარღვევების კონკრეტული ფაქტების შესახებ ზუსტი მონაცემების შეტანა ტრეინინგის პროცესებში და საგანმანათლებლო მასალებში ყველა დონეზე.

23. რეციდივის დაუშვებლობის გარანტია უნდა მოიცავდეს ქვემოთმოყვანილი ზომებიდან შესაძლებლობის მიხედვით, ნებისმიერს ან ყველას ერთად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძალადობის პრევენციას:

- (ა) შეიარაღებულ და უსაფრთხოების ორგანოთა ძალებზე ეფექტური სამოქალაქო კონტროლის დაწესება;
- (ბ) გარანტია იმისა, რომ ყველა სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენელი განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სამართლიანად და მიუკერძოებლად;
- (გ) სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- (დ) იურიდიული, სამედიცინო და ჯანდაცვის პროფესიონალებთან, მედიისა და მასთან დაკავშირებული პროფესიების წარმომადგენელთა და ადამიანის უფლებების დამცველთა უსაფრთხოების დაცვა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფა;
- (ე) ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლების დანერგვა, პრიორიტეტულობისა და უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, საზოგადოების ყველა სექტორის და სამართალდამცავ, სამხედრო და

უსაფრთხოების ძალების წარმომადგენელთა ტრენინგის განხორციელება;

(გ) სახელმძღვანელო და ეთიკური ნორმების კოდექსების დაცვისა და შესრულების ხელშეწყობა, კერძოდ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ამ კუთხით, განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეთა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა, მედიის, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურების, სოციალური სამსახურების და სამხედრო პერსონალის, ასევე ეკონომიკური საწარმოების წარმომადგენელთათვის;

(ზ) სოციალური კონფლიქტების და მათი გადაწყვეტის პრევენციისა და მონიტორინგის მექანიზმების ხელშეწყობა;

(თ) იმ კანონების გადახედვა და რეფორმირება, რომლებიც ხელს უწყობს ან განაპირობებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების უხეშ და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული უფლებების სერიოზულ დარღვევებს.

X. ძალადობისა და კომპენსაციის მექანიზმებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა

24. სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული ძალადობის შესახებ საზოგადოების და განსაკუთრებით კი მსხვერპლთა ინფორმირების მექანიზმები და ინფორმაცია დაცვის იმ საშუალებების შესახებ, რომელიც წარმოდგენილია აღნიშნულ პრინციპებსა და გაიდლაინებში და ყველა ის იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური სოციალური, ადმინისტრაციული და სხვა სამსახურები, რომელზეც მსხვერპლს აქვს უფლება ან ხელმისაწვდომია მისთვის. უფრო მეტიც, მსხვერპლსა და მათ წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ უფლება მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია იმ მიზეზებზე და პირობებზე, რომლებიც იწვევენ ძალადობრივ დევნას და უკავშირდება ძალადობის ფაქტებს, როგორც ეს განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, და შეიტყონ სიმართლე ამ ძალადობებთან დაკავშირებით.

XI. არა დისკრიმინაცია

25. ამ პრინციპებისა და გაიდლაინების გამოყენება და ინტერპრეტაცია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს და არ უნდა ითვალისწინებდეს არანაირი სახის დისკრიმინაციას ან გამოწვევას.

XII. პრინციპებიდან გადახვევის დაუშვებლობა

მოყვანილ პრინციპებსა და გაიდლაინებში არაფერი უნდა იყოს ისეთი, რაც დააკნინებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს. კერძოდ, შეცნობილ უნდა იყოს ის, რომ მოცემული პრინციპები და გაიდლაინები არ უნდა დაექვემდებაროს გადახედვას იმ პირთა კომპენსაციისა და რაბილიტაციასთან მიმართებაში, რომლებიც გახდნენ ადამიანის საერთაშორისო უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრულ უფლებათა შელახვის მსხვერპლნი. უფრო მეტიც, ეს პრინციპები და გაიდლაინები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალში არსებულ სპეციფიკურ წესებს.

XIII. სხვა პირთა უფლებები

27. მოცემულ დოკუმენტში არაფერი უნდა იყოს ისეთი, რაც დააკნინებს საერთაშორისო ან ეროვნული სამართლით დაცულ უფლებებს, განსაკუთრებით კი ბრასამართლებრივი პროცედურის მიმდინარეობისას ისარგებლოს გამოყენებადი სტანდარტებით.

დემკლარაცია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/104, 20 დეკემბერი, 1993

[...]

მუხლი 2

ქალთა წინააღმდეგ ძალადობა უნდა გაგებულ იქნას როგორც შემდეგის მომცველი, მაგრამ არა ლიმიტირებული:

[...]

(გ) ფიზიკური, სქესობრივი და ფსიქოლოგიური ძალადობა ჩადენილი ხელშეწყობილი სახელმწიფოს მიერ, სადაც არ უნდა განხორციელდეს ეს უკანასკნელი.

მუხლი 3

ქალები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში. ეს უფლებები *inter alia* მოიცავს:
[...]

(თ) უფლებას არ დაექვემდებარონ წამებას ან სხვა სასტიკი, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

[...]

მუხლი 4

სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ძალდობა ქალთა წინააღმდეგ, და არ უნდა გამოიყენონ არანაირი ადამიან-წესი, ტრადიცია ან რელიგიური მოსაზრება იმისათვის, რომ თავი აარიდონ ძალდობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებას. სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო მექანიზმები, რათა მოხდეს ძალადობის აღმოფხვრა დაბრკოლებების გარეშე, ამ მიზნით მათ უნდა:

[...]

(ბ) შეაჩერონ ძალადობა ქალეთაწინააღმდეგ;

(გ) ეცადონ მოახდინონ ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტების პრევენცია, მათი გამოძიება და ეროვნული სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა აღნიშნული აქტები ჩადენილია სახელმწიფოს თუ კონკრეტული პირის მიერ.

(დ) შიდა სამართალში დახვეწონ და განავითარონ სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომითი და ადმინისტრაციული სანქციები, დასაჯონ და აანაზღაურონ იმ ქალების მიმართ მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი; ქალებისთვის, რომლებზეც განხორციელდა ძალადობის აქტები, უზრუნველყონ სამართალდამცავი მექანიზმების და ეროვნული კანონმდებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, დაცვის შესაბამისი და ეფექტურ საშუალებების ხელმისაწვდომობა იმ ტრავმებისთვის რაც მათ გადაიტანეს; ასეთი მექანიზმების ძიების პროცესში სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ.

[...]

(ზ) მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული რესურსი, სადაც ეს აუცილებელია, საერთაშორისო თანამშრომლობის ფრგლებში, რათა ქალებმა, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი და მათმა შვილებმა, საჭიროებისამებრ, მიიღონ სპეციალიზებული დახმარება, ისეთი როგორცაა რეაბილიტაცია, ბავშვის მოვლაში დახმარება და წარმართვა, მკურნალობა, იურიდიული კონსულტაცია, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება; შესაბამისი საშუალებებისა და პროგრამების განხორციელება, რომელიც შექმნის დამხმარე სტრუქტურებს და ამუშავდეს ყველა შესაბამის მექანიზმს; და ასევე ყველა სათანადო ზომის მიღება, რათა ხელი შეეწოს მათ უსაფრთხოებას და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

[...]

დეკლარაცია საბანგეპო მდგომარეობებისა და შვიარაღმდეგული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ

*გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3318
(XXIX 29 გაერო GAOR დამატება (N°31, 146,
გაერო დოკ. /9631 (1974)*

[...]

3. ყველა სახელმწიფო ვალდებულია მკაცრად დაიცვას შენევის პროტოკოლის (1925) და შენევის კონვენციის და ასევე სხვა საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება შვიარაღმდეგულ კონფლიქტების პირობებში ადამიანთა უფლებების პატივისცემას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ქალთა და ბავშვთა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას.

4. სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩართული არიან შვიარაღმდეგულ კონფლიქტებში, აწარმოებენ რა სახმხედრო ოპერაციებს უცხო ქვეყნის ტერიტორიებზე ან ტერიტორიებზე, რომელიც ჯერ კიდევ მათდამი კოლონიურ დამოკიდებულებაში იმყოფება, ძალისხმევა უნდა მიმართონ ომის გამანადგურებელი შედეგებისაგან ქალებისა და ბავშვების დაცვაზე. მიღებული უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რაც უზრუნველყოფს ისეთი ქმედებების აკრძალვას, როგორცაა დევნა, წამება, დამსჯელობითი ღონისძიებები, ღირსების შემლახავი მოპყრობა და ძალადობა, განსაკუთრებით, სამოქალაქო მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც წარმოადგენენ ქალები და ბავშვები.

[...]

**ბაერთიანებული ერების მინიმალური
სტანდარტული წესები
არასრულწლოვანთა მიმართ
მართლმსაჯულების განხორციელების
შესახებ**

*(“პეკინური წესები”) გენერალური ასამბლეის
მეორე მიღებული რეზოლუცია 40/33, 29 ნოემბერი,
1985:*

[...]

17.3. არასრულწლოვნები არ უნდა
დაექვემდებარონ ფიზიკურ დასჯას.

[...]

**ბაერთიანებული ერების წესები
თავისუფლებააკვეთილ არასრულწლოვანთა
დაცვის შესახებ**

*მიღებულია გენერალური ასამბლეის
რეზოლუციით 45/113, 14 დეკემბერი, 1990*

I. ძირითადი პერსპექტივები

1. არასრულწლოვანთა მიმართ
მართლმსაჯულების განხორციელების სისტემა
უნდა იცავდეს არასრულწლოვანთა უფლებებსა
და უსაფრთხოებას და უზრუნველყოფდეს მათ
ფიზიკურ და მენტალურ კეთილდღეობას.
პეტიმრობის სანქცია უნდა იქნას გამოყენებული
მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში.

2. არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა
უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პრინციპებისა და
პროცედურების დაცვით, რომელიც მოყვანილია
გაეროს სტანდარტულ მინიმალურ წესებში
არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების
განხორციელების წესებში (პეკინური წესები).
არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა
უნდა იყოს საშუალება, რომელიც გამოიყენება
უკიდურეს შემთხვევებში, მინიმალური
აუცილებელი პერიოდით და შეზღუდული უნდა
იყოს გამონაკლისი შემთხვევებით. ამ სანქციის
მოქმედების ხანგრძლიობა უნდა დაადგინოს
სასამართლო ორგანომ, მისი ვადაზე ადრე
გათავისუფლების შესაძლებლობის უარყოფის
გარეშე.

3. წინამდებარე წესები მიზნად ისახავს
გაერთიანებული ერების მეორე აღიარებული
მინიმალური სტანდარტების დადგენას
თავისუფლებააკვეთილი არასრულწლოვანების

ყველა იმ საშუალებით დასაცავად, რომლებიც
შეესაბამება ადამიანის უფლებებსა და ძირითად
თავისუფლებებს, რათა განეიტრალებინ
დაკავების ყოველგვარი ზიანის მომტანი
შედეგები და წახალისდეს საზოგადოებაში
ინტეგრაცია.

4. აღნიშნული წესების გამოყენება უნდა
მოხდეს მიუკერძოებლად, რასის, კანის ფერის,
სქესის, ასაკის, ენის, რელიგიის, ეროვნების,
პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების,
კულტურული მრწამსის ან ჩვეულების,
ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან
ოჯახურ სტატუსის, ეთნიკური ან სოციალური
წამომავლობის ან უნარშეზღუდულობის გამო
ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. პატივი
უნდა მიეგოს არასრულწლოვანთა რელიგიურ
და კულტურულ შეხედულებებს, ჩვეულებებსა
და ხნეობრივ წარმოდგენებს.

5. წინამდებარე წესები გამოიზნულია იმისათვის,
რომ იკისროს მოსახერხებელი სტანდარტების
როლი, რომელსაც ხშირად მიმართავენ და
უზრუნველყოს იმ პროფესიონალთა წახალისება
და გაძღოლა, რომლებიც არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულების განხორციელების
სისტემაში მონაწილეობენ.

[...]

9. ამ წესებში არაფერი არ უნდაგანიმარტოს,
როგორც გაერთიანებული ერების და ადამიანის
უფლებათა იმ დოკუმენტების და სტანდარტების
გამოყენების შემაფერხებელი, რომლებიც
აღიარებულია საერთაშორისო
საზოგადოებრიობის მიერ და მნიშვნელოვნად
უწყობს ხელს არასრულწლოვანების, ბავშვებისა
და ყველა მოზარდისათვის უფლებების,
მზრუნველობისა და დაცვის გარანტირებას.

[...]

**II წესების მოქმედების სფერო და მათი
გამოყენება**

11. წესების მიზნებისათვის შეიძლება
გამოყენებული იქნას შემდეგი განსაზღვრებები:

(ა) არასრულწლოვნად ითვლება პირი,
რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის.
ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთ მყოფი
ბავშვის თავისუფლების აღკვეთა არ დაიშვება –
განისაზღვრება კანონით.

(ბ) თავისუფლების აღკვეთა გულისხმობს
თავისუფლების შეზღუდვის, დაპატიმრების ან
საჯარო თუ კერძო სამეურვეო დაწესებულებაში
ადამიანის მოთავსების ნებისმიერ ფორმას,

საიდანაც მისი გათავისუფლება ნებით, დაუშვებელია, სასამართლო, ან ადმინისტრაციული, ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების შესაბამისად.

12. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებსა და გარემოებებში, რომლის დროსაც არასრულწლოვანთა უფლებები სრულად იქნება დაცული. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში, თავისუფლება შეზღუდულ არასრულწლოვანებს უნდა ჰქონდეთ იმ მიზანმიმართული ღონისძიებებისა და პროგრამებიდან სარგებლობის მიღების გარანტია, რომლებიც მოემსახურება მათი ჯანმრთელობისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობის დამკვიდრებასა და შენარჩუნებას, ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და ისეთი დამოკიდებულებებისა და ჩვევების წარმოშობას, რომლებიც მათ, როგორც საზოგადოების წევრებს, დაეხმარება საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში.

13. თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანებს, გამომდინარე მათი სტატუსიდან, არანაირი მიზეზით არ უნდა ეთქვათ უარი სამოქალაქო, ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ან კულტურულ უფლებათა რეალიზებზე, რაც მათ მინიჭებული აქვთ ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, და რომელიც შეთავსებადია ასევე თავისუფლების აღკვეთის წესებთან.

14. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ინდივიდუალური უფლებების დაცვა, ეს განსაკუთრებით შეეხება აღმკვეთი ღონისძიებების გატარების კანონიერებას, ხოლო სოციალური ინტეგრაციის მიზნები მიღწეულ უნდა იქნეს რეგულარული ინსპექციებისა და კონტროლის სხვა საშუალებებით, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების, ეროვნული კანონებისა და წესების მიხედვით ხორციელდება სათანადოდ დაკომპლექტებული ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნია არასრულწლოვანთა მონახულების უფლებამოსილება და არ განეკუთვნება დავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პერსონალს.

[...]

16. ამ წესების იმპლემენტაცია უნდა მოხდეს თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში.

III. სასამართლოს მომლოდინე თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნები

17. არასრულწლოვნები, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში, სასამართლო პროცესამდე ითვლებიან უდანაშაულოდ და იმსახურებენ შესაბამის მოპყრობას. წინასწარი პატიმრობა მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული ან ლიმიტირებული გამონაკლისი გარემოებებით. აქედან გამომდინარე, საჭიროა მთელი ძალისხმევის მიმართვა ალტერნატიული ზომების გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი პრევენციული დაკავება მაინც მოხდება, არასრულწლოვანთა სასამართლოებისა და საგამოძიებო ორგანოებისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ასეთი საჭმების რაც შეიძლება სწრაფად წარმოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაკავების მინიმალური ხანგრძლიობა. გაუსამართლებელი დაკავებული არასრულწლოვანები განცალკევებულად უნდა განთავსდნენ მსჯავრდადებული არასრულწლოვანებისაგან.

18. დაკავებული გაუსამართლებელი არასრულწლოვანი უნდა იმყოფებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც შეესაბამება ქვემოთ მოყვანილ წესებს, დამატებით კონკრეტულ დებულებებთან ერთად, რომლებიც საჭიროდ და შესაფერისად ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის, დაკავების ხანგრძლივობის, არასრულწლოვანის სამართლებრივი სტატუსისა და მისი საქმის გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპები უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ არის აუცილებელიმხოლოდ ამით შემოიფარგლოს, შემდეგს:

(ა) არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს იურიდიული კონსულტაცია და შეეძლოს მოითხოვოს უფასო იურიდიული დახმარება, იქ სადაც ასეთი დახმარება ხელისაწვდომია; და რეგულარულ ურთიერთობაში იმყოფებოდეს იურიდიულ მრჩეველებთან. ასეთი კომუნიკაციების დროს გარანტირებული უნდა იყოს კონფიდენციურობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;

[...]

IV. არასრულწლოვანთა დაწესებულების მართვა

[...]

ღ. ფიზიკური შევიწროებისა და ძალის გამოყენების შეზღუდვა

63. შვეიწროების საშუალებებისა და ძალისათვის მიმართვა ნებისმიერი მიზნით აკრძალული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ასახულია ქვემოთ მოცემულ 64-ე წესში.

64. შვეიწროების საშუალებებისა და ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მეთოდი ამოწურული და წარუმატებელია; და მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ეს აშკარად ნებადართულია და დაკონკრეტებულია კანონსა და წესებში. ასეთი მოქმედება არ უნდა იწვევდეს დამცირებას და ღირსების შელახვას, უნდა გამოიყენებოდეს შეზღუდულად და დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებით, ასეთი საშუალებების გამოყენება შეიძლება იმისათვის, რათა თავისან იქნეს აცილებული არასრულწლოვანის მიერ საკუთარი თავისათვის ან სხვებისათვის ზიანის მიყენება, ან ქონების მნიშვნელოვანი განადგურება. ასეთ შემთხვევებში, ხელმძღვანელი მაშინვე უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და მომხდარის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

[...]

მ. დისციპლინური პროცედურები

66. ნებისმიერი დისციპლინური ზომა და პროცედურა ხელს უნდა უწყობდეს მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების და უსაფრთხოების ინტერსებს და უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანთათვის თანდაყოლილი ღირსების დაცვასა და ასევე ასევე ინსტიტუციური მზრუნველობის ძირითად მიზნის მიღწევას, სახელდობრ კი, სამართლიანობის გრძობის საკუთარი თავისადმი და ყოველი ადამიანის ძირითადი ძირითადი უფლებების პატივისცემის გრძობის ამაღლებას.

67. მკაცრად უნდა აიკრძალოს ნებისმიერი დისციპლინური ზომის გამოყენება, რომელიც მოიცავს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, მათ შორის: ფიზიკურისასჯელი, ბნელ საკანში მოთავსება, დახურული ან განცალკევებული პატიმრობის ჩათვლით, და ნებისმიერ სხვა სასჯელს, რომელმაც შეიძლება შელახოს არასრულწლოვანის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა. საკვების შემცირება ან ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შეზღუდვა ან სრულად აკრძალვა ნებისმიერი მიზნით უნდა აიკრძალოს. შრომა ყოველთვის უნდა

განიხილებოდეს, როგორც განათლების ერთ-ერთი იარაღი და საზოგადოებაში დაბრუნებისათვის არასრულწლოვანის მომზადების პროცესში მისთვის საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძობის ამაღლების საშუალება; შრომის ვალდებულება არ უნდა დაეკისროს ადამიანს, როგორც დისციპლინური სანქცია. არც ერთი არასრულწლოვანის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სანქციები ერთზე მეტჯერ ერთი და იმავე დისციპლინური დარღვევისათვის. კოლექტიური სანქციები უნდა აიკრძალოს.

[...]

70. არც ერთ არასრულწლოვანს არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინარული სანქცია, რომლებიც ზუსტად არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და წესების პირობებს. არც ერთი არასრულწლოვანის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სანქციები, თუ მისთვის ისეთი ფორმით არ მიუწოდებიათ ინფორმაცია სავარაუდოდ მის მიერ ჩადენილი დარღვევის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა არასრულწლოვანის მიერ მიღებული ინფორმაციის სრულად გააზრებას და თუ მისთვის არ მიუციათ სათანადო შესაძლებლობა, თავი დაეცვა, კომპეტენტური, მიუკერძოებელი ორგანოსათვის მიმართვის უფლების განხორციელების ჩათვლით. აუცილებელია შედგეს ყველა დისციპლინური წარმოების სრულყოფილი ოქმი.

[...]

ნ. ინსპექტირება და საჩივარი

72. კვალიფიცირებული ინსპექტორები ანსათანადო წესით დაკომპლექტებული შესაბამისი ორგანო, რომელიც არ მიეკუთვნება დაწესებულების ადმინისტრაციას, უფლებამოსილი უნდა იყვნენ, რეგულარულად და ასევე საკუთარი ინიციატივით, გაუფრთხილებლად ჩაატარონ ინსპექტირება, და ამასთან მათ უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები ამ ფუნქციის განხორციელებისას. ინსპექტორები შეუზღუდავად უნდა დაიშვებოდნენ ყველა იმ პირთან, რომლებიც დაქირავებულია ან მუშაობს ნებისმიერ ისეთ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვანებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება ან შეიძლება აღკვეთოთ და ასევე, ყველა არასრულწლოვანთან და ასეთი დაწესებულების ყველა ჩანაწერთანაც.

[...]

78. ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს, სადაც ეს შესაძლებელია, საჩივრის შეტანის მიზნით მოითხოვოს დახმარება ოჯახის წევრებისაგან, იურიდიული კონსულტანტებისაგან, ჰუმანიტარული ჯგუფებისა და სხვა პირებისაგან. გაუნათლებელი არასრულწლოვანებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დახმარება, თუ ისინი საჭიროებენ ისეთი საჯარო და კერძო ორგანოებისა და დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობას, რომლებიც გასცემენ იურიდიულ კონსულტაციებს ან უფლებამოსილნი არიან საჩივრების მიღებაზე.

[...]

ხ. პერსონალი

[...]

85. პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი მომზადება, რაც საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, მზადების განსაკუთრებული სფეროებია: ბავშვის ფსიქოლოგია, ბავშვის კეთილდღეობა და ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები, წინამდებარე წესების ჩათვლით. პერსონალმა უნდა განავითაროს და გაიუმჯობესოს საკუთარი ცოდნის დონე და პროფესიული უნარ-ჩვევები შიდასამსახურებრივი მომზადების კურსებზე დასწრებით, რომლებიც ორგანიზებულ უნდა იქნეს თანამშრომელთა კარიერის მანძილზე პერიოდულად და შესაფერის დროს.

[...]

87. თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს საპატიმრო დაწესებულების პერსონალი ვალდებულია დაიცვას ყველა არასრულწლოვანის ღირსება და უფლებები, განსაკუთრებით კი:

(ა) სასჯელადსრულებითი დაწესებულების არც ერთ წარმომადგენელს ან დაწესებულების პერსონალს არა აქვს უფლება თავად განახორციელოს, ვინმე წააქეზოს ან დაუშვას წამების ან ნებისმიერი ფორმის უხეში სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, სასჯელი, გამასწორებელი ზემოქმედება ან დისციპლინა – როგორც საბაბი და პირობებიც არ უნდა არსებობდეს ამისათვის;

[...]

(გ) სასჯელადსრულების დაწესებულების პერსონალი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს

წინამდებარე წესებს. პერსონალმა, რომელსაც გააჩნია რაიმე სარწმუნო მიზეზი იმისა, რომ ადგილი აქვს წარმოდგენილი წესების სერიოზულ დრღევებს ან მოსალოდნელია მათი დარღვევა აღნიშნულის თაობაზე უნდა მოახსენოს ზემდგომ ან შესაბამისი უფლებებით აღჭურვილ კომპეტენტურ ორგანოებს, რომელსაც აქვს გადამოწმების ან მდგომარეობის გამოსწორების უფლებამოსილება.

(დ) მთელი პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სრულ დაცვას, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობის და ექსპლუატაციისაგან დაცვის ჩათვლით, და, როცა კი ეს საჭიროა, დაუყოვნებლივ უნდა იღებდეს ზომებს სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად.

[...]

ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვის პრინციპების ერთობლიობა

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია 43/173, 9 დეკემბერი 1988

წესების მოქმედების სფერო

აღნიშნული პრინციპები გათვალისწინებულია ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპატიმრებულ პირების დასაცავად.

ტერმინთა გამოყენება

პრინციპთა კრებულში გამოყენებული ტერმინები გულისხმობს:

(ა) “დაპატიმრება” გულისხმობს ადამიანის დაკავების აქტს სავარაუდო კანონდარღვევის ჩადენისათვის ან ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ქმედებით

(ბ) “დაკავებული პირი” გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, დანაშაულისთვის უკვე განამართლებულ და მსჯავრდებულ პირთა გარდა;

(გ) “მსჯავრდებული პირი” გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელსაც აღკვეთილი აქვს პირადი თავისუფლება, დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდების დადებით;

(დ) “დაკავება” ნიშნავს დაკავებული პირის მდგომარეობას, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული;

(ე) “დაპტიმრება” გულისხმობს დაპტიმრებული პირის მდგომარეობას, როგორც ეს ზემოთ იყო განსაზღვრული;

(ვ) სიტყვები “მართმსაჯულების ან სხვა ორგანო” გულისხმობს მართმსაჯულების ან ხელისუფლების სხვა ორგანოს, რომელიც მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის სტატუსი და უფლება უზრუნველყოფს კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის მყარ გარანტიებს.

პრინციპი 1

ყველა დაკავებული ან დაპტიმრებული პირის მიმართ მოპყრობა უნდა განხორციელდეს ჰუმანური პრინციპებით, მათი განუყოფელი ღირსების პატივისცემით.

პრინციპი 2

პატიმრობა, დაკავება ან დაპტიმრება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის პრინციპებთან მკაცრ შესაბამისობაში, და მხოლოდ ოფიციალური და კომპეტენტური პირებისა მიერ, რომელთაც მინიჭებული აქვთ აღნიშნული უფლება.

პრინციპი 3

კანონის, საერთაშორისო კონვენციების, და ამ პრინციპთა კრებულის შესაბამისად, არც ერთ ქვეყანაში, არ უნდა არსებობდეს და არ უნდა იყოს დაშვებული ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპტიმრებულ პირთა ადამიანის უფლებების შეზღუდვა ან მათგან გადახვევა, იმ საბაბით რომ ქვეყანის კანონმდებლობა არ აღიარებს ასეთ უფლებებს ან რომ ის აღიარებს მათ ნაკლები ხარისხით;

პრინციპი 4

დაკავების ან დაპტიმრების ნებისმიერი ფორმა და ყველა სანქცია, რომელსაც გავლენა აქვს ნებისმიერი დაკავებული ან დაპტიმრებული ადამიანის უფლებებზე, შესაბამისად უნდა დაექვემდებაროს მართმსაჯულების, ან სხვა უფლებამოსილი ორგანოების ეფექტურ კონტროლს;

პრინციპი 5

1. აღნიშნული პრინციპები გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელიც იმყოფება მოცემული

ქვეყნის ტერიტორიაზე, მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად;

2. ზომები, რომლებიც გამოიყენება კანონთან შესაბამისობაში და საგანგებოდ არის შექმნილი, ქალთა უფლებებისა და მათი განსაკუთრებული სტატუსის დასაცავად, განსაკუთრებით ეს ეხება ორსულებსა და მეძუძურ დედებს, ბავშვებსა და არასრულწლოვნებს, ხანდაზმულებს, ავადმყოფ ან ფიზიკური ნაკლის მქონე პირების არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს. ასეთი მექანიზმების აუცილებლობა და მათი გამოყენება ყოველთვის იქნება მართმსაჯულებისა ან ხელისუფლების სხვა ორგანოების განხილვის საგანი.

პრინციპი 6

ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან დაპტიმრებული პირი არ შეიძლება გახდეს წამების ან სხვა სასტიკ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის ობიექტი.* არცერთი გარემოება არ შეიძლება იქნას გამოყენებული ასეთი საქციელის გამამართლებელი გარემოებად

პრინციპი 7

1. სახელმწიფომ კანონით უნდა აკრძალოს ნებისმიერი ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრინციპებში მოყვანილ უფლებებსა და მოვალეობებს, და ამგვარი ქმედებებისათვის უნდა დააწესოს შესაბამისი სანქციები და ჩაატაროს მიუკერძოებელი გამოძიება წარმოდგენილი საჩივრის შესაბამისად.

* ტერმინის - “სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა” ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს, როგორც დაკავებული ან დაპტიმრებული პირის შეძლებისდაგვარად ფართომასშტაბიანი დაცვა არაადამიანური მოპყრობისაგან, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური, დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი პირის დროებით ან მუდმივად ისეთ მდგომარეობაში ჩაყენების ჩათვლით, როდესაც მას არ შეუძლია საკუთარი ბუნებრივი შეგრძნებების რეალიზება, მაგ. როგორცაა მხედველობა, სმენა, ადგილსა და დროში ორიენტირება.

2. უფლებამოსილ პირებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი მიზეზი იმის სარწმუნოდ, რომ ადგილი აქვს აღნიშნული პრინციპების დარღვევას ან არსებობს ეჭვი ამის თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აცნობონ უშუალოდ თავიანთ ზემდგომ ორგანოებს და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ზემდგომ ორგანოებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ აღნიშნულზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება.

3. ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც გააჩნია საწრმუნო საფუძველი იმისა, რომ ადგილი აქვს აღნიშნული პრინციპების დარღვევას ან არსებობს ეჭვი ამის თაობაზე აღნიშნულთან დაკავშირებით უფლება აქვთ შეატყობინონ ინფორმაცია ოფიციალურ ზემდგომ და სხვა შესაბამის ორგანოებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ აღნიშნულზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება.

პრინციპი 8

დაკავებულ პირებს უნდა მოეპყრონ მათი სტატუსიდან გამომდინარე, რომ ისინი ჯერ განსასჯელები არიან. შესაბამისად, ისინი უნდა იყვნენ განთავსებული ბრალდებულებისაგან იზოლირებულად.

პრინციპი 9

ორგანოებმა, რომლებიც აპატიმრებენ, აკავებენ პიროვნებას ან იძიებენ აღნიშნულ საქმეს, უნდა გამოიყენონ მხოლოდ მათდამი კანონით მინიჭებული უფლებები, და ამ უფლებების შესრულებისას მათ შეიძლება მიმართონ მართმსაჯულების ან სხვა შესაბამის ორგანოებს.

პრინციპი 10

ნებისმიერი დაპატიმრებული პირი დროულად და დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების და მის მიმართ გატარებული სანქციის შესახებ.

პრინციპი 11

1. დაუშვებელია პირის დაკავება თუ მას არ მიეცემა ეფექტური შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი დაცვა და მიმართოს მართმსაჯულებისა ან სხვა ორგანოებს. დაკავებული პირს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი ან კანონმდებლობიდან გამომდინარე აიყვანოს ადვოკატი

2. დაკავებული პირი და მისი ადვოკატი, ასეთის ყოლის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიიღოს დროული და სრულყოფილი ინფორმაცია დაკავების განკარგულების შესახებ, ამ უკანაქსნელის მიზეზებთან ერთად.

3. მართმსაჯულებისა და სხვა ორგანოები უნდა იყვნენ უფლებამოსილი განიხილონ და მიიღონ შესაბამისი დადგენილება წინასწარი დაკავების ხანგრძლივობის შესახებ.

პრინციპი 12

1. სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული:

(ა) დაპატიმრების მიზეზები;

(ბ) დაპატიმრების, მისი საპატიმროში მოთავსების და ასევე მართმსაჯულებისა ან სხვა ორგანოს წინაშე მისი პირველად წარდგენის ვადები, თარიღები;

(გ) იმ სამართალდამცავ პირთა იდენტიფიცირება, რომელთაც ეხებათ საქმე;

(დ) ზუსტი ინფორმაცია პატიმრობის ადგილის შესახებ.

2. აღნიშნული ჩანაწერები უნდა წარედგინოს დაკავებულ პირს, ან მის ადვოკატს, თუ ასეთი ჰყავს, კანონით გათვალისწინებული ფორმით.

პრინციპი 13

დაკავების განმახორციელებელი ოფიციალური პირები ვალდებული არიან ნებისმიერ პირს, დაპატიმრებისა და დაკავების მომენტში, ან მცირე დროში დაკავების შემდეგ, გააცნონ და მისცენ შესაბამისი ახსნა-განმარტებები მისი უფლებების შესახებ და იმის თაობაზე თუ როგორ უნდა გამოიყენოს მან აღნიშნული უფლებები.

პრინციპი 14

პირს, რომელსაც არ ესმის ან ვერ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელსაც იყენებენ დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირები, აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია დაკავების შემდგომ საქმის წარმოების პროცედურებთან დაკავშირებით მე-10 და მე-11 (მუხლი 2), მე-12 (მუხლი 1) და მე-13, მისთვის გასაგებ ენაზე ან აუცილებლობის შემთხვევაში ისარგებლოს თარჯიმანის უფასო დახმარებით.

პრინციპი 15

მიუხედავად იმ გამონაკლისებისა, რომელიც მოცემულია მე-16 პრინციპის მე-4 მუხლში და მე-18 პრინციპის მე-3 მუხლში, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ურთიერთობა გარესამყაროსთან, კერძოდ კი მის ოჯახთან ან იურიდიულ მრჩეველთან არ უნდა იყოს აკრძალული, რამდენიმე დღიან პერიოდზე უფრო ხანგრძლივი ვადით.

პრინციპი 16

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს დაპატიმრების, ან დაკავების ერთი ადგილიდან მეორეზე ყოველი გადაყვანის შემდგომ დაუყოვნებლივ მოითხოვოს კომპეტენტური პირებისაგან რათა მიაწოდონ მის ოჯახს ან სხვა შესაბამის პირებს ინფორმაცია მისი დაპატიმრების, დაკავების იმ ადგილის თაობაზე სადაც ის იქნა გადაყვანილი.

2. იმ შემთხვევაში თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა ის ასევე უნდა იყოს შესაბამისად ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ და იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამოიყენოს ეს უფლებები ე.ი. მიმართოს იმ ქვეყნის საკონსულტო დეპარტამენტს და დიპლომატიურ მისიას, რომლის მოქალაქეც ის არის ან რომელსაც საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე გააჩნია პასუხისმგებლობა აღნიშნულზე ან კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუ ის არის ლტოლვილი, ან იმყოფება სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ.

3. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია, ან არა აქვს უნარი გაერკვეს საკუთარ უფლებებში, ამ შემთხვევაში კომპეტენტურმა პირებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ ინიციატივა მისი ინფორმირების თაობაზე. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის, შეტყობინების მიწოდებას მშობლებისა ან მეურვეებისათვის.

4. კანონის შესაბამისად, ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს დაყოვნების გარეშე. თუმცა, კომპეტენტურ პირებს შეუძლიათ გარკვეული დროით დაყოვნონ ინფორმაციის მიწოდება იმ შემთხვევაში თუ ეს არის მოთხოვნილი გამოძიების მხრიდან გამონაკლისის სახით.

პრინციპი 17

1. დაკავებული პირი უფლებამოსილია მიიღოს ადვოკატის დახმარება. დაუყოვნებლივ,

დაპატიმრების შემდგომ კომპეტენტური პირები გააცნობენ მას საკუთარ უფლებებს და დაკავებულს საშუალება უნდა მიეცეს ისარგებლოს საკუთარი უფლებებით.

2. თუ დაკავებულ პირს არ ჰყავს საკუთარი ადვოკატი, ყველა იმ შემთხვევაში სადაც ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესები, მას უფლება ეძლევა აიყვანოს ადვოკატი, რომელსაც შესთავაზებენ მართმსაჯულების წარმომადგენლები ან სხვა კომპეტენტური პირები; ასეთი ადვოკატის მომსახურება უფასოა თუ დაკავებულს არ აქვს საშუალება ანაზღაუროს ადვოკატის ხარჯები.

პრინციპი 18

1. დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უფლებამოსილია შეხვდეს და მიიღოს შესაბამისი კონსულტაცია მისი ადვოკატისაგან.

2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ეძლევა შესაბამისი დრო და უნდა შეექმნას პირობები ადვოკატთან კონსულტაციისათვის.

3. დაუშვებელია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებების შეზღუდვა მასთან ვიზიტის განხორციელებაზე და დაყოვნების, ცენზურისა და სრული კონფიდენციალობის დაცვით ადვოკატთან დაკავშირებას ან კონსულტაციაზე. იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობითა და ინსტრუქციებით, ეს ის შემთხვევებია, როდესაც ამას მოითხოვს სასამართლო ან სხვა კომპეტენტური ორგანოები, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა

4. საუბრები დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირსა და მის ადვოკატს შორის შესაძლებელია მიმდინარეობდეს სამართალდამცავთა ვიზუალური და არა აუდიო კონტროლის პირობებში.

5. დაუშვებელია დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირსა და მის ადვოკატს შორის საუბარი, გამოყენებული იქნას როგორც სამხილი დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წინააღმდეგ, თუ ეს სამხილები არ უკავშირდება დანაშაულის გაგრძელებას ან ახალი საქმის გახსნას.

პრინციპი 19

დაუშვებელია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებების შეზღუდვა მასთან ვიზიტის განხორციელებაზე, განსაკუთრებით კი ეს შეეხება მისი ოჯახის წევრებს. დაკავებულ პირს

უნდა ჰქონდეს ასევე გარე სამყაროსთან კავშირის შესაძლებლობა იმ შეზღუდვებისა ან პირობების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით.

პრინციპი 20

დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სურვილის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, იგი შეიძლება მოთავსებული იქნას იმ დაკავების დაწესებულებაში რომელიც უფრო ახლოს მდებარეობს მის საცხოვრებელ ადგილთან.

პრინციპი 21

1. უნდა აიკრძალოს რაიმე უპირატესობით სარგებლობა ან დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სიტუაციის გამოყენება იმ მიზნით, რაც იძულებულს გახდის მას აღიაროს დანაშაული ან მისცეს ჩვენება ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ.

2. არც ერთი დაკავებული პირი გამოძიების პროცესში არ უნდა გახდეს ძალადობის, მუქარის ან იმგვარი დაკითხვის ობიექტი, რომელიც იმოქმედებს მის მიერ გადაწყვეტილების მიღების ან მსჯელობის უნარიანობაზე.

პრინციპი 22

დაუშვებელია დაკავებული ან დაპატიმრებული პირზე, თუნდაც ეს ხდებოდეს მისი თანხმობის საფუძველზე, განხორციელდეს რაიმე სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტები, რაც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის.

პრინციპი 23

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა ნებისმიერი სახის დაკითხვის პროცედურის ხანგრძლიობა და ინტერვალი დაკითხვებს შორის, ასევე იმ ოფიციალურ პირთა იდენტიფიკაცია, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ მოქმედებას, ასევე იმ პირთა ვინაობა, რომელიც ესწრებიან დაკითხვებს, უნდა დაფიქსირდეს ჩანაწერის სახით, იმგვარად, როგორც მოთხოვნილია კანონმდებლობით.

2. დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის ან მისი ადვოკატისთვის, თუ ამის უფლებას მათ აძლევს კანონი, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია ამ პრინციპის 1 მუხლში.

პრინციპი 24

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა აღმოუჩინონ სათანადო სამედიცინო დახმარება რაც შეიძლება დროულად, ამის შემდეგ კი აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა. აღნიშნული დახმარება და მკურნალობა უნდა იყოს უფასო.

პრინციპი 25

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ან მისი ადვოკატს, უსაფრთხოების გარანტირების მიზნით, უნდა ჰქონდეთ უფლება მოითხოვონ ან შეამდგომლობით მიმართონ მართმსაჯულების ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, მეორადი სამედიცინო გამოკვლევის თაობაზე.

პრინციპი 26

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა, ექიმის სახელი და გამოკვლევის შედეგები უნდა იქნას ჩაწერილი და სათანადოდ დოკუმენტირებული. აღნიშნული ჩანაწერების ხელმისაწვდომობა უნდა იყოს გარანტირებული. აქედან გამომდინარე, ეს მოდალოებები შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამის წესებთან.

პრინციპი 27

მტკიცებულებების შეგროვებისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ამ მტკიცებულებათა მოპოვების გზები. აღნიშნული, გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წინააღმდეგ ასეთი სამხილების გამოყენების დასაშვებლობის განხილვისას.

პრინციპი 28

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, შეზღუდული რესურსების პირობებში მოიპოვოს საზოგადოებრივი წყაროებიდან საგანმანათლებლო, კულტურული და საინფორმაციო მასალების სათანადო რაოდენობა, დაკავების ან პატიმრობის ადგილას უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

პრინციპი 29

1. შესაბამისი კანონებისა და წესების დაცვაზე მკაცრი კონტროლის განსახორციელებლად, საჭიროა რომ პასუხისმგებელი, კვალიფიციური და გამოცდილი პირების და კომპეტენტური ოფიციალური პირების მხრიდან დაკავების

ადგილებში ხორციელდებოდა რეგულარული ვიზიტები. ასეთ პირობებში არ უნდა მოიაზრობდნენ ისინი, რომლებიც რაიმე დამოკიდებულებაში იმყოფებიან დაკავების ადგილების ადმინისტრაციასთან.

2. დაკავებულ და დაპატიმრებულ პირს, უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად და კონფიდენციალურად დაცვით ურთიერთობა იქონიონ იმ პირებთან, რომლებიც ასორციელებს დაკავების ადგილების ვიზიტებს ან ამ პრინციპის 1 ნაწილში მოხსენიებულ პირებთან, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის პირობების გათვალისწინებით.

პრინციპი 30

1. კანონით, და სხვა ნორმატიული რეგულაციების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ქცევის ტიპი, შესაძლო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იმ გადაცდომებისათვის, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს ასეთმა პირმა პატიმრობის დროს, ასევე დისციპლინური სასჯელის ვადა და მისი აღწერა, რომელიც შეუძლია განახორციელოს უფლებამოსილ პირს. აღნიშნული რეგულაციების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული და დაყვანილი უნდა იყოს პატიმრებამდე და დაღავებულ პირებამდე.

2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს თავი იმართლოს მანამ, სანამ მას დაეკისრება დისციპლინური სანქცია. მას უფლება უნდა ჰქონდეს გაასაჩივროს აღნიშნული ქმედება და განსახილველად გადასცეს ზემდგომ ორგანოს.

პრინციპი 31

შესაბამისი უწყებები ყოველმხრივ უნდა ცდილობდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის ფარგლებში, უზრუნველყონ თავისუფლებააღკვეთილთა, განსაკუთრებით კი დაკავებულთა და დაპატიმრებულთა მიმართ დამოკიდებულ პირთა და მათი ოჯახის არასრულწლოვანი წევრების დახმარება და უნდა იღებდნენ განსაკუთრებული ზომებს მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებზე მზრუნველობის განსახორციელებლად.

პრინციპი 32

1. დაკავებული პირი, ან მისი ადვოკატი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი უნდა იყოს ნებისმიერ დროს აღძრას საქმე

მართმსაჯულების ან ხელისუფლების სხვა ორგანოების წინაშე, რათა გადახედული იქნას მისი დაკავების კანონიერება; უკანონობის გამოვლენის შემთხვევაში კი უნდა მოხდეს მისი დაუყოვნებლივი განთავისუფლება.

2. ამ პრინციპის 1 მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოება, უნდა იყოს მარტივი და დანქარებული, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაკავებული პირის მხრიდან, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი სახსრები. დაკავებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ დაყოვნების გარეშე უნდა წარუდგინოს დაკავებულ პირს შესაბამისი ორგანოს, რომელიც განიხილავს მის საქმეს.

პრინციპი 33

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს უფლება უნდა ჰქონდეს, მისდამი მოპყრობის, და განსაკუთრებით კი წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევაში თხოვნით ან საჩივრით მიმართოს, იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი არიან დაკავების ადგილების ადმინისტრირებაზე, ასევე ზემდგომ ორგანოს, საჭიროების შემთხვევაში კი იმ უწყებებს რომლებიც აღჭურვილი არიან საპროცესო უფლებამოსილებით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც არც დაკავებულ პირს და არც მის ადვოკატს არ შეუძლიათ გამოიყენონ უფლებები, რომელიც გატვალისწინებულია ამ პრინციპების 1 მუხლით, ამ შემთხვევაში დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ოჯახის წევრს ან სხვა პიროვნებას, რომლისთვისაც ეს შემთხვევა ცნობილი გახდა, უნდა შეუძლოს ისარგებლოს ამ უფლებით.

3. მოთხოვნასთან ან საჩივართან დაკავშირებული საკითხებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ ამას მოითხოვს მოსარჩელე პირი.

4. ნებისმიერი მოთხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და გაეცეს პასუხი. მოთხოვნის ან საჩივრის დაუკმაყოფილებლობის, ან პასუხის დაყოვნების შემთხვევაში, მომჩივან მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს საჩივრით მიმართოს მართმსაჯულების განმასრციელებელ ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს. 1 მუხლის მიხედვით გათვალისწინებული საჩივრის გამო, არც ერთ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს და არც რომელიმე მოსარჩელეს არ შეიძლება დაეკისროთ რაიმე პასუხისმგებლობა ასეთი თხოვნის ან საჩივრის წარდგენის გამო.

პრინციპი 34

პატიმრობის დროს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის გარდაცვალების ან გაუჩინარების შემთხვევაში, ნებისმიერი სახის გამოძიება სიკვდილის მიზეზებთან ან გაუჩინარებასთან დაკავშირებით, უნდა ჩაატაროს მართმსაჯულების ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ ან საკუთარი დადგენილების საფუძველზე, ან ასეთ პირთა ოჯახის წევრის ან ნებისმიერი სხვა პირის მოთხოვნით, რომლისთვისაც ცნობილია აღნიშნულ საქმე, როდესაც გარემოებები საფუძვლიანი და ცნობილია, თუნდაც ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვალება ან გაუჩინარება მოხდა თავისუფლების აღკვეთისა ან პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ მალევე, ასეთი გამოძიება უნდა განხორციელდეს იმავე პროცედურული პრინციპების დაცვით. ასეთი გამოძიების მონაცემების დოკუმენტირება ან შეტყობინება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მოთხოვნისთანავე, თუ ეს უკანასკნელი ხელს არ შეუშლის მიმდინარე ძიებას ამავე სისხლის სამართლის საქმეზე.

პრინციპი 35

- ამ პრინციპებში აღწერილი უფლებების წინააღმდეგ საჯარო მოხელეთა ქმედებებით ან უმოქმედობებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
- ინფორმაცია, რომლის დოკუმენტირება/ჩაწერა მოთხოვნილია აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, რათა საჭიროებისას განხორციელდეს ამ პრინციპებით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემა.

პრინციპი 36

1. დაკავებული პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბაღდებულია დანაშაულის ჩადენაში, კანონმდებლობის მიხედვით განაჩენის გამოტანამდე სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმციით და საჯარო სასამართლო პროცესზე სარგებლობს დაცვის ყველაწარმოებით;

2. ისეთი პირების დაპატიმრება ან დაკავება, რომელთა საქმე მოითხოვს შემდგომ გამოძიებას და სასამართლოგანხილვას, უნდა განხორციელდეს მხოლოდ მართმსაჯულების მოთხოვნით კანონმდებლობაში გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება ასეთი პირების მიმართ, როდესაც არ არსებობს პატიმრობის შეფარდების მკაცრი მოთხოვნის აუცილებლობა, იმ მოტივით, რომ ხელი შეეშლება გამოძიების მიმდინარეობას ან მართმსაჯულების წარმოებას, ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე და წესრიგის დასამყარებლად დაკავების ადგილებში, უნდა აიკრძალოს.

პრინციპი 37

პირი, რომელიც დაკავებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, უნდა წარედგინოს მართმსაჯულების ან სხვა შესაბამისი ორგანოს დაუყოვნებლივ მისი დაკავების შემდგომ. აღნიშნული ორგანო დაყოვნების გარეშე მიიღებს გადაწყვეტილებას დაკავების კანონიერებისა და აუცილებლობის თაობაზე. არ შეიძლება ადამიანის დაკავება მიმდინარე გამოძიების ან საქმის სასამართლო განხილვის პერიოდში მართმსაჯულების ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი სანქციის გარეშე. დაკავებული პირი, ასეთი ორგანოს წინაშე წარდგენის დროს, უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება დაკავების პერიოდში მის მიმართ განხორციელებული მოპყრობის თაობაზე.

პრინციპი 38

პირს, რომელიც დაკავებულია როგორც ეჭვმიტანილი, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება განსაზღვრულ ვადებში წარდგეს სასამართლოს წინაშე ან განთავისუფლდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმის განხილვამდე.

პრინციპი 39

გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, პირი, რომელიც დაკავებულია როგორც ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში, შეიძლება განთავისუფლდეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე. მართმსაჯულების ორგანო იტოვებს დაკავების აუცილებლობის ხელახალი განხილვის უფლებას.

ზოგადი შენიშვნები

აღნიშნულ წესებში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც რაიმე უფლების შეზღუდვა, ან უფლებებისაგან გადახვევა, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

პატიმართა მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპები

მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ, რეზოლუცია 45/111, 14 დეკემბერი, 1990

1. ყველა პატიმრის მიმართ უნდა ხორციელდებოდეს მოპყრობა - მათი ღირსების და ადამიანური ღირებულებების პატივისცემით.

2. დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა მდგომარეობების საფუძველზე.

3. სასურველია ასევე პატივი მიეცოს იმ ჯგუფის რელიგიური აღმსარებლობას და კულტურულ თავისებურებებს, რომელსაც მიეკუთვნება დაპატიმრებული პირი, როცა ამას მოითხოვს ადგილობრივი პირობები.

4. ციხეების პასუხისმგებლობა პატიმართა დაცვაზე და ასევე საზოგადოების დაცულობაზე დანაშაულისაგან, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს სხვა სოციალური მიზნების და მისი ძირითადი პასუხისმგებლობების პარალელურად, ხელი შეუწყოს საზოგადოების ყველა წევრის განვითარებას და კეთილდღეობას.

5. იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით ყველა პატიმარი სარგებლობს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით და იმ დოკუმენტებში განსაზღვრული უფლებებით, რომლის ხელშეშემკერფელ მხარესაც წარმოადგენს სახელმწიფო, მათ შორის - საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ფაქულტატიური ოქმით და სხვა უფლებებით რომელიც მოყვანილია გაერთიანებული ერების სხვა დოკუმენტებში.

6. ყველა პატიმარს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ადამიანის პიროვნების სრული განვითარება.

7. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს, ცალკეული შეზღუდვების, როგორც დამსჯელობითი ღონისძიებების აკრძალვასა ან მათი გამოყენების შეზღუდვაზე.

8. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, სადაც პატიმრებს საშუალება მიეცემათ მიიღონ გარკვეული ანაზღაურებადი სამუშაო, რაც თავის მხრივ გაამარტივებს მათი რეინტეგრაციის პროცესს ქვეყნის შრომის ბაზაზე და უფლებას მისცემს მათ უზრუნველყონ საკუთარ თავი და ფინანსურად დაეხმარონ ოჯახებს.

9. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობის მომსახურებების სახეებზე, რომელიც ხელმისაწვდომია ზოგადად ქვეყანაში, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და შეზღუდვის გარეშე.

10. საზოგადოებისა და სოციალური უწყებების მონაწილეობითა და დახმარებით და მსხვერპლის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ყოფილ პატიმართა რეინტეგრირებისათვის საზოგადოებაში.

11. ზემოთ მოცემული პრინციპების გამოყენება უნდა ხდებოდეს მიუკერძოებლად

ბაერთიანებული ერების პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები

მიღებულია გაეროს პირველი კონგრესის მიერ ჟენევაში 1955 წელს და დამტკიცებულია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ რეზოლუციით 663 C (XXIV), 31 ივლისი, 1957 და რეზოლუციით 2076 (LXII), 13 მაისი, 1977

მიმოხილვა

1. ქვემოთ მოყვანილი წესები მიზნად არ ისახავს პენიტენციალური ინსტიტუტების მოდელის სისტემის დეტალურ აღწერას. წესები მიზნად ისახავს თანამედროვე მოსაზრებების ზოგადი კონსენსუსისა და დღესდღეობით არსებული ყველაზე ადეკვატური სისტემების აუცილებელი ელემენტების საფუძველზე, მხოლოდ აჩვენოს თუ რა ითვლება პატიმართან მოპყრობის და დაწესებულებების მენეჯმენტში საყოველთაოდ მიღებულ საუკეთესო პრაქტიკად.

2. მსოფილოში არსებული იურიდიული, სოციალური, ეკონომიური და გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, აშკარაა რომ ყველა წესი არ შეიძლება იყოს მისაღები ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ქვეყნისთვის. თუმცა, აღნიშნული წესები უნდა გახდნენ მუდმივი მცდელობის სტიმულატორი, რათა მათი გამოყენებითა და გაეროსათვის მისაღები მინიმალური ვალდებულებებით გადაიღახოს პრაქტიკული სირთულეები.

3. მეორეს მხრივ, აღნიშნული წესები მოიცავს სფეროს, სადაც აზროვნება მუდმივად ვითარდება. წესები არ არის გათვალისწინებული იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ექსპერიმენტებისა და პრაქტიკის განვითარებას, ისინი არიან ჰარმონიაში კანონებთან და ცდილობენ განავითარონ მიზნები, რომლებიც მოყვანილია წესების კონტექსტში. ის ყოველთვის უნდა იყოს მისაღები და კანონიერი ციხის ადმინისტრირებისათვის, რათა მოხდეს წესებიდან გადახრების სანქციონირება.

[...]

31. უნდა აიკრძალოს ფიზიკური დასჯა, დასჯა ბნელ საკანში მოთავსებით და ყველა სახის სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, როგორც დისციპლინური სადამსჯელო.

32. (1) დასჯა - დახურულ სივრცეში მოთავსებით ან საკვების მიწოდების შემცირების გზით არასოდეს შეიძლება იქნეს გამოყენებული, სანამ სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი არ გასინჯავს პატიმარს და წერილობით არ დაადასტურებს, რომ აღნიშნულ პირს შეუძლია ამის გადატანა.

(2) იგივე აკრძალვა უნდა იქნას გამოყენებული სხვა დამსჯელობითი ღონისძიებების მიმართაც, რომლებიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის. ასეთი დამსჯელობითი ღონისძიება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ან არ შეესაბამებოდეს 31-ე წესში მოყვანილ პრინციპებს.

(3) სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი ვალდებულია ყოველდღე მონახულოს პატიმარი, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა ამგვარი დამსჯელობითი ღონისძიება და შესაბამისად ურჩიოს საპატიმროს დირექტორს, რომ მან მხედველობაში მიიღოს ისეთი დამსჯელობითი ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმა ან შეცვალოს ისინი, რომლებიც

ზიანს აყენებს პატიმრის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას

შეზღუდვის საშუალებები

33. დაუშვებელია დასჯის მიზნით შემზღუდველ იარაღებად გამოყენებული იყოს ხელბორკილები, ჯაჭვები, ლითონის საგნები და დამამშვიდებელი პერანგი. უფრო მეტიც, დაუშვებელია ჯაჭვების ან ლითონის საგნების გამოყენება, როგორც შემზღუდველი საშუალება. ყველა სხვა შემზღუდველი საშუალების გამოყენება დაუშვებელია ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობების გარდა:

(ა) დაკავებული გადაყვანის პროცესში, როგორც გაქცევისაგან დაცვის საშუალება; პატიმრის მართმსაჯულების ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიყვანის შემდეგ მას უნდა მოეხსნას შეზღუდვის აღნიშნული საშუალებები;

(ბ) სამედიცინო მიზნით, მედპერსონალის თანხმობით;

(გ) დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ კონტროლის სხვა მეთოდები წარუმატებელია და ასევე პრევენციული მიზნით, რათა პატიმარი დაცული იქნას თვით-დაზიანებისაგან, სხვა პირები დაცული იქნენ დაზიანებისაგან ან დაცული იყოს ქონების დაზიანებისაგან; ასეთ შემთხვევაში დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს კონსულტაცია სამედიცინო პირისაგან და აღნიშნულის თაობაზე მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

34. შემზღუდველი ინსტრუმენტების გამოყენების ფორმისა და მოდელის შერჩევაზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიმროს ადმინისტრაცია. დაუშვებელია აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება განსაზღვრულზე მეტი დროით.

ინფორმაცია პატიმართათვის და მათი საჩივრები

35. (1) ყველა პატიმარს, საპატიმროში შესვლისთანავე უნდა მიეწოდოს წერილობითი ინფორმაცია მისი კატეგორიის პატიმართა მიმართ მოპყრობის წესების შესახებ, დაწესებულების დისციპლინური პროცედურების შესახებ, ინფორმაციის მოპოვების მიღებული ფორმის შესახებ, საჩივრის წარდგენის შესახებ და ყველა იმ სხვა საკითხის შესახებ, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ პატიმარმა შესძლოს გაერკვა საკუთარ უფლებებსა და

ვალდებულებებში და ადაპტირდეს ამ დაწესებულებაში ყოფნასთან.

(2) თუ პატიმარი გაუნათლებლია, ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია მას უნდა წაუკითხონ ხმამაღლა.

36. (1) ყოველ პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა (კვირაში ერთი დღე) მიმართოს თხოვნით ან საჩივრით დაწესებულების დირექტორს უშუალოდ ან ოფიცერს, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს დირექტორს.

(2) პატიმარს საშუალება უნდა მიეცეს აღნიშნული მოთხოვნით ან საჩივრით მიმართოს ციხის ინსპექტორს, ინსპექტირების ჩატარების პროცესში. პატიმარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაესაუბროს ინსპექტორს ან ინსპექტირებაში მონაწილე სხვა პირს დირექტორისა ან ციხის სხვა თანამშრომელის დაუსწრებლად.

(3) ყველა პატიმარს საშუალება უნდა მიეცეს, წარადგინოს საჩივარი ან მოთხოვნა ციხის ცენტრალურ ადმინისტრაციას, მართლმსაჯულების ორგანოს ან სხვა შესაბამის უწყებას, ყოველგვარი ცენზურის გარეშე დადგენილი წესით.

(4) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლო ან აშკარად არასერიოზულია, მოთხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული და პასუხი დაგვიანების გარეშე უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

კავშირი გარე სამყაროსთან

37. პატიმრებს ნება უნდა დაერთოთ, აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში რეგულარულად ჰქონდეთ კავშირი საკუთარი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, რომლებიც სარგებლობენ კარგი რეპუტაციით, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ვიზიტების სახით.

38. (1) პატიმრები, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნდა მიეცეთ საშუალება დაუკავშირდნენ იმ ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულოს წარმომადგენლობებს, რომელთა მოქალაქეებიც არიან ისინი.

(2) პატიმრები, რომლებიც არიან ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელთაც არ გააჩნიათ აღნიშნულ ქვეყანაში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობები, ასევე ლტოლვილები ან მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ იგივე უფლებებით, და

ეძლევათ საშუალება ასევე მიმართონ იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, რომლებიც თავის თავზე აიღებენ ვალდებულებას დაიცვან მათი ინტერესები ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოს, რომელთა ამოცანაა ასეთი პირთა დაცვა.

[...]

54. (1) დაწესებულების ოფიცრებს, პატიმრებთან ურთიერთობის პროცესში, არა აქვთ უფლება გამოიყენონ ძალა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იცავენ თავს ან ადგილი აქვს გაქცევის მცდელობას ან ბრძანების შეუსრულებლობის დროს აქტიური ან პასიური წინააღმდეგობისას. ოფიცრებს, რომელთაც აქვთ ძალის გამოყენების უფლება არ უნდა გადაამეტონ დაშვებულ ნორმებს და აღნიშნულ ინციდენტზე დაუყოვნებლივ უნდა მოახსენონ დაწესებულების ხელმძღვანელს.

(2) საპატიმროს პერსონალს უნდა ჩაუტარდეს სპეციალური ფიზიკური მომზადება, რათა მათ შეძლონ აგრესიული პატიმრების დამორჩილება.

(3) გარდა სპეციალური გარემოებებისა, პერსონალი, რომელიც ასრულებს ისეთ მოვალეობებს, რაც ითვალისწინებს მათ უშუალო კონტაქტს პატიმრებთან, არ უნდა იყოს შეიარაღებული, უფრო მეტიც, პერსონალს არ უნდა მიეცეს იარაღის ტარების უფლება სანამ ის არ გაივლის სპეციალურ მომზადებას იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

[...]

უსაფრთხოების ზომები სიკვდილისჯილი პატიმრების უფლებების დასაცავად

მიღებულია ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ, რეზოლუცია 1984/50, 23 მაისი, 1984

1. ქვეყნებში, სადაც არ არის გაუქმებული სიკვდილით დასჯა, სასჯელის ეს ზომა შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ყველაზე სერიოზული დანაშაულისთვის, შესაბამისი ლეტალური და ექსტრემალურად მძიმე შედეგებით.

2. სიკვდილით დასჯა შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ ჩადენილი დანაშაულისთვის, რომლის ჩადენის მომენტში ამას ითვალისწინებდა კანონმდებლობა. თუ, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემდგომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია შედარებით მსუბუქი სასჯელი, ბრალდებულმა უნდა ისარგებლოს ამგვარი ნორმით.

3. დაუშვებელია იმ პირის სიკვდილით დასჯა თუ დანაშაულის ჩადენის დროს მისი ასაკი არ აღემატებოდა 18 წელს, ასევე არ შეიძლება ორსულის ან მეძუძური დედის და ასევე სულიერად დაავადებული პირის სიკვდილით დასჯა.

4. სიკვდილით დასჯა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აშკარა და უტყუარი საბიძგები დანაშაულთან მიმართებაში და შესაბამისად არ არსებობს არანაირი ეჭვის საფუძველი და საჭიროება ალტერნატიულ განმარტებებზე.

5. სიკვდილით დასჯა შესაძლებელია შეფარდებული იყოს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ; მას შემდეგ რაც უკვე ჩატარებულია ყველა სახის იურიდიული პროცედურა, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ჩატარდა სამართლიანი სასამართლო პროცესი, ზემოთ აღნიშნული, სულ მცირე, უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში (მუხლი 14) მოყვანილ ინსტრუქციებს, რომელიც ითვალისწინებს ასევე იმ ადამიანთა უფლებებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან ისეთი სიმძიმის ს დანაშაულში სადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სასჯელის უკიდურესი ზომა - სიკვდილით დასჯა.

6. ნებისმიერი სიკვდილმისჯილი პირს უნდა ქონდეს უფლება მიმართოს უმაღლესი იურისდიქციის სასამართლოს და შესაბამისად სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ადეკვატური ზომების გატარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ასეთი მიმართულების აუცილებლობა.

7. ნებისმიერ სიკვდილმისჯილ პიროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს შეწყალება, ან სასჯელის შემსუბუქება; ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული უნდა იყოს სიკვდილმისჯილის მიერ შეწყალების ან მისთვის სასჯელის ზომის შემსუბუქების შესახებ თხოვნის შეტანა.

8. სიკვდილით დასჯა არ უნდა განხორციელდეს ყველა შესაძლო დამხმარე პროცედურის ამოწურვამდე, რაც უკავშირდება სიკვდილმისჯილის შეწყალებას ან მისთვის სასჯელის ზომის შემსუბუქებას.

9. როცა გამოტანილია სიკვდილით დასჯის განაჩენი ის უნდა განხორციელდეს ისე, რომ ბრალდებულს მიადგეს მინიმალური ტანჯვა.

სამედიცინო ეთიკის პრინციპები სამედიცინო პერსონალისათვის, განსაკუთრებით კი ექიმებისათვის, დაპატიმრებული პირებისა ან პატიმრების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, მათი როლის შესახებ

მიღებულია გენერალური ასამბლეის 1982 წლის 18 დეკემბრის 37/194, რეზოლუციით

პრინციპი 1

ჯანდაცვის პერსონალი, განსაკუთრებით კი ექიმები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პატიმართა და დაკავებულთა სამედიცინო მოვლასა და მკურნალობაზე, ვალდებულნი არიან დაიცვან მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ პატიმართა მკურნალობის ისეთი ხარისხი, რომელიც შეესაბამება საზოგადოების სხვა წევრების მკურნალობის ხელმისაწვდომ დონეს.

პრინციპი 2

ჯანდაცვის პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი ექიმებისათვის, აქტიური ან პასიური მონაწილეობა წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აქტების განხორციელებაში, რაც განიხილება, როგორც მონაწილეობა, თანამონაწილეობა ან მცდელობა, ითვლება სამედიცინო ეთიკის და სამართლის საერთაშორისო პრინციპების უხეშ დარღვევად.

პრინციპი 3

ჯანდაცვის პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი ექიმებისათვის, ნებისმიერ პროფსიულ ურთიერთობაში შესვლა საპატიმრო დაწესებულებაში მეოფ პატიმრებთან ან დაკავებულებთან, რომლის ერთადერთი მიზანი არ არის მხოლოდ მათი ჯანმრთელობის დაცვა და მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განიხილება, როგორც სამედიცინო ეთიკის პრინციპების უხეში დარღვევა.

პრინციპი 4

ჯანდაცვის პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი ექიმებისათვის, სამედიცინო ეთიკის პრინციპების უხეში დარღვევად ჩაითვლება:

- (ა) საკუთარი ცოდნისა და პროფსიული ჩვევების გამოყენება იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს დაპატიმრებულთა და დაკავებულთა დაკითხვას, რამაც შესაძლოა

უარყოფითად იმოქმედოს დაპატიმრებულის ან დაკავებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან მდგომარეობაზე და რაც ასევე არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს;

(ბ) დადასტურება, ან მონაწილეობა დაპატიმრებული ან დაკავებულის პირის შესაძლებლობის განსაზღვრაში, გადაიტანოს ნებისმიერი ფორმის სასჯელი, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და არ შეესაბამება სამართლის საერთაშორისო პრინციპებს; ან მონაწილეობა ნებისმიერი დამსჯელობით ღონისძიებაში, რაც ასევე შეუსაბამებელია საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან.

პრინციპი 5

ჯანდაცვის პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი ექიმებისათვის, სამედიცინო ეთიკის პრინციპების უხეშ დარღვევად ჩაითვლება მათი მონაწილეობა დაპატიმრებულის ან დაკავებულის მიმართ განხორციელებულ შეზღუდვით პროცედურაში, თუ აღნიშნული პროცედურა არ არის გამომდინარე სამედიცინო კრიტერიუმებიდან, როგორც პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციის და სხვა დაკავებულების ან ზედამხედველ ოფიცერთა დაცვისათვის აუცილებელი პროცედურა და არ შეიცავს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის რაიმე საფრთხეს.

პრინციპი 6

დაუშვებელია აღნიშნული პრინციპებიდან ნებისმიერი გადახვევა, ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის საგანგებო მსვლმარეობების დროს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ძცვის კოდექსი

მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 34/169, 17 დეკემბერი, 1979

მუხლი 1

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ნებისმიერ დროს უნდა შეასრულონ მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობები, მათი პროფესიით განპირობებული განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შესაბამისად უნდა ემსახურობოდნენ საზოგადოებას და დაიცვან ყველა ადამიანი უკანონო ქმედებებისგან.

კომენტარი:

(ა) ტერმინი „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები“ გულისხმობს მართლმსაჯულების სფეროს ყველა თანამშრომელს, დანიშნულსა თუ არჩეულს, რომელიც ახორციელებს პოლიციის უფლებამოსილებას, განსაკუთრებით, დაპატიმრებას ან დაკავებას.

(ბ) იმ ქვეყნებში, სადაც პოლიციის უფლებამოსილებას ახორციელებს სამხედრო ხელისუფლება (ფორმიანი თუ უფორმო) ან სახელმწიფო უშიშროების ძალები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების განსაზღვრა აღნიშნული სამსახურების თანამშრომლებსაც იგულისხმებს.

(გ) საზოგადოების სამსახური გულისხმობს დახმარების გაწევას საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი საზოგადოების იმ წევრთათვის, ვინც პირადი, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა საგანგებო ვითარების გამო გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს.

(დ) ეს დებულება ვრცელდება არა მარტო ყველანაირ ძალმომრეობის, ძარცვისა და საზიანო აქტებზე, არამედ სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ყველა აკრძალვასაც. ეს ეხება ისეთი პირების საქციელსაც, რომელთაც არ შეუძლიათ იკისრონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მუხლი 2

თავიანთი მოვალეობების შესრულებისას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის ღირსება და დაიცვან ყველა ადამიანის უფლებები.

კომენტარი:

(ა) ადამიანის უფლებები განსაზღვრული და დაცულია ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებია: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება, დეკლარაცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ“, გაეროს დეკლარაცია „რასობრივ ნიადაგზე ყველანაირი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია „რასობრივ ნიადაგზე ყველანაირი ფორმის დისკრიმინაციის

აღმოფხვრის შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია „აპარტიდის დანაშაულის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ“, კონვენცია „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“, ტუსადთა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები და ვენის კონვენცია „კონსულთან ურთიერთობების შესახებ“.

(ბ) ამ დებულებასთან დაკავშირებულ ეროვნულ კომენტარებში მითითებული უნდა იქნეს აღნიშნულ უფლებათა განმსაზღვრელი რეგიონული თუ ეროვნული დებულებები.

მუხლი 3

ძალის გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მასშტაბით შეუძლიათ.

კომენტარი:

(ა) ამ დებულებაში ხაზგასმულია, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში უნდა ხდებოდეს; მართალია, დებულება უშვებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შეიძლება ჰქონდეთ ძალის გამოყენების უფლებამოსილება, რამდენადაც ეს აუცილებელია არსებულ პირობებში დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ანდა დამნაშავეების თუ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების კანონიერი დაპატიმრების თუ დაკავების განსახორციელებლად ან ამ პროცესში დახმარების გასაწევად, მაგრამ დაუშვებელია ამაზე მეტი ძალის გამოყენება.

(ბ) ჩვეულებრივ, ეროვნული კანონმდებლობა პროპორციულობის პრინციპის მიხედვით ზღუდავს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენებას. საჭიროა იმის გათვითცნობიერება, რომ წინამდებარე დებულების ინტერპრეტირებისას აღიარებული უნდა იქნეს პროპორციულობის ეროვნული პრინციპები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ დებულების ინტერპრეტირება იმგვარად, თითქოს ის იძლევა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული ძალის გამოყენების უფლებას.

(გ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს ზომად ითვლება. ყველა ღონე უნდა იქნეს მიღებული, რათა გამოირიცხოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, განსაკუთრებით, ბავშვების მიმართ.

ჩვეულებრივ, ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა იქნეს გამოყენებული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ან სხვაგვარი საფრთხით ემუქრება სხვა ადამიანების სიცოცხლეს და ნაკლებად ქმედითი ზომები არ არის საკმარისი დანაშაულში ეჭვმიტანილის შესაჩერებლად ან დასაკავებლად. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თითოეულ შემთხვევაში აუცილებელია, ხელმძღვანელობას სასრაფოდ წარედგინოს ანგარიში.

[...]

მუხლი 5

სამართალდამცავი ორგანოების არც ერთმა თანამშრომელმა არ უნდა ჩაიდინოს, არ უნდა მოახდინოს პროვოცირება და არ უნდა დაუშვას წამების ან სხვა სასტიკი და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის არანაირი აქტი; სამართალდამცავი ორგანოების არც ერთი თანამშრომელი არ უნდა დაეყრდნოს წამების ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გასამართლებლად ზემდგომთა ბრძანებებს ან განსაკუთრებულ პირობებს, როგორც არის, მაგალითად, საომარი მდგომარეობა ან ომის საშიშროება, ეროვნული უშიშროების, პოლიტიკური არასტაბილურობისა თუ სხვა საგანგებო პირობების საშიშროება.

კომენტარი:

(ა) ეს აკრძალვა ეყრდნობა გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დეკლარაციას „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ“, რომლის თანახმადაც: „[ამგვარი აქტი წარმოადგენს] დანაშაულს ადამიანის ღირსების წინააღმდეგ და დაგმობილი იქნება როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისგან განდგომა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში [და ადამიანის უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში] გაცხადებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა.“

(ბ) დეკლარაციაში წამება შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

„... წამება ნიშნავს ნებისმიერ აქტს, რომლის შედეგადაც სახელმწიფო მოხელის მიერ ან მისი პროვოცირებით ადამიანს განზრახ აყენებენ

მწვავე ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას, რაც მიზნად ისახავს მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის თუ აღიარების გამოძალვას, მის დასჯას რაიმე ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ან არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა, ანდა მის ან სხვა პირების დაშინებას. წამება არ გულისხმობს ისეთ ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია კანონიერი სანქციებით ან დამახასიათებელია ამ სანქციებისთვის, თუ ეს სანქციები შეესაბამება ტუსადთა მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს.“

(გ) ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი“ გენერალურ ასამბლევას არ განუსაზღვრავს, მაგრამ მისი ინტერპრეტირება იმგვარად არის საჭირო, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მაქსიმალური შესაძლო დაცვა ფიზიკური თუ ფსიქიკური შეურაცხყოფისგან.

[...]

მუხლი 8

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა დაიცვან კანონი და წინამდებარე კოდექსი. მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა თავიდან აიცილონ და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ მათ ნებისმიერ დარღვევას.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, რომლებსაც გარკვეულ მიზეზზე დაყრდნობით მიაჩნიათ, რომ ადგილი აქვს ამ კოდექსის დარღვევას ან დარღვევა მოსალოდნელია, უნდა მოახსენონ ეს საკითხი თავიანთ ზემდგომ ხელმძღვანელობას და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის ხელისუფლებას ან ორგანოს, რომლებსაც აქვთ საკითხის განხილვის ან გამოსწორების უფლებამოსილება.

კომენტარი:

(ა) როდესაც ეს კოდექსი შეტანილი იქნება ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში, მისი შესრულება სავალდებულო გახდება. თუ ეროვნული კანონმდებლობა ან პრაქტიკა ამ კოდექსზე უფრო მკაცრ დებულებებს შეიცავს, უნდა შესრულდეს უფრო მკაცრი დებულებები.

(ბ) ამ მუხლის მიზანია წონასწორობის შენარჩუნება, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვნად განმსაზღვრელი უწყების შიდა დისციპლინისა და, მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების რეგულირებას შორის. ადამიანის

უფლებათა დარღვევის შემთხვევების შესახებ ანაგრიშები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ბრძანებათა ზუსტად განსაზღვრული იერარქიის ფარგლებში უნდა წარადგინონ, ხოლო სხვა კანონიერი ზომა იერარქიის გადაჭარბებით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღონ, როდესაც არ არსებობს ან არ არის ეფექტური გამოსწორების არც ერთი სხვა საშუალება. იგულისხმება, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს არ უნდა ემუქრებოდეთ ადმინისტრაციული თუ სხვა სახის სასჯელი იმის გამო, რომ მათ წარადგინეს ანგარიში წინამდებარე კოდექსის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

(გ) ტერმინი „შესაბამისი ხელისუფლება ან ორგანოები, რომლებსაც აქვთ საკითხის განხილვის ან გამოსწორების უფლებამოსილება“, ეხება ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე არსებულ ნებისმიერ უწყებას თუ ორგანოს, იქნება ეს სამართალდამცავი ორგანოს შიგნით არსებული თუ მისგან დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელსაც აქვს კანონით დადგენილი, ჩვეულებრივი თუ სხვა უფლებამოსილება, განიხილოს ამ კოდექსის მოქმედების სფეროში დაშვებულ დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები.

(დ) ზოგიერთ ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შეიძლება შეასრულონ ზემოთ, პუნქტ (გ)-ში აღწერილი ფუნქციების მსგავსი ფუნქციები საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. ამიტომ შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გამართლება, თუკი ისინი, უკიდურესი საშუალების სახით და მათი ქვეყნების კანონებისა და ადამიანის უფლებების შესაბამისად, აგრეთვე, წინამდებარე კოდექსის მე-4 მუხლის დებულებათა შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გააცნობენ დარღვევებს საზოგადოებას.

(ე) სამართალდამცავი ორგანოების ის თანამშრომლები, რომლებიც ასრულებენ ამ კოდექსის დებულებებს, იმსახურებენ პატივისცემას, სრულ მხარდაჭერას და თანამშრომლობას საზოგადოებისა და იმ სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან, რომელშიც მუშაობენ, აგრეთვე, სამართალდამცავი სფეროს ყველა წარმომადგენლის მხრიდან.

**სამართალდამცავი ორგანოების
წარმომადგენელთა მიერ კალისა და
ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების
ძირითადი პრინციპები**

მიღებულია გაეროს მერვე კონგრესის (სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენცია და პატიმრების მოპყრობის საკითხებზე) მიერ, ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო-დან 7 სექტემბრამდე, 1990

1. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცვის ორგანოებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ წესები და დებულებები მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ ადამიანის წინააღმდეგ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე. ასეთი წესების და დებულებების შემუშავებისას მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები.

[...]

7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დაცვის ორგანოების თანამდებობის პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის თვითნებური ან ბოროტგანზრახული გამოყენება ისჯებოდეს, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული მათი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. წინამდებარე პრინციპებიდან ნებისმიერი გადახვევა არ შეიძლება გამართლებული იქნას ისეთი გამონაკლისი მდგომარეობებით, როგორცაა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია ან სხვა საგანგებო საზოგადოებრივი მდგომარეობა.

[...]

15. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები დაპატიმრებულ და დაკავებულ პირებთან ურთიერთობისას არ იყენებენ ძალას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია უსაფრთხოებისა და წესრიგის დასაცავად დაწესებულების შიგნით ან საფრთხე ემუქრება მათ უსაფრთხოებას.

[...]

18. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველი ყველა თანამდებობის პირი შერჩეული იქნას შესაბამისი შერჩევითი პროცედურების მიხედვით, გააჩნდეს სათანადო მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მონაცემები თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის და გაიაროს მუდმივი და დეტალური პროფესიული მომზადება.

აუცილებელია პერიოდულად ჩატარდეს მათი მდგომარეობის შემოწმება, რომელიც დამაკმაყოფილებელი უნდა აღმოჩნდეს მათი ფუნქციების შესასრულებლად.

19. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მართლწესრიგის დამცველი ყველა თანამდებობის პირის მომზადება და ატესტაცია იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია ძალის გამოყენებისათვის. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი, ნებართვას ამის შესახებ იღებენ მხოლოდ მისი გამოყენების შესასწავლი სპეციალური კურსის დასრულების შემდეგ.

20. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მომზადებისას მთავრობებმა და პოლიციის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, განსაკუთრებით გამოძიების წარმოების პროცესში, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ალტერნატივებზე, მათ შორის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე, ხალხის დიდი მასების ქცევის გაგებასა და დარწმუნების მეთოდებზე, მოლაპარაკებისა და შუამავლობის წარმოებაზე, ასევე ტექნიკურ საშუალებებზე, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი სასწავლო პროგრამები და ოპერატიული პროცედურები კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით.

[...]

23. ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაზარალებული პირები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები დაიშვებიან დამოუკიდებელ პროცესზე, მათ შორის სასამართლო პროცესზე. ასეთი პირების სიკვდილის შემთხვევაში წინამდებარე დებულება შესაბამისად ვრცელდება მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე.

24. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ზემდგომი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა იმაზე, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების შესახებ და არ მიიღეს ზომები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასეთი შემთხვევების აღკვეთის ან მათ შესახებ შეტყობინებებისათვის.

25. მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების ქცევის კოდექსისა და წინამდებარე ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უარს ამბობენ ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე ბრძანების შესრულებაზე ან რომლებიც ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ასეთი გამოყენების შესახებ ატყობინებენ სხვა თანამდებობის პირებს, არ გამოიყენებოდეს სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინარული ზომები.

26. ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანების შესრულება არ წარმოადგენს გამამართლებელ საბუთს, თუ მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა იცოდნენ ადამიანის სიკვდილის ან სერიოზული დასახიზრების გამოწვევი ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე ბრძანების აშკარა უკანონობის შესახებ და ჰქონდათ მის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა ასევე ეკისრებათ უკანონო ბრძანების გამცემ ზემდგომ თანამდებობის პირებს.

სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ

მიღებულია გაეროს მერვე კონგრესის (სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენცია და პატიმრების მოპყრობის საკითხებზე) მიერ, პაუანა. კუბა, 27 აგვისტო-დან 7 სექტემბრამდე, 1990

[...]

15. ბრალმდებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ოფიციალური პირების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულზე ბრალდებას, განსაკუთრებით კი ეს ეხება კორუფციას, უფლებამოსილების გადამეტებას, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო კანონმდებლობით; და ასეთი შემთხვევების გამოძიებას.

16. როდესაც ბრალმდებელი მოიპოვებს სამხილსა ან მტკიცებულებებს რომლებიც საეჭვოა რომ მიღებულია უკანონო მეთოდების გამოყენებით, ეჭვიმტანილი პირის უფლებების უხეშ დარღვევით, განსაკუთრებით კი მოიცავს წაშლის, სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობით ან დასჯით, ან

უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფორმით, მათ უარი უნდა თქვან ასეთი სამხილების გამოყენებაზე ვინმეს წინააღმდეგ გარდა იმ პირებისა, ვინც გამოიყენა აღნიშნული მეთოდები ან შესაბამისად უნდა აცნობონ სასამართლოს და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ ის პირები ვინც პასუხისმგებელი არიან ასეთი მეთოდების გამოყენებაზე წარდგენენ სასამართლოს წინაშე.

[...]

დეკლარაცია სისხლის სამართლის დანაშაულისა და ძალის ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა მიმართ მართმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ

მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 40/34, 29 ნოემბერი, 1985

[...]

18. “მსხვერპლი” გულისხმობს პირს, რომელმაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განიცადა ტანჯვა, ფიზიკური ან ფსიქიკური დაზიანებების ჩათვლით, ემოციური ტრავმა, ეკონომიური დანაკარგი ან ადგილი ჰქონდა მათი ძირითადი უფლებების დარღვევას, იმ ქმედებებისა ან უმოქმედობის საფუძველზე, რაც ჯერჯერობით არ არის მიღებული ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ნორმებში.

19. სახელმწიფოებმა უნდა იმსჯელონ ეროვნული კანონმდებლობის ნორმებში უფლებამოსილების გადამეტების აკრძალვის შეტანაზე და უზრუნველყონ აღნიშნული ქმედებების წინააღმდეგ მსხვერპლის უფლებების დაცვა. უფლებების დაცვის საშუალებები უმთავრესად უნდა მოიცავდეს რესტიტუციას და/ან კომპენსაციას და აუცილებელ მატერიალურ, სამდიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას

20 მსხვერპლთან ურთიერთობისა და მოლაპარაკებების წარმოების დროს, სახელმწიფოებმა უნდა გამნოიყენონ მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები, როგორც ეს მოცემულია მე-18 მუხლში.

21. სახელმწიფოები ვალდებული არიან პერიოდულად მოახდინონ არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადახედვა, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ გააჩნიათ ცვლადი გარემოებების მიმართ შესაბამისი რეაგირების უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში მათ უნდა

მიიღონ ან უზრუნველყონ კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები, რაც მოიცავს პოლიტიკური ან ეკონომიური უფლებამოსილების მნიშვნელოვან გადამეტებას, ისევე როგორც ასეთი აქტების პრევენციის პოლიტიკასა და მექანიზმებს, და უნდა განავითარონ და ხელმისაწვდომი გახადონ ასეთი აქტების მსხვერპლთა დაცვა.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები

მიღებულია მეშვიდე გაერთილებული ერების კონგრესი სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და დაკავებულითა მოპყრობის შესახებ, რომელიც ჩატარდა მილანში 26 აგვისტო 6 სექტემბერი, 1985 და დამტკიცებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 40/32, 29 ნოემბერი, 1985 და 40/146, 13 დეკემბერი, 1985

[...]

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. სასამართლოს დამოუკიდებლობას უნდა იცავდეს კონსტიტუცია ან ქვეყნის კანონმდებლობა და ამის გარანტი უნდა იყოს სახელმწიფო; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებების მოვალეობაა პატივი სცენ და დაიცვან სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი.

2. სასამართლო ხელისუფლებამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ყველანაირი შეზღუდვების, გავლენის, სტიმულის, ზეწოლის, მუქარის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) გარეშე, რომელიმე ორგანოს მხრიდან ან რაიმე მიზნით.

3. სასამართლო ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს იურისდიქცია ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება სასამართლოს და ასევე ექსკლუზიური უფლება გადაწყვიტოს, კანონმდებლობის მიხედვით, შედის თუ არა მის კომპეტენციაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

4. სამართალწარმოების პროცესში დაუშვებელია ნებისმიერი შეუსაბამო ან დაუსაბუთებელი ჩარევა ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია. ეს პრინციპი არ უშლის ხელს სხვა ინსტანციის მიერ სასამართლო გადახედვას ან შემსუბუქებას და შეცვლას

კომპეტენტური უწყებების მიერ, კანონის შესაბამისად.

5. ყველა ადამიანს უფლება უნდა ჰქონდეს მიმართოს საერთო სასამართლოს ან ტრიბუნალს დადგენილი იურიდიული პროცედურების დაცვით. ტრიბუნალები, რომლებიც არ იყენებენ იურიდიული სასამართლო პროცესისათვის უკვე დადგენილ მეთოდებს, არ უნდა შეიქმნას იმ იურისდიქციის ჩასანაცვლებლად, რომელიც საერთო სასამართლოთა ქვემდებარობას წარმოადგენს.

6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპები ავალდებულებს მას უზრუნველყოს სასამართლო პროცესის სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და მხარეთა უფლებების დაცვა.

7. ყველა წევრი სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ადეკვატური საშუალებების გამონახვა, რათა საშუალება მისცეს სასამართლო ხელისუფლებას მიუკერძოებლად შეასრულოს მისი ფუნქციები

გამოხატვისა და აოსიციაციის თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების წევრებს, სხვა მოქალაქეთა მსგავსად, გააჩნიათ გამოხატვის, რწმენის ასოციაციის და შეკრების თავისუფლება; თუმცა, ასეთი უფლებების გამოყენებისას, მოსამართლეების ქცევა უნდა ეფუძნებოდეს საკუთარი უწყების ღირსების და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვას.

9. მოსამართლეები თავისუფალი არიან საკუთარ ქცევაში შეუერთდნენ მოსამართლეთა ასოციაციას ან მათთვის სასურველ სხვა ორგანიზაციას, რათა წარმოადგინონ საკუთარი ინტერესები, ხელი შეუწყონ პროფესიული სრულყოფის განვითარებას და დაიცვან საკუთარი იურიდიული დამოუკიდებლობა.

დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ

მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 40/44, 13 დეკემბერი, 1985

მუხლი 1

დეკლარაციის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი “უცხოელი” შეიძლება გამოიყენებოდეს იმ პირთა მიმართ, რომელიც არ არის იმ

სახელმწიფოს ქვეყნის მოქალაქე, რომელშიც ის იმყოფება.

[...]

მუხლი 6

არც ერთი უცხოელი არ უნდა გახდეს წამების ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ობიექტი; კერძოდ არც ერთ უცხოელზე მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე არ უნდა განხორციელდეს რაიმე სამედიცინო ან სამეცნიერო ხასიათის ექსპერიმენტი.

[...]

დეკლარაცია ყველა პირის იძულებითი ბაზრინარებისა და ღაცვის შესახებ

მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 47/133, 18 დეკემბერი, 1992

გენერალური ასამბლეა,

მიიჩნევს, რომ გაეროს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების წესდებაში მოყვანილი პრინციპების მიხედვით, ადამიანის ღირსების, თანასწორობის და ადამიანური ოჯახის ნებისმიერი წევრის უფლებების აღიარება ეს არის თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობის საფუძველი მთელს მსოფლიოში,

მხედველობაში იღებს სახელმწიფოების ვალდებულებას, რომელიც განსაზღვრულია წესდებით (მუხლი 55), უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

გამოხატავს შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ ბევრ ქვეყანაში, ძალზედ ხშირად ადგილი აქვს იძულებითი გატაცების ფაქტებს იმ მოსაზრებით, რომ ადამიანებს აკავებენ, აპატიმრებენ ან იტაცებენ მათი სურვილის წინააღმდეგ ან სხვაგვარად, ეს არის ადამიანებისათვის თავისუფლების აღკვეთა სახელისუფლო ინსტიტუტების, ოფიციალური წარმომადგენლების, სხვა ორგანიზებული ჯგუფების ან კერძო პირების მხრიდან, რომლებიც მოქმედებენ ხელისუფლების სახელით ან მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი დახმარებისა და თანხმობის საფუძველზე, რასაც შემდგომ თან ახლავს უარყოფა ინფორმაციის გაცემაზე აღნიშნული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის შესახებ და მათი თავისუფლების ხელყოფის უარყოფა, რაც გატაცებულ პირებს ტოვებს კანონიერი დაცვის გარეშე.

თელის, რომ იძულებითი გატაცება ნებისმიერ საზოგადოებაში ძირს უთხრის ფასეულობების, წესების, კანონების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას და რომ აღნიშნული ქმედებებს სისტემატური პრაქტიკა უტოლდება დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ,

მიუთითებს 1978 წლის 22 დეკემბრის, რეზოლუციაზე 33/173, რომელშიც გამოხატავს უკმაყოფილებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება იძულებით ანუ არანებაყოფლობით გატაცებას, ისევე როგორც აღნიშნული პრაქტიკით გამოწვეულ შეშფოთებასა და წუხილს და მოუწოდებს მთავრობებს შექმნან სამართალდამცავი და უსაფრთხოების სამსახურები, რომლებიც იქნებიან პასუხისმგებელი იმ ექსცესებზე, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანთა იძულებით გატაცებამდე.

მიუთითებს ასევე შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებს, რაც გათვალისწინებულია ქენევის კონვენციით, 12 აგვისტო, 1949 და დამატებითი ოქმით, 1977,

ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა და საერთაშორისო პაქტზე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომლებიც იცავენ ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებას, ასევე მის უფლებას დაცული იყოს წამების ფაქტებისაგან და კანონის წინაშე პიროვნების აღიარების უფლებას,

ყურადღებას ამახვილებს ასევე კონვენციაზე წამების, სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, რაც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ წამების ფაქტების პრევენციის მიზნით, სახელმწიფოების მხრიდან მოხდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება,

მხედველობაში იღებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითად პრინციპებს, დეკლარაციას სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლთა და უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებული სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ და მინიმალურ

სტანდარტულ წესებს პატიმართა მოპყრობის შესახებ,

ადასტურებს, რომ იძულებითი გაუჩინარების პრევენციისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვის პრინციპების მკაცრი დაცვა, რაც გაწერილია რეზოლუციის 43/173, 9 დეკემბერი, 1988 დამატებაში, ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ დამატებითი იურიდიული, საარბიტრაჟო და სუმარული-აღსრულებისა და მათი ინვესტირების პრინციპების მკაცრი დაცვა, რომელიც განსაზღვრულია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციის (1989/65, 24 მაისი, 1989) დამატებაში და მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციით 44/162, 15 დეკემბერი, 1989.

ითვალისწინებს, რომ, იძულებითი გაუჩინარების აქტები, ზემოთმოყვანილ საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და მეთოდების მიხედვით ეფუძნება ამ ძალადობრივ აკრძალვას, არანაკლებ მნიშვნელოვანია შეიქმნას ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანის იძულებითი გაუჩინარების აქტებს განიხილავს, როგორც სერიოზულ დანაშაულს და განსაზღვრავს სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც გათვალისწინებული იქნება ჩადენილი დანაშაულის პრევენცია და დასჯა.

1. მოცემულ დეკლარაციას იძულებითი გატაცებისაგან ადამიანის დაცვის შესახებ განიხილავს, როგორც პრინციპების კრებულს, რომელიც გასათვალისწინებელია ყველა სახელმწიფოსთვის,

2. ყველა ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოხდეს წარმოდგენილი დეკლარაციის პრინციპების აღიარება და მათი დაცვა.

მუხლი 1

1. იძულებითი გატაცების ნებისმიერი აქტი განიხილება როგორც დანაშაული, მიმართული ადამიანის ღირსების წინააღმდეგ. აღნიშნული დანაშაული განიხილება, როგორც გადახვევა გაეროს წესდებიდან და როგორც ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების უხეში დარღვევა, რაც განსაზღვრულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში.

2. იძულებითი გატაცების ნებისმიერი აქტი ადამიანს აყენებს უმწეო და დაუცველ მდგომარეობაში, რასაც შესაბამისად თან სდევს

დიდი ტანჯვა, როგორც მისი ასევე მისი ოჯახის წევრებისათვის. აღნიშნული შეესაბამება საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევას, რაც ყველაფერთან ერთად წარმოდგენს უსაფრთხოების გარანტს და ითვალისწინებს ადამიანის უფლებების აღიარებას, თავისუფლებას და უსაფრთხოებას, და მის უფლებას, არ განდეს წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი. აღნიშნული ასევე არღვევს და საფრთხეს უქმნის უფლებას სიცოცხლეზე.

მუხლი 2

1. არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, აწარმოოს ან შეურიგდეს იძულებით გაუჩინარების პრაქტიკას.

2. სახელმწიფოებმა უნდა იმოქმედონ ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და გაეროსთან თანამშრომლობის გზით საკუთარი წვლილი შეიტანონ იძულებითი გაუჩინარების პრევენციასა და აღმოფხვრაში.

მუხლი 3

ყველა სახელმწიფო ვალდებულია მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე გაატაროს ეფექტური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული, სასამართლო ან სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს იძულებითი გაუჩინარების აქტების პრევენციასა და აღმოფხვრას

[...]

მუხლი 6

1. საზოგადოებრივი, სამოქალაქო, სამხედრო ან სხვა ორგანოს არც ერთი ბრძანება ან ინსტრუქცია არ უნდა ამართლებდეს იძულებითი გაუჩინარების აქტს. ნებისმიერი პირი, რომელიც მიიღებს ასეთ ბრძანებას ან ინსტრუქციას უნდა ჰქონდეს უფლება ან მოვალეობა არ დაემორჩილოს მას.

2. ნებისმიერი სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ აიკრძელოს ისეთი ბრძანებების ან ინსტრუქციების გაცემა, რომლებიც ამართლებენ იძულებითი გატაცების აქტს ან მოქმედებენ როგორც მისი წამახალისებელი ფაქტორები.

3. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ტრენინგის დროს ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ პრინციპებზე,

რომლებიც მოყვანილია აღნიშნული მუხლის 1 და 2 პარაგრაფებში.

[...]

მუხლი 19

იძულებითი გაუჩინარების აქტის მსხვერპლმა და მისმა ოჯახმა უნდა მიიღოს ანაზღაურება და უნდა კქონდეს უფლება მიიღოს ადეკვატური კომპენსაცია, სრული რეაბილიტაციის საშუალებების ჩათვლით. მსხვერპლის სიკვდილის, როგორც იძულებითი გატაცების აქტის შედეგის შემთხვევაში, კომპენსაციაზე უფლება უნდა გადაეცეს მასზე დამოკიდებულ პირებს.

[...]

დეკლარაცია იმ პირების, ჯგუფების ან ორბანოების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საქონელთაზე აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების წახალისებასა და დაცვას

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 53/144

გენერალური ასამბლეა,

აღიარებს და ადასტურებს გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების დაცვის მნიშვნელოვნებას მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ,

აღიარებს და ადასტურებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების (რეზოლუცია 2200, XXI, დამატება), როგორც საერთაშორისო ძალისხმევის ბაზისური ელემენტების მნიშვნელოვნებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას და ასევე ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მეთოდების მნიშვნელოვნებას, რომლებიც გამოიყენება როგორც გაეროს სისტემაში, ასევე რეგიონულ დონეზე,

აცხადებს, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრმა, ერთობლივად თუ ცალ-ცალკე უნდა შეასრულოს საკუთარი მოვალეობა, რათა ხელი შეუწყოს მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის დამკვიდრებას გამონაკლისის გარეშე, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან

სხვაშეხედულებისა, ეროვნული და სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადების ან სხვა სტატუსისა; და მიუთითებს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც ხელს შეუწყობს წესდებაში მოყვანილი ვალდებულებების შესრულებას.

ადასტურებს საერთაშორისო თანამშრომლობის როლის და ინდივიდების, ჯგუფებისა და ასოციაციების საქმიანობის - საკუთარი წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპების დარღვევის ეფექტურ აღმოფხვრაში - მნიშვნელობას, მასობრივი, აღმაშფოთებელი ან სისტემატური ძალადობის აქტების ჩათვლით, ისეთი როგორცაა მაგ: აპარტიდი, უცხოური დომინაცია ან ოკუპაცია, ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფა, ეროვნული ერთიანობის ან ტერიტორიული მთლიანობისა და ასევე ადამიანის თვითგამორკვევის უფლების აღიარების უარყოფა და ყველა ადამიანის უფლების, მიიღოს სრული სუვერენიტეტი მის სიკეთეებსა და ბუნებრივ რესურსებზე, იგნორირება.

აღიარებს კავშირს საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობას შორის, და აქედან გამომდინარე საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება არ ამართლებს აღნიშნული პრინციპების შეუსრულებლობასა და დაუმორჩილებლობას,

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები არისსაყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული და მათი წახალისება უნდა მოხდეს სამართლიანად და მიუკერძოებლად, აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის გარეშე,

აცხადებს, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვაზე ეკისრება სახელმწიფოს,

აღიარებს ინდივიდების, ჯგუფების და ასოციაციების უფლებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ცოდნა და პატივისცემა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე,

აცხადებს:

მუხლი 1

ყველას აქვს უფლება, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვასა და მათ რეალიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 2

1. ყველა სახელიწიფოს ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა დაიცვას, მხარი დაუჭიროს და დანერგოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპები ისეთი ზომების მიღების გზით რაც შეიქმნის აუცილებელ პირობებს და იურიდიული გარანტიებს სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა პირს შესაძლებლობა ექნება (ინდივიდუალურად ან ერთობლივად) განახორციელოს ყველა ეს უფლებები და თავისუფლებები პრაქტიკაში.

2. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელი იქნება იმისათვის რომ უზრუნველყოს დეკლარაციაში მოყვანილი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირება

მუხლი 3

ადგილობრივი სამართალი, რომელიც ეფუძნება გაეროს წესდებსა და ასევე სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, წარმოადგენს იურიდიულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზაცია, და რომელის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს ყველა ის ქმედება რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული უფლებების წახალისებას, დაცვასა და რეალიზაციას

მუხლი 4

დაუშვებელია წარმოდგენილ დეკლარაციაში რაიმეს გაგება იმგვარად, რომ ის არღვევს ან ეწინააღმდეგება გაეროს წესდების პრინციპებს ან ზღუდავს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებების საერთაშორისო პაქტების პრინციპებს და ამ სფეროში გამოყენებულ სხვა საერთაშორისო მეთოდებსა და ვალდებულებებს

მუხლი 5

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრომოციის მიზნით ყველას აქვს უფლება (ინდივიდუალურად ან ერთობლივად) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე:

(ა) მოაწიონ მშვიდობიანი შეხვედრები ან შეკრებები;

(ბ) შექმნან, გაერთიანდნენ და მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ჯგუფების მუშაობაში;

(გ) ურთიერთობა დაამყარონ არასამთავრობო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან

მუხლი 6

ყველას აქვს უფლება დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთობლივად:

(ა) ფლობდნენ, მოიძიონ, მიიღონ და შეინახონ ყველა სახის ინფორმაცია რაც კი უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ასევე ხელმისაწვდომი იყოს მათთვის ინფორმაცია იმის თაობაზე თუ როგორ აისახება და რა ეფექტი გააჩნია აღნიშნულ უფლებებს ეროვნული სამართლის, სასამართლოსა ან ადმინისტრაციულ სისტემებში;

(ბ) შეზღუდვის გარეშე გამოაქვეყნონ, გადასცენ ან გაავრცელონ ინფორმაცია და ცოდნა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში;

(გ) შეისწავლონ, გამართონ დისკუსიები, შექმნან და შეინახონ ინფორმაცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში და ამ ან სხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენებით მიიქციონ საზოგადოების ყურადღება აღნიშნულ საკითხებზე.

მუხლი 7

ყველა ადამიანს აქვს უფლება, ინდივიდურად ან სხვებთან ერთად, გამართოს დისკუსიები და განავითაროს ადამიანის უფლებებთან და ამგვარ პრინციპებთან დაკავშირებული ახალი

იდეები, დაიცვას ისინი და იბრძოლოს მათი აღიარებისათვის.

მუხლი 8

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება ინდივიდურად ან სხვებთან ერთად, კანონმდებლობის საფუძველზე, მიიღოს ეფექტური ხელმისაწვდომობა არადისკრიმინაციის საფუძველზე, საკუთარი ქვეყნის მთავრობისადმი, მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში და საზოგადოებრივი საქმიანობის წარმართვაში.

2. აღნიშნული, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებას (ინდივიდუალური ან ერთობლივი) კრიტიკის ობიექტი გახადოს სამთავრობო ორგანოების, სააგენტოების და ორგანიზაციების, რომლებიც დაკავშირებული არიან საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საქმიანობა და წარმოადგინოს რეკომენდაციები მათი ფუნქციების გასაუმჯობესებლად და საზოგადოების ყურადღება მიაპყროს მათი საქმიანობის ისეთ ასპექტებზე, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების წახალისებას, დაცვასა და რეალიზაციას.

მუხლი 9

1. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზაციისას, ადამიანის უფლებების წახალისებისა და დაცვის ჩათვლით, როგორც ეს გაწერილია წარმოდგენილ დეკლარაციაში, ყველას აქვს უფლება (ინდივიდუალური ან ერთობლივი) ისარგებლოს ეფექტური დაცვის მეთოდებით და აღნიშნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში იყოს შესაბამისად დაცული.

2. ამ მიზნით, ნებისმიერ ადამიანს, ვისი უფლებებიც დაირღვა აქვს უფლება მიმართოს საჩივრით, პერსონალურად ან იურიდიულად უფლებამოსილი წარმომადგენლობის საშუალებით და აღნიშნული საჩივრის განხილვა მოხდეს დროულად, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია კანონმდებლობით, მათ უნდა მიიღონ შესაბამისი კანონიერი გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს ზარალის ანაზღაურებას, კომპენსაციის ჩათვლით იქ სადაც აღივლინა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, ისევე როგორც იძულებით გადაწყვეტილების მიღებას, ყოველივე ზემოთაღნიშნული უნდა განხორციელდეს დროულად და დაყოვნების გარეშე.

3. ამავე მიზეზით ყველა ადამიანს აქვს უფლება (ინდივიდუალურად ან ერთობლივი ძალეებით):

(ა) პოლიციის და ცალკეული ოფიციალური პირის და სამთავრობო ორგანოს მხრიდან ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, პეტიციისა და სხვა მეთოდების საშუალებით, საჩივრით მიმართოს კომპეტენტურ ადგილობრივ სასამართლოს, ადმინისტრაციულ, იურიდიულ ან ნებისმიერ სხვა უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებიც თავის მხრივ ვალდებული არიან დროულად და დაყოვნების გარეშე გამოიტანონ შესაბამისი გადაწყვეტილება;

(ბ) დაესწონ საზოგადოებრივ მოსმენებს, სასამართლო პროცესებსა და გარჩევებს, რაც ხელს შეუწყობს შექმნან აზრი საკუთარი სარჩელის თაობაზე ეროვნულ კანონმდებლობასთან და მოქმედ საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაში;

(გ) შესთავაზონ და უზრუნველყონ კვალიფიციური იურიდიული დახმარება ან სხვა შესაბამისი რჩევები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ;

4. იმავე მიზეზით, და საერთაშორისო დოკუმენტებსა და პროცედურებზე დაყრდნობით, ყველა ადამიანს აქვს უფლება (ინდივიდუალური ან ერთობლივი) დაუბრკოლებლად იურთიერთოს და კავშირი ქონდეს ზოგადი ან სპეციალური კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მიიღონ და განიხილონ ინფორმაციები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საკითხებზე;

5. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს დროული და მიუკერძოებელი გამოძიება, ან გახდეს გარანტი იმისა, რომ ჩატარდება შესაბამისი გამოძიება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ აღივლინა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპების დარღვევის ფაქტს, ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომელიც იმყოფება მისი იურისდიქციის ქვეშ.

მუხლი 10

არავინ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპების დარღვევაში და არავინ არ უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ მან უარი თქვა აღნიშნულ ქმედებაში მონაწილეობაზე.

მუხლი 11

ყველა ადამიანს აქვს უფლება (ინდივიდუარი ან ერთობლივი) კანონიერად გამოიყენოს საკუთარი თანამდებობა ან პროფესია. ნებისმიერი პირი, რომელსაც გამომდინარე მისი თანამდებობიდან ან პროფესიიდან, შეუძლია შელახოს სხვა ადამიანის ღირსება, უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს და დაიცვას რელევანტური ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული ეთიკის სტანდარტები.

მუხლი 12

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება (ინდივიდუარი ან ერთობლივი) მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის წინააღმდეგ გამართულ მშვიდობიან აქციებში;

2. სახელმწიფომ, კომპეტენტურ ორგანოებზე დაყრდნობით, უნდა მიიღოს ყველა ზომა რათა უზრუნველყოს ნებისმიერი მოქალაქის დაცვის გარანტირება ძალადობის, მუქარის, რეპრესიის de facto ან de jure დისკრიმინაციის, ზეწოლის ან ნებისმიერი სხვა საარბიტრაჟო ქმედების წინააღმდეგ, როგორც მათი დეკლარაციაში წარმოდგენილი უფლებების სამართლებრივი დაცვის შედეგი;

3. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია (ინდივიდუარი ან ერთობლივი) ეროვნული კანონმდებლობით ეფექტურად იყოს დაცული, წინააღმდეგობისას ან ოპონირებისას, მშვიდობიანი საშუალებებით, ქმედებით, აქტებით, იმ უმოქმედობის ჩათვლით, რომლის შედეგია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა, ისევე როგორც ჯგუფებისა ან ინდივიდების მიერ განხორციელებული ძალადობის აქტები, რაც დიდ გაღვენას ახდენს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებაზე.

მუხლი 13

ყველა ადამიანს აქვს უფლება (ინდივიდუარი ან ერთობლივი) მშვიდობიანი საშუალებებით მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს რესურსები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მხარდაჭერისა და დაცვის მიზნით, როგორც ეს წარმოდგენილია დეკლარაციის მე-3 მუხლში.

მუხლი 14

1. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს სამართლიანი, იურიდიული, ადმინისტრაციული ან სხვა შესაბამისი ზომა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს იმას, რომ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფმა ნებისმიერმა მოქალაქემ გაათვითცნობიეროს საკუთარი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებები;

2. აღნიშნული ზომები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(ა) ეროვნული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ბაზისური საერთაშორისო დოკუმენტების გამოცემა და ფართე ხელმისაწვდომობა;

(ბ) სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებების სფეროსთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე, სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე გაკეთებული პერიოდული მოხსენებების ჩათვლით, და ხელმისაწვდომობა აღნიშნული ორგანიზაციების ოფიციალური მოხსენებებისა და დისკუსიების შემაჯამებელ დოკუმენტებზე;

3. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და მხარი დაუჭიროს, სადაც ეს შესაძლებელია, დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების შექმნას, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების წახალისებასა და დაცვას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე, იქნება ეს ომბუდსმენის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებების დამცველი კომისიები თუ ეროვნული ინსტიტუტის რომელიმე სხვა ფორმა.

მუხლი 15

სახელმწიფოს გააჩნია პასუხისმგებლობა ხელი შეუწყოს და გაამარტივოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე და უზრუნველყოს, რომ ყველა ორგანო ან დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია იურისტთა სამართალდამცავი ორგანოს, შეიარაღებული ძალების პერსონალის და საჯარო მოხელეთა მომზადების პროცესზე, და გათვალისწინებული იქნას ადამიანის უფლებების სწავლების შესაბამისი ელემენტები.

მუხლი 16

ინდივიდებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შესაბამის ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეში, ისეთი თანამედროვე მეთოდების საშუალებით, როგორცაა აღნიშნულ სფეროში განათლება, ტრენინგი და კვლევითი საქმიანობა, რათა განვითარებული იქნეს ვაგება, ტოლერანტობა, მშვიდობა და მეგობრული დამოკიდებულებები ერებს და ყველა რასის და რელიგიურ ჯგუფებს შორის, საზოგადოებებს შორის განსხვავებების გათვალისწინების საფუძველზე, რომელშიც ისინი ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას.

მუხლი 17

დეკლარაციაში მოყვანილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების განხორციელების პროცესში, ყველა ადამიანი (ინდივიდური ან ერთობლივი) შეიძლება გახდეს ობიექტი მხოლოდ ისეთი შეზღუდვებისა, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ვალდებულებებს და განსაზღვრულია კანონმდებლობით მხოლოდ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალური საზოგადოებრივი წესრიგის და ზოგადი კეთილდღეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 18

1. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია ვალდებულება საზოგადოების წინაშე, რომელშიც შესაძლებელია მისი პიროვნების თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების მიღწევა;
2. ინდივიდებს, ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაზღვრული აქვთ მნიშვნელოვანი როლი და აღჭურვილი არიან პასუხისმგებლობით დაიცვან დემოკრატია, მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს და საკუთარი წვლილი შეიტანონ დემოკრატიული საზოგადოებების, ინსტიტუტებისა და პროცესების განვითარებაში;
3. ინდივიდებს, ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს აკისრიათ ასევე მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა საკუთარი წვლილი შეიტანონ ნებისმიერი ადამიანის უფლების დაცვაში სოციალურ და საერთაშორისო დონეზე, სადაც შეიძლება მოხდეს საყოველთაო დეკლარაციის

მიხედვით განსაზღვრული უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მეთოდების რეალიზება.

მუხლი 19

წარმოდგენილ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრის, ჯგუფის ან ორგანოს ან სახელმწიფოს უფლება დაკავდეს რაიმე ქმედებით ან განახორციელოს ისეთი ქმედება, რომლის მიზანია აღნიშნულ დეკლარაციაში წარმოდგენილი უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების დარღვევა.

მუხლი 20

წარმოდგენილ დეკლარაციაში არაფერი არ შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული როგორც სახელმწიფოსთვის მინიჭებული უფლება, ხელი შეუწყოს და წახალისოს ინდივიდების, ჯგუფების, ინსტიტუტების ან არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებებს, რომლებიც მიმართულია გაეროს წესდებაში მოყვანილი პრინციპებისა წინააღმდეგ.

წამების აპროპალვა ჰუმანიტარულ სამართალში

ენევის კონვენციის მე-3 ზოგადი მუხლი

მუხლი 3

ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია გამოიყენოს, სულ ცოტა, შემდეგი დებულებანი:

- (1). პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც დაყარეს იარაღი, რომლებიც ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო მონაწილეობას აღარ ღებულობენ საომარ მოქმედებებში, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად ან სხვა მსგავს კრიტერიუმებზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით, აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან აკრძალული იქნება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ შემდეგი მოქმედებანი:

ა) პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახინრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

ბ) მძევლად აყვანა;

გ) პირის ღირებულების შელახვა, კერძოდ, შეურაცმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

დ) სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს მიერ, ცივილიზებული ხალხების მიერ სავალდებულოდ აღიარებული სასამართლო გარანტიების დაცვით გამოტანილი წინასწარი გადაწყვეტილების გარეშე სამართალში მიცემა და სასჯელის აღსრულება.

2. დაჭრილები და ავადმყოფები უნდა შეაგროვონ და სათანადო დახმარება უნდა აღმოუჩინონ. ისეთ მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეიძლება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზოს თავისი სამსახური.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა შეეცადონ, სპეციალური შეთანხმებების გზით განახორციელონ ამ კონვენციის ყველა სხვა დებულება ან მათი ნაწილი. ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენება არ უნდა ხელყოფდეს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივ სტატუსს.

მიღებულია 1949 წლის 12 აგვისტოს, ომის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო კონვენცუუს მიმღები დიპლომატიური კონფერენციის მიერ, რომელიც ჩატარდა 1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტომდე

ძალაშია 1950 წლის 21 ოქტომბერს

[...]

მუხლი 2

იმ დებულებათა გარდა, რომლებიც უნდა შესრულდეს მშვიდობიან დროს, ეს კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც ორ ან რამოდენიმე მაღალ ხელშემკერველ მხარეს შორის შეიძლება წარმოიშვას, მაშინაც კი, როცა ერთერთი მხარე არ ცნობს ომის მდგომარეობას. კონვენცია გამოიყენება აგრეთვე მაღალი ხელშემკერველი მხარის ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ

უწევენ. თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის ამ კონვენციის მომხრე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, მათ შორის ურთიერთობებში კონვენციის დავალდებულებულნი რჩებიან; ამასთან, კონვენციით დავალდებულებულნი იქნებიან ზემოაღნიშნული სახელმწიფოს მიმართაც. თუ ეს უკანასკნელი მიიღებს და გამოიყენებს მის დებულებებს.

[...]

მუხლი 12

შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა და მომდევნო მუხლში მითითებული სხვა პირები, დაჭრის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, ყველა გარემოებაში უნდა სარგებლობდნენ მფარველობითა და დაცვით. კონფლიქტის მონაწილე მხარე, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ეს პირები, მათ უზრუნველყოფს ჰუმანური მოპყრობითა და მოვლით სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად ან სხვა მსგავს კრიტერიუმებზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მკაცრად იკრძალება მათი სიცოცხლისა და პიროვნების ხელყოფა, კერძოდ, მათი მოკვლა ან დახოცვა, წამება, ან მათზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, წინასწარი განზრახვით სამედიცინო მომსახურებისა და მოვლის გარეშე მიტოვება, ასევე განზრახ პირობების შექმნა მათი დასნებოვანებისათვის.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თანმიმდევრობაში უპირატესობის მინიჭება მხოლოდ გადაუდებელი ხასიათის სამედიცინო მიზეზებით შეიძლება.

ქალებს მათი სქესისადმი განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოეპყრონ.

კონფლიქტის მონაწილე მხარემ, რომელიც იძულებულია მოწინააღმდეგეს დაუტოვოს დაჭრილები და ავადმყოფები, მათი მოვლის მიზნით უნდა დატოვოს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება საომარი მოთხოვნების გათვალისწინებით, თავისი სამედიცინო პერსონალისა და ინვენტარის ნაწილი.

მუხლი 13

ეს კონვენცია გამოიყენება იმ დაჭრილებისა და ავადმყოფების მიმართ, რომლებიც შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნებიან:

1. კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა,

ასევე ამ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი სახალხო ლაშქრისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა.

2. სხვა ლაშქრებისა და მოხალისეთა რაზმების პირადი შემადგენლობა, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების პირადი შემადგენლობის ჩათვლით, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეს ეკუთვნიან და საკუთარ ტერიტორიაზე ან მის გარეთ მოქმედებენ, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს ტერიტორია ოკუპირებულია, იმ პირობით, რომ აღნიშნული ლაშქრები და რაზმები, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების ჩათვლით, აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მათ მეთაურობს პირი, რომელიც პასუხს აგებს ხელქვეითებზე;
- ბ) აქვთ განსაზღვრული, შორიდან გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი;
- გ) ღიად ატარებენ იარაღს;
- დ) თავიანთი ოპერაციების განხორციელებისას მოქმედებენ ომის კანონების და ჩვეულებების შესაბამისად.

3. რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც იმ მთავრობის ან ხელისუფლების დაქვემდებარებულად თვლის თავს, რომელსაც არ სცნობს მისი დამატყვევებელი სახელმწიფო.

4. შეიარაღებულ ძალებს თანმხლები მაგრამ უშუალოდ მის შემადგენლობაში არმყოფი პირები, როგორებიც არიან სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟის სამოქალაქო წევრები, სამხედრო კორესპონდენტები, მომმარაგებლები, შეიარაღებული ძალების საყოპაცხოვრებო მომსახურებისათვის პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფებისა და სამსახურების წევრები, იმ პირობით, რომ მათ ამისათვის მიღებული აქვთ იმ შეიარაღებული ძალების ნებართვა, რომელსაც ისინი ახლავან.

5. კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სავაჭრო ფლოტის გემების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნების, ლოცმანებისა და იუნგების ჩათვლით, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟი, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის რაიმე სხვა დებულებათა ძალით, უფრო შეღავათიანი რეჟიმით არ სარგებლობენ.

6. არაოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისას სტიქიურიად იღებს ხელში იარაღს ბრძოლის

წარმართვის მიზნით, მაგრამ ვერ ასწრებს რეგულარულ შენაერთებთან ფორმირებას, იმ პირობით, რომ ღიად ატარებს იარაღს და იცავს ომის კანონებსა და ჩვეულებებს.

[...]

მუხლი 49

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დააწესებს ეფექტურ სისხლისსამართლებრივ სასჯელებს მომდევნო მუხლში განსაზღვრული მძიმე დარღვევის ჩამდენი ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანების გამცემი პირებისათვის.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ეძებოს პირები, რომელთაც ასეთი მძიმე დარღვევების ჩადენა ან მათი ჩადენის ბრძანების გაცემა ედებათ ბრალად და, მათი მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცეს ისინი საკუთარ სასამართლოს. ამასთანავე, მას შეუძლია, საკუთარი სურვილით და თავისი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი პირები სასამართლოს წინაშე წარსადგინად გადასცეს სხვა დაინტერესებულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა საქმის *prima facie* ხასიათი.

თითოეულმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს ამ კონვენციის დებულებების შეუსაბამო ყველა იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არ წარმოადგენს მომდევნო მუხლში განსაზღვრულ მძიმე დარღვევას.

ყველა გარემოებაში ბოლდებული პირები უნდა სარგებლობდნენ სათანადო სასამართლო გარანტიებით და დაცვის უფლებით, რომლებიც არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 105-ე და მომდევნო მუხლებით.

მუხლი 50

წინა მუხლში აღნიშნულ მძიმე დარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ: წინასწარ განზრახვით მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით, წინასწარი განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული

ზიანის მიყენება სხეულის ან ჯანმრთელობისათვის, ფართო მასშტაბით წარმოებული უკანონო, თვითნებური ნგრევა და ქონების მითვისება, რაც სამხედრო აუცილებლობით არ არის გამართლებული.

[...]

შენიშვნის კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა – ავადმყოფთა და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

მიღებულია 1949 წლის 12 აგვისტოს დიპლომატიურ კონფერენციაზე, კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, ქენევა, 21 აპრილი – 12 აგვისტო, 1949.

ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს

[...]

მუხლი 2

იმ პრინციპებთან ერთად, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული მშვიდობიან პერიოდში, წარმოდგენილი კონვენცია შეეხება ასევე გამოცხადებული ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეშვრულ სახელმწიფოებს ან მხარეებს შორის, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ერთ ერთი მათგანის მხრიდან ომის მდგომარეობა არ არის აღიარებული

[...]

მუხლი 12

ნებისმიერ გარემოებაში აუცილებელია პატივი მიეგოს და დაცული იქნას შეიარაღებული ძალების ნებისმიერი წევრი და განსაკუთრებით კი დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი ადამიანები; მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ტერმინი “ხომალდის კატასტროფა” ნიშნავს კატასტროფას, გამოწვეულს ნებისმიერი მიზეზით და გულისხმობს საჰაერო ძალების გამოყენებას მსხვერპლთა გადასარჩენად. სავალდებულოა, რომ ასეთ ადამიანებზე იზრუნოს კონფლიქტის იმ მხარემ, რომელთა იურისდიქციაშიც ისინი აღმოჩნდებიან მოცემულ მომენტში, მათი სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური მოსაზრებების ან რაიმე სხვა მსგავსი კრიტერიუმების მიუხედავად. დაუშვებელი და აკრძალულია მათი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა ან მათზე ძალადობის განხორციელება; განსაკუთრებით კი,

დაუშვებელია მათი დახოცვა, წამება ან მათზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების განხორციელება; არ შეიძლება მათი დატოვება სამედიცინო დახმარებისა ან მკურნალობის გარეშე და მოთავსება დაბინძურებულ და ინფიცირების პირობებში.

მკურნალობის დანიშნვისას უპირველეს ყოვლისა პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ურგენტულ მდგომარეობებს სამედიცინო თვალსაზრისით. ქალების მკურნალობისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა საკითხი, გამომდინარე მათი სქესიდან.

მუხლი 13

წარმოდგენილი კონვენცია განსაზღვრულია დაჭრილი, ავადმყოფი და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიებს:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების წევრები, ისევე როგორც სამხედრო ფორმირებებისა ან მოხალისეთა კორპუსების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოდგენენ მოცემული შეიარაღებული ძალების ნაწილს;

2. სხვა სამხედრო ფორმირებებისა ან მოხალისეთა კორპუსის წევრები, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების ჩათვლით, რომლებიც მიეკუთვნებიან კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარეს და ატარებენ სამხედრო ოპერაციებს საკუთარ ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ტერიტორია ოკუპირებულია; სამხედრო ფორმირებები ან მოხალისეთა კორპუსები, ორგანიზებული წინააღმდეგობების მოძრაობების ჩათვლით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- (ა) ემორჩილებოდნენ პიროვნებას, რომელიც პასუხისმგებელია მათ სუბორდინაციაზე;
- (ბ) გააჩნდეთ ფიქსირებული, გამორჩეული და დისტანციაზე ამოცნობადი ნიშანი;
- (გ) ღიად და დაუფარავად ატარებდნენ იარაღს ;
- (დ) ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს კანონმდებლობასთან და ომის წესებთან შესაბამისობაში.

3. რეგულარული შეიარაღებული ძალების წევრები, რომლებიც ემორჩილებიან ისეთ მთავრობას ან ორგანოებს, რომლებიც არ არის აღიარებული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ;

4. შეიარაღებული ძალების თანმხლები პირებს, რომლებიც ფაქტიურად არ არიან წევრები, მაგ. სამხედრო საჰაერო ეკიპაჟის სამოქალაქო პერსონალი, სამხედრო კორესპონდენტები, მომარაგების კონტრაქტორები, შეიარაღებული ძალების კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი შრომითი დაწესებულებები ან სერვისები, უფლებამოსილი არიან აღნიშნული შეიარაღებული ძალების მიერ;

5. სამხედრო კონფლიქტში მონაწილე მხარეთა დაქვემდებარებაში მყოფი სავაჭრო საზღვაო ხომალდების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნები, ლოცმანები და თანაშემწეები და სამოქალაქო საჰაერო ძალების ეკიპაჟები, რომელთაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე არ გააჩნიათ რაიმე პრივილეგიები უკეთეს მოპყრობასთან დაკავშირებით;

6. არა-ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლები, რომლებიც მტრის დანახვაზე სპონტანურად იღებენ ხელში იარაღს, რათა წინ აღუდგნენ დამპყრობელ ძალებს, რადგან არ გააჩნიათ დრო გაერთიანდნენ რეგულარულ შეიარაღებულ ჯგუფებად, უფლებამოსილი არიან ღიად ატარონ იარაღი და შესაბამისად პატივი სცენ და დაიცვან კანონები და ომის წესები.

[...]

მუხლი 50

მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი კანონმდებლობა, რაც აუცილებელია ეფექტური სისხლის სამართლის სანქციების დასაწესებლად იმ პირების მიმართ, რომლებიც გაასამართლეს ან გაასამართლებენ ნებისმიერი მძიმე დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი კონვენციით და განმარტებულია მომდევნო მუხელში.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე უნდა იღებდეს ვალდებულებას იმ პირის მოძებნასა და მხილებაზე, რომელზეც არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა ან მომავალში აპირებს ჩაიდინოს მძიმე დანაშაული და აღნიშნული პირები, მიუხედავად მათი ეროვნებისა, წარუდგინოს ადგილობრივ სასამართლოს. მას ასევე აქვს უფლება, გარემოებებიდან გამომდინარე და ადგილობრივი სამართლის პრინციპებთან შესაბამისობაში აღნიშნული პირი გასასამართლებლად გადასცეს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები,

რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ აღიკვეთოს წარმოდგენილი კონვენციის პრინციპების წინააღმდეგ განხორციელებული აქტები, გარდა იმ მძიმე დარღვევისა, რომელიც განსაზღვრულია მომდევნო მუხლით.

ნებისმიერ შემთხვევაში, პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი გარანტირებული დაცვით, რაც არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ვიდრე მუხლი 105-ში და 1949 წლის 12 აგვისტოს უენევის კონვენციაში მოყვანილი გარანტიები სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ.

მუხლი 51

მძიმე დარღვევები, რომლებიც მოყვანილია წინა მუხელში (თუ დანაშაული ჩადენილია ადამიანების ან კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რაც დაცულია კონვენციით) შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ქვემოთმოყვანილ აქტს: განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით, განზრახ მიყენებული დიდი ტანჯვა, სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება და საკუთრების განადგურება და მითვისება, რაც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით და ჩადენილია უკანონოდ და საკუთარი ნების საფუძველზე.

ქენევის კონვენცია სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ

მიღებულია 1949 წლის 12 აგვისტოს დიპლომატიურ კონფერენციაზე, კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, უენევა, 21 აპრილი – 12 აგვისტო, 1949. ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს

[...]

მუხლი 2

იმ პრინციპებთან ერთად, რომლებიც გამოიყენება მშვიდობიან პერიოდში, წარმოდგენილი კონვენცია შეეხება ასევე გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევას ან შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს ორ ან მეტ ხელშემკვრელ მხარეს შორის, მაშინაც კი, როდესაც ერთ ერთი მათგანის მხრიდან ომის მდგომარეობა არ არის აღიარებული.

კონვენცია შეეხება ასევე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევას, მაშინაც კი თუ

აღნიშნული ოკუპაციის წინააღმდეგ არ იყო გამოყენებული შეიარაღებული წინააღმდეგობა.

თუმცა, შესაძლოა კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი ძალა არ იყოს კონვენციაზე ხელმომწერი მხარე, ის ძალები, რომლებიც წარმოადგენენ ხელმომწერ მხარეებს, ვალდებული არიან დაიცვან კონვენციაში მოყვანილი პრინციპები ორმხრივ ურთიერთობებში. გარდა ამისა, ისინი ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული პრინციპები ზემოთაღნიშნული ძალის მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი მიიღებს და მოითხოვს მათ შესრულებას.

[...]

მუხლი 4

A. აღნიშნული კონვენციის თანახმად, სამხედრო ტყვეები, რომლებიც მოხვდნენ მტრის ხელში, მიეკუთვნებიან ერთ-ერთ ქვემოთ მოყვანილ კატეგორიას:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების, ისევე როგორც სამხედრო ფორმირებებისა ან მოხალისეთა კორპუსის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული შეიარაღებული ძალების ნაწილს.

2. სხვა სამხედრო ფორმირებებისა ან მოხალისეთა კორპუსის წევრები, ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობების ჩათვლით, რომლებიც მიეკუთვნებიან კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარეს და ატარებენ სამხედრო ოპერაციებს საკუთარ ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ტერიტორია ოკუპირებულია; სამხედრო ფორმირებები ან მოხალისეთა კორპუსები, ორგანიზებული წინააღმდეგობების მოძრაობების ჩათვლით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- (ა) ემორჩილებოდნენ პიროვნებას, რომელიც პასუხისმგებელია მათ სუბორდინაციაზე
- (ბ) გააჩნდეთ ფიქსირებული, გამორჩეული და დისტანციაზე ამოცნობადი ნიშანი
- (გ) ღიად და დაუფარავად ატარებდნენ იარაღს
- (დ) ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს კანონმდებლობასთან და ომის წესებთან შესაბამისობაში

3. რეგულარული შეიარაღებული ძალების წევრები, რომლებიც ემორჩილებიან ისეთ მთავრობას ან ორგანოებს, რომლებიც არ არის აღიარებული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ

4. შეიარაღებული ძალების თანმხლები პირებს, რომლებიც ფაქტიურად არ არიან წევრები, მაგ.

სამხედრო საჰაერო ეკიპაჟის სამოქალაქო პერსონალი, სამხედრო კორესპონდენტები, მომარაგების კონტრაქტორები, შეიარაღებული ძალების კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი შრომითი დაწესებულებები ან სერვისები, უფლებამოსილი არიან აღნიშნული შეიარაღებული ძალების მიერ, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ისინი პირადობის დამადასტურებელი საბუთებით თანდართული მოდელის შესაბამისად

5. სამხედრო კონფლიქტში მონაწილე მხარეთა დაქვემდებარებაში მყოფი სავაჭრო საზღვაო ხომალდების ეკიპაჟის წევრები, კაპიტნები, ლოცმანები და თანაშემწეები და სამოქალაქო საჰაერო ძალების ეკიპაჟები, რომელთაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე არ გააჩნიათ რაიმე პრივილეგიები უკეთეს მოპყრობასთან დაკავშირებით

6. არა-ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებლები, რომლებიც მტრის დანახვაზე სპონტანურად იღებენ ხელში იარაღს, რათა წინ აღუდგნენ დამპყრობელ ძალებს, რადგან არ გააჩნიათ დრო გაერთიანდნენ რეგულარულ შეიარაღებულ ჯგუფებად, უფლებამოსილი არიან ღიად ატარონ იარაღი და შესაბამისად პატივი სცენ და დაიცვან კანონები და ომის წესები

B. წარმოდგენილი კონვენციის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე სამხედრო ტყვეების კატეგორიას:

1. ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან წარსულში მიეკუთვნებოდნენ ოკუპირებული ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, თუ ოკუპანტი მხარე ამ მიზეზით აუცილებლად მიიჩნევს მათ მიღებას, მაშინაც კი როცა მან გაათავისუფლა ისინი მაშინ როდესაც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა იმ ტერიტორიაზე რომელიც მან დაიკავა, განსაკუთრებით იქ სადაც ასეთი ადამიანებს ქონდათ წარუმატებელი მცდელობა დაბრუნებულიყვნენ იმ შეიარაღებულ ძალებში რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ და რომლებიც ჩართული არიან კონფლიქტში, ან იქ სადაც ისინი არ გამოცხადდნენ გამოძახებაზე იმ მოსაზრებით რომ მათ დააპატიმრებდნენ

2. ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან აღნიშნულ მუხლში მოყვანილ ერთერთ კატეგორიას მაინც, და რომლებიც მიღებული იქნენ ნეიტრალური ან არა-მომხრე ქვეყანის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე და ვისი მიღებაც ამ ძალებს მოეთხოვებათ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გამოიჩინოს ობიექტურობა უფრო მეტად სასურველი მოპყრობა რომელიც შეუძლია ამ ძალამ

შესთავაზოს და მუხლების გამოკლებით 8, 10, 15, 30, მეხუთე პარაგრაფი, 58-67, 92, 126 და სადაც არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის და მასთან დაკავშირებული ნეიტრალური ან არამომარი ძალები და ის მუხლები, რომლებიც ეხება დამცავ ძალას. იქ სადაც არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები, კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, რომელთა ქმედებებზეც არის დამოკიდებული ამ ადამიანების ბედი, უნდა მიეცეთ საშუალება განახორციელონ მათი დაცვა როგორც ეს გათვალისწინებულია მოცემული კონვენციის მიხედვით, რაც თავის მხრივ არანაირ ზიანს არ აყენებს იმ ფუნქციების განხორციელებას, რომელსაც ასერულებენ აღნიშნული მხარეები დიპლომატიურ და საკონსულო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში

C. აღნიშნული მუხლი არანაირად არ უნდა შეეხოს სამედიცინო პერსონალისა და სამღვდლოების წარმომადგენლების სტატუსს, როგორც ეს განსაზღვრულია წარმოდგენილი კონცეფციის მუხლით 33

[...]

მუხლი 13

სამხედრო ტყვეებს მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა ქონდეთ ჰუმანური მოპყრობა. ნებისმიერი უკანონო ქმედება ან უმოქმედობა კანონდამსრულებელი ძალის მხრიდან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სამხედრო ტყვის სიკვდილი ან მისი ჯანმრთელობის სერიოზული შერყევა ტყვეობაში ყოფნის პერიოდში, აკრძალულია და განიხილება როგორც წარმოდგენილი კონვენციის პრინციპების სერიოზული დარღვევა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არც ერთი სამხედრო ტყვე არ გახდეს ფიზიკური მუტილაციის ან რაიმე სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ობიექტი, რომლებიც მიუღებელია სამედიცინო, დენტალური ან კლინიკური მკურნალობისათვის და არ სრულდება სამხედრო ტყვის ინტერესებიდან გამომდინარე

აქედან გამომდინარე, სამხედრო ტყვე, მისი ტყვეობის პერიოდში დაცული უნდა იყოს ძალადობისა ან დაშინებისაგან, შეურაწყოფისა და საზოგადოების რისხვისაგან

აკრძალულიან რეპრესიული ზომების მიღება სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ

მუხლი 14

სამხედრო ტყვე უფლებამოსილია ყველა გარემოებაში მოითხოვოს მისი პიროვნების და სინდისის პატივისცემა. ქალებს უნდა მოეპყრონ პატივისცემით, მათი სქესის გათვალისწინებით და ყველა შემთხვევაში უნდა ისარგებლონ ისეთივე პრივილეგიებითა და პირობებით, როგორც ეს არის მამაკაცების შემთხვევაში. სამხედრო ტყვეებმა უნდა შეინარჩუნონ სრული სამოქალაქო სტატუსი, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ ტყვედ აყვანის მომენტში. სამართალდამცავ სტრუქტურებს არა შეუძლიათ შეზღუდონ მისთვის მინიჭებული უფლებები, იმდენად რამდენადაც ამას მოითხოვს ტყვის სტატუსი

[...]

მუხლი 17

ყველა სამხედრო ტყვე ვალდებულია დაკითხვის დროს დაასახელოს მხოლოდ მისი გვარი, სახელი და წოდება (რანგი), დაბადების თარიღი და არმიის, პოლკის, პირადი ან სერიის ნომერი ან ექვივალენტური ინფორმაცია. თუ ის საკუთარი სურვილით, განზრახ დაარღვევს აღნიშნულ წესს, მას შესაძლოა შეუზღუდონ ის პრივილეგიები რომლებიც გათვალისწინებულია მისი სტატუსის შემთხვევაში

ნებისმიერი კონფლიქტში მონაწილე მხარეს მოეთხოვება უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც სავარაუდოდ შესაძლოა გახდნენ სამხედრო ტყვეები, პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, სადაც მითითებული იქნება მფლობელის გვარი, სახელი, წოდება, არმია, პოლკი, პირადი ან სერიის ნომერი ან შესაბამისი ექვივალენტური ინფორმაცია და დაბადების თარიღი. ამასთან ერთად, პირადობის მოწმობა შეიძლება მოიცავდეს მფლობელის ხელმოწერას ან თითის ანაბეჭდს, ან ორივეს ერთად, და ასევე შეიძლება მოუიცავდეს ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომლის დამატებასაც მოისურვებს კონფლიქტში მონაწილე მხარე და რომელიც შეეხება პიროვნების მონაწილეობას შეიარაღებულ ძალებში. მოწმობის ზომა უნდა იყოს 6.5 X 10 სმ და უნდა იყოს გაცემული ორ ეგზემპლიარად. სამხედრო ტყვემ მოთხოვნისთანავე უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მაგრამ მისთვის მოწმობის ჩამორთმევა დაუშვებელია

დაუშვებელია სამხედრო ტყვის ფიზიკური ან მენტალური წამება ან მის წინააღმდეგ რაიმე სხვა ძალის გამოყენება, იმისათვის რომ მოახერხონ მისგან მათთვის სასურველი ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება. და სამხედრო ტყვეებზე, რომლებიც უარს

აცხადებენ ინფორმაციის მიცემაზე დაუშვებელია მუქარის ან რაიმე სხვა სახის არასასიამოვნო ან არასასურველი ძალადობის ფაქტების განხორციელება

სამხედრო ტყვეები, რომელთაც მათი ფიზიკური ან მენტალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირება, უნდა გადაიგზავნოს სამედიცინო დაწესებულებაში. ყველა შესაძლო მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული ასეთი სამხედრო ტყვეების პიროვნული იდენტიფიცირებისათვის, წინა პარაგრაფში მოყვანილი დებულებების შესაბამისად

სამხედრო ტყვეების დაკითხვა უნდა მოხდეს მათთვის გასაგებ ენაზე

მუხლი 87

სამხედრო ხელისუფლებისა ან სასამართლოს მიერ სამხედრო ტყვეებისათვის დაკისრებული სასჯელი არ უნდა მოიცავდეს სხვა ზომას, გარდა იმ სასჯელისა, რომელიც ეკისრება შეიარაღებული ძალების წევრს, რომელთაც ჩაიდინეს ზემოთაღნიშნული ქმედებები

სასჯელის გამოტანის დროს, სასამართლომ და ხელისუფლების ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ფაქტი, რომ ბრალდებული, რომელიც არ არის აღნიშნული ქვეყნის ეროვნების წარმომადგენელი ან ქვეყნის მოქალაქე, და მათ ხელში მოხვდა მხოლოდ მისგან დამოუკიდებელი გარემოებიდან გამომდინარე. მოცემული ქვეყნის სასამართლო და ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უფლება, საკუთარი ნებიდან გამომდინარე, შეამცირონ სასჯელი ძალადობისთვის, რაშიც დადანიშნულებულია სამხედრო ტყვე მაგრამ არ არიან ვალდებული მიმართონ სასჯელის მინიმალურ ზომას

აკრძალულია კოლექტიური სასჯელი ცალკეულ ქმედებებზე, სხეულის დაზიანება, პატიმრის მოთავსება შენობაში სადაც არ აღწევს დღის სინათლე და ზოგადად, წამების ან სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი ფორმა

აღმასრულებელმა ხელისუფლებას არა აქვს უფლება სამხედრო ტყვეს ჩამოართვას წოდება და ნიშანი (ჟეტონი)

[...]

მუხლი 129

მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი კანონმდებლობა, რაც

აუცილებელია ეფექტური სისხლის სამართლის სანქციების დასაწესებლად იმ პირებზე რომლებიც გაასამართლეს ან გაასამართლებენ ნებისმიერი მძიმე დარღვევისთვის, რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი კონვენციით და განმარტებულია მომდევნო მუხლში

ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე უნდა იღებდეს ვალდებულებას იმ პირის მოძებნასა და მხილებაზე, რომელზეც არსებობს ეჭვი რომ ჩაიდინა ან მომავალში აპირებს ჩაიდინოს მძიმე დანაშაული და აღნიშნული პირები, მიუხედავად მათი ეროვნებისა, წარუდგინოს ადგილობრივ სასამართლოს. მას ასევე აქვს უფლება, გარემოებებიდან გამომდინარე და ადგილობრივი სამართლის პრინციპებთან შესაბამისობაში აღნიშნული პირი გასასამადლებლად გადასცეს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის რომ აღიკვეთოს წარმოდგენილი კონვენციის პრინციპების წინააღმდეგ განხორციელებული აქტები გარდა იმ მძიმე დარღვევისა, რომელიც განსაზღვრულია მომდევნო მუხლით

ნებისმიერ შემთხვევაში, პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი გარანტირებული დაცვით, რაც არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ვიდრე მუხლი 105-ში და 1949 წლის 12 გვისტოს ჟენევის კონვენციაში მოყვანილი გარანტიები სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ

მუხლი 130

მძიმე დარღვევები, რომლებიც მოყვანილია წინა მუხლში (თუ დანაშაული ჩადენილია ადამიანების ან კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რაც დაცულია კონვენციით) შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ქვემოთმოყვანილ აქტს: განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით, განზრახ გამოწვეული დიდი ტანჯვა სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, სამხედრო ტყვის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, ან ჩამოართვას სამხედრო ტყვეს უფლება წარსდგეს სამართლიანი და რეგულარული სასამართლოს წინაშე

[...]

**ქენევის კონვენცია სამოქალაქო პირთა
დაცვის შესახებ ომის დროის პერიოდში**

*მიღებულია 1949 წლის 12 აგვისტოს
დიპლომატიურ კონფერენციაზე, კონვენცია ომის
მსხვერპლთა დაცვის შესახებ, ქენევა, 21
აპრილი – 12 აგვისტო, 1949. ძალაში შევიდა
1950 წლის 21 ოქტომბერს*

[...]

მუხლი 2

იმ პრინციპებთან ერთად, რომელიც უნდა იქნას
გამოყენებული მშვიდობიან პერიოდში,
წარმოდგენილი კონვენცია შეეხება ასევე
გამოცხადებული ომის ან შეიარაღებული
კონფლიქტის ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც
შეიძლება წარმოიშვას მაღალ ხელშემკვრელ
მხარეებს შორის, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც
ერთ ერთი მათგანის მხრიდან ომის
მდგომარეობა არ არის აღიარებული

კონვენცია ეხება ასევე მაღალი ხელშემკვრელი
მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი
ოკუპაციის ყველა შემთხვევას, მაშინაც კი თუ
აღნიშნული ოკუპაციის წინააღმდეგ არ იყო
გამოყენებული შეიარაღებული წინააღმდეგობა

თუმცა, შესაძლოა კონფლიქტში მონაწილე ერთ-
ერთი ძალა არ იყოს კონვენციაზე ხელმომწერი
მხარე, ის ძალები, რომლებიც არიან
ხელმომწერი მხარეები, ვალდებული არიან
დაიცვან კონვენციაში მოყვანილი პრინციპები
ორმხრივ ურთიერთობებში. გარდა ამისა, ისინი
ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული
პრინციპები ზემოთაღნიშნული ძალის მიმართაც,
თუ ეს უკანასკნელი მიიღებს და მოითხოვს მათ
შესრულებას

[...]

მუხლი 4

დაცვის გარანტიები იმ პირთათვის, აღმოჩნდნენ
კონფლიქტში მონაწილე ან ოკუპანტი ძალის
ხელში (კონფლიქტისა ან ოკუპაციის
პირობებში) და არიან სხვა ეროვნების
წარმომადგენლები, განსაზღვრულია კონვენციის
მიხედვით

კონვენციაში არ არის გათვალისწინებული
დაცვის გარანტიები იმ სახელმწიფოს
წარმომადგენლებისა და ერებისათვის,
რომლებიც არ არიან ხელშემკვრელი
ვალდებულებით კონვენციასთან მიმართებაში.
ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეები,
რომლებიც აღმოჩნდებიან მეომარი ქვეყნის

ტერიტორიაზე, და იმ ეროვნების
წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული არიან
აღნიშნულ სამომარ მოქმედებებში, არ შეიძლება
იქნან განხილული, როგორც დაცვის ქვეშ
მყოფი პირები მაშინ როდესაც, იმ
სახელიწიფოს რომელთა ქვეშევრდომებიც არიან
ისინი არა ყავს ნორმალური დიპლომატიური
წარმომადგენლობა იმ ქვეანაში რომლის
ხელშიც ისინი აღმოჩნდნენ მოცემულ მომენტში

თუმცა პრინციპები, რომლებიც მოყვანილია II
ნაწილში და უფრო ფართოდ არის
გამოყენებული, განსაზღვრულია მუხლი 13-ში

პირები, რომლებიც დაცული არიან ქენევის
კონვენციით მოქმედ ჯარში დატრილთა და
ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების
შესახებ (12 აგვისტო 1949) ან ქენევის
კონვენციით საზღვაო შეიარაღებულ ძალებში
დატრილთა – ავადმყოფთა და ხომალდის
კატასტროფაში მოყოლილ პირთა
მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (12
აგვისტო, 1949) ან ქენევის კონვენციით
სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ, არ
შეიძლება განვიხილოთ როგორც დაცული
პირები წარმოდგენილი კონვენციის მიხედვით

[...]

მუხლი 27

დაცვის ქვეშ მყოფი პირები უფლებამოსილი
არიან მოითხოვონ მათი პიროვნების, ღირსების,
ოჯახის უფლებებისა, რელიგიური მრწამსისა
და ეროვნული ადათ-ჩვევების პატივისცემა და
დაცვა. მათ ყოველთვის უნდა მოეპყრონ
ჰუმანურად და ისინი დაცული უნდა იყვნენ
ძალადობის, მუქარის, შეურაწყოფის ან
აღამიანთა რისხვის ყველანაირი აქტისგან

ქალები განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცული
ნებისმიერი ღირსების შემლახავი
ქმედებებისაგან, განსაკუთრებით კი ეს ეხება
გაუპატიურებას, იძულებით პროსტიტუციას ან
შეურაწყოფის ნებისმიერ ფორმას

დაცვის ქვეშ მყოფი პირები უფლებამოსილი
არიან, ჯანმრთელობასთან, სქესთან და ასაკთან
დაკავშირებული დებულებების მიხედვით,
მოითხოვონ ზემოთაღნიშნული პატივისცემა
კონფლიქტში მონაწილე იმ მხარისაგან,
რომლის ხელშიც ისინი იმყოფებიან მოცემულ
მომენტში, რასის, რელიგიის ან პოლიტიკურ
მრწამსის მიუხედავად

თუმცა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს
შეუძლიათ მიიღონ კონტროლისა და
უსაფრთხოების შესაბამისი ზომები, აღნიშნული

პირების მიმართ, რაც შესაძლოა იყოს აუცილებელი როგორც ომის შედეგი

[...]

მუხლი 31

დაუშვებელია რაიმე ფიზიკური ან მორალური ძალადობის გამოყენება დაცული პირების მიმართ, განსაკუთრებით კი ეს ეხება მათგან მესამე მხარეზე ინფორმაციის იძულებით მოპოვებას

მუხლი 32

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრინციპულად თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ მათ არა აქვთ უფლება მიიღონ ისეთი ხასიათის ზომები, რომლებიც გამოიწვევენ მათ ხელში მყოფი დაცული პირების ფიზიკურ ტანჯვას. აღნიშნული აკრძალვა ეხება არა მხოლოდ მკვლელობას, წამებას, სხეულის დაზიანებას, დამახინჯებას და სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებს, რაც არ არის აუცილებელი დაცული პირის სამედიცინო მიზნადობისათვის, არამედ ასევე სასტიკი მოპყრობის სხვა ზომებს, არა აქვს მნიშვნელობა ეს ზომები განხორციელებული იქნება სამოქალაქო თუ სამხედრო მოსამსახურეების მიერ

[...]

მუხლი 146

მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს ნებისმიერი კანონი, რაც აუცილებელია ეფექტური სისხლის სამართლის სანქციების დასაწესებლად იმ პირებზე, რომლებიც გაასამართლეს ან გაასამართლებენ ნებისმიერი მძიმე დარღვევისთვის, რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი კონვენციით და განმარტებულია მომდევნო მუხლში

ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე უნდა იღებდეს ვალდებულებას იმ პირის მოძებნასა და მხილებაზე, რომელზეც არსებობს ეჭვი რომ ჩაიდინა ან მომავალში აპირებს ჩაიდინოს მძიმე დანაშაული და აღნიშნული პირები, მიუხედავად მათი ეროვნებისა, წარუდგინოს ადგილობრივ სასამართლოს. მას ასევე აქვს უფლება, გარემოებებიდან გამომდინარე და ადგილობრივი სამართლის პრინციპებთან შესაბამისობაში აღნიშნული პირი გასასამაღლებლად გადასცეს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის რომ აღიკვეთოს წარმოდგენილი კონვენციის პრინციპების წინააღმდეგ განხორციელებული აქტები გარდა იმ მძიმე დარღვევისა, რომელიც განსაზღვრულია მომდევნო მუხლით

ნებისმიერ შემთხვევაში, პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი გარანტირებული დაცვით, რაც არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ვიდრე მუხლი 105-ში და 1949 წლის 12 გვისტოს ქენევის კონვენციაში მოყვანილი გარანტიები სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ

მუხლი 147

მძიმე დარღვევები, რომლებიც მოყვანილია წინა მუხლში (თუ დანაშაული ჩადენილია ადამიანების ან კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რაც დაცულია კონვენციით) შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ ქვემოთმოყვანილ აქტს: განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით, განზრახ გამოწვეული დიდი ტანჯვა სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, სამხედრო ტყვის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, ან ჩამოართვას სამხედრო ტყვეს უფლება წარსდგეს სამართლიანი და რეგულარული სასამართლოს წინაშე, როგორც ეს გაწერილია წარმოდგენილ კონვენციაში, და საკუთრების განადგურება და მითვისება, რაც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით და ჩადენილია უკანონოდ და საკუთარი ნების საფუძველზე

[...]

**1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის, და
სამართალშორისო შეიარაღებული
კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ
კონვენციების დამატებითი ოქმი (ოქმი 1)**

მიღებულია 1977 წლის 8 ივნისს დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამტკიცება და განვითარება

ძალაში შევიდა 1979 წლის 7 დეკემბერს, 95 მუხლის მიხედვით

[...]

მუხლი 1 ზოგადი პრინციპები და გამოყენების სფეროები

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან და ნებისმიერ გარემოებებში უზრუნველყონ კონტროლი აღნიშნული ოქმის შესრულებაზე

2. შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ოქმში ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებებში, სამოქალაქო მოსახლეობას და მეომარ მხარეებს იცავს საერთაშორისო სამართალი, რომელიც დაფუძნებულია დადგენილ ადათ-წესებზე, კუმანურობის პრინციპებსა და საზოგადოების სინდისზე და შემეცნებაზე

3. აღნიშნული ოქმი, რომელიც წარმოადგენს ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 1 დამატებით ოქმს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, შესაძლებელია გამოვიყენოთ სიტუაციებში, რომელიც წარმოადგენილია მუხლი 2-ში და საერთოა ზემოთმოყვანილი კონვენციებისათვის

4. წინა პარაგრაფში მოყვანილი სიტუაციები მოიცავენ შეიარაღებულ კონფლიქტებს, როდესაც ადამიანები იბრძვიან კოლონიალური ხელისუფლების, უცხოელი დამპყრობლების და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ რათა დაიცვან საკუთარი თვითგამორკვევის უფლებები, განსაზღვრული გაეროს წესდებით და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, რომელიც ეფუძნება მეგობრულ ურთიერთობებს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობას გაეროს წესდების ფარგლებში

[...]

მუხლი 11 ადამიანთა დაცვა

1. იმ ადამიანთა ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა, რომლებიც იმყოფებიან მოწინეღმდეგე მხარის ძალაუფლების ქვეშ, არიან დაკავებული ან აღკვეთილი აქვთ თავისუფლება მუხლი 1-ში მოყვანილი სიტუაციის მიხედვით, არ უნდა იმყოფებოდნენ რაიმე საფრთხის ქვეშ (უკანონო ქმედება ან უმოქმედობა). აქედან გამომდინარე, აკრძალულია აღნიშნულ მუხლში მითითებულ პირებზე ისეთი სამედიცინო პროცდურების ჩატარება, რომელიც არ არის მოთხოვნილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებს, რასაც აღნიშნული მხარე იყენებს საკუთარი მოქალაქეების შემთხვევაში, რომელთაც არ აქვთ აღკვეთილი თავისუფლება

2. განსაკუთრებით აკრძალულია ასეთი ადამიანების, თუნდაც ამაზე იყოს მათი თანხმობა:

- (ა) ფიზიკური დასახინრება;
- (ბ) მათზე სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების განხორციელება;
- (გ) მათი ქსოვილებისა ან ორგანოების გამოყენება ტრანსპლანტაციის მიზნით;

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული აქტები შეესაბამება პარაგრაფ 1-ში მოყვანილი პირობებს.

[...]

4. ნებისმიერი განზრახ ჩადენილი აქტი ან უმოქმედობა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნებისმიერი პირის ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობას ან შრომისუნარიანობას, რომელიც მოცემულ მომენტში იმყოფება მოწინააღმდეგე ძალის ხელში რომელიც არღვევს პარაგრაფებში 1 და 2 მოყვანილ აკრძალვებს ან არ ასრულებს პარაგრაფ 3-ში მოყვანილ მოთხოვნებს, ითვლება მიიმე დანაშაულად აღნიშნული ოქმის მიხედვით

[...]

მუხლი 16 სამედიცინო მოვალეობების ზოგადი დაცვა

1. დაუშვებელია ნებისმიერი პირის დასჯა, რომელიც ახორციელებს სამედიცინო დახმარებას სამედიცინო ეთიკის ნორმების ფარგლებში, მიუხედავად იმის თუ ვინ არის ის პიროვნება ვინც იღებს აღნიშნულ სამედიცინო დახმარებას

2. დაუშვებელია აიძულო ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო დახმარებას, იმოქმედონ სამედიცინო ეთიკის ნორმების დარღვევით ან შეასრულონ დაჭრილი ან ავადმყოფი პირების სამკურნალოდ გათვალისწინებული სამედიცინო პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები ან თავი შეიკავონ იმ ქმედებების შესრულებისაგან, რაც განსაზღვრულია აღნიშნული ოქმის წესებისა და პრინციპების მიხედვით

[...]

მუხლი 75 საყოველთაო გარანტიები

1. სანამ ისინი იმყოფებიან აღნიშნული ოქმის მუხლი 1-ში მოხსენიებულ სიტუაციის გავლენის ქვეშ, პირებს, რომლებიც აღმოჩნდნენ კონფლიქტში მონაწილე მხარის ხელში, და

რომლებიც კონვენციისა ან ოქმის მიხედვით არ სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, იმსახურებენ ჰუმანურ მოპყრობას ყველა შემთხვევაში და უნდა სარგებლობდნენ, როგორც მინიმუმში, დაცვის უფლებით აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მათი რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური მოსაზრებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, სიმდიდრის, დაბადების ან სხვა სტატუსების, ან სხვა ექვივალენტური კრიტერიუმების მიუხედავად. თითოეული მხარე ვალდებულია პატივი სცეს მათ პიროვნებას, ღირსებას, რწმენას და რელიგიას

2. ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას დაუშვებელია ქვემოთმოყვანილი აქტების განხორციელება, იქნება ეს განხორციელებული სამოქალაქო თუ სამხედრო პირის მიერ:

- (ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობის ხელყოფა;
- (i) მკვლელობა;
- (ii) წამების ნებისმიერი ფორმა, ფიზიკური იქნება ეს თუ მენტალური;
- (iii) სხეულის დაზიანება; და
- (iv) დასახინჩრება;
- (ბ) პირადი ღირსების ხელყოფა, განსაკუთრებით კი დამამცირებელი მოპყრობა, იძულებითი პროსტიტუცია და შეურაცხყოფის ნებისმიერი ფორმა;

[...]

მუხლი 85 სანქციები აღნიშნული ოქმის დარღვევაზე

1. კონვენციის პრინციპები, რომელიც დამატებულია აღნიშნული სეგმენტით და რომლებიც უკავშირდება დარღვევების ან მძიმე დარღვევების რეპრესიებს, უნდა ეხებოდეს ასევე აღნიშნული ოქმის დარღვევების ან მძიმე დარღვევების შემთხვევების შემცირებას

2. ქმედებებს, რომლებიც განიხილება როგორც მძიმე დანაშაული კონვენციისთვის, იგივე სტატუსი ენიჭება აღნიშნული ოქმის შემთხვევაშიც, თუ ისინი ჩადენილია ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც მოცემულ მომენტში აღმოჩნდნენ საწინააღმდეგო მხარის ხელში და სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით მუხლების 44, 45 და 73-ის მიხედვით; ან დაჭრილების, ავადმყოფების ან ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა წინააღმდეგ.

რომელთაც იცავს ასევე აღნიშნული ოქმი; ან იმ სამედიცინო პერსონალის, სამღვდლოების წარმომადგენელთა, სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო ტრანსპორტის წინააღმდეგ, რომლებიც იმყოფებიან მოწინააღმდეგე მხარის კონტროლის ქვეშ და დაცული არიან ოქმის მიხედვით

3. მძიმე დანაშაულთან ერთად, რომელიც განსაზღვრულია მუხლი 11-ში, აღნიშნული ოქმის მიხედვით მძიმე დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ქვემოთმოყვანილი ქმედებები, რომლებიც ჩადენილია წინასწარგანზრახვით, აღნიშნული ოქმის შესაბამისი პრინციპების დარღვევით და რომლებიც იწვევენ სიკვდილს და სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზულ დაზიანებას:

- (ა) სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული მოქალაქის თავდასხმის ობიექტად გადაქცევა;
- (ბ) არადისკრიმინაციული თავდასხმის დაწყება, რომელიც გავლენას ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ მოქალაქეზე იმ მოსაზრებით, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს დიდი რაოდენობით სიცოცხლის ხელყოფას, მოქალაქეთა ტრავმებს ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლში 57, პარაგრაფი 2 (ა) (iii)
- (გ) იმ საქმიანობის ან ბაზების წინააღმდეგ თავდასხმის დაწყება, რომლებიც თავისთავში მოიცავენ საშიშ ძალებს, იმ მოსაზრებით, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს დიდი რაოდენობით სიცოცხლის ხელყოფას, მოქალაქეთა ტრავმებს ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლში 57, პარაგრაფი 2 (ა) (iii)
- (დ) დაუცველი და დემილიტარიზებული ზონების თავდასხმის ობიექტად გადაქცევა
- (ე) ადამიანის თავდასხმის ობიექტად გადაქცევა
- (ვ) მუხლი 37-ის დარღვევით, წითელი ჯვრის, წითელი მთვარის ან წითელი ღომის და მზის ემბლემების ან სხვა დამცავი ნიშნების გამოყენება, რომლებიც აღიარებულია კონვენციის ან ოქმის მიხედვით
- (ზ) მძიმე დანაშაულთან ერთად, რომლებიც განსაზღვრულია წინა პარაგრაფებში და კონვენციაში, აღნიშნული ოქმის მიხედვით მძიმე დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს ასევე ის დანაშაული, რომელიც განხორციელდა

წინასწარგანზრახვით და კონვენციების დარღვევით

(თ) ოკუპანტი მხარის მიერ საკუთარი მოსახლეობის გადაყვანა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მთლიანი ან ნაწილობრივი დეპორტაცია ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, განისაზღვრება როგორც მეოთხე კონვენციის მუხლი 49-ის დარღვევა

(ი) სამხედრო ტყვეების ან მოქალაქეების რეპატრაციის უსამართლო დაყოვნება

(კ) აპარტიდის პრაქტიკა და სხვა არაჰუმანური და დამამცირებელი პრაქტიკა, რაც მოიცავს პიროვნების ღირსების შელახვას და დაფუძნებულია რასისტულ დისკრიმინაციაზე

(ლ) იმ აღიარებული ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან წმინდა ადგილების თავდასხმის ობიექტად გადაქცევა, რომლებიც წარმოადგენენ კულტურულ ან სულიერ მემკვიდრეობას, და რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დაცვას კომპენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, და რაც შედეგად იძლევა ნგრევას დიდი მასშტაბებით, სადაც მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან არ არსებობს მუხლი 53-ის დარღვევის ფაქტი, ქვეპარაგრაფი (ბ) და როდესაც ასეთი ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები და წმინდა ადგილები არ მდებარეობს სამხედრო ობიექტების სიახლოვეს

(მ) პიროვნებისათვის - რომელიც კონვენციების ან აღნიშნული მუხლის პარაგრაფი 2-ის მიხედვით სარგებლობს საერთაშორისო დაცვით - უფლების ჩამორთმევა ისარგებლოს მიუკერძოებელი და რეგულარული სასამართლოთ

5. მძიმე დარღვევები იმ პრინციპებისა რომლებიც განსაზღვრულია კონვენციებით და აღნიშნული ოქმით, უნდა განვიხილოთ როგორც ომის დანაშაულობანი

[...]

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ

მიღებულია 1977 წლის 8 ივნისს დიპლომატიურ კონფერენციაზე, შეიარაღებულ კონფლიქტებში

გამოყენებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამტკიცება და განვითარება

ძალაში შევიდა 1978 წლის 7 დეკემბერს, 23 მუხლის მიხედვით

მუხლი 1 გამოყენების სფერო

1. ეს ოქმი, რომელიც ავითარებს და ემატება მუხლ 3-ს ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებს, მაგრამ არ ახდენს არსებული სააპლიკაციო პირობების მოდიფიცირებას, შეეხება ყველა იმ შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელსაც არ მოიცავს მუხლი 1, რომელიც დაემატა ჟენევის 12 აგვისტოს 1949 წლის კონვენციას საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (ოქმი 1), და რომელსაც ადგილი აქვს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე, მის შეიარაღებულ ძალებსა და დისიდენტურ შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის რომლებიც, შესაბამისი პასუხისმგებლობის ქვეშ, ახორციელებენ აღნიშნულ კონტროლს მათი ტერიტორიის ნაწილზე, რათა მისცენ მხარეებს უფლება განახორციელონ დაცული და შეთანხმებული სამხედრო ოპერაციები აღნიშნული ოქმის მიხედვით

2. აღნიშნული ოქმი არ შეეხება დარღვევებისა და დაძაბულობის სიტუაციებს ქვეყნის შიგნით, როგორცაა მაგალითად მასიური არეულობები, ძალადობის იზოლირებული და შემთხვევითი აქტები ან მსგავსი ბუნების სხვა აქტები, გამომდინარე იქიდან რომ ისინი არ წარმოადგენენ შეიარაღებულ კონფლიქტებს

მუხლი 4 ძირითადი გარანტიები

1. ყველა ადამიანი, რომელიც არ იღებს უშუალო მონაწილეობას ან შეწვევით მონაწილეობის მიღება საომარ მოქმედებებში, მიუხედავად იმისა შეიზღუდა ამით მათი თავისუფლება თუ არა, უფლებამოსილია მოითხოვოს საკუთარი ღირსების, რწმენისა და რელიგიური ჩვევების პატივისცემა და დაცვა. მათ მიმართ უნდა განხორციელდეს ჰუმანური მოპყრობა ყველა შემთხვევაში, გამონაკლისების გარეშე. დაუშვებელია ისეთი ბრძანების გაცემა, რომლის მიხედვითაც ცოცხალი არავინ არ უნდა დარჩეს

2. ქვემოთმოყვანილი აქტები, რომლებიც შეეხება პარაგრაფს I არის და რჩება აკრძალული ნებისმიერ დროსა და ადგილზე:
(ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობის ხელყოფა, განსაკუთრებით მკვლელობა და

სასტიკი მოპყრობის ისეთი ფორმები როგორცაა წამება, დასახინრება ან სხეულის დაზიანების ნებისმიერი ფორმა

[...]

მუხლი 5 პირები რომელთა თავისუფლება შეზღუდულია

[...]

2. პარაგრაფი I-ის მიხედვით პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაპატიმრებასა ან დაკავებაზე, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა დაიცვან ასევე ქვემოთმოყვანილი პრინციპები, რომლებიც უკავშირდება დაკავებულ პირებს

(ე) იმ ადამიანთა ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა არ უნდა იმყოფებოდეს რაიმე საფრთხის ქვეშ (უკანონო ქმედება ან უმოქმედობა). აქედან გამომდინარე, აკრძალულია აღნიშნულ მუხლში მითითებულ პირებზე ისეთი სამედიცინო პროცდურების ჩატარება, რომელიც არ არის მოთხოვნილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებს, რასაც აღნიშნული მხარე იყენებს საკუთარი მოქალაქეების შემთხვევაში, რომელთაც არ აქვთ აღკვეთილი თავისუფლება

[...]

მუხლი 10 სამედიცინო მოვალეობების (ვალდებულებების) დაცვა

1. დაუშვებელია ნებისმიერი პირის დასჯა, რომელიც ახორციელებს სამედიცინო დახმარებას სამედიცინო ეთიკის ნორმების ფარგლებში, მიუხედავად იმის თუ ვინ არის ის პიროვნება ვინც იღებს აღნიშნულ სამედიცინო დახმარებას

2. დაუშვებელია აიძულო ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო დახმარებას, იმოქმედონ სამედიცინო ეთიკის ნორმების დარღვევით ან შეასრულონ დაჭრილი ან ავადმყოფი პირების სამკურნალოდ გათვალისწინებული სამედიცინო პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები ან თავი შეიკავონ იმ ქმედებების შესრულებისაგან, რაც განსაზღვრულია აღნიშნული ოქმის მიხედვით

3. სავალდებულოა იმ ადამიანთა პროფესიული ვალდებულებების დაცვა და პატივისცემა, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო საქმიანობას, იმ ინფორმაციის მიხედვით რასაც ისინი შეიძლება ფლობდნენ დაჭრილ ან

ავადმყოფ პირზე, რომელიც იმყოფება მათი მკურნალობის ქვეშ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად

4. არც ერთი პირი, რომელიც ექვემდებარება ეროვნულ კანონმდებლობას და ეწევა სამედიცინო საქმიანობას არ შეიძლება იქნას დადანაშაულებული ან დასჯილი იმის გამო, რომ მან უარი თქვა ან არ გასცა ინფორმაცია იმ დაჭრილთა ან ავადმყოფ პირთა შესახებ, რომლებიც ამჟამად არიან ან იმყოფებოდნენ მათი მზრუნველობის ქვეშ

[...]

წამების აკრძალვა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში და Ad Hoc ტრიბუნალები

სისხლის სამართლის ტრიბუნალის ბანახლებული სტატუსი ყოფილი იზბოსლავიის მიმართ

*(მიღებულია 25 მაისი 1993, რეზოლუცია 827)
(შესწორება, 13 მაისი 1998, რეზოლუცია 1166)
(შესწორება, 30 ნოემბერი 2000, რეზოლუცია 1329)
(შესწორება, 17 მაისი 2002, რეზოლუცია 1411)
(შესწორება, 14 აგვისტო 2002, რეზოლუცია 1431)
(შესწორება, 19 მაისი 2003, რეზოლუცია 1481)*

მუხლი 1

საერთაშორისო ტრიბუნალის კომპეტენცია

საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლის შემდეგ განხორციელებულ საერთაშორისო ჰუმანტარული კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევებზე, წარმოდგენილი კანონის პრინციპებთან შესაბამისობაში

მუხლი 2

ჟენევის 1949 წლის კონვენციების სერიოზული დარღვევები

საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომელთაც დაარღვიეს ან აპირებენ დაარღვიონ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია, სახელდობრ კი, აქტები რომლებიც მიმართულია ადამიანისა

ან კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რაც აკრძალულია შენევის კონვენციით:

[...]

(ბ) წამება ან არაკომანდო მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით

[...]

მუხლი 4

გენოციდი

1. საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომელთაც განახორციელეს გენოციდი, აღნიშნული მუხლის პარაგრაფი 2-ის მიხედვით, ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც მოყვანილია იმავე მუხლის პარაგრაფ 3-ში

2. გენოციდი გულისმობს ქვემოთმოყვანილ ნებისმიერ აქტს, რომელიც ჩადენილია წინასწარგანზრახვით და მიზნად ისახავს ეროვნული, ეთნიკური, რასისტული ან რელიგიური ჯგუფების განადგურებას მთლიანად ან ნაწილობრივ

[...]

(ბ) ქმედება რომელიც იწვევს ჯგუფის წევრების სხეულის სერიოზულ ან მენტალურ დაზიანებას

[...]

3. ქვემოთ მოყვანილი აქტების განხორციელება უნდა იხჯებოდეს კანონით:

- 1) გენოციდი
- 2) კონსპირაცია გენოციდის განახორციელებლად
- 3) საზოგადოების პროვოცირება განახორციელოს განოციდი
- 4) გენოციდის მცდელობა
- 5) გენოციდში უშუალო მონაწილეობა

მუხლი 5

სისხლის სამართლის დანაშაულის ადამიანურობის წინააღმდეგ

საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართლის დანაშაულზე რომელიც განხორციელდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ნებისმიერი

სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, მიუხედავად აღნიშნული დანაშაულის მასშტაბებისა (საერთაშორისო ან ადგილობრივი)

[...]

ვ) წამება

[...]

მუხლი 7

ინდივიდუური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. ნებისმიერ პირი, რომელმაც დაგეგმა, მოახდინა პროვოცირება, გასცა ბრძანება, განახორციელა ან დაეხმარა და ხელი შეუწყო სისხლის სამართლის დანაშაულის დაგეგმვას, მომზადებას ან შესრულებას (წარმოდგენილი კანონმდებლობის მუხლი 2-5) ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი აღნიშნულ დანაშაულზე

2. ბრალდებული პირის ოფიციალური თანამდებობა, მიუხედავად იმისა იქნება ის სახელმწიფოს თუ მთავრობის ხელმძღვანელი ან ოფიციალური პირი, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და არ ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქებას

3. ის ფაქტი, რომ ნებისმიერი აქტი, რომელიც განსაზღვრულია წარმოდგენილი კანონმდებლობით (მუხლი 2-5), განხორციელდა სუბორდინაციის დაცვით, არ ითვალისწინებს პიროვნების განთავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში თუ მან იცოდა, ან ქონდა მიზეზი სცოდნოდა, რომ სუბორდინაცია ითვალისწინებდა აღნიშნული ქმედებების განხორციელებას და ზემდგომმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს შესაბამისი და აუცილებელი ზომების მიღება რათა თავიდან აეცილებინათ აღნიშნული ფაქტები და დაესაჯათ სისხლის სამართლის დამნაშავეები

4. ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე მოქმედებდა სამთავრობო ან ზემდგომი ორგანოების ბრძანების შესაბამისად არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ შეიძლება განხილული იქნას სასჯელის შემსუბუქების ვარიანტი, თუ საერთაშორისო ტრიბუნალი გადაწყვეტს რომ ამას მოითხოვს სამართალი

[...]

რუანდას საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი

მიღებულია უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციით 955 (1994) მის 3453-ე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1994 წლის 8 ნოემბერს

მუხლი 1: რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის კომპეტენცია

საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რუანდის ტერიტორიაზე საერთაშორისო კუმიანტარული კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევებზე და რუანდის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ძალადობის ფაქტებზე, რომელიც მათ განახორციელეს მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე, წარმოდგენილი კანონმდებლობის მიხედვით

მუხლი 2: გენოციდი

1. რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომელთაც განახორციელეს გენოციდი, აღნიშნული მუხლის პარაგრაფი 2-ის მიხედვით, ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც მოყვანილია იმავე მუხლის პარაგრაფ 3-ში

2. გენოციდი გულისმობს ქვემოთმოყვანილ ნებისმიერ აქტს, რომელიც ჩადენილია წინასწარგანზრახვით და მიზნად ისახავს ეროვნული, ეთნიკური, რასისტული ან რელიგიური ჯგუფების განადგურებას მთლიანად ან ნაწილობრივ

[...]

(ბ) ქმედება, რომელიც იწვევს ჯგუფის წევრების სხეულის სერიოზულ ან მენტალურ დაზიანებას

[...]

3. ქვემოთმოყვანილი აქტების განხორციელება უნდა ისჯებოდეს კანონით:

[...]

- ა) გენოციდი
- ბ) კონსპირაცია გენოციდის განსახორციელებლად
- გ) საზოგადოების პროვოცირება განახორციელოს გენოციდი
- დ) გენოციდის მცდელობა
- ე) გენოციდში უშუალო მონაწილეობა

მუხლი 3: დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ

რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქვემოთნამოთვლილ სისხლის სამართლის დანაშაულზე, რომელიც წარმოადგენს ფართო და სისტემური დანაშაულის ნაწილს განხორციელებულს ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, ეროვნულ, პოლიტიურ, ეთნიკურ, რასისტულ ან რელიგიურ საფუძველზე

[...]

ე) წამება

მუხლი 4: უენევის კონვენციის და დამატებითი ოქმისათვის საერთო მე-3 მუხლის დარღვევა

რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი უნდა იყოს უფლებამოსილი განახორციელოს სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სერიოზულ დარღვევებზე (უენევის 1949 12 აგვისტოს წლის კონვენციის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მუხლი 3 და 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმი II). აღნიშნული დარღვევები უნდა მოიცავდეს შემდეგს, მაგრამ არ უნდა იყოს ლიმიტირებული:

- ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობის ხელყოფა, განსაკუთრებით მკვლელობა და სასტიკი მოპყრობის ისეთი ფორმები როგორცაა წამება, დასახიჩრება ან სხეულის დაზიანების ნებისმიერი ფორმა

[...]

მუხლი 6: ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

1. ნებისმიერ პირი, რომელმაც დაგეგმა, მოახდინა პროვოცირება, გასცა ბრძანება, განახორციელა ან დაეხმარა და ხელი შეუწყო

სისხლის სამართლის დანაშაულის დაგეგმვას, მომზადებას ან შესრულებას (წარმოდგენილი კანონმდებლობის მუხლი 2-4) ინდივიდუალურად არის პასუხისმგებელი აღნიშნულ დანაშაულზე

2. ბრალდებული პირის ოფიციალური თანამდებობა, მიუსხედევად იმისა იქნება ის სახელმწიფოს თუ მთავრობის ხელმძღვანელი ან ოფიციალური პირი, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და არ ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქებას

3. ის ფაქტი, რომ ნებისმიერი აქტი, რომელიც განსაზღვრულია წარმოდგენილი კანონმდებლობით (მუხლი 2-4), განხორციელდა სუბორდინაციის დაცვით, არ ითვალისწინებს პიროვნების განთავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში თუ მან იცოდა, ან ქონდა მიზეზი სცოდნოდა, რომ სუბორდინაცია ითვალისწინებდა აღნიშნული ქმედებების განხორციელებას და ზემდგომმა ორგანომ ვერ მოახერხეს შესაბამისი და აუცილებელი ზომების მიღება რათა თავიდან აეცილებინათ აღნიშნული ფაქტები და დაესაჯათ სისხლის სამართლის დამნაშავეები

4. ფაქტი, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე მოქმედებდა სამთავრობო ან ზემდგომი ორგანოების ბრძანების შესაბამისად არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ შეიძლება განხილული იქნას სასჯელის შემსუბუქების ვარიანტი, თუ რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი გადაწყვეტს რომ ამას მოითხოვს სამართალი

[...]

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი

ძალაშია 2002 წლის 1 ივლისიდან

[...]

მუხლი 5

სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულები

1. სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის შემაშფოთებელი უმძიმესი დანაშაულებით. სასამართლოს იურისდიქცია, ამ წესდების თანახმად, ხორციელდება შემდეგ დანაშაულებებზე:

- (ა) გენოციდის დანაშაული;
- (ბ) დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ;
- (გ) სამხედრო დანაშაულები;

[...]

მუხლი 6

გენოციდი

“გენოციდი” ამ წესდების მიზნებისთვის, ნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

[...]

ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება ან მათი ფსიქიკური მოშლილობის გამოწვევა;

[...]

მუხლი 7

დანაშაულები ადამიანურობის წინააღმდეგ

1. ამ წესდების მიზნებისთვის, "დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ" ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, როცა იგი ჩადენილია ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში, თავდასხმის გაცნობიერებით:

[...]

(ვ) წამება;

[...]

2. პირველი პუნქტის მიზნებისთვის:

(ა) “ნებისმიერ სამოქალაქო პირზე თავდასხმა” ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს პირველ პუნქტში მითითებულ ქმედებათა მრავალგზის ჩადენას, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ორგანიზაციის ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული პოლიტიკის გატარების ან მისი ხელშეწყობის მიზნით;

[...]

(ე) "წამება" ნიშნავს მძიმე ტკივილის ან ტანჯვის, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური, მიყენებას იმ პირისთვის, რომელიც დამნაშავის პატიმრობის ან კონტროლის ქვეშ იმყოფება; ამასთან, წამებად არ ითვლება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია კანონიერი

სანქციებით ან განუყოფელია ამ სანქციებისგან ან შემთხვევით წარმოიქმნება მათი აღსრულების პროცესში;

[...]

მუხლი 8

სამხედრო დანაშაული

1. სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს სამხედრო დანაშაულებზე, და განსაკუთრებით, თუ იგი ჩადენილია გვეგის ან პოლიტიკის ფარგლებში ან ამგვარი დანაშაულის ფართომასშტაბიანი ჩადენის შემთხვევაში.

2. ამ წესდების მიზნებისთვის, "სამხედრო დანაშაული" ნიშნავს:

ა) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების მიმე დარღვევებს, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას იმ პირების ან საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც დაცულნი არიან ჟენევის კონვენციის შესაბამისი შესაბამისი დებულებით:

(i) განზრახ მკვლელობა;

(ii) წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის ბიოლოგიური ექსპერიმენტები;

[...]

გ) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, ჩადენილი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საოარ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც დაეარეს იარაღი ან აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი ავადმყოფობის, მიღებული ჭრილობის, პატიმრობის ან სხვა მიზეზის გამო;

(i) ძალადობა, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ, ნებისმიერი ფორმით ჩადენილი მკვლელობა, დასახინრება, სასტიკი მოპყრობა ან წამება;

(ii) ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

[...]

დ) მე-2 (გ) პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამრიგად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობის დროს, როგორცაა არეულობა, ძალადობის ცალკეული და სპორადული აქტები ან სხვა ანალოგიური ხასიათის აქტები;

[...]

მუხლი 25

[...]

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

2. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება წინამდებარე წესდების შესაბამისად.

3. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს, წინამდებარე წესდების შესაბამისად, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება, თუ ეს პირი:

(ა) ჩადენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

(ბ) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, თუ ეს დანაშაული ჩადენილია ან იყო მისი ჩადენის მცდელობა;

(გ) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის უზრუნველყოფს მისი ჩადენისთვის საჭირო საშუალებებს;

(დ) ნებისმიერი სხვა სახით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელშეწყობა უნდა ხდებოდეს განზრახ ანდა;

(i) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს

იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან

(ii) ხორციელდებოდეს იმის წინასწარი შეგნებით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას.

(ე) გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდისათვის;

[...]

მუხლი 27

თანამდებობრივი მდგომარეობა, როგორც არამართებული საფუძველი.

1. ეს წესდება ვრცელდება თანაბრად ყველა პირზე განურჩევლად, თანამდებობრივი მდგომარეობისა. კერძოდ, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, მთავრობის ან პარლამენტის წევრის, არჩეული წარმომადგენლის ან მთავრობის თანამდებობის პირის თანამდებობრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ პირი გათავისუფლდეს ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან შემცირდეს განაჩენი.

2. პირის თანამდებობრივი მდგომარეობასთან დაკავშირებული იმუნიტეტები ან სპეციალური პროცესუალური ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, არ წარმოადგენს დაბრკოლებას სასამართლოსთვის, რომ განახორციელოს იურისდიქცია ამ პირზე.

[...]

მუხლი 55

პირთა უფლებები გამოძიების დროს
1. რაც შეეხება ამ წესდებას შესაბამისად წარმოებულ გამოძიებას, პირი:

[...]

(ბ) არ უნდა განიცადოს იძულება, ზემოქმედება ან მუქარა არავითარი ფორმით, წამება ან სხვაგვარი სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა;

[...]

წამებასთან დაკავშირებული რეზიონული დოკუმენტები

დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მიერ

აშრიკის ქარტია ადამიანის და სახალხო უფლებების შესახებ

მიღებულია 1981 წლის 27 ივნისს, ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს

თავი I –ადამიანის და სახალხო უფლებები

მუხლი 1

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ხელს აწერენ წარმოდგენილ ქარტიას, უნდა აღიარონ მასში მოყვანილი უფლებები, მოვალეობები და თავისუფლებები და უზრუნველყონ საკანონმდებლო ან სხვა ზომების მიღება, რათა მიანიჭონ მათ შესაბამისი ეფექტურობა.

[...]

მუხლი 4

ყველა ადამიანი ხელშეუხებელია. ყველა ადამიანი უნდა იყოს უფლებამოსილი მოითხოვოს მისი სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის დაცვა და პატივისცემა. დაუშვებელია, რომ ადამიანს არბიტრარულად ჩამოერთვას აღნიშნული უფლებები.

მუხლი 5

ყველა ინდივიდს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს საკუთარი ღირსების პატივისცემა და იურიდიული სტატუსის აღიარება. უნდა აიკრძალოს ადამიანის ნებისმიერი ფორმით ექსპლუატაცია და დამამცირებელი მოპყრობა, განსაკუთრებით კი მონობა, მონობით ვაჭრობა, წამება, სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა.

მუხლი 6

ყველა ინდივიდს უნდა ჰქონდეს თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება. დაუშვებელია მათთვის თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. განსაკუთრებით კი დაუშვებელია პიროვნების დაკავება და დაპატიმრება მტკიცებულებების გარეშე.

მუხლი 7

1. ყველა ინდივიდს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს რომ მისი მიზეზები და მოტივები იქნას მოსმენილი. აღნიშნული მოიცავს შემდეგს: (ა) უფლებას მიმართოს კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს მისი ძირითადი უფლებებისა და

თავისუფლებების დარღვევის ფაქტების არსებობის შემთხვევაში, როგორც ეს განსაზღვრული და გარანტირებულია მოქმედი კონვენციებით, კანონებით, ინსტრუქციებით და წესებით;

(ბ) უდანაშაულობის პრეზუმციის უფლება დანაშაულის დამტკიცებამდე;

(გ) დაცვის უფლება, რაც მოიცავს საადვოკატო მომსახურებას. ადვოკატს ირჩევს თვითონ პიროვნება;

(დ) უფლება დროულ და მიუკერძოებელ სასამართლო პროცესზე

2. დაუშვებელია ვინმეს გასამართლება იმ ქმედებისა ან უმოქმედობისთვის, თუ იმ დროს როდესაც ის იქნა ჩადენილი იურიდიულად არ იყო განსაზღვრული, როგორც დასჯადი დანაშაული. დაუშვებელია სასჯელის დაწესება იმ დანაშაულისთვის, რომელზეც მისი განხორციელების მომენტში არ არსებობდა არანაირი ნორმები. სასჯელი პერსონალურია და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ დანაშაულის წინააღმდეგ

[...]

თავი II – კომისიის მანდატი

მუხლი 45

კომისიის ფუნქციები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და მხარდაჭერა და განსაკუთრებით კი:

(ა) დოკუმენტაციის შეგროვება, ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკულ პრობლემებზე კვლევების ჩატარება, სემინარების, სიმპოზიუმების და კონფერენციების ორგანიზება, ინფორმაციის გავრცელება, იმ ეროვნული და ადგილობრივი ინსტიტუტების წახალისება, რომლებიც დაკავშირებულია ჰუმანურ და ადამიანის უფლებებთან, საქმის აღძვრა, რეკომენდაციების გაცემა სამთავრობო ორგანოებისთვის; (ბ) პრინციპებისა და წესების ფორმულირება და ჩაწერა, რომლებიც განსაზღვრულია იმ იურიდიული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც უკავშირდება ჰუმანურ და ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რომელიც აფრიკის მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ ბაზად საკუთარი კანონმდებლობის შექმნის პროცესში; (გ) სხვა აფრიკულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, რომლებიც დაკავშირებული არიან ჰუმანური ან ადამიანის უფლებების დაცვასა და პრომოციასთან

2. ჰუმანური და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მოცემულ ქარტიაში მოყვანილი პრინციპების შესაბამისად

3. წარმოდგენილი ქარტიის ყველა ნორმის ინტერპრეტაცია, სახელმწიფოს, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ინსტიტუტის ან იმ აფრიკული ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე, რომელიც აღიარებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მიერ

4. ნებისმიერი სხვა ამოცანის შესრულება, რომელიც შესაძლოა იქნას მოწოდებული სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოების ასამბლეის მიერ

თავი III – კომისიის პროცედურა

მუხლი 46

კომიტეტს შეუძლია მიმართოს საკითხის შესწავლის (გამოძიების) ნებისმიერ მეთოდს; აღნიშნულის გაგება შეიძლება აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ან ნებისმიერი სხვა პირისგან რომელიც ფლობს ინფორმაციას აღნიშნულზე

ინფორმაციები სახელმწიფოების მხრიდან

მუხლი 47

თუ ერთი სახელმწიფო, რომელიც არის ქარტიის წევრი, ფლობს სარწმუნო მიზეზებს, რომ მეორე წევრმა სახელმწიფომ დაარღვია ქარტიაში განსაზღვრული ნორმები, ის ვალდებულია წერილობით აცნობოს ამის თაობაზე მეორე სახელმწიფოს და გაამახვილოს აღნიშნულზე მისი ყურადღება. ეს წერილობითი შეტყობინება უნდა გადაეგზავნოს ასევე აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და კომისიის თავმჯდომარეს. შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, სახელმწიფო რომელმაც მიიღო იგი, უნდა გაუგზავნოს ადრესატ სახელმწიფოს წერილობითი ახსნა-განმარტება ან განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული უნდა მოიცავდეს რაც შეიძლება მეტ რეკომენდაციურ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება კანონებსა და გამოყენებულ პროცედურულ წესებს, უკვე გაცემულ კომპენსაციას ან მოქმედების კურსს

მუხლი 48

იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ იქნება მოგვარებული პრობლემა ისე, რომ ეს ხელსაყრელი იყოს ორივე სახელმწიფოსთვის, რომლებიც ჩართული არიან ორმხრივ მოლაპარაკებებში ან ნებისმიერ სხვა მშვიდობიან პროცესში, ორივე სახელმწიფოს აქვს უფლება აღნიშნული საკითხი განსახილველად გადასცეს კომისიის თავმჯდომარეს და აცნობოს სხვა

სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნულ პროცესში

მუხლი 49

მიუხედავად მუხლი 47-ში მოყვანილი პრინციპებისა, თუ წესდების წევრი სახელმწიფო თვლის, რომ მეორე მხარემ დაარღვია წესდების პრინციპები, მას შეუძლია აღნიშნული საკითხი, წერილობითი შეტყობინების სახით, განსახილველად გადასცეს კომისიის თავმჯდომარეს, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და დაინტერესებულ სახელმწიფოს

მუხლი 50

კომიტეტს შეუძლია განიხილოს აღნიშნული საკითხი, მხოლოდ მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ ყველა ადგილობრივი საშუალება, თუ ისინი არსებობენ, უკვე ამოწურულია და თუ კომიტეტისთვის აშკარაა, რომ აღნიშნული საშუალებების მიღების პროცედურა ზედმეტად გაჭიანურებულია

მუხლი 51

1. კომიტეტს შეუძლია მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოებს მიაწოდონ მას სრულყოფილი და რელევანტური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე
2. კომიტეტის მიერ საკითხის განხილვის პროცესს შეიძლება დაესწრონ მონაწილე სახელმწიფოები და წარმოდგინონ საკუთარი წარიღობითი ან ზეპირი პრეზენტაციები

მუხლი 52

სახელმწიფოებიდან და სხვა წყაროებიდან ამომწურავი და აუცილებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული მშვიდობიანი გადაწყვეტილების მისაღებად ყველა შესაბამისი მეთოდის მცდელობის შემდეგ, კომიტეტი, დაახლოებით 48 საათში აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან, მოამზადებს მოხსენებას, სადაც მოყვანილი იქნება ფაქტები და მათი მონაცემები. აღნიშნული მოხსენება უნდა გადაეგზავნოს მონაწილე სახელმწიფოებს და მთავრობის ხელმძღვანელთა ასამბლეას

მუხლი 53

მოხსენებასთან ერთად, კომიტეტს შეუძლია მიაწოდოს სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელთა ასამბლეას მნიშვნელოვანი და სასარგებლო რეკომენდაციები

მუხლი 54

კომიტეტმა, სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელთა ასამბლეის ყველა სესიაზე

უნდა წარადგინოს მოხსენება მისი მოღვაწეობის შესახებ

სხვა შეტყობინებები

მუხლი 55

1. ყოველი სესიის წინ, კომისიის მდივანი შეადგენს წესდების წევრი სახელმწიფოების შეტყობინებების ჩამონათვალს და გადასცემს მას კომიტეტის წევრებს, რომლებიც შემდგომ განსაზღვრავენ თუ რომელი შეტყობინება უნდა იყოს განხილული კომიტეტის მიერ

2. შეტყობინება უნდა იყოს განხილული კომიტეტის მიერ თუ მისი წევრების უმრავლესობა მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას

მუხლი 56

შეტყობინებები, რომლებიც უკავშირდება ჰუმანურ და ადამიანის უფლებებს, რომელიც მიღებულია კომიტეტის მიერ (მუხლი 55), უნდა იქნას განხილული თუ:

1. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებულია ავტორები, მაშინაც კი როდესაც შეტყობინების შინაარსი მოითხოვს ანონიმურობას
2. შეთავსებადია და შეესაბამება აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ან ზემოთ წარმოდგენილ წესდებას
3. არ არის დაწერილი შეურაწმყოფელი ენით წევრი სახელმწიფოების და მისი ინსტიტუტების ან აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წინააღმდეგ
4. არ ეფუძნება მას მედიის საშუალებით მიღებულ ახალ ამბებს
5. შეტყობინება განსახილველად შეტანილია ყველა ადგილობრივი საშუალებების ამოწურვის შემდგომ, და აშკარაა, რომ პროცედურა უზომოდ არ არის გაჭიანურებული
6. შეტანილია განსახილველად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი საშუალებების ამოწურვის შემდგომ ან იმ დროიდან, როდესაც კომიტეტი ინფორმირებული იქნა აღნიშნულ საკითხზე
7. არ ეხება შემთხვევებს, რომლებიც მოგვარებული იქნა აღნიშნული სახელმწიფოების მიერ გაეროს ქარტიის ან აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან შესაბამისობაში

მუხლი 57

ნებისმიერი სუბსტანციური განხილვის წინ, კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია აცნობოს სახელმწიფოს ყველა შეტყობინებების თაობაზე

მუხლი 58

1. განხილვებისა და დისკუსიების შემდგომ, როდესაც აღმოჩნდება, რომ ერთი ან ორი შეტყობინება აშკარად უკავშირდება განსაკუთრებულ შემთხვევას, რომლებიც მიუთითებენ ჰუმანური და ადამიანის უფლებების სერიოზულ ან მასიური დარღვევებზე, კომიტეტი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელების ასამბლეას

2. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელების ასამბლეას, შეუძლია სთხოვოს კომიტეტს აღნიშნული შემთხვევების უფრო ღრმა და დავირილებით შესწავლა და მის მონაცემებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით გააკეთოს შესაბამისი და რეალური მოხსენება

3. განსაკუთრებული შემთხვევის დაფიქსირებისას, კომიტეტი ვალდებულია აცნობოს სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელების ასამბლეის თავმჯდომარეს, რომელსაც თავის მხრივ აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული შემთხვევის უფრო ღრმად შესწავლა

მუხლი 59

1. ყველა ზომა, რომელიც მიღებული იქნა წარმოდგენილი ქარტიის ნორმის ფარგლებში, უნდა დარჩეს კონფიდენციალური, სანამ სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელების ასამბლეა არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას

2. კომისიის საქმიანობის ანგარიში უნდა იქნას გამოქვეყნებული მისი თავმჯდომარის მიერ მას შემდეგ რაც მისი განხილვა მოხდება სახელმწიფო და მთავრობის ხელმძღვანელების ასამბლეის სხდომაზე

თავი IV – გამოყენებული პრინციპები

მუხლი 60

კომისიის საქმიანობა ეფუძნება საერთაშორისო კანონმდებლობას ჰუმანური და ადამიანის უფლებების შესახებ, განსაკუთრებით კი სხვადასხვა აფრიკულ დოკუმენტებს ჰუმანური და ადამიანთა უფლებების შესახებ, გაეროს წესდებას, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წესდებას, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც მიღებულია გაეროსა და აფრიკის ქვეყნების მიერ ჰუმანური და ადამიანის უფლებების სფეროში, ასევე ის ეფუძნება სხვადასხვა პრინციპებს, რომლებიც მიღებულია გაეროს სპეციალური წარმომადგენლობების მიერ, რომლის წევრებიც არიან წარმოდგენილი მხარეები

მუხლი 61

კომისიამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა ზოგადი ან სპეციალური საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც აღგენენ და კარნახობენ წესებს და აღიარებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ; აფრიკული ჩვევები და ინსტრუქციები, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან ჰუმანური და ადამიანის უფლებების შესახებ; ჩვევები და ადათ-წესები, ზოგადად მიღებული როგორც კანონი, კანონმდებლობის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია აფრიკული სახელმწიფოების მიერ და ასევე იურიდიული პროცედურები და დოქტრინები

მუხლი 62

ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მას შემდეგ რაც წარმოდგენილი წესდება შევა ძალაში, გააკეთოს მოხსენება მის მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებზე, იმ უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურობის მიზნით, რაც აღიარებულია და გარანტირებულია წარმოდგენილი წესდების მიხედვით

ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია

მიღებულია ადის აბებაში, ეთიოპია, 1990 წლის 11 ივლისს, ძალაში შევიდა 1999 წლის 29 ნოემბერს

[...]

მუხლი 16: წამებისა და ძალადობის ფაქტებისაგან ბავშვთა დაცვა

1. წარმოდგენილი წესდების წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ სპეციფიური საკანონმდებლო, აღმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, რომელიც დაიცავს ბავშვს ყველა ფორმის წამების, არაჰუმანური ან დაამცირებელი მოპყრობისაგან და განსაკუთრებით კი ფიზიკური ან მენტალური ტრავმებისა ან ძალადობისაგან, რაც მოიცავს ასევე სექსუალური ძალადობას

2. აღნიშნულ მუხლში მოყვანილი დამცავი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ეფექტურ პროცედურებს სპეციალური მონიტორინგის ქვეგანყოფილებების დაარსებისთვის, რათა უზრუნველყოთ ბავშვთა და მათზე ზრუნვით დაკავებული პირების აუცილებელი დახმარება და ავამუშაოთ პრევენციის სხვა ზომები, და ასევე ბავშვებზე ძალადობისა და ცუდი

მოპყრობის ინსტანციებში სასამართლო პროცესების, მეურნეობის და მათზე შემდგომი კონტროლის იდენტიფიცირებისთვის

მუხლი 17: არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრირება

1. ნებისმიერ ბავშვს, რომელიც დამნაშავეა კანონდარღვევაში უნდა ქონდეს უფლება საგანგებო მოპყრობაზე, რომელიც არ ღახავს ბავშვის ღირსების გრძნობას და აძლიერებს ბავშვის პატივისცემის გრძნობას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ

2. წარმოდგენილი წესდების წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ არც ერთი დაკავებული ან დაპატიმრებული ბავშვი არ გახდეს წამების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის ობიექტი

(ბ) დარწმუნდნენ, რომ დაკავებისა და დაპატიმრების დაწესებულებებში ბავშვები მოთავსებული არიან ცალკე, მოზარდებისაგან იზოლირებულად

(გ) უზრუნველყონ, რომ ყოველი ბავშვი, რომელიც დადნაშაულებულია კანონის დარღვევაში უნდა:

(i) სარგებლობდეს უდანაშაულობის პრეზუმციით დანაშაულის დამტკიცებამდე;

(ii) მიიღოს დროული და ზუსტი ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე ან აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს თარჯიმნის დახმარება;

(iii) მიიღოს იურიდიული ან სხვა სახის დახმარება მისი დაცვის მომზადებისა და პრევენტივისთვის;

(iv) საკითხის გადაწყვეტა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ და მისი დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მიეცეს უფლება გაასაჩივროს განაჩენი უმაღლეს სასამართლოში

3. ნებისმიერი ბავშვის გასამართლებისა და დასჯის მნიშვნელოვანი მიზანი (თუნდაც იგი იყოს მხილებული კანონდარღვევაში) უნდა იყოს მისი რეფორმაცია, რეინტეგრაცია საკუთარ ოჯახში და სოციალური რეაბილიტაცია

4. უნდა იყოს დაწესებული მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც დაუშვებელია ბავშვის დადნაშაულება კანონდარღვევის ფაქტებზე

[...]

აფრიკის ადამიანის და სახალხო უფლებების ქართიის ომში, აფრიკის ადამიანისა და სახალხო უფლებების სასამართლო დაარსების შესახებ

1998, 8 ივნისი, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის (OAU) დოკუმენტი

ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს

მუხლი 1 სასამართლოს დაფუძნება

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ფარგლებში უნდა დაარსდეს ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკის სასამართლო, შემდგომში წოდებული, როგორც “სასამართლო”, რომლის ორგანიზაცია, იურისდიქცია და ფუნქციონირება იქნება დაფუძნებული წარმოდგენილ პროტოკოლზე

[...]

მუხლი 3 იურისდიქცია

სასამართლოს იურისდიქცია უნდა მოიცავდეს და განიხილავდეს ყველა შემთხვევას და დისპუტს, რომელიც ეხება წესდების ინტერპრეტაციასა და მის მიღებას, მოცემულ პროტოკოლს და ნებისმიერ სხვა დოკუმენტს ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც რატიფიცირებულია დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ

[...]

სასამართლომ უნდა წარმოადგინოს რეკომენდაციების საფუძველი, რომლის მიხედვითაც ყოველი მოსამართლე უნდა იყოს უფლებამოსილი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიტანოს განსხვავებული გადაწყვეტილება

მუხლი 5 სასამართლოს ხელმისაწვდომობა

სასამართლოს შეუძლია მიმართოს:

კომისიამ

სახელმწიფომ, რომელსაც შეაქვს სარჩელი კომისიის წინააღმდეგ

სახელმწიფომ, როდესაც მისი მოქალაქე არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მსხვერპლი

აფრიკულმა მთავრობათა შორისმა ორგანიზაციებმა

როდესაც სახელმწიფო არის დაინტერესებული კონკრეტულ შემთხვევაში, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს სასამართლოს თანამშრომლობის თაობაზე

სასამართლოს შეუძლია შესაბამის არა-სამთავრობო ორგანიზაციებს () მიანიჭოს დამკვირვებლის სტატუსი კომიტეტში, აღნიშნული პროტოკოლის მუხლი 34 (6)-ის მიხედვით

მუხლი 6 საჩივრის დასაშვებობა

სასამართლოს, როდესაც ის განიხილავს და მსჯელობს შემთხვევის დასაშვებობას, აღნიშნული პროტოკოლის მუხლი 5(3)-ის საფუძველზე, შეუძლია მოთხოვოს კომიტეტის მოსაზრების დაფიქსირება, რაც ამ უკანასკნელმა უნდა გააკეთოს დროულად და რაც შეიძლება სწრაფად

სასამართლომ შეუძლია აღიაროს და დაადგინოს შემთხვევების დასაშვებობა წესდებაში მოყვანილი ნორმებისა და პრინციპების (სტატია 56) მხედველობაში მიღების საფუძველზე

სასამართლოს შეუძლია განიხილოს შემთხვევები ან ის განსახილველად გადასცეს კომისიას

მუხლი 7 კანონის წყაროები

სასამართლომ უნდა გამოიყენოს წესდების ნორმები და ნებისმიერ სხვა რელევანტური დოკუმენტები ადამიანის უფლებების შესახებ, რომლებიც რატიფიცირებულია დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ

[...]

მუხლი 10 მოსმენები და პრეზენტაციები

სასამართლომ მისი პროცედურული საქმიანობა უნდა განახორციელოს საზოგადოების წინაშე, თუმცა, სასამართლოს უფლება აქვს გამართოს ასევე დახურული სასამართლო პროცესი პროცედურული წესების გათვალისწინებით

საქმეში მონაწილე ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წარდგენილი იქნას იურიდიული წარმომადგენლობის მიერ. თავისუფალი და მიუკერძოებელი იურიდიული წარმომადგენლობა შეიძლება იყოს გამოყენებული იქ სადაც ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესები

ნებისმიერი პირი, იქნება ეს მოწმე, თუ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, რომელიც წარსდგება სასამართლოს წინაშე,

ვალდებულია დაიცვას ყველა ის მოთხოვნა, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო კანონმდებლობით და აუცილებელია სასამართლოს წინაშე მათი ფუნქციების, მოვალეობების და ამოცანების შესასრულებლად

[...]

მუხლი 17 დამოუკიდებლობა

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უნდა იყოს სრულად გარანტირებული საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება მოისმინოს საქმე რომელშიც იგივე მოსამართლეს ადრე მიღებული აქვს მონაწილეობა როგორც წარმომადგენელს, დამცველს ან ადვოკატს რომელიმე მხარის სასარგებლოდ ან როგორც ეროვნული ან საერთაშორისო სასამართლოს ან საგამომძიებლო კომისიის წევრს ან რაიმე სხვა სტატუსით

სასამართლოს მოსამართლეებს, არჩევის მომენტიდან მათი საქმიანობის ვადის ამოწურვამდე, იცავს შესაბამისი იმუნიტეტით, რომელიც გაიცემა დიპლომატიურ წარმომადგენლებზე, საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

სასამართლოს მოსამართლეები საკუთარი ფუნქციების შესრულებისას არ არიან პასუხისმგებელი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაზე

[...]

მუხლი 26 მტკიცებულება

სასამართლო ვალდებულია მოისმინოს მხარეების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი სარჩელი და აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული საქმის გამოძიება

სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულება-სამხილი, რომელიც მოიცავს ექსპერტიზის დასკვნას და ასეთ სამხილზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება

მუხლი 27 მოპოვებული მონაცემები

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადგილი ქონდა პუბლიკური და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას, იგი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, კომპენსაციისა და რეპარაციის ჩათვლით

თუ საქმე გვაქვს ექსტრემალურ სისასტიკესთან და გადაუღებელ შემთხვევასთან და

აუცილებელია თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი აუნაზღაურებელი ზარალი, სასამართლო ვალდებულება აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებლობიდან გამომდინარე მიიღოს დროული ზომები

[...]

მუხლი 30 მართმსაჯულების აღსრულება

ზემოთაღნიშნული პროტოკოლის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღასრულონ მართმსაჯულება ნებისმიერ შემთხვევაში, რომელშიც ისინი წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს, სასამართლოს მიერ განსაზღვრული და ფიქსირებული დროის ფარგლებში და მოახერხონ მართმსაჯულების აღსრულების გარანტირება

[...]

აფრიკის ადამიანის და სახალხო უფლებების ქართის ოქმი, აფრიკაში ძალთა უფლებების დაცვის შესახებ

[...]

მუხლი 4 ადამიანის სიცოცხლის, ერთიანობის და უსაფრთხოების უფლებები

1. ყველა ქალი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი სიცოცხლის, ღირსების და უსაფრთხოების პატივისცემა. აკრძალულია მათ წინააღმდეგ ექსპლუატაციის და სისასტიკის ნებისმიერი ფორმის გამოყენება და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა

2. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი და ეფექტური ზომები, რაც მოიცავს:

[...]

(დ) დამნაშავე პირის დასჯას, რომელსაც ბრალად ედება ძალადობა ქალების წინააღმდეგ და ძალადობის მსხვერპლი-ქალებისთვის რეაბილიტაციის პროგრამების გამოყენებას;

(ე) მექანიზმებისა და ხელმისაწვდომი სამსახურების დაფუძნებას, რაც ხელს შეუწყობს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის მსხვერპლთა შესახებ ეფექტური ინფორმაციის მიღებას, მათ რეაბილიტაციას და რეპარაციას

[...]

მუხლი 5 საშიშიმოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრა

სახელმწიფოებს უფლება აქვთ აკრძალონ ცუდი მოპყრობის პრაქტიკის ნებისმიერი ფორმა, რაც ნეგატიურად მოქმედებს ქალთა უფლებებზე და ეწინააღმდეგება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, მათ უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი სამართლებრივი ზომები, რათა მოახერხონ ასეთი პრაქტიკის აღმოფხვრა სახელმწიფოში, ქვემოთმოყვანილის ჩათვლით:

- a. საინფორმაციო, ოფიციალური და არაოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით საზოგადოებრივი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ყველა სექტორში, ცუდი პრაქტიკის ჩათვლით
- b. ქალის გენიტალიების დასახინჩრების, შრამების დაღების, მედიკალიზაციის და პარა-მედიკალიზაციის და წამების და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი საკანონმდებლო ზომების და სანქციების გატარება
- c. ცუდი პრაქტიკის მსხვერპლთა აუცილებელი მხარდაჭერა ისეთი სამსახურების საშუალებით, როგორცაა ჯანდაცვის სამსახური, იურიდიული დახმარება, ემოციური და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ისევე როგორც პროფესიული ტრენინგი, რაც ხელს შეუწყობს მათ თვით-რეაბილიტაციას
- d. იმ ქალების დაცვა, რომლებიც სავარაუდოდ იმყოფებიან რისკის ქვეშ გახდნენ ძალადობის, თავდასხმისა ან არატოლერანტულობის მსხვერპლნი

[...]

რეზოლუცია აფრიკაში წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების უმმლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვისა და პრევენციის ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ

რობენის კუნძულის გაიდლაინები

ადამიანის და ხალხის უფლებების აფრიკის კომიტეტის 32-ე სესია, გაიმართა ბანჯულში, გამბია, 17-23 ოქტომბერი, 2002. ითვალისწინებს და დებულებებს, რომლებიც გადმოცემულია:

- ხალხის და ადამიანის უფლებების აფრიკული წესდების მუხლი 5, რომელიც კრძალავს ადამიანის ექსპლუატაციას და დამცირების ნებისმიერი ფორმის გამოყენებას, განსაკუთრებით კი ეს ეხება მონობას, მონებით

ვაჭრობას, წამებას, სასტიკ, არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას;

- აფრიკული წესდების მუხლი 5 (1), რომლის მიხედვით აფრიკის კომიტეტს სხვა უფლებებთან ერთად მინიჭებული აქვს მანდატი შექმნას და დაადგინოს ის პრინციპები და წესები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემების იურიდიული გადაწყვეტა, რასაც აფრიკის მთავრობები შემდგომ გამოიყენებენ საკუთარი საკანონმდებლო ბაზად;

- აფრიკის ერთიანობის საკონსტიტუციო კანონის მუხლების 3 და 4, რომელთა მიხედვით სხახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ და მხარი დაუჭირონ ადამიანის სიცოცხლის უფლებას, კანონის ნორმებს, კარგ სამთავრობო მმართველობას და დემოკრატიულ პრინციპებს;

შემდგომ ითვალისწინებს მის რეზოლუციას პროცედური რეგრესის უფლებასა და სამართლიან პროცესზე რომელიც მიღებული იქნა მის მე-11 სესიაზე, რომელიც ჩატარდა ტურინში, ტუნისია, 2-9 მარტი, 1992 წელი;

ყურადღებას ამახვილს აფრიკის სახელმწიფოების ვალდებულებაზე უზრუნველყონ კონტინენტზე ადამიანის უფლებების უკეთესი პრომოცია და პატივისცემა, როგორც ეს არის მოცემული “რანდ აყ” (“დიდი ყურე”) დეკლარაციაში და მოქმედების გეგმაში, რომელიც მიღებულია პირველ ადმინისტრაციულ კონფერენციაზე, რომელიც მიმდგნა აფრიკის კონტინენტზე ადამიანის უფლებების დაცვას,

აღიარებს კონკრეტული ზომების გატარების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო პრინციპებისა და ნორმების დანერგვას და მათ გამოყენებას პრაქტიკაში

სახს უსვამს აფრიკის სახელმწიფოების დახმარების აუცილებლობას, რათა მათ შეძლონ ამ მიმართულებით საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

სახს უსვამს რა ვორქშოფის რეკომენდაციებს წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვისა და პრევენციული ზომების შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო აფრიკის კომიტეტისა და წამების პრევენციის ასოციაციის მიერ, გაიმართა ღობბენ-ის კუნძულზე, სამხრეთ აფრიკა, 12-14 თებერვალი, 2002;

1. ამუშავეს გაიდლაინებსა და მეთოდოკას, აფრიკის კონტინენტზე წამების, სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვისა და პრევენციული ზომების შესახებ (Robben-კუნძულის გაიდლაინი)

2. ქმნის საკონტროლო კომიტეტს, რომელიც შედგება აფრიკის კომიტეტის, წამების პრევენციის ასოციაციის და აფრიკის გამორჩენილი ექსპერტებისაგან, კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად საკონტროლო კომიტეტს ანიჭებს მანდატს:

- სემინარების ორგანიზება დაინტერესებული პირების მხარდაჭერითა და დახმარებით, რაც ხელს შეუწყობს Robben-კუნძულის გაიდლაინების გავრცელებას დაინტერესებულ მხარეებს შორის ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე
- აფრიკის კომიტეტისთვის შესაბამისი სტრატეგიების განვითარება და შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს Robben-კუნძულის გაიდლაინების პრომოციასა და დანერგვას ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე
- Robben-კუნძულის გაიდლაინების დანერგვის პრომოცია და გამარტივება წვერ სახელმწიფოებს შორის
- პოგრესული მოხსენების გაკეთება აფრიკის კომიტეტის ყოველ სესიაზე

აფრიკის კომიტეტის საგანგებო მომხსენებლებსა და წვერებს ავალდებულებს Robben-კუნძულის გაიდლაინების - როგორც მათი საპრომოციო მანდატის ნაწილის - გავრცელებას

აფრიკის წესდების წვერ სახელმწიფოებს აძლევს სტიმულს გააკეთონ პერიოდული მოხსენებები აფრიკის კომიტეტში, Robben-კუნძულის გაიდლაინების გათვალისწინებით

სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა შესაბამის სააგენტოებს თავიანთ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენონ და გაავრცელონ Robben-კუნძულის გაიდლაინები

შედგენილია ბანჯულში, გამბია, 23 ოქტომბერი, 2002

პრეამბულა

ითვალისწინებს წამების, სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის საყოველთაო დაგმობას და აკრძალვას

აღნიშნული აქტების სიხშირის მაჩვენებლის ზრდის პრობლემას

აღნიშნული პრობლემის (ყველა განზომილებაში) გადაჭრის აუცილებლობას

პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის აღიარება წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის პრინციპების შემდგომში დანერგვის პერსპექტივას

მიზნის მისაღწევად პრევენციული ზომების მნიშვნელობას

აღნიშნული ძალადობის აქტების მსხვერპლთა სპეციალური მოთხოვნების აღიარებას

- ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკული წესდების მუხლი 5, რომელიც კრძალავს ადამიანის ექსპლუატაციას და დამცირების ნებისმიერი ფორმის გამოყენებას, განსაკუთრებით კი ეს ეხება მონობას, მონებით ვაჭრობას, წამებას, სასტიკ, არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას;

- აფრიკული წესდების მუხლი 5 (1), რომლის მიხედვით აფრიკის კომიტეტს სხვა უფლებებთან ერთად მინიჭებული აქვს მანდატი შექმნას და დაადგინოს ის პრინციპები და წესები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემების იურიდიული გადაწყვეტა, რასაც აფრიკის მთავრობები შემდგომ გამოიყენებენ საკუთარი საკანონმდებლო ბაზად;

- აფრიკის ერთიანობის საკონსტიტუციო კანონის მუხლების 3 და 4, რომელთა მიხედვით სხახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ და მხარი დაუჭირონ ადამიანის სიცოცხლის უფლებას, კანონის ნორმებს, კარგ სამთავრობო მმართველობას და დემოკრატიულ პრინციპებს;

- მუხლი 55, გაეროს წესდება მოუწოდებს სახელმწიფოებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემისა და შესრულებისაკენ

- მუხლი 5, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), მუხლი 7, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR), რომელთა მიხედვით არავინ არ უნდა გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ობიექტი.

- მუხლი 2 (1) და 16 (1) გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (UNCAT) მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ეფექტური ზომების მიღებისკენ, რათა მოხდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტების პრევენცია მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე

აფრიკის კონტინენტზე ადამიანთა უფლებების შესახებ პირველი ადმინისტრაციული კონფერენციის მიერ მიღებული დეკლარაცია და გეგმა ითვალისწინებს კონტინენტზე ადამიანის უფლებების დაცვის უკეთეს პრომოციასა და პატივისცემას

პრინციპებისა და კონკრეტული მეთოდების დანერგვა, იმისათვის რომ უფრო ეფექტური გახდეს ბრძოლა აფრიკის კონტინენტზე წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ და დაეხმაროს აფრიკის სახელმწიფოებს შეასრულონ მათი საერთაშორისო ვალდებულებები აღნიშნულთან დაკავშირებით

“Robben-კუნძულის ვორქშოფი, თემა: - წამების აკრძალვა”, ჩატარდა 12-14 თებერვალი, 2002, ვორქშოფზე მიღებული იქნა გაიდლაინები და ზომები წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციისა და აკრძალვის შესახებ და რეკომენდაციები აფრიკის კონტინენტზე აღნიშნული გაიდლაინების მიღების, მხარდაჭერისა და დანერგვის თაობაზე

ნაწილი I წამების აკრძალვა

A. რეგიონული და საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაცია

1. სახელმწიფოები უნდა იცავდნენ ადამიანის უფლებების შესახებ ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ პრინციპებს და იყვნენ გარანტი იმისა, რომ ეს დოკუმენტები სრულად იქნება დანერგილი ადგილობრივ კანონმდებლობაში და საშუალებას მისცემს ადამიანებს ისარგებლონ ამ დოკუმენტებით განსაზღვრული ადამიანის უფლებებით. აღნიშნული უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) სახალხო და ადამიანის უფლებების აფრიკული წესდების (ქარტია) ოქმის რატიფიკაციას, რომელიც მიხედვითაც დაარსდა

სახალხო და ადამიანის უფლებების აფრიკულ სასამართლო.

ბ) წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიკაციას რეზერვაციების გარეშე, დეკლარაციებში მოყვანილი დებულებების საფუძველზე მუხლი 20-ში მოყვანილი მოთხოვნების შესრულებას, რომლის მიხედვითაც მისაღებია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის კანონმდებლობის მუხლები 21 და 22 და აღიარებულია კომიტეტის კომპეტენტურობა

გ) საერთაშორისო პაქტის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ და საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და მასთან ერთად პირველი ოქმის რატიფიკაციას რეზერვაციების გარეშე

დ) რომის სტატუტის რატიფიკაციას, რომლის საფუძველზეც დაარსდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო

B. საერთაშორისო მექანიზმებთან თანამშრომლობის წახალისება და მხარდაჭერა

2. სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკულ კომიტეტთან, განავითარონ და მხარი დაუჭირონ სპეციალური მომხსენებლების საქმიანობას აფრიკის საპატიმრო დაწესებულებებში, საარბიტრაჟო საკითხებზე და ქალების უფლებებზე, შემაჯამებელ და ექსტრა-იურიდიულ გადაწყვეტილებებს აფრიკის კონტინენტზე

3. სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ გაეროს ადამიანის უფლებების ხელშეკრულების ორგანოებთან, გაეროს ადამიანის უფლებების თემატური და ქვეყნისთვის სპეციფიკური პროცედურების კომიტეტთან, განსაკუთრებით კი, გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან წამების საკითხებზე.

C. წამების კრიმინალიზაცია

4. სახელმწიფოები უნდა იყვნენ გარანტი იმისა, რომ ქმედებები, რომლებიც წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მიხედვით (მუხლი 1), შეესაბამება წამების განმარტებას, განვიღული იქნას როგორც დანაშაული ეროვნული იურიდიული სისტემის მიხედვით

5. სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ წამებისა და სასტიკი მოპყრობის სქეს-დამოკიდებული

ფორმებისა და ახალგაზრდების წამების აკრძალვას და პრევენციას

6. ეროვნულ სასამართლოებს უნდა გააჩნდეთ იურიდიული კომპეტენცია იმისათვის, რომ განიხილოს წამების ფაქტების შემთხვევები წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციასთან, მუხლი 5(2), შესაბამისობაში

7. წამება უნდა გახდეს ექსტრადირებადი დანაშაული

8. წამებაში ეჭვმიტანილი პირების სასამართლო პროცესი ან ექსტრადიცია უნდა განხორციელდეს სწრაფად შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

9. ისეთი გარემოებები, როგორცაა ომის მდგომარეობა, მუქარა, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი გაუთვალისწინებელი მდგომარეობა, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის დაკანონებისა და გამართლების საშუალება.

10. ტერმინები ისეთი როგორცაა “აუცილებლობა”, “ეროვნული საგანგებო მდგომარეობა”, “საზოგადოებრივი წესრიგი” და “საზოგადოების მართვა” არ უნდა იქნას არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის დაკანონების საშუალება.

11. ბრძანებები მიღებული ზემდგომი ორგანოების მხრიდან არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ გამამართლებელ გარემოებად წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის განხორციელების შემთხვევაში.

12. წამების აქტის განხორციელებაში დამნაშავე პირებზე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი სანქციები, სადაც გათვალისწინებული იქნება დანაშაულის სიმძიმე.

13. დაუშვებელია იმ პირების დასჯა რომელთაც უარი თქვეს შეესრულებინათ ზემდგომი ორგანოს ბრძანება, რომლებიც უთანაბრდება წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებს.

14. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ პრევენცია და აკრძალონ ისეთი მოწოდებებით ვაჭრობა და ისეთი პროდუქციის გამოყენება, რომელიც გათვალისწინებულია წამების ან სასტიკი მოპყრობისათვის და ასევე ნებისმიერი სხვა მოწოდებობის ბოროტად გამოყენება

D. დაურღველობა

15. სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ არავინ არ იქნება გაძევებული ან ექსტრადირებული იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს რისკი, რომ აღნიშნული პიროვნება გახდეს წამების ობიექტი

E. დაუსჯელობის დამარცხება

16. იმისათვის რომ მოიხსნას დანაშაული სახელმწიფო უნდა:

ა) დაწმუნდეს, რომ იმ პირებზე, რომლებიც არიან პასუხისმგებელი წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე განხორციელდა საქმის განხილვა

ბ) დარწმუნდეს, რომ წამების ფაქტში ეჭვმიტანილ პიროვნებას გააჩნია ეროვნული იმუნიტეტი და რომ სხვა ეროვნებებისათვის, რომელთაც იცავს ასეთი იმუნიტეტი, საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით იმუნიტეტის მოქმედების ზღვრები შეძლებისდაგვარად შეზღუდულია

გ) უზრუნველყოს მესამე ქვეყანებში ექსტრადიციის მოთხოვნის განხილვის დაჩქარება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში

დ) დარწმუნდეს, რომ სამხილებთან დაკავშირებული წესები, სრულად ასახავს იმ სირთულეებს რომლებიც უკავშირდება სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე მტკიცებულებების მოპოვებას

ე) დარწმუნდეს, რომ იქ სადაც არ ხერხდება სისხლის სამართლის დანაშაულის დადგენა, რადგან ეს მოითხოვს მაღალი სტანდარტის მტკიცებულებების არსებობას, გამოიყენება შესაბამისი სამოქალაქო, დისციპლინარული ან ადმინისტრაციული ქმედებების სხვა ფორმები

F. სარჩელები და საგამოძიებო პროცედურები

17. მისაღები და დამოუკიდებელი მექანიზმების შექმნა და დაფუძნება, სადაც ყველა ადამიანს ექნება შესაძლებლობა გააკეთოს საკუთარი განაცხადი წამებისა და სასტიკი მოპყრობის თაობაზე

18. გარანტირება იმისა, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას, რომ ის იყო

წამების ან სასტიკი მოპყრობის ობიექტი, წარსდგება კომპეტენტური ორგანოების წინაშე და შესაბამისი განაცხადის გაკეთების შემდეგ დაიწყება გამოძიების პროცესი

19. წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში გამოძიება უნდა განხორციელდეს დროულად, მიუკერძოებლად და ეფექტურად, და გამოძიების პროცესში უნდა ვიხელმძღვანელოთ გაეროს ინსტრუქციებით წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის (სტამბულის პროტოკოლი) ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ

ნაწილი II: წამების პრევენცია

A. ძირითადი პროცედურული უსაფრთხოების ზომები თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის

20. ყველა ადამიანი, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფუძველზე უნდა იცოდნენ რომ დაკავება კონტროლირებულია შესაბამისი კონსტრუქციული კანონებით. აღნიშნული კანონებით გათვალისწინებულია რიგი ბაზისური უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მოქმედებს იწყებენ პიროვნების დაკავების მომენტიდანვე. აღნიშნული წესები მოიცავს:

ა) უფლებას ნათესავის ან სხვა მესამე პირის ინფორმირებას დაკავების თაობაზე

ბ) დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვლევის უფლებას

გ) ადვოკატის მომსახურების უფლებას

დ) ზემოთმოყვანილი უფლებების დაკავებულისთვის გასაგებ ენაზე ახსნას

B. უსაფრთხოების ზომები წინასწარ-დაკავების პროცესში

სახელმწიფოებმა უნდა

21. განსაზღვრონ თავისუფლება აღკვეთილი პირის მიმართ მოპყრობის წესები, რომლის დროსაც იხელმძღვანელებენ გაეროს პრინციპებით დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვის შესახებ

22. გარანტირება იმისა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის კვლევა მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცედურების კოდექსების საფუძველზე

23. აკრძალონ არარეგისტრირებული ადგილების გამოყენება ადამიანის დაკავების მიზნით და ნებისმიერი ჩინოვნიკი, რომელიც დააკავებს პიროვნებას საიდუმლო და/ან არაოფიციალური დაკავების ადგილას ისჯება კანონით

24. აკრძალონ პიროვნების “ინკომუნიკადო” (გარემოსთან კავშირის გარეშე) დაკავების ფორმის გამოყენება

25. უზრუნველყონ რომ ყველა დაკავებული პირი იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების შესახებ დროულად და დაუყოვნებლივ

26. უზრუნველყონ, რომ ყველა დაპატიმრებული პირი დროულად იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ

27. უზრუნველყონ, რომ ყველა თავისუფლებადკვეთილი პიროვნება დაუყოვნებლივ წარსდგეს სასამართლო ხელისუფლების წინაშე, და ქონდეს უფლება თვითონ დაიცვას საკუთარი თავი ან მიიღოს იურისტი ადვოკატის დახმარება, არჩევანი უნდა მოხდეს მისი სურვილის შესაბამისად

28. უზრუნველყონ დაკითხვების სრული წერილობითი ჩანაწერების (ოქმები), ვიდრე და/ან აუდიო მასალების გაკეთება, იმ პირების იდენტიფიცირების ჩათვლით, რომლებიც ესწრებოდნენ დაკითხვებს

29. უზრუნველყონ, რომ განაცხადი, მიღებული წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საფუძველზე არ ჩათვალოს სამხილად სასამართლო პროცესზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის იქნება გამოყენებული, იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც მონაწილეობდა წამების აქტში, როგორც სამხილი, რომ გაკეთდა განაცხადი

30. უზრუნველყონ რომ დაკავებულ პირებზე მომზადდეს სრული წერილობითი ინფორმაცია, სადაც დაფიქსირებული იქნება დაკავების თარიღი, დრო, ადგილი და მიზანი. ინფორმაცია უნდა ინახებოდეს ყველა დაკავების დაწესებულებაში

31. უზრუნველყონ ყველა თავისუფლებადკვეთილი პირის ხელმისაწვდომობა იურიდიულ და სამედიცინო მომსახურებაზე, ასევე მონახულებისა და ოჯახის წევრებთან კონტაქტისა უფლება

32. უზრუნველყონ რომ ყველა თავისუფლებადკვეთილი პიროვნებას შეეძლოს გააპროტესტოს მისი დაკავების კანონიერება

C. დაკავების პირობები

სახელმწიფოებმა უნდა:

33. უნდა მოახერხონ, რომ ნებისმიერ თავისუფლებადკვეთილ პირს მოეპყრონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იხელმძღვანელონ გაეროს პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესებით

34. გააუმჯობესონ პირობები დაკავების დაწესებულებებში, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტებს

35. უნდა მოახერხონ რომ წინასწარ-დაკავების პერიოდში დაკავებული პირების მოთავსება მოხდეს იზოლირებულად სასჯელმისჯილებისაგან

36. უნდა მოახერხონ, რომ არასრულწლოვანები, ქალები და სხვა დაუცველი ფენის წარმომადგენლები მოთავსებული იქნან შესაბამის და იზოლირებულ დაკავების დაწესებულებებში

37. შეამცირონ იმ დაკავების ადგილების გადატვირთვა მცირე დანაშაულისთვის ისეთი სასჯელის დაწესებით, რომელიც არ ითვალისწინებს დაკავებას

D. კონტროლის მექანიზმები

სახელმწიფოებმა უნდა

38. უზრუნველყონ და მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, და ჩაურევლობას სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში, რომელიც ხელმძღვანელობს გაეროს ძირითადი პრინციპებით სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ

39. მოახერხონ პროფესიული იურიდიული და სამედიცინო ორგანიზაციების დაინტერესება წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვისა და პრევენციის საკითხებით

40. დააფუძნონ და მხარი დაუჭირონ სარჩელის წარმოების ეფექტურ და ხელმისაწვდომ მექანიზმებს, რომლებიც არსებობენ დაკავებისა და სამართალ შეფარდების ორგანოებისაგან დამოუკიდებლად და უფლებამოსილი არიან მოისმინონ, გამოიძიონ, და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებთან დაკავშირებით.

41. დააფუძნონ, მხარი დაუჭირონ და გააძლიერონ დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები, ისეთი როგორცაა ადამიანის უფლებების კომიტეტი, ომბუდსმენების და პარლამენტართა კომიტეტები, რომელთაც ექნებათ მანდატი განახორციელონ ვიზიტები დაკავების ადგილებზე და ზოგადად განახორციელონ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენცია და იხელმძღვანელონ გაეროს პარიზის პრინციპებით, რომელიც უკავშირდება ეროვნული ინსტიტუტების სტატუსს და ფუნციებს ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ.

42. ხელი შეუწყოს და გაამარტივოს დაკავების დაწესებულებებში არასამთავრობო ორგანიზაციების ვიზიტები

43. მხარი დაუჭირონ UNCAT ფაკულტატიური ოქმის მიღებას, რათა შეიქმნას საერთაშორისო ვიზიტების განხორციელების მექანიზმი მანდატით, რაც ითვალისწინებს ვიზიტებს ადამიანთა დაკავებისა და დაპატიმრების ყველა დაწესებულებაში

44. გამოიკვლიონ წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის განვითარების რეგიონალური მექანიზმების შესაბამისობა და ალბათობა

E. ტრენინგი და უფლებამოსილება

სახელმწიფოებმა უნდა

45. დააფუძნონ და მხარი დაუჭირონ ტრენინგის და ცოდნის განვითარების პროგრამებს, რომლებიც ასახავენ ადამიანის უფლებების სტანდარტებს და ხაზს უსვამენ დაუცველი ფენების მნიშვნელობას

46. მხარი დაუჭირონ ქცევისა და ეთიკის კოდებს და განავითარონ სასწავლო სააშუალებები სასჯელადსრულების, უშიშროების და სხვა შესაბამისი ოფიციალური პერსონალის (ადვოკატები და სამედიცინო პერსონალი) მომზადებისთვის, რომლებიც კონტაქტში იმყოფებიან თავისუფლებადკვეთილ პირებთან

F. სამოქალაქო საზოგადოების განათლება და უფლებამოსილება

სახელმწიფოებმა უნდა

47. უნდა მოხდეს საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ინიციატივების და ცოდნის-ამაღლების კამპანიების, რომელიც უკავშირდება წამების აკრძალვას, პრევენციას და დაკავებულ პირთა უფლებებს, წახალისება და მხარდაჭერა

48. უნდა მოხდეს წამების აკრძალვის, პრევენციისა და დაკავებულ პირთა უფლებებთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, მედიის, საზოგადოების განათლების, ინფორმაციის გავრცელებისა და ცოდნის დონის ამაღლების წახალისება და მხარდაჭერა

ნაწილი III: მსხვერპლის მოთხოვნების დაკმაყოფილება

49. გარანტირება იმისა, რომ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი, მოწმეები, პირები, რომლებიც მონაწილეობენ გამოძიების პროცესში და ადამიანის უფლებების დამცველი სხვა პირები და მათი ოჯახები დაცული იქნებიან ძალადომის, მუქარისა და ნებისმიერი სხვა ფორმის დაშინებისა ან რეპრესიებისაგან.

50. სახელმწიფოს ვალდებულება შეთავაზოს რეპარაცია მსხვერპლს მიუხედავად იმისა განხორციელდა თუ არა დამნაშავეზე წარმატებული სამართლებრივი დევნა. ამგვარად, წამების ყველა მსხვერპლისა და მათზე დამოკიდებული პირებისთვის გათვალისწინებულია:

- ა) შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა;
 - ბ) შესაბამისი სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ხელმისაწვდომობა;
 - გ) შესაბამისი კომპენსაცია;
- ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ოჯახები და საზოგადოებები, რომლებიც გახდნენ წამების და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ერთ-ერთი მათი წევრის მხრიდან ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც მსხვერპლი;

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტები

ხელმოწერილია ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულ სპეციალიზებული კონფერენციაზე, სან ხოსე, კოსტა რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი. ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს, 74-ე მუხლის შესაბამისად.

[...]

მუხლი 1. უფლებების პატივისცემის მოვალეობა

1. კონვენციის ხელშემკერედი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც მოყვანილია აღნიშნულ დოკუმენტში, რათა უზრუნველყონ ყველა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვა, დისკრიმინაციის გარეშე, რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეკონომიკური სტატუსის, დაბადების ან ნებისმიერი სხვა სოციალური მდგომარეობის მიუხედავად

2. აღნიშნული კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე “პიროვნება” გულისხმობს და მოიცავს ნებისმიერ ჰუმანურ არსებას

მუხლი 2. შიდა კანონმდებლობა

იქ სადაც მუხლი 1-ში მოყვანილი უფლებების ან თავისუფლებების შესრულება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საკანონმდებლო ან სხვა ნორმებით, ხელშემკერედი სახელმწიფოები, საკონსტიტუციო პროცესებთან და აღნიშნულ კონვენციასთან შესაბამისობაში მიმართავენ ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მიღებას, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების ასამოქმედებლად.

[...]

მუხლი 5. ჰუმანური მოპყრობის უფლება

1. ყოველი ადამიანი აქვს უფლება მოითხოვოს მისი ფიზიკური, მენტალური და მორალური ხელშეუხებლობის პატივისცემა

2. არავინ არ უნდა გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი. ყველა თავისუფლებადკვეთილ პირს და მისი, როგორც ჰუმანური არსების ღირსებას უნდა მოვეპყროთ პატივისცემით

3. სასჯელი არ უნდა გავრცელდეს იმ პირებზე რომლებიც არ არიან სიხლის სამართლის დამნაშავე

4. განსასჯელი პირი, რომელიც მოხვდა განსაკუთრებულ გარემოში, უნდა იყოს დაცული პატიმრებისაგან და მას უნდა მოეპყრონ მისი სტატუსის შესაბამისად, როგორც ჯერ არ გასამართლებულ პირს

5. არასრულწლოვნები სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში უნდა იქნენ მოთავსებული მოზრდილებისაგან

იზოლირებულად და უნდა წარდგინდეს სპეციალიზირებული სასამართლოს წინაშე რაც შეიძლება დროულად, ასე რომ მათ უნდა მოეპყრონ მათი სტატუსის შესაბამისად, როგორც არასრულწლოვნებს

6. სასჯელს, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება ქონდეს განსაკუთრებული მიზანი, რაც მდგომარეობს პატიმართა გამოსწორებასა და მათ სოციალურ ადაპტაციაში

[...]

მუხლი 27. გარანტიების შეჩერება

1. ომიანობის, საზოგადოებრივი საფრთხის ან სხვა გაუთვალისწინებელი და საგანგებო მდგომარეობების დროს, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას, სახელმწიფოს, გამომდინარე მისი კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელსაც მოითხოვს აღნიშნული სიტუაცია, უზრუნველყოს რომ აღნიშნული ზომები შესაბამისობაში იყოს მის სხვა ვალდებულებებთან, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო კანონმდებლობით და არ მოიცავდეს არანაირ დისკრიმინაციას, რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის ჩათვლით

2. ზემოთმოყვანილი პირობები არ ითვალისწინებენ ქვემოთმოყვანილი მუხლების შეჩერებას: მუხლი 3 (სასამართლო ხელისუფლების უფლება), მუხლი 4 (სიცოცხლის უფლება), მუხლი 5 (ჰუმანური მოპყრობის უფლება), მუხლი 6 (მონობისაგან გათავისუფლება), მუხლი 9 (თავისუფლება პოსტ ფაქტუმ), მუხლი 12 (სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), მუხლი 17 (ოჯახის უფლებები), მუხლი 18 (სახელის უფლება), მუხლი 19 (ბავშვის უფლება), მუხლი 20 (ეროვნების უფლება), და მუხლი 23 (სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის უფლება), ან იურიდიული გარანტიები რაც აუცილებელია აღნიშნული უფლებების დასაცავად

[...]

მუხლი 41

კომისიის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს ადამიანის უფლებების პატივისცემა და მათი დაცვა. მანდატის შესრულების დროს მას ენიჭება შემდეგი უფლებები:

ა. ადამიანის უფლებების სწავლებისა და ცოდნის განვითარება ამერიკის ხალხებს შორის

ბ. რეკომენდაციების გაცემა წევრი ქვეყნების მთავრობებისათვის, იმ შემთხვევაში თუ ჩათვლის, რომ ასეთი ქმედება იქნება გონივრული, რაც ხელს შეუწყობს პროგრესული ზომების გატარებას ადამიანის უფლებების სასარგებლოდ, მათი ადგილობრივი კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო ნორმების ფარგლებში და ასევე შესაბამისი ზომების მიღება ამ უფლებების განვითარებისათვის

გ. ისეთი სწავლებისა და მოხსენებების მომზადება, რომელსაც ის ჩათვლის გონივრულად მისი მოვალეობების შესრულების პროცესში

დ. მოთხოვოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს მიაწოდონ მას შესაბამისი ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა მათ მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში

ე. ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს საშუალებით უპასუხოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კითხვებს, რომელიც მოწოდებულია წევრი სახელმწიფოების მიერ, და შესაძლებლობების ფარგლებში, მიაწოდოს აღნიშნულ სახელმწიფოებს შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები აღნიშნულთან დაკავშირებით

ვ. მონაწილეობა მიიღოს პეტიციებისა და სხვა ინფორმაციის მომზადებაში მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე (კონვენციის მუხლი 44/51); და

ზ. წარუდგინოს ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ყოველწლიური მოხსენება

[...]

მუხლი 44

ნებისმიერ პირს ან ჯგუფს, ან ნებისმიერი არასამთავრობო იურიდიული პირს, რომელიც იურიდიულად აღიარებულია ორგანიზაციის ერთ ან მეტ წევრ ქვეყანაში, შეუძლია შეიტანოს პეტიცია კომისიაში, რომელიც მოიცავს ბრალდებას ან სარჩელს სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის დარღვევის ფაქტებზე

მუხლი 45

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტის მიღების მომენტში, ან უფრო მოგვიანებით, შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს კომიტეტის კომპეტენტურობას რათა მან მიიღოს და გამოიძიოს ის სარჩელი, რომელშიც ერთი სახელმწიფო აცხადებს, რომ მეორემ დაარღვია კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებები

2. შეტყობინებები, რომელიც წარმოდგენილია მოცემულ მუხლში, შეიძლება იქნას მიღებული და გამოკვლეული მხოლოდ მაშინ თუ ისინი არიან წარმოდგენილი იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომელმაც გააკეთა განაცხადი კომიტეტის კომპეტენციის აღიარების თაობაზე. კომიტეტი არ მიიღებს არანაირ სარჩელს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება

3. დეკლარაცია, რომელიც ეხება კომპეტენციის აღიარებას, შეიძლება იყოს ვალიდური განუსაზღვრელი ვადით, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ან სპეციფიურ შემთხვევებში

4. დეკლარაციები (განცხადებები) უნდა იყოს გამოყენებული ამერიკული ქვეყნების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს მიერ, რომელიც მათ ასლებს გადაუგზავნოს აღნიშნული ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს

მუხლი 46.

1. კომისიის მიერ პეტიციის ან შეტყობინების მიღებას (მუხლები 44 და 45) თან ახლავს შემდეგი მოთხოვნები:

ა. ადგილობრივი კანონმდებლობის ყველა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული და ამოწურული საერთაშორისო კანონით განსაზღვრულ პრინციპებთან შესაბამისობაში

ბ. პეტიცია და შეტყობინება უნდა იქნას შეტანილი 6 თვის განმავლობაში იმ მომენტიდან როდესაც მხარემ, რომლის უფლებებიც დაირღვა მიიღო საბოლოო განაჩენი

გ. პეტიციაში მოყვანილი საკითხი არ უნდა იმყოფებოდეს განხილვაში დამატებით სხვა საერთაშორისო სასამართლოში; და

დ. მუხლი 44-ს შემთხვევაში, პეტიცია მოიცავს სახელს ეროვნებას, პროფესიას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და პიროვნების, პიროვნებების ან იმ იურიდიული პირის წარმომადგენლის ხელმოწერას, რომელსაც შეაქვს პეტიცია

2. აღნიშნული მუხლის პარაგრაფ 1 ა და 1 ბ-ში მოყვანილი დებულებები მიუღებელია როდესაც:

ა. სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას იმ უფლებისა ან უფლებების დასაცავად, რომელიც როგორც ირკვევა დაირღვა

ბ. მხარეს, რომელიც ადასტურებს მისი უფლებების დარღვევას, არა აქვს ხელმისაწვდომობა ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ საშუალებებზე ან გაფრთხილებულია აღნიშნული საშუალებების ამოწურვის თაობაზე

გ. ადგილი ქონდა საბოლოო განაჩენის გამოტანის უსაფუძვლო დაყოვნებას ზემოთმოყვანილი საშუალებების მიხედვით

მუხლი 48

1. როდესაც კომიტეტი იღებს პეტიციას, სადაც ადასტურებს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევას, პროცესი შეიძლება გაგრძელდეს ქვემოთ მოყვანილი სქემის შესაბამისად:

ა. თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ პეტიცია მისაღებია, ის თხოვნით მიმართავს სახელმწიფოს მთავრობას მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, რადგან იგი პასუხისმგებელია ყველა დადასტურებულ დარღვევაზე და წარუდგენს ამ მთავრობას აღნიშნული პეტიციის და შეტყობინების შესაბამისი ნაწილის ასლს. შესაბამისი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს განსახილველად კომიტეტს თითოეული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით.

ბ. ინფორმაციის მიღების შემდეგ, ან თუ დადგენილი პერიოდის გასვლის შემდეგ ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის მიღებული, კომიტეტი დაადგენს ისევ არსებობს თუ არა საფუძველი პეტიციისთვის. თუ ისინი არ არსებობენ, კომისია გასცემს განკარგულებას საქმის დახურვის თაობაზე

გ. კომიტეტს შეუძლია ასევე განაცხადოს, რომ პეტიცია ან შეტყობინება მიუღებელია, ან მის მოპოვებული ინფორმაციის ან მიღებული სამხილის საფუძველზე საჭიროებს შესწორებას

დ. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა საქმის დახურვა, კომიტეტმა უნდა განიხილოს პეტიცია ფაქტების ვერიფიკაციისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტმა უნდა ჩაატაროს გამოძიება, რომლის ეფექტური

განხორციელებისათვის მას უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია მოამარაგოს ის აუცილებელი ინფორმაციით

ე. კომიტეტს შეუძლია მოთხოვოს სახელმწიფოებს მიაწოდონ მას შესაბამისი ინფორმაცია, და თუ ამას მოითხოვს აუცილებლობა, უნდა მოისმინოს ზეპირი განცხადებები ან მიიღოს წერილობითი შეტყობინება დაინტერესებული მხარეებისაგან

ვ. კომიტეტი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების განკარგულებაში და ყველაფერი უნდა გააკეთდეს იმისთვის რომ მხარეებმა მიაღწიონ საკითხის მეგობრულ გადაწყვეტას კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემის ბაზაზე

2. თუმცა, სერიოზულ და ურგენტულ შემთხვევებში, საჭირო იქნება მხოლოდ პეტიციის პრეზენტაცია, რომელიც დააკმაყოფილებს კომისიის ყველა ოფიციალურ მოთხოვნას, რათა ის გახდეს მისაღები და კომიტეტმა განიხილოს აღნიშნული საკითხი, იმ სახელმწიფოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა აღნიშნული დარღვევა

მუხლი 49

თუ მიღწეული იქნა საკითხის მეგობრული გადაწყვეტა მუხლი 48-ის მიხედვით (პარაგრაფი 1 ე), კომიტეტი გააკეთებს მოხსენებას, რომელიც გადაეცემა პეტიციის შემომტან მხარეს და აღნიშნული კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოებს, შემდეგ კი მის გამოსაქვეყნებლად მიმართავს ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. აღნიშნული მოხსენება უნდა მოიცავდეს მოკლე განცხადებას ფაქტებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. შესაძლებელია ასევე სრული ინფორმაციის გამოქვეყნებაც, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო მხარე მოითხოვს ამას.

მუხლი 50

1. თუ შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა კომიტეტმა მისი სტატუსით განსაზღვრული ლიმიტირებული დროის განმავლობაში, უნდა გააკეთოს მოხსენება სადაც მოყვანილი იქნება საკითხთან დაკავშირებული ფაქტები და მის მიერ გაკეთებული დასკვნები. იმ შემთხვევაში თუ მოხსენება, მთლიანად ან ნაწილობრივ, არ მოიცავს კომიტეტის წევრების ერთობლივ თანხმობას, მაშინ ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია დაურთოს მოხსენებას მისი პირადი მოსაზრება. მოხსენებას თან უნდა

ახლდეს ასევე მხარეების მიერ გაკეთებული წერილობითი ან ზეპირი განცხადებები, მუხლი 48-ის მიხედვით (პარაგრაფი 1 ე)

2. მოხსენება უნდა გადაეგზავნოს დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომელთაც არა აქვთ მისი გამოქვეყნების უფლება

3. კომიტეტს შეუძლია გადაგზავნილ მოხსენებას თან დაურთოს ის წინადადებები და რეკომენდაციები, რომელსაც ის მიიჩნევს საჭიროდ

მუხლი 51

1. თუ მოხსენების გადაგზავნიდან სამი თვის განმავლობაში საკითხი არ მოგვარდა, ან კომიტეტის ან დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ საქმე განსახილველად არ გადაეცა სასამართლოს და არ მოხდა მისი იურისდიქციის მიღება, კომიტეტს შეუძლია ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღოს და წარმოადგინოს მისი მოსაზრებები და დასკვნები, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

2. სადაც შესაძლებელია კომიტეტს შეუძლია გააკეთოს შესაბამისი რეკომენდაციები და განსაზღვროს პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, რათა მოხდეს განხილული სიტუაციის მოგვარება

3. დადგენილი დროის ამოწურვის შემდეგ, კომიტეტის წევრებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტონ, მიიღო თუ არა სახელმწიფომ ადეკვატური ზომები და გამოქვეყნდეს თუ არა მოხსენება

[...]

მუხლი 61

1. მხოლოდ სახელმწიფოებს და კომიტეტს აქვს უფლება საქმე განსახილველად გადასცენ სასამართლოს

2. იმისათვის, რომ სასამართლომ მოისმინოს საქმე, აუცილებელია შესრულდეს მუხლებით 48 და 50 განსაზღვრული პროცედურები

მუხლი 62

1. სახელმწიფოს კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტის მიღების შემდეგ, ან უფრო მოგვიანებით, შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას

კონვენციით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში როგორც ფაქტს და ამასთან დაკავშირებით მოთხოვნა სპეციალური შეთანხმებაზე არ არსებობს

2. აღნიშნული განაცხადი შეიძლება გაკეთდეს უპირობოდ, ან მისი ვალიდურობა განისაზღვროს დადგენილი პერიოდის განმავლობაში, ან სპეციფიური შემთხვევების დროს. განაცხადი შეტანილი უნდა იყოს ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოში, საიდანაც ასლები გადაეგზავნება ორგანიზაციის სხვა წევრ სახელმწიფოებს და სასამართლოს სამდივნოს

3. სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს ყველა შემთხვევას, რომელიც უკავშირდება კონვენციის ინტერპრეტაციისა და მისი აპლიკაციის ნორმებს, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოები აღიარებენ ან უკვე აღიარეს ასეთი იურისდიქცია, სპეციალური განაცხადის დამატებით პარაგრაფზე ან სპეციალური შეთანხმების გაფორმებით

მუხლი 63

1. თუ სასამართლო აღმოაჩენს რომ დარღვეულია აღნიშნული კონვენციით დაცული უფლება და თავისუფლება, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რომ დაცული იქნება დაზარალებული მხარის ის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც დაირღვა. მან ასევე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება რათა მოგვარდეს სიტუაცია, რომელმაც გამოიწვია უფლებებისა ან თავისუფლებების დარღვევა და დაზარალებულმა მხარე მიიღოს სამართლიანი კომპენსაცია

2. ექსტრემალური სირთულის ან ურგენტული შემთხვევების დროს ან მაშინ როდესაც თავიდან უნდა იქნას აცილებული აუნაზღაურებელი ზარალი, სასამართლომ უნდა მიიღოს წინასწარი შესაბამისი ზომები. რაც შეეხება შემთხვევას რომელიც ჯერ არ არის შეტანილი სასამართლოში განსახილველად, მისი მიღება შეიძლება მოხდეს კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე

მუხლი 64

1. ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებს შეუძლიათ აღნიშნული კონვენციის ან სხვა შეთანხმებების, რომლებიც ეხება ამერიკის სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვას, ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიარონ სასამართლოში. ორგანოებს, რომელიც ჩამოთვლილია ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდებაში

(თავი X, შესწორება, ბუენოს აირესის ოქმი), მათი კომპეტენციის სფეროებიდან გამომდინარე, შეუძლიათ ასევე კონსულტაციებისათვის მიმართონ სასამართლოს

2. სასამართლოს, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის საფუძველზე, შეუძლია მიაწოდოს მათ ინფორმაცია და საკუთარი მოსაზრებები ზემოთმოყვანილ საერთაშორისო დოკუმენტებთან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობის შესახებ

[...]

სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენციის ოქმი

(მიღებულია ასუნსიონში, პარაგვაი, 8 ივნისს, 1990, გენერალური ასამბლეის მეოცე სესიაზე)

მუხლი 1

აღნიშნული ოქმის ხელშეკრულმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ სიკვდილით დასჯა მათ ტერიტორიაზე მათი იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი პირის მიმართ

მუხლი 2

1. არ უნდა გაკეთდეს არანაირი რეზერვაციები აღნიშნულ ოქმთან დაკავშირებით. თუმცა, რატიფიკაციის პროცესში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააკეთონ განცხადება, რომ ისინი ინარჩუნებენ უფლებას გამოიყენონ სიკვდილით დასჯა ომიანობის დროს საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე, სამხედრო ხასიათის ექსტრემალურად სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის

2. სახელმწიფო, რომელიც აკეთებს ასეთ რეზერვაციებს რატიფიკაციის პროცესში, უნდა აცნობოს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს იმ სსაბამისი ნორმების თაობაზე, რომელიც განსაზღვრულია მისი ეროვნული კანონმდებლობით და მისაღებია მხოლოდ ომიანობის დროს, როგორც ეს იყო აღნიშნული წინა პარაგრაფში

3. აღნიშნული სახელმწიფო ვალდებულია აცნობოს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მის ტერიტორიაზე ომის მდგომარეობის დაწყებისა და დამთავრების თაობაზე

მუხლი 3

1. აღნიშნული ოქმი ღიაა ხელმოწერისთვის ნებისმიერი ადამიანის უფლებების შესახებ ამერიკის კონვენციის წევრი სახელმწიფოსთვის

2. აქედან გამომდინარე აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია უნდა მოხდეს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოში შეტანილი რატიფიკაციის დოკუმენტის საფუძველზე

მუხლი 4

აღნიშნული ოქმი ძალაშია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც შეტანილი აქვთ რატიფიკაციის დოკუმენტი ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოში

წამების პრევენციისა და წამებაში მონაწილეთა დასჯის ინტერ-ამერიკული კონვენცია

მიღებულია OAS გენერალურ ასამბლეაზე, 9 დეკემბერი 1985, ძალაში შევიდა 28 თებერვალს, 1987 მუხლი 22-ის მიხედვით

ამერიკის სახელმწიფოების ხელმოწერა წარმოდგენილ კონვენციაზე.

აღიარებს ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენციის დებულებას, რომ ნებისმიერი ადამიანი დაცული უნდა იყოს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებისაგან;

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ნებისმიერი აქტი ითვლება დანაშაულად ადამიანის ღირსების წინააღმდეგ; ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდებაში გაწერილი პრინციპების უარყოფად; და ასევე ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკულ დეკლარაციაში და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში მოყვანილი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევად;

აქედან გამომდინარე, ზემოთმოყვანილ გლობალურ და რეგიონალურ დოკუმენტებში განსაზღვრული წესებისა და პრინციპების მისაღებად, აუცილებელია შეიქმნას ინტერ-ამერიკული კონვენცია, სადაც განსაზღვრული იქნება პრევენციული და სადამსჯელო ღონისძიებები წამების აქტების წინააღმდეგ

კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ მიზანს, მოახდინონ ამ ჰემისფეროში იმ ვალდებულებების კონსოლიდაცია, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ღირსების აღიარებასა და პატივისცემას და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებასა და დაცვას

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას წამების პრევენციასა და მის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე, კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობაში

მუხლი 2

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, წამება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი წინასწარგანზრახვით განხორციელებული აქტი, რომლის დროსაც ფიზიკური ან მენტალური ტკივილი ან ტანჯვა გამოყენებულია ადამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების მიზნით, როგორც დაშინების საშუალება, როგორც პირადი სასჯელი, როგორც პრევენციული ზომა ან ნებისმიერი სხვა მიზნით. წამება შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც ადამიანზე იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც ანადგურებს მსხვერპლის პიროვნებას და ღირსებას და თრგუნავს მის ფიზიკურ ან გონებრივ შესაძლებლობებს, მაშინაც კი თუ ისინი არ იწვევენ ფიზიკურ ტკივილს ან მენტალურ დარღვევებს

წამების კონცეფცია არ უნდა მოიცავდეს ფიზიკურ ან მენტალურ ტკივილს ან ტანჯვას, ან უბრალოდ კანონიერად მიღებული ზომების შედეგს, იმ პირობით თუ ისინი არ მოიცავენ იმ აქტების შესრულებას ან იმ მეთოდების გამოყენებას, რომელიც მოყვანილია აღნიშნულ მუხელში

მუხლი 3

ქვემოთმოყვანილი შეიძლება ჩაითვალოს წამებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის დანაშაულად

ა. საზოგადოებრივი მოსამსახურე ან თანამშრომელი რომელიც გამომდინარე თანამდებობრივი მდგომარეობიდან გასცემს განკარგულებას, ან უბიძგებს წამების გამოყენებისკენ, ან ვინც უშუალოდ ასრულებს მას ან ის ვისაც შეუძლია წამების პრევენცია არ აკეთებს ამას

ბ. პიროვნება, რომელიც ქვეპარაგრაფ ა-ში მოყვანილი საზოგადოებრივი მოსამსახურის პროვოცირებით გასცემს განკარგულებას წამების გამოყენებაზე, ან უშუალოდ თვითონ ასრულებს მას ან მონაწილეობს წამების ფაქტის განხორციელებაში

მუხლი 4

ის ფაქტი, რომ მოქმედებდა ზემდგომი ორგანოს ბრძანებით არ ათავისუფლებს წამებაში მონაწილე პირს სისხლის სამართლის დანაშაულისაგან

მუხლი 5

ისეთი საგანგებო მდგომარეობების დროს, როგორცაა ომი, ომის მუქარა, ალყა, შიდასახელმწიფოებრივი უთანხმოება, კონსტიტუციური გარანტიების შეჩერება, შიდასახელმწიფოებრივი არასტაბილურობა ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობები ან უბედური შემთხვევები არ შეიძლება იქნას განხილული როგორც წამების (სისხლის სამართლის დანაშაული) გამამართლებელი გარემოება

არც დაკავებულის ან პატიმრის საშიში ხასიათი და არც ციხის უსაფრთხოება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამების გამამართლებელი გარემოება

მუხლი 6

მუხლი 1-ში მოყვანილი პირობების თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები წამების აქტების პრევენციისა და აღმოფხვრისათვის მათი იურისდიქციის ქვეშ

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წამების ნებისმიერი აქტი და წამების განხორციელების მცდელობა გამომდინარე სახელმწიფო კანონმდებლობიდან ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად და შესაბამისად დააწესონ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ

მუხლი 7

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, იმისათვის რომ პოლიციის თანამშრომელთა და სხვა საზოგადოებრივი ჩინოვნიკების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანთა დროებით დაკავებასა და დაკავებულ პირებზე, ტრეინინგის დროს სპეციალური ყურადღება მიექცეს წამების აკრძალვას დაკითხვის, დაკავების ან დაპატიმრების პროცესში

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მსგავსი ზომები ასევე სხვა სასტიკი არაადამიანური და

ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციისათვის

მუხლი 8

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოახერხონ გარანტირება იმისა, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც აცხადებს, რომ გახდა წამების მსხვერპლი მათი იურისდიქციის ფარგლებში, ქონდეს უფლება მისი საქმის მიუკერძოებელ გამოძიებაზე

ასევე, თუ არსებობს ბრალდება ან საფუძვლიანი მიზეზი იმისა, რომ წამების აქტი განხორციელდა მათი იურისდიქციის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარონ შესაბამისი და დროული გამოძიებანი და აუცილებლობის შემთხვევაში აღძრან სისხლის სამართლის საქმე

ყველა ადგილობრივი იურიდიული პროცედურის განხორციელებისა და ყველა საშუალების ამოწურვის შემდგომ, საქმე განსახილველად შეიძლება შეტანილი იქნას საერთაშორისო სასამართლოში, რომლის კომპეტენტურობაც აღიარებულია აღნიშნული სახელმწიფოს მიერ

მუხლი 9

წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას სახელმწიფო კანონმდებლობაში შეიტანონ კანონები, რაც ითვალისწინებს შესაბამის კომპენსაციებს წამების მსხვერპლთათვის

აღნიშნული მუხლის არც ერთი დებულებას არ შეუძლია იქონიოს გაელენა მსხვერპლის უფლებაზე მიიღოს კომპენსაცია, რომელიც მას ეკუთვნის არსებული ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე

მუხლი 10

არანაირი განცხადება, რომელიც მტკიცდება რომ მიღებულია პიროვნების წამების საფუძველზე არ შეიძლება იქნას მიღებული, როგორც სამხილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოპოვება ხდება წამების ფაქტების გამოყენებით, ამ შემთხვევაში აღნიშნული სამხილი გამოიყენება მხოლოდ როგორც დადასტურება იმისა, რომ მისი მიღება მოხდა უკანონო გზით

მუხლი 11

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ მოახდინონ იმ პირების ექსტრადირება, რომელთაც ბრალად ედებათ წამების აქტის განხორციელება ან უკვე მისჯილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, ექსტრადიციის შესახებ ეროვნულ

კანონმდებლობასა და საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში

მუხლი 12

ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნულ კონვენციაში აღწერილი სისხლის სამართლის დანაშაულთან მიმართებაში მისი იურისდიქციის დასადგენად იმ შემთხვევაში :

ა. როდესაც წამების აქტი განხორციელებულია მისი იურისდიქციის ფარგლებში

ბ. როდესაც მსხვერპლი არის ამ სახელმწიფოს ეროვნების წარმომადგენელი

ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები იურიდიქციის დასადგენად იმ სისხლის სამართლის დანაშაულის მიმართ, რომელიც მოყვანილია კონვენციაში, როდესაც სისხლის სამართლის დანაშავე იმყოფება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე და არ ექვემდებარება ექსტრადირებას მუხლი 11-ის მიხედვით.

აღნიშნული კონვენცია არ გამორიცხავს სისხლის სამართლის იურისდიქციას, რომელიც გამოიყენება და სრულდება მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში

მუხლი 13

სისხლის სამართლის დანაშაული მუხლი 12-ის მიხედვით, ექსტრადირებად დანაშაულებებთან ერთდ შეტანილი უნდა იქნას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ დადებულ ნებისმიერ ექსტრადიციასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში. წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ შეიტანონ წამება, როგორც ექსტრადირებადი დანაშაული ნებისმიერ ექსტრადიციასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში, რომელიც იღება მათ შორის.

ნებისმიერი სახელმწიფო, თუ ის მიიღებს მოთხოვნას ექსტრადიციასზე სხვა წევრი სახელმწიფოსგან, რომელთანაც მას არა აქვს გაფორმებული ექსტრადიციის ხელშეკრულება, შეუძლია აღნიშნული კონვენცია განიხილოს, როგორც იურიდიული ბაზისი ექსტრადიციის განსახორციელებლად იმ შემთხვევაში თუ საკითხი ეხება წამებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის დანაშაულს.

ექსტრადიცია შეიძლება შეეხოს ასევე სხვა გარემოებებსაც, რომელიც განსაზღვრულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელიც ითხოვს ექსტრადიციას

ექსტრადიცია არ არის დაშვებული და არც შეიძლება ვიფიქროთ პიროვნების დაბრუნებაზე, როდესაც არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, რომ მასზე შეიძლება განხორცილდეს წამების, არაპუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტები, ან ის რომ ის წარსდგება იმ სახელმწიფოს სპეციალური სასამართლოს წინაშე რომელიც ითხოვს ექსტრადიციას

მუხლი 14

როდესაც წვერი სახელმწიფო უარს აცხადებს ექსტრადიციაზე, შემთხვევა განსახილველად უნდა გადაეცეს მის კომპეტენტურ ორგანოებს, თითქოსდა აღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი იქნა მისი იურისდიქციის ფარგლებში, და თუ საჭიროა, დანაშაულის განხილვა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს სახელმწიფოს, რომელიც ითხოვს ექსტრადიციას

მუხლი 15

კონვენციის არც ერთი დებულების ინტერპრეტაცია არ შეიძლება, როგორც თავშესაფრის მოთხოვნის უფლების შეზღუდვა ან ცვლილება სახელმწიფოს ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებულ ვალდებულებებში

მუხლი 16

მოცემული კონვენცია არ ზღუდავს პრინციპებს, რომლებიც მოყვანილია ამერიკულ კონვენციაში ადამიანის უფლებების შესახებ, სხვა კონვენციებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ან ინტერ-ამერიკული კომიტეტის სტატუტში ადამიანის უფლებათა შესახებ და ეხება წამებას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს

მუხლი 17

წვერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ მიაწოდონ ინფორმაცია ინტერ-ამერიკულ კომიტეტს ადამიანის უფლებათა შესახებ, ნებისმიერი საკანონმდებლო, იურიდიული, ადმინისტრაციული ან სხვა ზომების შესახებ რომელსაც ისინი იღებენ კონვენციის აპლიკაციის პროცესში

საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისას, ინტერ-ამერიკული კომიტეტი ადამიანის უფლებათა შესახებ, თავის ყოველწლიურ მოხსენებაში ეცდება გააკეთოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წვერ სახელმწიფოებში არსებული სიტუაციის ანალიზი, წამების

ფაქტების პრევენციასა და მის აღმოფხვრასთან დაკავშირებით

მუხლი 18

მოცემული კონვენცია ღიაა (ექვემდებარება) ხელმოსაწერად ყველა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წვერი სახელმწიფოსათვის

მუხლი 19

მოცემული კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის დოკუმენტები უნდა გადაეცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს

მუხლი 20

კონვენცია ღიაა ამერიკის ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელსაც სურს რომ შეუერთდეს აღნიშნულ კონვენციას. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტები უნდა გადაეცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს

მუხლი 21

წვერ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონვენციის მიღების, ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს გააკეთონ რეზერვაციები, თუნდაც ასეთი რეზერვაციები არ შეესაბამებოდეს კონვენციის მიზანს ან ეხებოდეს მხოლოდ ერთ ან მეტ სპეციფიურ დებულებას

მუხლი 22

აღნიშნული კონვენცია ძალაში შევა ოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როდესაც რატიფიკაციის მეორე დოკუმენტი იქნა შეტანილი. თითოეული სახელმწიფოსთვის, რომელიც აკეთებს რატიფიკაციას ან უერთდება კონვენციას, მეორე რატიფიკაციის დოკუმენტის შეტანის შემდეგ, კონვენცია ძალაში შევა განაცხადის შეტანიდან ოცდამეათე დღეს

მუხლი 23

კონვენცია შეიძლება დარჩეს ძალაში განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ შეიძლება მისი მოქმედება შეწყდეს ნებისმიერი წვერი სახელმწიფოს მხრიდან ინიციატივის საფუძველზე. დოკუმენტი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე უნდა გადაეგზავნოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს. დოკუმენტის შეტანიდან ერთი წლის შემდეგ კონვენცია წვერს მოქმედებას აღნიშნული სახელმწიფოსთვის, მაგრამ ძალაშია და მოქმედებს დანარჩენი წვერი სახელმწიფოებისთვის

მუხლი 24

მოცემული კონვენციის ორიგინალური დოკუმენტი, რომლის ინგლისურ, ფრანგულ,

პორტუგალიურ და ესპანური ტექსტებს გააჩნიათ თანაბარი ძალა (აუთენტურია), უნდა გადაეგზავნოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს, რომელიც დოკუმენტის სერიფიცირებულ ასლებს გადააგზავნის გაეროს სამდივნოში რეგისტრაციისა და პუბლიკაციისათვის, გაეროს წესდების მუხლი 102-ის თანახმად. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური სამდივნო აცნობებს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, რომელთაც შეიტანეს რატიფიკაციის დოკუმენტი ან ხელი მოაწერს კონვენციას, ნებისმიერი ქმედების თაობაზე, მათ შორის მოქმედების შეწყვეტასა და რეზერვაციებზე, თუ ასეთი იარსებებს.

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის, დასჯის და აღმოფხვრის ინტერ-ამერიკული კონვენცია

მიღებულია OAS გენერალურ ასამბლეაზე, 9 ივნისი 1994, ძალაში შევიდა 5 მარტი, 1995 მუხლი 21

[...]

მუხლი 1

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტების გამოყენება შეიძლება იყოს განმარტებული, როგორც აქტი ან ქცევა, დაფუძნებული სქესზე, რომელიც იწვევს ქალის სიკვდილს ან ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტრავმას საზოგადოებრივ ან დახურულ სოციალურ გარემოში

მუხლი 2

ძალადობა ქალების წინააღმდეგ გულისხმობს ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას:

[...]

ბ. რომელიც ვლინდება საზოგადოებაში და შეიძლება განხორციელდეს იქნას ნებისმიერი პირის მიერ, და მოიცავს გაუპატიურებას, სექსუალურ ძალადობას, წამებას, ტრეფიკინგს ციხეებში, იძულებით პროსტიტუციას, გატაცებას და სექსუალურ ძალადობას სამუშაო ადგილებში და ასევე საგანმანათლებლო და ჯანდაცვის დაწესებულებებში და სხვა ადგილებში; და

გ. რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მხრიდან, მიუხედავად იმისა თუ სად ხდება აღნიშნული ძალადობა

[...]

მუხლი 4

ყველა ქალს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, რომელიც მოყვანილია რეგიონულ და საერთაშორისო დოკუმენტებში ადამიანის უფლებების შესახებ. სხვა უფლებებთან ერთად ეს უფლებები მოიცავს:

[...]

ბ. მისი ფიზიკური, მენტალური და მორალური ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებას

[...]

მუხლი 7

წევრი სახელმწიფოებისთვის მიუღებელია ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტების ნებისმიერი ფორმა და ისინი მზად არიან გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული საშუალება და პრევენციის პოლიტიკა, რათა დროულად მოახერხონ აღნიშნული ძალადობის აღმოფხვრა და იღებენ ვალდებულებას:

ა. თავი შეიკავონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერ აქტში მონაწილეობისაგან და უზრუნველყონ რომ სახელმწიფო ჩინოვნიკებმა, პერსონალმა, წარმომადგენლებმა და დაწესებულებებმა იმოქმედონ ასევე მოცემულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში

ბ. გამოიყენონ შესაბამისი საშუალებები ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციისა და გამოძიებისათვის და აღნიშნული დანაშაულისათვის დააწესონ სასჯელის შესაბამისი ზომები

გ. სახელმწიფო კანონმდებლობაში შეიტანონ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ნებისმიერი სხვა ტიპის ზომა, რაც დაეხმარება და ხელს შეუწყობს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციას, დასჯას და აღმოფხვრას და მიიღონ შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები, სადაც ეს აუცილებელია;

დ. მიიღონ იურიდიული ზომები, რაც აფრთხილებს დამნაშავე პირს თავი შეიკავოს ქალთა დევნის, დაშინების ან მუქარისაგან და იმ მეთოდების გამოყენებისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან ხელშეუხებლობას და კერძო საკუთრებას

ე. მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, რათა შეიტანონ შესაბამისი შესწორებები ან გააუქმონ არსებული კანონები და წესები ან მოახდინონ

იმ იურიდიული და ადათ-წესებთან დაკავშირებული პრაქტიკის მოდიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შენარჩუნებას

ვ. განსაზღვრონ და დააფუძნონ სამართლიანი და ეფექტური იურიდიული პროცედურები იმ ქალებისათვის, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული პროცედურები უნდა მოიცავდნენ დამცავ ზომებს, დროულ მოსმენას და აღნიშნულ პროცედურებზე ეფექტურ ხელმისაწვდომობას

ზ. განსაზღვრონ აუცილებელი იურიდიული და ადმინისტრაციული მექანიზმები, რათა იმ ქალებს, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, ქონდეთ რესტიტუციაზე, რეპარაციაზე და სხვა ეფექტურ საშუალებებზე გარანტირებული და ეფექტური ხელმისაწვდომობა: და

თ. მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები რაც აუცილებელია კონვენციის პრინციპების პრაქტიკაში განსახორციელებლად

მუხლი 8

წვერი სახელმწიფოები მზად არიან მიიღონ პროგრესული და სპეციფიური ზომები, პროგრამების ჩათვლით:

ა. ცოდნის პრომოცია და ქალთა უფლებების დაცვა და პატივისცემა

ბ. ქალის და მამაკაცის ქცევის სოციალური და კულტურული მოდელების მოდიფიცირება, ოფიციალური და არაოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ჩათვლით საგანმანათლებლო პროცესის ყველა დონეზე, ბრძოლა ჩვევებისა და სხვა მასთან დაკავშირებული პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც ეფუძნება არასრულფასოვნების ან უპირატესობის გრძობას ან სქესში ან ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპების როლში, რაც ხელს უწყობს ქალების წინააღმდეგ ძალადობის ლეგიტიმაციას

გ. განათლებისა და ტრენინგის პრომოცია, იმ პირებისთვის, რომლებიც ჩართული არიან სასამართლოს, პოლიციის და სხვა სამართალშეფარდების დაწესებულებების თანამშრომელთა ადმინისტრირების პროცესში და ასევე იმ პერსონალის, რომელიც პასუხისმგებელია ქალების წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის სტრატეგიებისა და პლიტიკის დანერგვასა და გამოყენებაზე

დ. შესაბამისი სპეციალიზებული მომსახურების პრომოცია საზოგადოებრივი და კერძო სექტორის სააგენტოების მეშვეობით, ქალებისათვის, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, რაც მოიცავს თავშესაფრებს, საადვოკატო და იურიდიულ მომსახურებას (ოჯახის წევრებისთვის), ტრავმირებული ბავშვების მკურნალობასა და დაცვას

ე. სამთავრობო და კერძო სექტორის განათლების პრომოცია, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ პრობლემებთან და დაცვის საშუალებებთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტებთან

ვ. ეფექტური რეაბილიტაციისა და ტრენინგის პროგრამების ხელმისაწვდომობა ქალებისთვის, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, რაც საშუალებას მისცემს მათ მონასილწობა მიიღონ საზოგადოებრივ, კერძო და სოციალურ ცხოვრებაში

[...]

მუხლი 10

ქალთა უფლებების დასაცავად წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან თავიანთ ეროვნულ მოხსენებებში, რომელსაც ისინი წარუდგენენ ინტერ-ამერიკული ქალთა კომიტეტს, შეიტანონ ინფორმაცია იმ ზომების თაობაზე, რომელიც მიღებულია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აქტების პრევენციისა და აკრძალვისათვის, და დაეხმარონ მათ ასევე ნებისმიერი სირთულის გადალახვაში, რაც შეიძლება შეხვდეთ აღნიშნული ზომების გამოყენებისას

[...]

მუხლი 12

ნებისმიერი პირი, ადამიანთა ჯგუფი, ან ნებისმიერი არასამთავრობო იურიდიული პირი, რომელიც აღიარებულია ერთი ან მეტი ორგანიზაციის წვერი ქვეყნის მიერ უფლებამოსილია შეიტანოს პეტიცია ინტერ-ამერიკულ კომიტეტში ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც მოიცავს საჩივრებს ძალადობის თობაზე (კონვენცია, მუხლი 7). კომიტეტმა უნდა განიხილოს ასეთი სარჩელები იმ ნორმებთან და პროცედურებთან შესაბამისობაში, რომელიც განსაზღვრულია ამერიკული კონვენციით ადამიანის უფლებების შესახებ და ინტერ-ამერიკული კომიტეტის სტატუტის დებულებით, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს პეტიციების შეტანისა და განხილვის თვალსაზრისით

[...]

**ინტერ-ამერიკული კონვენცია ადამიანთა
კალალოზივი გაზინარების შმსახმ**

*მიღებულია OAS გენერალურ ასამბლეაზე, 1994
წ. 9 ივნისს, ძალაში შევიდა, 1994 წ. 28 მარტს*

[...]

მუხლი 1

კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები
ვალდებულია იღებენ:

ა. არ განახორციელონ და არ დაუშვან
იძულებითი გატაცება ადამიანებისა, საგანგებო
მდგომარეობების შემთხვევაშიც კი ან
ინდივიდუალური გარანტიების შეჩერება

ბ. დასაჯონ საკუთარი იურისდიქციის
ფარგლებში ის პირები და მათი
თანამშრომლები, რომელთაც განახორციელეს
ადამიანის იძულებითი გატაცება, რაც
წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს,
ან ქონდათ ამის მცდელობა.

გ. ურთიერთთანამშრომლობა, რომლის მიზანია
ადამიანის იძულებითი გატაცების პრევენციის,
დასჯის და აღმოფხვრის ხელშეწყობა

დ. საკანონმდებლო, ადმინისტრაციული,
იურიდიული და ნებისმიერი სხვა ზომის მიღება
რაც აუცილებელია კონვენციაში მოყვანილი
ვალდებულებების შესასრულებლად

მუხლი 2

კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე ადამიანის
იძულებითი გატაცება განიხილება, როგორც
თავისუფლების აღკვეთის აქტი, მიუხედავად
იმისა ეს აქტი განხორციელებულია
სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი პირების თუ
ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომელიც მოქმედებს
სახელმწიფოს დახმარებითა და მხარდაჭერით.
იძულებით დაკავებას თან ახლავს
ინფორმაციული ვაკუუმი ან უარი აღიარონ
გატაცებულის ადგილსამყოფელი, ამით
ზღუდავენ მის უფლებას მოითხოვოს
იურიდიული დაცვა და პროცედურული
გარანტიები

[...]

**ევროპის საბჭოს მიერ მიღებული
დოკუმენტები**

**ადამიანის უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა დაცვის ევროპული
კონვენცია**

*ხელმოწერილია 1950 წლის 4 ნოემბერს; ძალაში
შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.
შესწორებულია 1994 წლის 11 მაისის №11
ოქმით, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1
ნოემბერს*

[...]

**მუხლი 1 - ადამიანის უფლებათა პატივისცემის
ვალდებულება**

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი
იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის
უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში
განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

[...]

მუხლი 3 - წამების აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას,
არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ
მოპყრობას ან დასჯას.

[...]

**მუხლი 13 - სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი
საშუალების უფლება**

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით
გათვალისწინებული უფლებები და
თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი
დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული
ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა
ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ
უფლებამოსილებას ახორციელებდა.

[...]

**მუხლი 15 - გადახვევა საგანგებო
მდგომარეობის დროს**

1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის
დროს, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის
სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ
მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები
კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულებისაგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ
იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად
მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ
პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ
ეწინააღმდეგება მხარის სხვა საერთაშორისო
სამართლებრივ ვალდებულებებს.

2. დაუშვებელია ამ დებულების საფუძველზე
გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა
მართლზომიერი საომარი მოქმედებით

გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკერელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის სრულ ინფორმაციას მის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ხელახლა სრულად ამოქმედების თარიღს.

[...]

თავი II - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 19 - სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემკერელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შემდგომში მოხსენიებული როგორც „სასამართლო“. სასამართლო მუდმივმოქმედი ორგანოა.

[...]

მუხლი 27 - კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში წარდგენილ საქმეებს განიხილავენ კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს პალატები ქმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.

2. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც *ex officio* წევრი, ან თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან ვერ მონაწილეობს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი.

3. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ: სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატების თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის

სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამოტანი ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

მუხლი 28 - განაცხადის დაუშვებლად გამოცხადება კომიტეტების მიერ

კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე. ასეთი განჩინება საბოლოოა.

მუხლი 29 - პალატების გადაწყვეტილებები განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ

1. თუ განჩინება არ არის მიღებული 28-ე მუხლის საფუძველზე, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.

2. პალატა იღებს განჩინებას 33-ე მუხლის თანახმად წარდგენილ სახელმწიფოთაშორის განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.

3. განჩინება დასაშვებობის შესახებ მიიღება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 30 - იურისდიქციის გადაცემა დიდი პალატისათვის

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს თავისი იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას, თუ საქმის არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

მუხლი 31 - დიდი პალატის უფლებამოსილება

დიდი პალატა:

ა. განიხილავს 33-ე ან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ განაცხადებს, როდესაც მას თავისი იურისდიქცია გადასცა პალატამ 30-ე მუხლის

შესაბამისად, ან, როდესაც განაცხადი მას გადაეცემა 43-ე მუხლის საფუძველზე; და

ბ. განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ თხოვნებს საკონსულტაციო დასკვნების შესახებ.

მუხლი 32 - სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომლებიც მას გადაეცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.

2. სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო წყვეტს.

მუხლი 33 - სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მაღალი ხელშემკვრელი სხვა მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მუხლი 34 - ინდივიდუალური განაცხადი

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 35 - დასაშვებობის წინაპირობები

1. სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად, და თუ გასული არ არის ექვსი თვე, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ არც ერთ განაცხადს, რომელიც:

ა. ანონიმურია; ან

ბ. არსებითად იგივეა და სასამართლოს მიერ უკვე განხილულია, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა ინსტანციას და არ შეიცავს შესატყვის ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, რომელსაც მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებლად.

4. სასამართლო უკუაგდებს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 36 - მესამე მხარის ჩართვა

1. პალატის ან დიდი პალატის განსახილველ ყველა საქმეზე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს, წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენებში.

2. მართლმსაჯულების ჯერონად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 37 - განაცხადის ამორიცხება

1. სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, ამორიცხოს განაცხადი საქმეთა ნუსხიდან, თუ გარემოებებზე დაყრდნობით ის დაასკნის, რომ:

ა. განმცხადებელს აღარ აქვს განზრახული, ბოლომდე მისდოს თავის განაცხადს;

ბ. დავა გადაწყდა; ან

გ. სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული. თუმცა სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით

განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, აღადგინოს განაცხადი საქმეთა ნუსხაში, თუ იგი ჩათვლის, რომ გარემოებებიდან გამომდინარე ამგვარი ქმედება გამართლებულია.

მუხლი 38 - საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა

1. თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, ის:

- ა. განაგრძობს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით;
- ბ. სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისაღწევად კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.

2. 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 - მორიგების მიღწევა

თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი განხილვით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით შემოიფარგლება.

მუხლი 40 - ღია სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

- 1. სასამართლო მოსმენები ღიაა, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.
- 2. სამდივნოს უფროსთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარემ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 41 - სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეკრეული მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ

მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

მუხლი 42 - პალატების გადაწყვეტილებები

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულების შესაბამისად.

მუხლი 43 - დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა

- 1. პალატის გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან სამი თვის ვადაში საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია ითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
- 2. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით აკმაყოფილებს ამ თხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – ზოგადი მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს.
- 3. თუ კოლეგია აკმაყოფილებს თხოვნას, დიდი პალატა საქმეს გადაწყვეტს გადაწყვეტილების გამოტანით.

მუხლი 44 - საბოლოო გადაწყვეტილება

- 1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
- 2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება:
 - ა. როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან
 - ბ. პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; ან
 - გ. როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკმაყოფილებაზე.
- 3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

მუხლი 45 - გადაწყვეტილებისა და განჩინების დასაბუთება

1. სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე განჩინება, რომელიც განაცხადს დაშვებულად ან დაუშვებლად აცხადებს, უნდა იყოს დასაბუთებული.

2. თუ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსაკუთრებული აზრი.

მუხლი 46 - გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47 - საკონსულტაციო დასკვნები

1. მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.

2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის I თავითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს, შესაძლოა, უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი სამართალწარმოების შედეგად, რომელიც შეიძლება ადრეულიყო კონვენციის შესაბამისად.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის შესახებ მიიღება კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 48 - სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლოს გადასაწყვეტია, განეკუთვნება თუ არა სასამართლოს კომპეტენციას მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 - საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.

2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსაკუთრებული აზრი.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

[...]
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების უმმლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია
(იხ. 1 და 2 დამატებითი ოქმები)

გახსნილია ხელმოსაწერად 1987 წლის 26 ნოემბერს. ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს მე-19 მუხლის შესაბამისად

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დებულებებს;

იხსენებენ რა, რომ იმავე კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ თავისუფლება აღკვეთილ პირთა დაცვა წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან შეიძლება გაძლიერდეს ვიზიტებზე დაფუძნებული პრევენციული ხასიათის არასასამართლო საშუალებებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

დაარსებულ იქნას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“). ვიზიტების საშუალებით კომიტეტი შეამოწმებს მოპყრობას თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმართ, აუცილებლობის შემთხვევაში, ამგვარი პირების დაცვის გასაძლიერებლად წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან.

მუხლი 2

თითოეული მხარე დაუშვებს ამ კონვენციის შესაბამისად ვიზიტების განხორციელებას მის

იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ადგილას, სადაც პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

მუხლი 3

ამ კონვენციის გამოყენებისას, კომიტეტი და შესაბამისი მხარის კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.

მუხლი 4

1. კომიტეტის წევრთა რაოდენობა თანაბარია მხარეთა რაოდენობისა.

2. კომიტეტის წევრთა შერჩევა მოხდება მაღალი მორალური თვისებების მქონე პირთა რიგიდან, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი კომპეტენტურობით ადამიანის უფლებათა დარგში ან აქვთ ამ კონვენციით მოცემულ სფეროში მუშაობის პროფესიული გამოცდილება.

3. კომიტეტის ორი წევრი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე სახელმწიფოს მოქალაქე.

4. წევრები იმსახურებენ თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით, იქნებიან დამოუკიდებელი და თავისუფალი, რათა ეფექტურად იმსახურონ კომიტეტში.

მუხლი 5

1. კომიტეტის წევრების არჩევა მოხდება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის მიერ შედგენილ კანდიდატთა სიიდან; საკონსულტაციო ასამბლეაში მხარეთა თითოეული ეროვნული დელეგაცია წარადგენს სამ კანდიდატს, რომელთაგანაც არანაკლებ ორი უნდა იყოს მისი მოქალაქე.

2. იგივე პროცედურა უნდა იქნას გავლილი შემდგომში ვაკანსიების შესავსებად.

3. კომიტეტის წევრების არჩევა მოხდება ოთხი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა მხოლოდ ერთხელ. ამასთან, პირველ არჩევნებზე არჩეული წევრებიდან სამი წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება არჩევიდან მეორე წლის ბოლოს. ის წევრები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოიწუროს პირველი ორი წლის ბოლოს, შეირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ პირველი არჩევნების შემდეგ წილისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.

მუხლი 6

1. კომიტეტის შეკრება მოხდება კოლეგიალურად. კვორუმი თანაბარია კომიტეტის წევრების უმრავლესობისა. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების დაცვით.

2. კომიტეტი შეიმუშავებს თავის რეგლამენტს.

3. კომიტეტისათვის სამდივნოს უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

მუხლი 7

1. კომიტეტი ორგანიზებას გაუკეთებს ვიზიტებს მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადგილებში. პერიოდული ვიზიტების გარდა, კომიტეტს შეუძლია ამგვარი ვიზიტების ორგანიზება, თუკი ამას მოითხოვენ შემთხვევის კონკრეტული გარემოებანი.

2. როგორც წესი, ვიზიტების განხორციელება მოხდება კომიტეტის არანაკლებ ორი წევრის მიერ. კომიტეტს, თუკი იგი საჭიროდ ჩათვლის, შეიძლება დაეხმარონ ექსპერტები და თარჯიმნები.

მუხლი 8

1. კომიტეტი შეატყობინებს შესაბამისი მხარის მთავრობას მის განზრახვაზე ვიზიტის განხორციელების შესახებ. ამგვარი შეტყობინების შემდეგ, მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოინახულოს მე-2 მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ადგილი.

2. მხარე უზრუნველყოფს კომიტეტს შემდეგი საშუალებებით კომიტეტის ამოცანების განსახორციელებლად;

ა) მის ტერიტორიაზე შესვლა და შეუზღუდავი მგზავრობის უფლება;

ბ) მთლიანი ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც დაკავებულნი არიან თავისუფლება აღკვეთილი პირები;

გ) ნებისმიერი ადგილის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა, სადაც პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, ამგვარ ადგილებში შეუზღუდავი გადაადგილების უფლების ჩათვლით;

დ) მხარისათვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კომიტეტისათვის მისი ამოცანების შესასრულებლად. ამგვარი ინფორმაციის მოძიებისას კომიტეტი გაითვალისწინებს ეროვნული სამართლისა და პროფესიული ეთიკის მოქმედ ნორმებს.

3. კომიტეტს შეუძლია თავისუფლება აღკვეთილ პირთა კერძო ინტერვიუებზე.

4. კომიტეტს შეუძლია თავისუფლად დაუკავშირდეს ნებისმიერ პირს, რომელსაც მისი აზრით, შეუძლია სათანადო ინფორმაციის მოწოდება.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს შესაბამისი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოებზე დამკვირვებლებს.

მუხლი 9

1. გამონაკლისის შემთხვევებში შესაბამისი მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ გააკეთონ წარდგინება კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ვიზიტის დროს ან კონკრეტული ადგილის წინააღმდეგ. ამგვარი წარდგინების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სერიოზული უწყსრიგობის, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე ან თუკი მიმდინარეობს სერიოზულ დანაშაულთან დაკავშირებული აუცილებელი დაკითხვა.

2. ამგვარი წარდგინების მიღების შემდეგ კომიტეტი და მხარე დაუყოვნებლივ დაიწყებენ კონსულტაციებს სიტუაციის გასარკვევად და იმ ზომებზე შეთანხმების მისაღწევად, რომლებიც საშუალებას მისცემენ კომიტეტს სწრაფად განახორციელოს მისი ფუნქციები. ამგვარი შეთანხმებები შეიძლება ითვალისწინებდნენ ნებისმიერი პირის სხვა ადგილას გადაყვანას, რომლის მონახულებაც სურს კომიტეტს. ვიზიტის განხორციელებამდე მხარე მიაწვდის ინფორმაციას კომიტეტის ნებისმიერი შესაბამისი პირის შესახებ.

მუხლი 10

1. თითოეული ვიზიტის შემდეგ კომიტეტი შეადგენს მოხსენებას ვიზიტის დროს მოკლებული ფაქტების შესახებ, შესაბამისი მხარის მიერ წარმოდგენილი დაკვირვების მხედველობაში მიღებით. იგი გასცემს მხარეს მის მოხსენებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მის

მიერ აუცილებლად მიხნეულ რეკომენდაციებს. კომიტეტს შეუძლია მხარესთან კონსულტაციების გამართვა, აუცილებლობის შემთხვევაში, აღკვეთილ პირთა დაცვის გაუმჯობესების ზომების შეთავაზებისას.

2. თუკი მხარე არ ითანამშრომლებს ან უარს იტყვის სიტუაციის გაუმჯობესებაზე კომიტეტის რეკომენდაციათა შესაბამისად, მას შემდეგ რაც მხარეს ექნება შესაძლებლობა განაცხადოს მისი მოსაზრებების შესახებ, კომიტეტს შეუძლია ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე საჯარო განცხადების გაკეთების შესახებ.

მუხლი 11

1. კომიტეტის მიერ შეკრებილი ინფორმაცია ვიზიტთან, მის მოხსენებასთან და შესაბამის მხარესთან გამართულ კონსულტაციებთან დაკავშირებით კომფიდენციალური იქნება.

2. კომიტეტი გამოაქვეყნებს მის მოხსენებას შესაბამისი მხარის ნებისმიერ კომენტარებთან ერთად, მხარის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ დროს.

3. ამასთან, დაუშვებელია პიროვნული მონაცემების გამოქვეყნება შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე.

მუხლი 12

მე-11 მუხლში დადგენილი კონფიდენციალურობის წესების დაცვით, კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს გენერალურ მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც გადაეცემა საკონსულტაციო ასამბლეას და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისათვის.

მუხლი 13

კომიტეტის წევრებს, ექსპერტებსა და სხვა პირებს, რომლებიც ეხმარებიან კომიტეტს, მოეთხოვებათ მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში და მას შემდეგ დაიცვან იმ ფაქტებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც ისინი გაეცნენ მათი ფუნქციების შესრულებისას.

მუხლი 14

1. იმ პირების სახელები, რომლებიც ეხმარებიან კომიტეტს, მოხსენებული უნდა იქნან მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებებში.

2. ექსპერტები იმოქმედებენ კომიტეტის ინსტრუქციების მიხედვით და მისი უფლებამოსილებით. მათ უნდა ჰქონდეთ ამ კონვენციით მოცული სფეროს ცოდნა და გამოცდილება და მათ ეკისრებათ კომიტეტის წევრთათვის დადგენილი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და თავისუფლების ვალდებულებები.

3. გამონაკლისის შემთხვევაში, მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ ექსპერტს ან სხვა პირს, რომელიც ესმარება კომიტეტს, არ მიეცემა უფლება მონაწილეობა მიიღოს ვიზიტში, რომელიც განხორციელდება მის იურისდიქციაში შემაჯავალ ადგილას.

მუხლი 15

თითოეული მხარე აცნობებს კომიტეტს ხელისუფლების იმ ორგანოს სახელსა და მისამართს, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს მთავრობისადმი გაგზავნილი შეტყობინება და ასევე, იმ საკონტაქტო პირის სახელსა და მისამართს, რომელიც მან შეიძლება დანიშნოს.

მუხლი 16

კომიტეტი, მისი წევრები და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული ექსპერტები ისარგებლებენ ამ კონვენციის დამატებით განსაზღვრული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

მუხლი 17

ეს კონვენცია ზიანს არ მიაყენებს შიდა სამართლის ან ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია თავისუფლება ადკვეთილ პირთა უფრო დიდი დაცვა. არაფერი, გათვალისწინებული ამ კონვენციით, არ შეიძლება ახსნა-განმარტებულ იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს ან ირღვეოდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ორგანოთა კომპეტენცია ან მხარეთა მიერ ხსენებული კონვენციით აღებული ვალდებულებანი. კომიტეტი არ მოინახულებს იმ ადგილებს სადაც უფლებადამცავი ორგანოების ან წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები ან დელეგატები ახორციელებენ ეფექტურ ვიზიტებს რეგულარულ საფუძველზე 1949 წლის 12 აგვისტოს ენევის კონვენციისა და მისი 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმის ძალით.

მუხლი 18

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 19

1. ეს კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებათა შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით.

2. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით, იგი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოყვება სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 20

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ კონვენციის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის მეშვეობით, შეუძლია გააზრდოს ამ კონვენციის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარი დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. ნებისმიერი დეკლარაცია გაკეთებული წინა ორი პუნქტის მიხედვით, ამგვარ დეკლარაციაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ ტვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 21

დაუშვებელია დათქმის გაკეთება ამ კონვენციის დებულებათა მიმართ.

მუხლი 22

1. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ კონვენციას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს თორმეტთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 23

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
- გ) მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- დ) ნებისმიერი სხვა აქტის, სეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხება შიშა ამ კონვენციასთან, გარდა იმ ღონისძიებისა, რომელთა განხორციელებაც მოხდება მე-8 და მე-10 მუხლების შესაბამისად.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია სტრასბურგში 1987 წლის 26 ნოემბერს ინგლისურსა და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად ავთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

დამატება

პრივილეგიები და იმუნიტეტები (მუხლი 16)

1. ამ დამატების მიზნისათვის, მიიჩნევა, რომ კომიტეტის წევრთათვის განსახლებული დებულებები გამოიყენება მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით მოხსენიებული ექსპერტების მიმართაც.

2. კომიტეტის წევრები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას და თავიანთი ფუნქციების განსაქორციელებლად მგზავრობის დროს, ისარგებლებენ შემდეგი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით:

ა) იმუნიტეტი პირადი დაპატიმრებისა და დაკავების, მათ პირად ბარგზე ყადაღის დადების, წარმოთქმული და დაწერილი სიტყვებისა და მათი უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებული სხვა ქმედებების გამო სამართალწარმოებისაგან; იმუნიტეტი მათ წინააღმდეგ ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან;

ბ) მათი საცხოვრებელი ქვეყნიდან, ასევე იმ ქვეყნიდან, სადაც მათ უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, გამოსვლის ან დაბრუნებისას გადაადგილების თავისუფლებაზე შეზღუდვებისაგან გათავისუფლება; უცხო სახელმწიფოს რეგისტრაციისაგან გათავისუფლება იმ ქვეყანაში, სადაც მათ უნდა განახორციელონ ვიზიტი ან რომელიც მათ ტრანზიტით უნდა გაიარონ თავიანთი ფუნქციების განსახორციელებლად.

3. მათი ფუნქციების განსახორციელებლად მოგზაურობისას კომიტეტის წევრები საბაჟო და სავალუტო კონტროლის მიმართ ისარგებლებენ:

ა) თავიანთი მთავრობის მიერ დადგენილი იმავე შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ უფროსი თანამდებობის პირებს, რომლებიც მგზავრობენ საზღვარგარეთ დროებითი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

ბ) სხვა მხარეთა მთავრობების მიერ დადგენილი შეღავათებით, რომლებიც ენიჭებათ უცხოეთის მთავრობათა წარმომადგენლებს, რომლებიც იმყოფებიან ქვეყანაში დროებითი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

4. კომიტეტის დოკუმენტაცია და მასალები, იმ ზომით, რითაც ისინი ეხებიან კომიტეტის საქმეებს, ხელშეუხებელი არიან. კომიტეტის ოფიციალური კორესპონდენცია და სხვა ოფიციალური კომუნიკაციები არ შეიძლება დაკავდნენ ან დაექვემდებარონ ცენზურას.

5. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას კომიტეტის წევრების სიტყვის სრული თავისუფლება და სრული დამოუკიდებლობა

უფლებამოვალეობათა განხორციელებისას, ისინი გააგრძელებენ არგებლობას იმუნიტეტით ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისაგან წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების და მათ მიერ უფლებამოვალეობათა შესრულების დროს განხორციელებული ქმედების გამო, იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა შესაბამისი პირები კვლავ დაკავებული ამგვარი მოვალეობების განხორციელებით.

6. პრივილეგიები და იმუნიტეტები კომიტეტის წევრებს ენიჭებათ არა მათი პირადი სარგებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება. მხოლოდ კომიტეტი იქნება უფლებამოსილი მოუხსნას თავის წევრებს იმუნიტეტი; მას აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ მისი მოვალეობაა მოუხსნას მის რომელიმე წევრს იმუნიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და როდესაც იგი შეიძლება მოიხსნას იმ მიზნისათვის ზიანის მიუყენებლად, რომლისთვისაც წევრს მინიჭებული ჰქონდა იმუნიტეტი.

იხ. CPT-ის სტანდარტები, CPT-ის ზოგადი ანგარიშის "არსებითი" ნაწილები

CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2004

ევროპული კონვენცია კალაბოზრიზი დანაშაულით დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ

გახსნილია ხელმოსაწერად 1983 წლის 24 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1988 წლის 1 თებერვალს მე-15 მუხლის შესაბამისად

ქვემოთ ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ იმას, რომ ევროპის საბჭოს მიზანია, მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ, რომ თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის მიზეზებით, აუცილებელია ძალადობის განზრახვი დანაშაულით იმ დაზარალებულთა მდგომარეობის გათვალისწინება, რომლებმაც განიცადეს სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის გაუარესება, ასევე იმ პირთა, რომლებიც იმყოფებოდნენ ასეთი დანაშაულების შედეგად დაღუპულთა კმაყოფაზე;

ითვალისწინებენ, რომ აუცილებელია შემოღებულ და განვითარებულ იქნას სქემები დაზარალებულთა კომპენსაციისათვის იმ

სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი ასეთი დანაშაულების და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამნაშავე არ არის ამოცნობილი ან შეზღუდულია რესურსებში (ხელმოკლეა);

ითვალისწინებენ, რომ აუცილებელია ამ სფეროში მინიმალურ დებულებათა შემოღება;

მხედველობაში იღებენ, დანაშაულით დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (77) 27 რეზოლუციას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

კარი პირველი - ძირითადი პრინციპები

მუხლი 1

მხარეები იღებენ ვალდებულებას, გადადგან კონვენციის აუცილებელი ნაბიჯები, რათა ძალაში შეიყვანონ წანამდებარე კონვენციის პირველ კარში დადგენილი პრინციპები.

მუხლი 2

1. როდესაც კომპენსაციის სრული გაცემა სხვა წყაროებიდან შეუძლებელია, სახელმწიფოები თავის წვლილს შეიტანენ, რათა კომპენსაციით უზრუნველყონ:

- ა. ისინი, ვინც ძალადობის განზრახვი დანაშაულის შედეგად დანიცადეს სხეულის მძიმე დაზიანება ან ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესება;
- ბ. ასეთი დანაშაულის შედეგად გარდაცვლილთა კმაყოფაზე მყოფნი.

2. ზემოხსენებული მაგალითის შემთხვევაში, კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელია დამნაშავის გასამართლება და დასჯა.

მუხლი 3

იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი დანაშაული კომპენსაცია გადაეხდება;

- ა. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებს;
- ბ. ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან იმ სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილი იქნა დანაშაული.

მუხლი 4

კომპენსაცია დაფარავს, განსახილველი საქმის შესაბამისად, შემდეგ პუნქტებს მაინც; (შემოსავლებს) დაკარგვას, სამედიცინო და ჰოსპიტალიზაციის ხარჯებსა და დაკრძალვის ხარჯებს, და რაც შეეხება კმაყოფაზე მყოფთა, (საზრდოს) დაკარგვას.

[...]
**რეზოლუცია 690 (1979) პოლიციის შესახებ
დეკლარაციის თაობაზე**

მიღებულია ევროსაბჭოს ასამბლეის მიერ 1979 წლის 8 მაისს

ასამბლეა,

[...]

4. თვლის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა შეიძლება გაუმჯობესდეს თუ დაცული იქნება პროფესიონალური ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები პოლიციისათვის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გათვალისწინებით;

[...]

8. იღებს რა დეკლარაციას პოლიციის შესახებ, რომელიც მოცემული რეზოლუციის შემადგენელი ნაწილია;

9. ავალებს თავის საპარლამენტო და საზოგადოებრივი კავშირების კომიტეტსა და თავის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, აგრეთვე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უზრუნველყონ მოცემული დეკლარაციის მაქსიმალური საჯაროობა.

დანართი

დეკლარაცია პოლიციის შესახებ

A. ეთიკა

[...]

3. ნებისმიერ გარემოებაში იკრძალება სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სასჯელის დადება, წამება და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის სხვა ფორმები. პოლიციელს უფლება აქვს არ დაემორჩილოს ან არ შეასრულოს ბრძანება ან ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობს ასეთი ზომების მიღებას.

[...]

7. არავითარი სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინარული ზომები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიციელის წინააღმდეგ, რომელმაც უარი განაცხადა უკანონო ბრძანების შესრულებაზე.

[...]

9. პოლიციელი პასუხისმგებელია პირადად მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე და ქმედების შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე მისთვის გაცემული ბრძანებისა, რომელიც არასამართლებრივია.

10. უნდა არსებობდეს გარკვეული განსაზღვრული ინსტანციების სისტემა, რომელშიც აუცილებლად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემდგომი თანამდებობის პირის განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციის ქმედებაზე ან მის მიერ ქმედების შეუსრულებლობაზე.

11. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს იურიდიული გარანტიების არსებობა და დაცვის სასამართლო სისტემები პოლიციის მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის წინააღმდეგ.

[...]

B. სტატუსი

[...]

3. პოლიციელი გადის დაწვრილებით საერთო მომზადებას, პროფესიონალურ მომზადებასა და სამუშაო ადგილზე მომზადებას, აგრეთვე იღებს აუცილებელ ინსტრუქციებს სოციალურ პრობლემებზე, დემოკრატიულ თავისუფლებებზე, ადამიანის უფლებებზე და განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.

[...]

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია № R (87) 3 3-ე მუხრი
სახელმწიფოთათვის ციხის ევროპული
წესების შესახებ**

მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 12 თებერვალს

[...]

პრეამბულა

მოცემული წესების მიზანი შემდეგში მდგომარეობს:

ა. ციხის ადმინისტრაციის ყველა იმ ასპექტის მინიმალური სტანდარტების სპექტრის შემუშავება, რომელიც შეადგენს ჰუმანური პირობებისა და პატიმრებთან მოპყრობის საფუძველს თანამედროვე პროგრესული სისტემებისათვის;

ბ. ციხის ადმინისტრაციის სტიმულირება, რათა მან შეიმუშავოს მართვის პოლიტიკა და სტილი, მიზნებისა და თანასწორუფლებიანობის თანამედროვე პრინციპებზე დაყრდნობით;

გ. ხელი შეუწყოს ციხის პერსონალის მხრიდან იმ პროფესული დამოკიდებულების უზრუნველყოფას, რომელიც ასახავს მათი მუშაობის მნიშვნელოვან სოციალურ და მორალურ თავისებურებებს, შეიქმნას ოპტიმალური პირობები იმისათვის, რომ მათი მუშაობა სასარგებლო იყოს როგორც საზოგადოებისათვის, ისე პატიმრებისათვის, მათი პროფესიონალური მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

დ. უზრუნველყოს ის რეალური ძირეული კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებითაც ციხის ადმინისტრაციასა და ციხის მართვისა და პირობების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირები შესძლებენ სამართლიანად შეაფასონ პერსონალის მუშაობა და უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევისათვის გადადგმული ნაბიჯები;

ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, რომ წესები არ მოიცავს სამოდელო სისტემას და, რომ, პრაქტიკაში, ბევრმა ევროპულმა საპყრობილეთო სამსახურმა უკვე შესძლო ამ წესებში მოცემული სტანდარტების მიღწევა და გადაჭარბებაც კი, ხოლო დანარჩენები იღწვიან ამისაკენ და ადრე თუ გვიან მათი მცდელობები წარმატებას მოუტანს. იქ, სადაც ვაწყდებით სიმწიფეებსა და პრაქტიკულ პრობლემებს წესების დაცვის თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს გააჩნია შესაბამისი მექანიზმები და ექსპერტები, რომლებიც ეხმარებიან თავიანთი რჩევითა და გამოცდილებით სხვადასხვა ციხეების ადმინისტრაციებს, მათი სფეროს ფარგლებში.

ამ წესებში ხელახლა მოხდა ადამიანის ღირსების პრინციპების, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ჰუმანურობისა და პატიმრებისადმი მოპყრობის საქმეში წარმატების მიღწევის მცდელობის, ციხის პერსონალის როლის მნიშვნელობისა და მართვისადმი ეფექტური თანამედროვე მიდგომის აუცილებლობის ხაზგასმა. წესებში მოცემულია მზა რეკომენდაცია, მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა მათთვის, ვინც მუშაობს ციხის ადმინისტრაციის ყველა დონეზე. ასხნაგანმარტებითი მემორანდუმი, რომელიც თან ერთვის წესებს, მოწოდებულია იმისათვის,

რომ უზრუნველყოს ის აღქმა, აღიარება და მოქნილობა, რომლებიც აუცილებელია მათი დანერგვის უმაღლესი რეალური დონის მისაღწევად, გარდა ძირითადი სტანდარტებისა.

[...]

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006) 2 ევროპის სახელმწიფოების მიმართ, ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, მინისტრის მოადგილეთა 952-ე სხდომაზე)

[...]

ითვალისწინებს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის “No. R (87) 3, წვერი სახელმწიფოების მიმართ, ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით” – არსობრივი გადახედვისა და განახლების საჭიროებას, იმისათვის, რომ მოხდეს ბოლო წლებში მომხდარი იმ განვითარებების ასახვა, რომელიც განხორციელდა პენიტენციურ სისტემაში, სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში და ევროპული ციხეების საყოველთაო მართვის საკითხებში,

წვერი სახელმწიფოების მთავრობებს რეკომენდაციას უწევს:

- მათი კანონმდებლობის შექმნისას იხელმძღვანელონ იმ პოლიტიკითა და პრაქტიკით, რომელიც განსაზღვრულია ამ რეკომენდაციის დანართად წარმოდგენილი წესებით, რომელიც ცვლის მინისტრთა კომიტეტის R (87) 3 რეკომენდაციას ევროპული ციხის წესების შესახებ;
- უზრუნველყოს, რომ ეს რეკომენდაცია და თანმხლები კომენტარები გადათარგმნილ იქნება და შეძლებისდაგვარად ფართოდ გავრცელდება, განსაკუთრებით მართლმსაჯულების ორგანოებს, ციხის პერსონალსა და ცალკეულ პატიმართა შორის.

Rec(2006)2-ის დანართი

[...]

ნაწილი I

ძირითადი პრინციპები

1. ყველა პირს, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, უნდა მოეპყრონ ადამიანის უფლებათა პატივისცემით.

[...]

4. ციხის პირობები, რომელიც ლახავს პატიმართა ადამიანის უფლებებს, არ შეიძლება გამართლებულ იქნას რესურსების ნაკლებობით.

[...]

10.3 წესები ასევე გამოიყენება იმ პირთა მიმართ:

ა. რომლებიც შეიძლება დააკავონ ნებისმიერი სხვა მიზეზით და მოათავსონ ციხეში; ან

ბ. რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იმყოფებიან ბადრაგის ზედამხედველობის ქვეშ ან აღკვეთილი აქვთ თავისუფლება როგორც ექვემდებარებულს და ასევე მათ, რომლებიც ნებისმიერი მიზეზით შეიძლება იყვნენ დაკავებული სადმე.

10.4 ყველა პირი, რომელიც დაკავებულია და მოთავსებულია ციხეში ან ვინც დაკავებულია იმგვარად, როგორც გათვალისწინებულია 10.3.ბ პარაგრაფით, ჩაითვლებიან პატიმრებად ამ წესების შესაბამისად.

11.1 18 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ მოთავსებულნი მოზრდილთა ციხეებში, არამედ მათი განთავსება უნდა მოხდეს დაწესებულებებში, რომლებიც განკუთვნილია არასრულწლოვანთათვის.

[...]

12.1 პირები, რომლებსაც აღენიშნებათ ფსიქიკური დაავადებები და, რომელთა მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუთავსებელია ციხეში მოთავსებასთან, მოთავსებულ უნდა იყვნენ ამ მიზნისათვის განკუთვნილ სპეციალიზებულ დაწესებულებებში.

[...]

13. ეს წესები გამოყენებული უნდა იქნას სამართლიანად, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობის კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა მდგომარეობათა საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.

[...]

20.1 პატიმრებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ადეკვატური ტანსაცმელი, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კლიმატისათვის შესაფერი ჩაცმულობით.

20.2 ასეთი ტანსაცმელი არ უნდა იყოს ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი.

[...]

22.1 პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კვებით რეჟიმით, რომელიც შეესაბამება მათ ასაკს, ჯანმრთელობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რელიგიას, კულტურას და მათი საქმიანობის სახეობას.

[...]

22.5 პატიმრებს შეუზღუდავად უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა სუფთა სასმელი წყლისადმი.

22.6 ექიმი ან კვალიფიციური ექთანი ნიშნავს ან ცვლილებები შეაქვს კონკრეტულ პატიმართა კვებით რაციონში, როდესაც ეს აუცილებელია სამედიცინო ჩვენების საფუძველზე.

[...]

23.1 ყველა პატიმარს აქვს იურიდიული დახმარების (კონსულტაციის) უფლება; ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ისინი სათანადო საშუალებებით ამგვარი დახმარების მისაღებად.

23.2 პატიმრებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე, მათ მიერ შერჩეულ იუტისტთან და მათივე ხარჯებით.

[...]

კავშირი გარე სამყაროსთან

24.1 პატიმარს საშუალება უნდა მიეცეს შეძლებისდაგვარი სისწორით ჰქონდეს კომუნიკაციები წერილების, სატელეფონო ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების საშუალებით მათ ოჯახებთან, სხვა პირებთან და სხვადასხვა მოქმედ ორგანიზაციებთან; ასევე ამ პირებს უნდა შეეძლოთ პატიმრებთან პაემნებზე მოსვლა.

[...]

აზროვნების, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლება

29.1 პატივი უნდა მიეგოს პატიმრის აზროვნების, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას.

[...]

29.3 პატიმარს არ შეიძლება აიძულონ რწმენისა და რელიგიის პრაქტიკა, დაესწროს რელიგიურ მსახურებას ან შეკრებას, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში ან მიიღოს ვიზიტად მყოფი ნებისმიერი რელიგიისა და რწმენის წარმომადგენელი.

[...]

უცხო ქვეყნების მოქალაქეები

37.1 პატიმრებს, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან დაყოვნების გარეშე უნდა ეცნობოთ მათი უფლებები მოითხოვონ მათი შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ მისიასთან ან საკონსულოსთან კონტაქტი და მიიღონ აღნიშნულისათვის ხელშეწყობა.

[...]

ეთნიკური ან ლინგვისტური უმცირესობები

38.1 უნდა განხორციელდეს შესაბამისი ზომები იმ პატიმართა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ ან ლინგვისტურ უმცირესობებს.

38.2 შესაძლებლობის ფარგლებში, ციხეში სხვადასხვა ჯგუფების კულტურული თავისებურებების გამოვლენა არ უნდა იქნას შეზღუდული.

38.3 ენობრივი საჭიროებები უნდა გადაწყდეს კომპეტენტური თარჯიმნის დახმარებით და ასევე კონკრეტულ ციხეში გამოყენებული ენების ასორტიმენტით წერილობითი მასალების მიწოდების უზრუნველყოფით.

[...]

სამედიცინო პროფესიონალის მოვალეობები

42.1 ექიმმა ან კვალიფიციურმა ექთანმა ექიმთან შეთანხმებით უნდა მოინახულოს თითოეული პატიმარი შეძლებისდაგვარად სწრაფად შესვლისთანავე და გასინჯონ პატიმრები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასინჯვა აშკარად არ არის საჭირო.

42.2 ექიმმა ან კვალიფიციურმა ექთანმა ექიმთან შეთანხმებით უნდა გასინჯოს პატიმარი მოთხოვნის შესაბამისად გათავისუფლებისას და სხვა ყველა საჭირო შემთხვევაში.

42.3 პატიმრის გასინჯვისას, ექიმი ან კვალიფიციური ექთანი ექიმთან შეთანხმებით განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე

[...]

გ. აფიქსირებს და ატყობინებს შესაბამის სტრუქტურებს ნებისმიერ ნიშანს ან მინიშნებას, რომელიც შეიძლება გააჩნდეს პატიმარს გამოწვეული არასათანადო მოპყრობის გამო;

[...]

48.1 პატიმრები არ შეიძლება ჩაერთონ რაიმენაირ ექსპერიმენტში მათი თანხმობის გარეშე.

48.2 აკრძალულია პატიმართა მონაწილეობით განხორციელებული ექსპერიმენტები, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს ამ უკანასკნელთა ფიზიკური დაზიანება, ფსიქიკური ტანჯვა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა.

[...]

დისციპლინა და დასჯა

56.1 დისციპლინური პროცედურები უნდა წარმოადგენდნენ უკანასკნელი ძალისხმევის პროცედურებს (როცა სხვა ყველა საშუალება ამოწურულია).

[...]

60.1 ნებისმიერი დასჯა რომელიც ხორციელდება დისციპლინური დარღვევის დადასტურების შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

60.2 ნებისმიერი სასჯელის სიმძიმე უნდა იყოს ჩადენილი დარღვევის პროპორციული.

60.3 უნდა აიკრძალოს კოლექტიური დასჯები, ფიზიკური (სხეულებრივი ანუ კორპორული) დასჯები, ბნელ საკანში მოთავსება და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი დასჯის სხვა ფორმები.

60.4 დასჯა არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულ აკრძალვას.

60.5 სამართლო საკნებში მოთავსება, როგორც დასჯის ფორმა, გამოყენებული უნდა იყოს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდში, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე.

60.6 შემზღუდავი ინსტრუმენტები არასოდეს არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც დასასჯელი საშუალება.

[...]

ძალის გამოყენება

64.1 ციხის პერსონალმა არ შეიძლება გამოიყენოს ძალა პატიმართა წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკანასკნელი აუცილებელია თავდაცვისათვის, პატიმართა გაქცევის აღკვეთისათვის ან კანონიერი მოთხოვნის მიმართ აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობის დროს; ამასთან ამგვარი ქმედება უნდა განხორციელდეს მხოლოდ, როგორც უკანასკნელი ძალისხმევა.

[...]

66. პერსონალს, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს პატიმრებთან, გავლილი უნდა ჰქონდეს მომზადება იმ ტექნიკაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ ძალის მინიმალურ გამოყენებას აგრესიულად განწყობილი პატიმრების შემაკავებელი ქმედების დროს.

[...]

შემზღუდავი საშუალებები

68.1 ჯაჭვის ან რკინის ნაკეთობათა გამოყენება უნდა აიკრძალოს.

68.2 ხელბირკილები, შემაკავებელი პერანგის და სხეულის სხვა შემზღუდავი საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული გარდა:

ა. თუ ეს აუცილებელია, როგორც წინასწარგათვლილი ზომა გაქცევის აღსაკვეთად პატიმართა გადაყვანის დროს, რომელიც ხორციელდება ამ უკანასკნელთა წარსადგენად სასამართლოში ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე, თუ ეს დასახელებული ორგანოები სხვაგვარად არ გადაწყვეტენ; ან

ბ. დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა მეთოდები მწყობრიდანაა გამოსული, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითდაზიანებები პატიმართა მხრიდან, სხვა პატიმართა დაზიანებები ან განხორციელდეს ქონების სერიოზული დაზიანების პრევენცია. ასეთ შემთხვევაში, დირექტორმა დაუყოვნებლივ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ექიმი და უპატაკოს ზემდგომ პენიტენციურ უწყებას.

68.3 შემზღუდავი საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული იმაზე მეტი ხნით, ვიდრე მათი გამოყენება გარდაუვალია აუცილებელი.

68.4 შემზღუდავ საშუალებათა გამოყენების წესი განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

იარაღი

69.1 ციხის პერსონალს ეკრძალება ატაროს სასიკვდილო იარაღი ციხის პერიმეტრში, გარდა ოპერატიული საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევებისა.

69.2 იარაღის, მათ შორის პოლიციის ხელკეტის ღია ტარების უფლება იმ პირების მიერ, რომლებსაც კონტაქტი აქვთ პატიმრებთან უნდა აიკრძალოს ციხის პერიმეტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი საჭიროა უშიშროებისა და უსაფრთხოების მიზნით, რაიმე კონკრეტულ ინციდენტთან გასამკლავებლად.

69.3 ციხის პერსონალს არ უნდა გადაეცეს იარაღი თუ მათ არ გაუვლიათ იარაღის გამოყენების სპეციალური მზადება.

მოთხოვნები და საჩივრები

70.1 პატიმრებს, ინდივიდურად ან ჯგუფურად უნდა ჰქონდეთ საჩივრის ან მოთხოვნის წარდგენის ფართო საშუალებები საპრობილის დირექტორის ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური უწყების მიმართ.

[...]

70.5 შესაბამისმა უწყებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი წერილობითი საჩივარი პატიმრის ნათესავებისაგან, სადაც ამ უკანასკნელთ აქვთ საბაბი ირწმუნონ, რომ პატიმრის უფლებები დარღვეულ იქნა.

70.6 პატიმართა კეთილდროებაზე მომუშავე არც ერთი ორგანიზაციის ან კანონიერი წარმომადგენლის საჩივარი არ უნდა იქნეს მიღებული პატიმართა სახელით, თუ პატიმრის თანხმობა არ არსებობს ასეთი საჩივრის წარსადგენად.

[...]

ციხის პერსონალის მომზადება

81.1 უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე, ციხის პერსონალმა უნდა გაიაროს მომზადების კურსი მათი ზოგადი და

სპეციფიკური მოვალეობების შესახებ და მათ უნდა მოეთხოვოთ გაიარონ თეორიული და პრაქტიკული ტესტირება.

[...]

81.4 ყველა პერსონალის ტრენინგი უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების და სტანდარტების შესახებ, განსაკუთრებით ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის, ევროპული კონვენციის წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის შესახებ, ასევე ევროპული ციხის წესების გამოყენების შესახებ.

[...]

ინსპექტირება და მონიტორინგი

სამთავრობო შემოწმება

92. სამთავრობო სააგენტოები რეგულარულად უნდა ახორციელებდნენ ციხეების ინსპექტირებას, იმისათვის რომ შეფასდეს მოქმედებენ თუ არა ისინი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად და ამ წესების მიხედვით.

დამოუკიდებელი მონიტორინგი

93.1 დაკავების ადგილებში არსებული პირობები და დაკავებულთა მიმართ მოპყრობა შეიძლება მონიტორირებულ იქნეს დამოუკიდებელი ორგანოს ან ორგანოების მიერ, რომელთა მიერ მოპოვებული შედეგები უნდა იყოს საჯარო

93.2 ასეთი დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოები შეიძლება თანამშრომლობდნენ ან იღებდნენ მხარდაჭერას იმ საერთაშორისო სააგენტოებისაგან, რომლებსაც იურიდიულად აქვთ უფლება შევიდნენ ციხეებში.

[...]

განსახველი პატიმრების, განსახველთა სტატუსი

94.1 ამ წესების მიხედვით, განსახველები არიან პატიმრები, რომლებსაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სასამართლო ორგანოების მიერ სასამართლო პროცესამდე და განაჩენის დადგომამდე.

[...]

განსახველ პატიმრებთან მიდგომა

95.1 განსახველთათვის რეჟიმის შერჩევას არ უნდა იყოს ისეთი მიდგომა, რომელიც დაუშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი ცნობილ იქნებიან დამნაშავედ მომავალში.

[...]

იურიდიული კონსულტაცია

98.1 განსახველ პირებს დეტალურად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი უფლების შესახებ მიიღონ იურიდიული დახმარება.

[...]

გარესამყაროსთან კავშირი

99. გარდა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაწესებული სპეციალური აკრძალვისა გარკვეული დროის განმავლობაში, განსახველებს:

ა. აქვთ პაემნების უფლება და ოჯახთან და სხვა პირებთან ურთიერთობის უფლება იმავე წესით, როგორც მსჯავრდებულ პატიმრებს;

[...]

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (98) 7 წევრი სახელმწიფოების მიმართ, ციხეებში სამედიცინო მომსახურების ეთიკური და ორბანიზაციული ასპექტების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1998 წლის 8 აპრილს)

ევროსაბჭოს წესდების 15.ბ მუხლის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა, რომ სამედიცინო პრაქტიკა საზოგადოებაში და ციხეების პირობებში უნდა წარმართებოდეს მსგავსი ეთიკური პრინციპებით;

აცნობიერებს რა, რომ პატიმართა ძირითადი უფლებების პატივისცემა მოიცავს მათთვის ზოგადად საზოგადოებისათვის ეკვივალენტური პრევენციული მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გაწევას;

აღიარებს რა, რომ პრაქტიკოსი ექიმები ციხეში ხშირად აწყდებიან რთულ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვება ციხის ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის კონფლიქტური მოლოდინების გამო, რომლის გამოც პრაქტიკოსი ექიმი განუხრელად უნდა იცავდეს ეთიკურ მითითებებს;

მხედველობაში იღებს რომ ციხის ექიმის, ჯანდაცვის სხვა პროფესიონალთა, პატიმრებისა და ციხის ადმინისტრაციის ინტერესებში შედის უზრუნველყოფილი იყოს ციხეში ჯანმრთელობაზე უფლების მკაფიო ხედვა და ციხის ექიმისა და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალთა განსაკუთრებული როლი;

ითვალისწინებს ციხეებში შექმნილი სპეციფიკური პრობლემური სიტუაციები, როგორცაა გადატვირთულობა, ინფექციური დაავადებები, წამლისმიერი დამოკიდებულება, ფსიქიკური დარღვევები, ძალადონა, საკანში შეზღუდულობა ან ჩხრეკა მოითხოვს უმაღლეს ეთიკურ პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკის წარმოებისას;

ეყრდნობა რა, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას, ევროპის სოციალურ ქარტიას და კონვენციას ადამიანის უფლებათა და ბიომედიცინის შესახებ;

ეყრდნობა რა, წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ევროპულ კონვენციას, ასევე ციხეებში ჯანდაცვის მომსახურებების შესახებ რეკომენდაციებს, რომელიც ფორმულირებულია CPT-ის საქმიანობის მე-3 ზოგად ანგარიშში

ეყრდნობა ევროპის ციხეების შესახებ წესების რეკომენდაციას №R (87) 3, რომელიც ხელს უწყობს ციხეებში პატიმართა ჰუმანურობისა და ღირსების მინიმალურ სტანდარტებს,

ეყრდნობა რეკომენდაციას № R (90) 3 ადამიანებზე კვლევების შესახებ, რეკომენდაცია №R (93) 6, რომელიც შეეხება განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა საპატიმროებისა და კრიმინოგენულ ასპექტებს. 1993 წლის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებს აივ და შიდსის შესახებ ციხეებში.

ითვალისწინებს ევრო-საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს 1235 (1994) ფსიქიატრიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ და 1257 (1995) პატიმრობის პირობების შესახებ.

ეყრდნობა სამედიცინო ეთიკის პრინციპებს: გაეროს 1982 წლის, ტოკიოს დეკლარაციას (1975 წ.), მალტის დეკლარაციას იმ პირთა შესახებ, რომელთაც გამოაცხადეს შიმშილობა და პატიმართა პირადი შემოწმების შესახებ განცხადებებს (1993 წ.)

ეყრდნობა რა მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის (WMA) სპეციფიკურ დეკლარაციებს სამედიცინო ეთიკის შესახებ, კერძოდ ტოკიოს დეკლარაციას (1975), მალტის დეკლარაციას შიმშილობის შესახებ (1991) და დადგენილებას პატიმართა ჩხრეკის შესახებ (1993);

შენიშნავს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში ციხის ჯანმრთელობის დაცვითი მომსახურებების სტრუქტურულ, ორგანიზაციულ და მარეგულირებელ რეფორმებს, კერძოდ შესაბამის ქვეყნებში მიმდინარე ჯანდაცვის სისტემების რეფორმებთან მიმართებაში

მხედველობაში მიიღოს წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებსაც ესაჭიროებათ რეკომენდაციათა დანერგვა როგორც ფედერალურ ისე სახელმწიფო დონეებზე.

რეკომენდაციას აძლევს ყველა მონაწილე ქვეყანას

- ციხეებში ჯანდაცვითი ღონისძიებების კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკული განხორციელების გადახედვისას, გაითვალისწინოს საკანონმდებლო ბაზისა თუ პრაქტიკული სამედიცინო მომსახურების სფეროში დანართში მოცემული პრინციპები და რეკომენდაციები.

- უზრუნველყოს ამ რეკომენდაციების და მისი განმარტებითი შემორანდუმის მაქსიმალური გავრცელება, და ამ დროს სპეციალური ყურადღება გაამახვილოს ყველა ინდივიდზე და სტრუქტურაზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ციხეებში პრევენციული მკურნალობის და ჯანდაცვითი ღონისძიებების ორგანიზაციასა და განხორციელებაზე.

R (98) 7 რეკომენდაციის დანართი

I. ციხეებში სამედიცინო მომსახურების ძირითადი მახასიათებლები

A) ექიმის ხელმისაწვდომობა

1. ციხეში შემოსვლისას და, შემდგომში, პატიმრობისას, პატიმარს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ექიმთან ან კვალიფიციურ ექთანთან მიმართვის შესაძლებლობა, მიუხედავად პატიმრობის რეჟიმის სიმკაცრისა და დაუყოვნებლივ, თუკი ამას მოითხოვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ყველა პატიმარი უნდა სარგებლობდეს შესაძლებლობით გაიაროს სამედიცინო შემოწმება შემოსვლისთანავე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს გამოკვლევას ფსიქიკური აშლილობის

განსაზღვრისათვის, ციხის პირობებისადმი ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, ნარკოტიკების, მედიკამენტების ან ალკოჰოლის მიღების შეწყვეტის შედეგად განვითარებულ შეკავების სიმპტომებს, ასევე გადაძვება და ქრონიკულ დაავადებებს.

[...]

C. პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა

13. საექიმო საიდუმლო უნდა იყოს გარანტირებული და დაცული ისევე მკაცრად, როგორც მთელი მოსახლეობის შემთხვევაში.

14. თუკი პაციმარი არ არის დაავადებული რაიმე დაავადებით, რომელმაც გამოიწვია უუნარობა გაიგოს თავისი მდგომარეობის სირთულე, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლება მისცეს ექიმს გაცნობიერებული თანხმობა ფიზიკური გამოკვლევის ან ანალიზის ჩატარებაზე, იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც მითითებულია კანონში. აუცილებელია მკაფიოდ აესხნას პაციმარს, ხოლო მას უნდა ესმოდეს, ამგვარი გამოკვლევის აუცილებლობა. ამა თუ იმ მედიკამენტის ჩვენება და ასევე უკუჩვენებანი უნდა განემარტოს პაციმარს.

[...]

D. პროფესიული დამოუკიდებლობა

19. ექიმებმა, რომლებიც ციხეში მუშაობენ თითოეულ პაციმარს უნდა მიაწოდონ იმავე სტანდარტების ჯანდაცვის მომსახურება, რაც ხორციელდება ციხის გარეთ პაციენტებისადმი. პაციმართა ჯანმრთელობის საჭიროებანი ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს ექიმის უპირველეს საზრუნავს.

20. კლინიკური გადაწყვეტილებანი და დაკავებულ პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი უნდა იქნას გადაწყვეტილი მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებით. ჯანდაცვის მუშაკები საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ სრული დამოუკიდებლობის და მათი კვლავიფიკაციისა და კომპეტენციის ფარგლებში.

[...]

II. ციხის ექიმისა და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალთა სპეციფიკური როლი ციხის პირობებში

[...]

C) პათოლოგიის განსაკუთრებული ფორმები და პროფილაქტიკური ღონისძიებები ციხეებში

30. ძალადობის ნებისმიერი ნიშნები, რომლებიც პაციმრის ციხეში მიყვანისას გამოკვლევის შედეგად იქნება გამოვლენილი, პაციმრის განმარტებებითა და ექიმის დასკვნებთან ერთად ექიმის მიერ მთელი მოცულობით უნდა იქნას წერილობით დაფიქსირებული. ამის გარდა, ეს ინფორმაცია პაციმრის თანხმობით უნდა მიეწოდოს ციხის ადმინისტრაციის.

31. ყოველგვარი ინფორმაცია პაციმრის მიმართ ციხეში ძალადობის გამოყენების შესახებ უნდა იქნას გაგზავნილი შესაბამის ორგანოში. როგორც წესი ეს შესაძლებელია მხოლოდ პაციმრის თანხმობით.

32. ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, და ნებისმიერ შემთხვევაში პროფესიული ეთიკის მკაცრად შესაბამისად, პაციმრის გაცნობიერებული თანხმობა არ არის აუცილებელი, კერძოდ, თუკი ექიმის აზრით, მას ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა პაციენტისა და სხვა პაციმრების წინაშე სერიოზული ინციდენტის, რომელიც წარმოადგენს რეალურ საფრთხეს, გამჟღავნებაზე. სამედიცინო სამსახური უნდა აგროვებდეს, თუკი აუცილებელია, სტატისტიკურ მონაცემებს გამოვლენილ ტრავმათა შესახებ, იმ მიზნით, რომ გადასცეს ციხის ხელმძღვანელობასა და შესაბამის სამინისტროებს, მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

[...]

III. ციხეებში სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია, ზოგიერთი გავრცელებული პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული მაგალითებით

[...]

F. ძალადობა ციხეში: დისციპლინარული პროცედურები და სანქციები, დისციპლინარული იზოლაცია, ფიზიკური შეზღუდვა, განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმი

64. პაციმრები, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო აქვთ ძალადობის შიში, მათ შორის შესაძლო სექსუალური შევიწროებისა სხვა პაციმრების მხრიდან, ან არც თუ დიდი ხნის წინათ ძალადობის მსხვერპლი პაციმრები ან პაციმრები, რომელთაც მიიღეს ტრავმა სხვა პაციმრებისაგან, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ზედამხედველთა დაცვით.

65. ექიმის ფუნქციაში არ შეიძლება შედიოდეს გამართლება ან წაყრუება ზედამხედველთა მხრიდან ძალის გამოყენების მიმართ. ზედამხედველნი თვითონ არიან პასუხისმგებელნი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე.

66. დისციპლინარული იზოლაციის სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი დისციპლინარული სასჯელის ან უსაფრთხოების ზომების გამოყენებისას, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნეგატიური შედეგები პაციენტის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობისათვის, სამედიცინო პერსონალმა უნდა აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება ასეთი პაციენტის თხოვნით ან ციხის პერსონალის თხოვნით.

**მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (99) 3
წევრი სახელმწიფოების მიმართ,
სასამართლო-სამედიცინო აუტოფსიის
(ბაკმეის) წესების ჰარმონიზაციის შესახებ**

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 2 თებერვალს)

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის თანახმად,

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მიზანს რომელიც წარმოადგენს მის წევრებს შორის სრული ერთიანობის მიღწევას,

პატივს სცემს, რა იმ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციაში და კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც კრძალავს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას და დასჯას და ასევე სიცოცხლის უფლებას,

აცნობიერებს, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ნორმალურ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს აუტოფსიების წარმოება სიკვდილის მიზეზისა და სახეობის დასადგენად სამედიცინო-იურიდიული ან სხვა მიზნით ან გარდაცვლილის იდენტიფიკაციის დასადგენად;

ითვალისწინებს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წარმოების მსხვერპლთა და მათი ოჯახებისადვის კომპენსაციის მნიშვნელობას;

სახს უსვამს გამოკვლევის, აღწერის, ფოტოდოკუმენტირებისა და ნიმუშის აღების მნიშვნელობას მედიკო-ლეგალური აუტოფსიების დროს და ამ დროს უპირველეს ყოვლისა სამედიცინო და სამეცნიერო პრინციპების გათვალისწინებას; ამავდროულად იურიდიული და საპროცესო მოთხოვნების დაცვას;

აღიარებს, რომ ევროპისა და მსოფლიოში მოსახლეობის გაზრდილი მობილობა, ასევე სამართალწარმოების მასშტაბების ზრდა, მოითხოვს ერთიანი გაიდლაინების მიღებას აუტოფსიების მეთოდებთან დაკავშირებით; ასევე გაკვეთის ოქმების ერთიანი სტანდარტების შემოღებას;

მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოს შეთანხმებას გარდაცვლილთა გვამების გადაცემის შესახებ (ევროპული ხელშეკრულების სერიები №80) და ამ სირთულეებს, რომლებიც ხშირად წარმოიშვება მიმღები ქვეყნისათვის, როდესაც ხდება გარდაცვლილი პირის გვამი რეპატრაცია ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში;

დარწმუნებულია აუტოფსიის სათანადო პროცედურების მნიშვნელობაში, განსაკუთრებით უკანონო დასჯის და მკვლელობების შემთხვევების სააშკარაოზე გამოტანაში, რომლებსაც ახორციელებენ აუტორიტარული რეჟიმები;

სახს უსვამს სასამართლო სამედიცინო ექსპერტების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის საჭიროებას, ასევე მათთვის საჭირო აუცილებელი ტექნიკური საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობას, რათა მათ სათანადოდ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები და მოხდეს მათი მიმზადების ხელშეწყობა;

აღიარებს ეროვნული ხარისხის კონტრილის სისტემების მნიშვნელობას, სასამართლო სამედიცინო გაკვეთების სათანადოდ წარმართვისათვის;

სახს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტიცების აუცილებლობას, ევროპულ დონეზე სასამართლო-სამედიცინო გაკვეთების პროცედურების პროგრესული ჰარმონიზაციის მიზნით;

ითვალისწინებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 43-ე რიგითი სესიის მიერ მიღებულ რეკომენდაციას №1159 (1991), გაკვეთის წესების ჰარმონიზაციის შესახებ;

აღიარებს გაერთიანებული ერების “გაკვეთის ოქმის მოდელ”ს, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1991 წელს;

მხედველობაში მიიღოს “კატასტროფათა მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ინსტრუქციები”, რომელიც მიღებულია სისხლის სამართლის

საერთაშორისო პოლიციის (ინტერპოლი) ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ,

1. წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს რეკომენდაციას უწევს:

i. შემოიღონ ამ რეკომენდაციის შესაბამისი პრინციპები და წესები, მათი შიდა სტანდარტების რანგში;

ii მიიღონ და გააძლიერონ (გამომდინარე შემთხვევიდან) ყველა შესაბამისი ზომა ამ რეკომენდაციაში მოცემული წესებისა და პრინციპების პროგრესული იმპლემენტაციისათვის;

iii დააწესოს ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რათა მიღწეულ იქნას ამ რეკომენდაციაში შესული წესებისა და პრინციპების სათანადო იმპლემენტაცია.

2. მოუწოდებს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს რათა მათ მიაწოდონ ინფორმაცია ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მისი მოთხოვნის შესაბამისად, იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება ამ რეკომენდაციაში ასახული პრინციპებისა და წესების შესაბამისად.

სასამართლო-სამედიცინო აუტოფსიის პროცედურების პრინციპები და წესები

რეკომენდაციების ჩარჩოები

1. ისეთ, შემთხვევებში, როდესაც სიკვდილი შეიძლება გამოწვეული არ იყოს ბუნებრივი გზით, უფლებამოსილმა უწყებამ, ერთი ან რამდენიმე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის თანხლებით, უნდა ჩაატაროს შესაბამისი გამოკვლევები, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, გამოიკვლიოს სხეული და გადაწყვიტოს გაკვეთის ჩატარების მიზანშეწონილობა.

2. აუტოფსია უნდა ჩატარდეს ყველა აშკარა ან საეჭვო ნაძლადევი სიკვდილის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც გასულია საკმარისი დრო გამოწვევი მიზეზისა და სიკვდილის დადგომის შორის; კერძოდ, როდესაც ხდება:

[...]

გ. ადამიანის უფლებათა დარღვევას, როგორცაა ეჭვი წამებაზე ან არაადამიანური მიპყრობის ნებისმიერი სხვაფორმა;

[...]

ეუთოს (OSCE/CSCE) მიერ მიღებული დოკუმენტები

მესამე უმაჯამბაელი სხდომის დასკვნითი დოკუმენტი

ვენა, ავსტრია, 15 იანვარი, 1989 წელი

[...]

(23) მონაწილე სახელმწიფოები

(23.1) უზრუნველყოფენ დამნაშავე პირის დაპატიმრებას, დაკავებას ან გაძევებას

(23.2) – უზრუნველყოფენ, რომ ნებისმიერ ინდივიდს, რომელიც იქნება დაკავებული ან დაპატიმრებული, მოექცნენ ჰუმანურად და პატივი სცენ მის ღირსებას

(23.3) – უზრუნველყოფენ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებით და ასევე გაეროს ქცევის კოდექსის (კანონდამსრულებელი ჩინოსნებისათვის) დაცვას

(23.4) კრძალავენ წამებას, ან სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას, იღებენ ეფექტურ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, იურიდიულ და სხვა ზომებს ასეთი პრაქტიკის პრევენციისათვის

(23.5) განიხილავენ ხელმოწერას კონვენციაზე კონვენციაზე წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ, თუ მათ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ

(23.6) იცავენ ინდივიდებს ნებისმიერი ფსიქიატრიული ან სხვა სამედიცინო პრაქტიკისაგან, რაც აღევს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს და იღებენ ეფექტურ ზომებს აკრძელონ და მოახდინონ ასეთი პრაქტიკის პრევენცია

[...]

კოპენჰაგენის უხვფერის დოკუმენტი - ეუთოს ადამიანური ბანზოშილება

კოპენჰაგენი, 29 ივნისი, 1990

(16) მონაწილე სახელმწიფოები

(16.1) კვლავ ადასტურებენ საკუთარ ვალდებულებას მოახდინონ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის

ფორმების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და პრევენცია, მიიღონ ეფექტური ზომები ასეთი პრაქტიკის პრევენციისათვის, დაიცვან ინდივიდი ნებისმიერი ფსიქიატრიული ან სხვა სამედიცინო პრაქტიკისაგან, რაც აღევს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს და მიიღონ ეფექტური ზომები ასეთი პრაქტიკის პრევენციისათვის

(16.2) განზრახული აქვთ, გადაუდებელ და სასწრაფო რეჟიმში, განიხილონ ხელმოწერა კონვენციაზე წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ თუ მათ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და აღიარონ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის კომპეტენციები (კონვენცია, მუხლი 21 და 22) და გააუქმონ კომიტეტის კომპეტენტურობასთან დაკავშირებული რეზერვაციები (მუხლი 20)

(16.3) აცხადებენ, რომ არანაირი გამონაკლისი შემთხვევა, იქნება ეს ომის მდგომარეობა, შიდა პოლიტიკური არასტაბილური თუ სხვა რაიმე საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც წამების გამამართლებელი მდგომარეობა

(16.4) უზრუნველყოფს, რომ განათლება და ინფორმაცია რომელიც უკავშირდება წამების აკრძალვას, შეტანილი იქნას კანონდარდების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, საზოგადოებრივი ჩინოვნიკების და სხვა ოფიციალური პირების სატრენინგო პროგრამებში, რომლებიც შეიძლება მონაწილეობდნენ ნებისმიერი დაკავებული ან დაპატიმრებული ინდივიდის კონტროლის, დაკითხვისა ან მკურნალობის პროცესში

(16.5) განახორციელებს, როგორც დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკის, ასევე მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვისა და მკურნალობის ღონისძიებების სისტემატურ გადახედვას, წამების შემთხვევების პრევენციის მიზნით

(16.6) განიხილავს წამების ნებისმიერ ფაქტს, შემთხვევას ან სხვა არაჰუმანურ ან დამამცირებელი მოპყრობას, რომელიც გახდა მათთვის ცნობილი ოფიციალური არხების ან სხვა სანდო საინფორმაციო წყაროების საშუალებით, ეუთოს ჰუმანური განზომილების საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტურ დანერგვასა და გამოყენებასთან

შესაბამისობაში და შეთანხმებული პროცედურების მიხედვით

(16.7) მოქმედებს შეთანხმების მიხედვით, რომ ადამიანის სიცოცხლის დაცვა და გარანტირება, ასევე ნებისმიერი ინდივიდის უსაფრთხოება, რომელიც გახდა წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის მსხვერპლი, უნდა გახდეს ერთადერთი კრიტერიუმი პრიორიტეტების დასადგენად, რათა მიღებული იქნას შესაბამისი დაცვის ზომები; და, აქედან გამომდინარე, წამების ნებისმიერი შემთხვევის და სხვა არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხილვა ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოებში არ შეიძლება იქნას განხილული როგორც განხილვისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებისაგან თავისშეკავების მიზეზი, ეუთოს ჰუმანური განზომილების საკითხთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტურ დანერგვასა და გამოყენებასთან შესაბამისობაში და შეთანხმებული პროცედურების მიხედვით

**ეუთოს კონფერენცია ადამიანური
განზომილების შესახებ,
მოსკოვის უმხვედრის ღოკუმნტი**

მოსკოვი, 3 ოქტომბერი, 1991

[...]

(23) მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ყველა თავისუფლებააღკვეთილი პიროვნების ღირსებას და დაიცვას სამართლის ადმინისტრირებისა და დაკავებულთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტები

(23.1) მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:

(i) არავინ იქნას დაკავებული ისეთ საფუძველზე, რომელიც არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებთან

(ii) ნებისმიერი დაკავებული პირის დროული ინფორმირება დაპატიმრების მიზეზებისა და ბრალდებების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე

(iii) ნებისმიერი თავისუფლებააღკვეთილი პირის დროული ინფორმირება მისი უფლებების შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით

(iv) ნებისმიერ დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს აქვს უფლება დროულად წარსდგეს სასამართლოს ან სხვა ოფიციალური ორგანოს

წინაშე, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს მისი დაკავების კანონიერება და იმ შემთხვევაში, თუ მისი დაკავება უკანონო დაუყოვნებლივ მოხდეს მისი განთავისუფლება

(v) ნებისმიერი დაკავებული პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული, უფლება აქვს დაიცვას საკუთარი თავი ან მოითხოვოს იურიდიული დახმარება ან თუ აღნიშნული არ იქნება საკმარისი გადაიხადოს დამატებითი იურიდიული დახმარებისთვის, რომელიც მას ეკუთვნის უფასოდ თუ ამას მოითხოვს სასამართლოს ინტერსები

(vi) ნებისმიერი დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს უფლება დაუყოვნებლივ მოითხოვოს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა აცნობონ მის მიერ დასახელებულ შესაბამის პირებს მისი დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე; ნებისმიერ შეზღუდვა ამ მიმართულებით დაუშვებელია და ითვალისწინებს სასჯელს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

(vii) მიღებული იქნება ეფექტური ზომები, თუ ეს ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული, იმისათვის რომ სამართალ შეფარდების ორგანოებმა არ ისარგებლონ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მდგომარეობით, რათა აიძულონ ის აღიაროს, ან საკუთარ თავზე აიღოს დანაშაული ან ჩვენება მისცეს სხვა პირის წინააღმდეგ

(viii) უნდა მოხდეს დაკითხვის და მათ შორის ინტერვიუების ხანგრძლივობის დოკუმენტირება და სერტიფიცირება, ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში

(ix) დაკავებული პირი ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია მოითხოვოს მკურნალობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასზე გამოყენებული იქნა წამება ან სხვა სასტიკი, არაპუმანური ან დამამცირებელი ქმედება, და აღნიშნულის თაობაზე თხოვნით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაკავების დაწესებულებების ადმინისტრირებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც აღჭურვილი არიან დაცვის უფლებით;

(x) ასეთი თხოვნა ან საჩივარი დრულად უნდა იქნას განხილული და გაეცეს შესაბამისი პასუხი დაყოვნების გარეშე; იმ შემთხვევაში თუ თხოვნაზე ან საჩივარზე არის უარყოფითი პასუხი ან პასუხის დაყოვნების შემთხვევაში, მომჩივანი უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ

ორგანოებს; დაუშვებელია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის პასუხისმგებლობის დაყენება, იმის გამო რომ მან შეიტანა თხოვნა ან სარჩელი

(xi) ნებისმიერი ადამიანს, რომელიც გახდა უკანონო დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, უნდა ქონდეს იურიდიული უფლება მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია

(23.2) მონაწილე ქვეყნებმა

(i) უნდა სცადონ მიიღონ შესაბამისი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, რათა ხელი შეუწყონ დაკავებული ან დაპატიმრებული პირების პირობების გაუმჯობესებას;

(ii) განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ პატიმრობის ალტერნატიულ საკითხებზე

[...]

ევროპის უსაზღვრობის ქარტია

სტამბოლი, 1999 წლის 19 ნოემბერი

[...]

II. ჩვენი საერთო საფუძვლები

7. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ სრულ მხარდაჭერას გაეროს წესდების, და პელსინკის დასკვნითი აქტის, პარიზის ქარტიის და ეუთოს ყვლა სხვა დოკუმენტის მიმართ. აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ ჩვენს საერთო ვალდებულებებს და საუბრებს ჩვენი საქმიანობისათვის. ისინი გვეხმარებიან ჩვენ დავასრულოთ ძველი კონფრომტაციები ევროპაში და დავიწყოთ დემოკრატიის, მშვიდობის და სოლიდარობის ახალი ერა ეუთოს ზონაში. მათ დააფუძნეს მონაწილე ქვეყნების და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ინდივიდის ურთიერთობის და თანამშრომლობის ახალი სტანდარტები. ეუთოს ვალდებულებები და მოვალეობები თანაბრად ეხება თითოეულ მონაწილე ქვეყანას, გამონაკლისის გარეშე. მათი დანერგვა და გამოყენება აუცილებელია სახელმწიფოებს, მთავრობებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობის განვითარებისათვის და ასევე იმ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების გასამყარებლად, რომელთა წევრებადაც ისინი გვევლინებიან. მონაწილე ქვეყნებს გააჩნიათ ვალდებულებები საკუთარი მოქალაქეების წინაშე და აკისრიათ გარკვეული პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ. აღნიშნული ვალდებულებები განიხილება

როგორც ჩვენი ერთობლივი მიღწევა და აქედან გამომდინარე ჩვენ განვიხილავთ მათ როგორც გადაუღებელ და და ლეგიტიმაციის მქონე საკითხს, ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის.

[...]

ადამიანური განზომილება

19. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიის და სამართლებრივი ნორმის პატივისცემა წარმოადგენს ეუთოს უსაფრთხოების ეოვლისმომცველი კონცეფციის მთავარ ბირთვს. ჩვენ ვადასტურებთ ვთვლით თავს წინ აღუდგეთ ისეთ მუქარებს როგორცაა: ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა, თავისუფალი აზროვნების, რელიგიის ან რწმენის, არატოლერანტულობის მანიფესტაციების, აგრესიული ნაციონალიზმის, რასიზმის, შოვინიზმის, ქსენოფობიის და ანტისემიტის ჩათვლით. იმ ადამიანთა დაცვა და მხარდაჭერა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს დემოკრატიის, მშვიდობის, სამართლიანობის და სტაბილურობის განვითარებისათვის მონაწილე სახელმწიფოებში და მათ შორის. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებებს, განსაკუთრებით კი, კოპენჰაგენის ჰუმანური განზომილების დოკუმენტის (1990) პრინციპებთან შესაბამისობაში, და შეგახსენებთ უნევის 1991 წლის ეროვნულ უმცირესობების ექსპერტთა სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებას. ადამიანის უფლებების სრული პატივისცემა, ეროვნულ უმცირესობების ჩათვლით, --- გააძლიერებს ტერიტორიულ ინტეგრაციას და სუვერენიტეტს. ავტონომიის განსხვავებული პრინციპები, ისევე როგორც სხვა მიდგომები, რომელიც მოყვანილია ზემოთხსენებულ დოკუმენტებში, და შესაბამისობაშია ეუთოს პრინციპებთან, მოიცავს გზებს იმისათვის, რომ დაგიცვათ ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტურობა მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში. ჩვენთვის მიუღებელია ძალადობა ნებისმიერი უმცირესობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიდებთ პასუხისმგებლობას მივიღოთ შესაბამისი ზომები ტოლერანტობის პრომოციისათვის და პლურალისტური საზოგადოების შესაქმნელად, სადაც ნებისმიერი პიროვნებას, მათი ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, ექნებათ თანაბარ უფლებები. ნდა აღინიშნოს, რომ საკითხები, რომლებიც უკავშირდება ეროვნულ უმცირესობებს, შეიძლება გადაწყდეს დადებითად მხოლოდ დემოკრატიულ და

სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ჩარჩოებში.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება და არავის შეუძლია ჩამოართვას მათ ეს უფლება. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის რომ ყველა ადამიანმა შეძლოს სარგებლობა აღნიშნული უფლებებით. ჩვენ ასევე ვიდებთ ვალდებულებას გავაგრძელოთ იმ პირების საერთაშორისო დაცვა, რომელთაც არ გააჩნიათ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა

[...]

21. ჩვენ ვადასტურებთ ვართ აღმოვფხვრათ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრაქტიკა ეუთოს ზონაში. ამ მიზნით, უნდა განხორციელდეს პროცედურული და სუბსტანციური დაცვის პრომოცია, რათა შევებრძოლოთ აღნიშნულ პრაქტიკას. დავეხმარებით ძალადობის მსხვერპლთ და ვითანამშრომლებთ შესაბამის საერთაშორისო და არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან.

[...]

ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტები

ევროკავშირის საყოველთაო უფლებების ქარტია

ნიცა, საფრანგეთი, 7 დეკემბერი 2000

[...]

თავი I - ღირსება

**მუხლი 1
ადამიანის ღირსება**

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. აუცილებელია პატივი ვცეთ და დავიცვათ ადამიანის ღირსება.

**მუხლი 4
წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა**

არც ერთი პიროვნება არ უნდა გახდეს წამებისა ან არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი.

[...]

თავი VI - სამართლიანობა

მუხლი 47

ეფექტური დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება

იმ შემთხვევაში თუ ადამიანი, რომლის უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია კანონმდებლობით, ხდება ძალადობის მსხვერპლი, იგი უფლებამოსილია მიიღოს ეფექტური სასამართლო დაცვა იმ პირობებთან შესაბამისობაში, რომელიც მოყვანილია აღნიშნულ მუხლში.

ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია მისი შემთხვევა იქნას მოსმენილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ყველას უნდა ქონდეს უფლება მიიღოს კომპეტენტური რჩევა, დაცვა და ინფორმაცია.

იურიდიული დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც განიცდის რესურსების ნაკლებობას, იმდენად რამდენადაც ასეთი დახმარება აუცილებელია ეფექტური სამართლიანობის მისაღწევად.

თავი VII - ზოგადი დებულებები

**მუხლი 51
სფეროები**

1. აღნიშნული ქარტიის ნორმები ეხება კავშირის დადგენილებებსა და ძირითად დებულებებს, დამატებით სუბსიდიური პრინციპების დაცვით და წვერ სახელმწიფოებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ისინი იყენებენ კავშირის კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, მათ მოეთხოვებათ პატივი სცენ მასში მოყვანილ უფლებებს, დაიცვან პრინციპები და ხელი შეუწყონ მათ აპლიკაციას უფლებებთან შესაბამისობაში

2. აღნიშნული ქარტია საზოგადოებისა ან კავშირისთვის არ ქმნის არანაირ ახალ ძალას ან ამოცანას და არ ახდენს იმ უფლებებისა და ამოცანების მოდიფიკაციას, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებებით

მუხლი 52

გარანტირებული უფლებების გამოყენების ფარგლები

1. აღნიშნული უფლებების და თავისუფლებების გამოყენებაზე ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც აღიარებულია აღნიშნული ქარტიის მიხედვით, უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის საფუძველზე. პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, შეზღუდვები უნდა განხორციელდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ შემთხვევაში თუ ისინი ზუსტად პასუხობენ კავშირის მიერ აღიარებულ

საერთო მიზნებს ან ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მოთხოვნებს

2. უფლებების, რომლებიც აღიარებულია აღნიშნული ქარტიის მიხედვით და რომლებიც ეფუძნება საზოგადოებრივ ხელშეკრულებებს ან ევროკავშირის ხელშეკრულებას, გამოყენება უნდა მოხდეს აღნიშნულ ხელშეკრულებებში მოყვანილი პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით

3. იმდენად რამდენადაც, აღნიშნული ქარტია მოიცავს უფლებებს, რომელიც შეესაბამება “ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ კონვენციით” გარანტირებულ უფლებებს, აღნიშნული უფლებების მნიშვნელობა და გამოყენების სფერო იქნება ისეთივე როგორც ეს არის კონვენციაში მოყვანილ უფლებების შემთხვევაში. აღნიშნული დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კავშირის კანონმდებლობას, რომელიც არის უფრო ფართო მასშტაბიანი დაცვის გარანტი

მუხლი 53

დაცვის დონე

აღნიშნულ ქარტიაში არაფერი არ შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა, როგორც ეს აღიარებულია კავშირის და საერთაშორისო კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლის წევრებიც არიან კავშირი, საზოგადოება და ყველა წევრი სახელმწიფო, ევროპის ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის და წევრი ქვეყნების კონსტიტუციების ჩათვლით

მუხლი 54

უფლებების გადამეტების აკრძალვა

აღნიშნულ ქარტიაში არაფერი არ შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ნებისმიერი უფლების გამოყენება ისეთი ქმედებების გასახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დესტრუქციას ან მათ უფრო ფართომასშტაბიან შეზღუდვას, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ქარტით

მისამამი ძველნაშობი წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის შესახებ ევროკავშირის კოლიტიპის გაილქანიეპი

მიღებულია გენერალური საქმეების საბჭოს მიერ, ლუქსემბურგი, 9 აპრილი, 2001

მიზანი

აღნიშნული გაიდლაინების მიზანია ევროკავშირის უზრუნველყოფა ოპერაციული იარაღით მესამე ქვეყნებთან კონტაქტების დასამყარებლად ყველა დონეზე და ადამიანის უფლებების მრავალფეროვან ფლორაში, რაც ითვალისწინებს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრას მსოფლიოს ყველა რეგიონში. ტერმინი “წამება” გამოყენებულია მოცემულ გაიდლაინებში, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომელიც მოყვანილია კონვენციაში წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ (მუხლი 1). აღნიშნული გაიდლაინების მიხედვით სასტიკი მოპყრობა გულისხმობს სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, ფიზიკური დასჯის ჩათვლით, რაც მოქმედებს ინდივიდის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. თუმცა სპეციფიური დამოკიდებულებები წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან ეს არის გაიდლაინების უპირველესი მიზანი; გაიდლაინები ასევე ხელს შეუწყობს ევროკავშირის ადამიანის უფლებების პოლიტიკის განვითარებას ზოგადად

შესავალი

ევროკავშირი ეფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის პრინციპებს და სამართლიანობის ნორმებს. აღნიშნული პრინციპები საერთოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ადამიანის უფლებების პატივისცემა ეს არის ერთ ერთი ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორი ევროკავშირის ზოგადი უცხოეთის და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ძირითადი მიზნებს შორის.

წამება და სასტიკი მოპყრობა ითვლება ადამიანის უფლებებისა და მისი ღირსების შელახვის ყველაზე მძიმე ფორმად.

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით არც ერთი ადამიანი არ უნდა გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შელახველი მოპყრობისა და დასჯის ობიექტი. საერთაშორისო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული არანაირი გამონაკლისის დაშვება ამ მიმართულებით. ყველა ქვეყანა ვალდებულია მიმართოს წამების და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმის უპირობო აკრძალვას. მიუხედავად იმ ძალისხმევისა რაც ხორციელდება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, წამების და სასტიკი მოპყრობის

პრაქტიკა მაინც არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. წამებასა და სასტიკი მოპყრობაში დამნაშავეთა დაუსჯელობის ფაქტები კვლავ პრევალირებს ბევრ ქვეყანაში.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენცია და აღმოფხვრა ევროკავშირის ზონასა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეს არის პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ამ უფლებების პრომოცია და დაცვა წარმოადგენს ევროკავშირის ადამიანის უფლებების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი.

თავის საქმიანობაში, წამების და სასტიკი მოპყრობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიმართულებით, ევროკავშირი ხელმძღვანელობს შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური ნორმებითა და სტანდარტებით ადამიანის უფლებებზე, სამართლის ადმინისტრაციაზე და შეიარაღებული კონფლიქტის მართვაზე, მათ შორისაა ის სტანდარტები, რომელიც მოყვანილია ქვემოთჩამოთვლილ დოკუმენტებში:

- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია
- გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და მისი ორი ოქმი
- გაეროს კონვენცია წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ (CAT)
- გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ (CRC)
- გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD)
- გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმი №6
- ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო
- ევროპული კონვენცია წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის შესახებ (CPT)
- საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტი
- ეოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი
- რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი
- უენევის კონვენცია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის

შესახებ და მისი ოქმები ისევე როგორც ჰუმანიტარული კანონის წესების გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტების დროს

მეთვალყურეებად გააგზავნოს საელჩოს წარმომადგენლები

რელევანტური ნორმებისა და სტანდარტების დამატებითი ჩამონათვალი რომელსაც იყენებს ევროკავშირი მესამე ქვეყნებთან კონტაქტის დროს მოყვანილია გაიდლაინების დანართში

სამოქმედო გაიდლაინები

აღნიშნული გაიდლაინების ოპერაციული ნაწილი განსაზღვრულია იმ გზებისა და საშუალებების იდენტიფიცირებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის მიმართულებით ეფექტური ღონისძიებების გატარებას CFSP-ს ფარგლებში. ამ მიზნით CFSP-ს ფარგლებში უკვე განხორციელებული ზომების ერთ ერთი მაგალითია იარაღის ექსპორტთან დაკავშირებით ევროკავშირის ქცევის კოდექსის მიღება. კიდევ ერთი მაგალითი შეეხება მიმდინარე სამუშაოს ევროკავშირის კონტროლის შემოღებას პარასამხედრო მოწყობილობების ექსპორტზე.

სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე. ამგვარად წარმოდგენილი გაიდლაინები განსაზღვრავენ გაიდლაინების დამატებით როლს ევროკავშირის პოლიტიკაში მესამე ქვეყნების მიმართ, სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით.

ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს შემსრულებლებს (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ადამიანის უფლებების კომიტეტი, ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი, ეუთოს წამების პრევენციის ექსპერტთა ჯგუფი და ასევე გაეროს სპეციალური მომხსენებლები და სხვა რელევანტური შემსრულებლები). ევროკავშირის პროაქტიურად შეუწყობს ხელს იმას რომ მოხდეს წამების და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო დაცვის გაძლიერება და გამოყენება

მონიტორინგი და ანგარიშები

თავიანთ პერიოდულ მოხსენებებში, ევროსაბჭოს მისიის ხელმძღვანელები გვაწვდიან წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების ანალიზს და იმ მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულია მათთან საბრძოლველად. მისიის ხელმძღვანელებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა იმ სასამართლო პროცესზე, სადაც არსებობს სარწმუნო მიზეზი იმისა, რომ ბრალდებულები გახდნენ წამებისა და სასტიკი მოპყრობის ობიექტები,

შეფასება

ადამიანის უფლებების საბჭოს სამუშაო ჯგუფი (COHOM) და შესაბამისი გეოგრაფიული სამუშაო ჯგუფები, მისიის ხელმძღვანელების მოხსენებების და სხვა მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, ისეთი როგორცაა გაეროს სპეციალურ მომხსენებელთა მოხსენებები და ხელშემკერედი, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ახდენენ სიტუაციის იდენტიფიცირებას იქ სადაც საჭიროა ევროკავშირის ქმედებები, თანხმდებიან შემდგომ ნაბიჯებზე ან გასცემენ კვალიფიციურ რეკომენდაციებს

ევროკავშირის ქმედებები მესამე ქვეყნებთან მიმართებაში

ევროკავშირის მიზანია აიძულოს მესამე ქვეყნები მიიღონ ეფექტური ზომები წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვის ფორსირება. მესამე ქვეყნებთან კონტაქტის დროს ევროკავშირი იმპერატიული ტონით მოითხოვს ყველა ქვეყნისგან დაიცვან და მხარი დაუჭირონ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს და შესაბამისად ყურადღებას გაამახვილებენ იმაზე, რომ წამება და სასტიკი მოპყრობა აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით. ევროკავშირი საკუთარ მიზნებს განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ინტეგრალურ ნაწილს და ხაზს უსვამს ამ მიზნების გაერთიანების მნიშვნელობას წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციასთან მისი გლობალური მასშტაბით აღმოფხვრის მიზნით.

ა) ამ მიზნების მისაღწევად ევროკავშირმა უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

პოლიტიკური დიალოგი

ევროკავშირს, მესამე ქვეყნებსა და რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის პოლიტიკურ დიალოგის ადამიანის უფლებების კომპონენტი უნდა მოიცავდეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრობლემას (საკითხს)

დემარშები

ევროკავშირი გააკეთებს დემარშებს და გააკეთებს შესაბამის განცხადებებს, რომლებიც დააავალდებულებენ მესამე ქვეყნებს მიიღონ

ეფექტური ზომები წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. EU მოითხოვს ინფორმაციას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე. EU ხელს შეუწყობს ასევე ნებისმიერ პოზიტიური განვითარების პროცესს.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის კარგად დოკუმენტირებულ ინდივიდუალური შემთხვევების დროს EU ავალდებულებს (კონფიდენციალური ან საზოგადოებრივი დემარშის გზით) ხელისუფლების ორგანოებს უზრუნველყონ ფიზიკური უსაფრთხოება, მოახდინონ დანაშაულის პრევენცია, უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება და მიმართონ უსაფრთხოების შესაბამის ზომებს. ინდივიდუალურმა შემთხვევებმა შეიძლება შექმნან გენერალური დემარშის რარაც ნაწილი

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა და პრევენცია განიხილება, როგორც პრიორიტეტი ადამიანის უფლებების პრომოციისათვის ბილატერალური და მულტილტერალური თანამშრომლობის დროს, საზოგადოებასთან ურთიერთობაში, იურიდიულ და ტრეინინგის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ თანამშრომლობას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინიციატივის ჩარჩოებში.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა და აღმოფხვრა

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვა კანონმდებლობაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩათვლით

- აიკრძალოს, ყველა დონეზე, წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმა

- მიღებული იქნას ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ზომები წამებისა და სასტიკი მოპყრობის აქტების პრევენციის მიზნით მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე;

- მოხდეს გამოყენების პრევენცია, წარმოება და ვაჭრობა იმ მოწყობილობებზე რომლებიც გამოიყენება წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პროცესში და ამ მიზნით მოხდეს აღნიშნული მოწყობილობის ბოროტად გამოყენების პრევენცია

საერთაშორისო ნორმებისა და პროცედურების დაცვა

- ხელმოწერა CAT, ICCPR და შესაბამის რეგიონულ დოკუმენტებზე, CPT*-ს ჩათვლით (იხ. ტექსტის ბოლოს)

- CAT და ICCPR მიზნებთან შეუთავსებელი რეზერვაციების ამოღება

- სხვა CAT და ICCPR რეზერვაციების ამოღების განხილვა

- ინდივიდუალური და შიდასახელმწიფოებრივი პრეტენზიების CAT და ICCPR-ში შეტანის განხილვა

- საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუსის წევრობა

- საერთაშორისო ადამიანის უფლებების ორგანიზაციების დაცვის, მართვის, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების წინასწარი ზომების მოთხოვნების დაცვა

- გაეროს მექანიზმებთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან წამების საკითხებზე, გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან ქალების წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე, და მოთხოვნების მიხედვით, გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან ქვეყნის საკითხებზე

- გარანტია იმისა, რომ ძალით არავინ არ იქნება დაბრუნებული იმ ქვეყანაში სადაც არსებობს რისკი რომ აღნიშნული პიროვნება შეიძლება გახდეს წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი

- ქვეყნებში, სადაც სადაც ჯერ კიდევ გამოიყენება სიკვდილით დასჯა, გარანტირება იმისა, რომ ICCPR მუხლი 1-ში მოყვანილ შეზღუდვებთან ერთად, სასჯელადსრულება უკავშირდებოდეს რაც შეიძლება მცირე ფიზიკურ ან მენტალურ პრობლემებს

- CAT ფაკულტატიური ოქმის პროექტის მიღების მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ეფექტურ საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ამუშავებას წამების და სასტიკი მოპყრობის პრევენციის მიზნით და როცა ეს ოქმი შევა ძალაში შევიძლიათ შეუერთდეთ მას

- ევრო-მექანიზმების საბჭოსთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებებს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები და კომიტეტის

რეკომენდაციები წამების პრევენციის მიზნით და თანხმობა კომიტეტის მათ ქვეყანაში ვიზიტის შესახებ მოხსენებების გამოქვეყნებაზე
უსაფრთხოების ზომების მიღება და გამოყენება და დაკავების დაწესებულებებთან დაკავშირებული პროცედურები

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ იურიდიული და პროცედურული უსაფრთხოების ზომების მიღება და გამოყენება, რათა თავისუფლებაადკვეთილი პირები დროულად და დაყოვნების გარეშე წარსდგნენ იურიდიული ორგანოს წინაშე და მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ადვოკატებისა და სამედიცინო მომსახურება დროულად და რეგულარულად და შეეძლოთ ინფორმაციის მიწოდება ნათესავებისა და სხვა შესაბამისი მესამე მხარის წარმომადგენელთათვის;

- დაკავების საიდუმლო ადგილების აკრძალვა, რათა ნებისმიერი დაკავებული პირის მოთავსება მოხდეს ოფიციალურ დაკავების დაწესებულებებში და მათი ადგილსამყოფელი იყოს ცნობილი ოფიციალურად

- გარანტირება იმისა, რომ დაკავებისა და დაკითხვის პროცედურები შესაბამისობაშია საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტებთან

შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული გარანტიების დაწესება

- გარანტირება იმისა რომ წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე მიღებული მტკიცებულებები არ შეიძლება განხილული იქნას როგორც სამხილი სასამართლო განხილვის პროცესზე, გარდა იმ პირისა რომელსაც ბრალად ედება წამება ან არაადამიანური მოპყრობა

- იურიდიული ფიზიკური სასჯელის ყველა ფორმის გაუქმება

- გარანტირება იმისა, რომ არანაირი გარემოება, ომის მდგომარეობის, ომის მუქარის, შიდა პოლიტიკური არასტაბილობის ან სხვა საზოგადოებრივი გაუთვალისწინებელი მდგომარეობების ჩათვლით, არ შეიძლება იქნას გამოყენებული წამების ან სასტიკი მოპყრობის გამამართლებელ მდგომარეობად;

- გარანტირება იმისა, რომ არანაირი ბრძანება გაცემული ზემდგომი პირის მიერ არ შეიძლება იქნას გამოყენებული წამების ან სასტიკი მოპყრობის ფაქტების გასამართლებლად

- გარანტირება იმისა, რომ დაუშვებელია ნებისმიერი სასჯელშეფარდების ოფიციალური წარმომადგენლის, სამხედრო, სამედიცინო ან

სხვა რელევანტური პერსონალის დასჯა იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს ისეთი ბრძანების შესრულებაზე თავისი სისასტიკით ეკვივალენტური იყო წამების ან სასტიკი მოპყრობის აქტისა;

დაუსჯელობასთან ბრძოლა

- წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირთა წარდგენა ისეთი სასამართლოს წინაშე, რომელიც შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო ნორმებს და გამორიცხავს სიკვდილით დასჯას ან მათი ექსტრადიცია გასასამართლებლად სხვა სახელმწიფოში, სადაც ასევე დაცული იქნება აღნიშნული გარანტიები

- წამების ნებისმიერი ფაქტის დროული, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება სტამბულის წესებთან (CHR 2000/43 რეზოლუციის დამატება) შესაბამისობაში

- ამინისტია არ არის გარანტირებული წამების ფაქტებთან მიმართებაში, მაგრამ ამინისტია არ ართმევს ადამიანს უფლებას ეფექტურ დაცვაზე კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ჩათვლით

ჯგუფები, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ დაცვას

- სპეციალური სტანდარტებისა და მეთოდების დადგენა ქალების, ბავშვების, ლტოლვილებისა და თავშესაფარის მცხოვრებლების, იძულებით გადაადგილებული პირების, ემიგრანტების და სხვა მსგავსი სტატუსის მქონე ჯგუფებისათვის, რომლებიც მოითხოვენ წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებისაგან სპეციალურ დაცვას

წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებული სარჩელებისა და რაპორტებისათვის ადგილობრივი პროცედურების განსაზღვრა

- წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებული სარჩელებსა და რაპორტებზე რეაგირებისა და გამოძიების მიზნით ეფექტური ადგილობრივი პროცედურების დადგენა და მათი ამოქმედება

- გარანტირება იმისა, რომ წამებისა მსხვერპლი, მოწმეები, პირები რომლების ჩართული არიან გამოძიების პროცესში და მათი ოჯახის წევრები, დაცული არიან ძალადობის, მუქარის, დაშინების ან რეპრესიის სხვა ფორმებისგან, რასაც შეიძლება ადგილი ქონდეს გამოძიების პროცესში

წამების მსხვერპლთა რეპარაცია და რეაბილიტაცია

- წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა და მათზე დამოკიდებულ პირთათვის რეპარაციის უზრუნველყოფა, მიუკერძოებელი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის, შესაბამისი სამედიცინო დახმარების და სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ჩათვლით

შიდა ვიზიტების უზრუნველყოფის მექანიზმები

სამოქალაქო საზოგადოების კვალიფიციურ წარმომადგენელთა ვიზიტების დაშვება დაკავებისა და დაპატიმრების დაწესებულებებში

ეროვნული ინსტიტუტების დაარსება

- დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების (მაგ. დამიანის უფლებების ომბუცმენი ან ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტები) შექმნის, ამოქმედების და სადაც აუცილებელია გაძლიერების განხილვა რაც მნიშვნელოვანი და ეფექტური ნაბიჯი იქნება წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით

ეფექტური ტრენინგის უზრუნველყოფა

- სამართალშეფარდების, სამხედრო და სამედიცინო პერსონალის (სამოქალაქო და სამხედრო) მომზადება, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში

- სასამართლო ხელისუფლების, ბრალმდებლების და ადვოკატების ტრენინგი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში;

- გარანტირება იმისა, რომ სამხედრო, უსაფრთხოების ან პოლიციის პერსონალის უზრუნველყოფა მოწყობილობებითა და ტრენინგით, არ გახდება წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამარტივების საშუალება

- სასჯელშეფარდების პერსონალის მოსამზადებელი პროგრამები უნდა მოიცავდეს ტრენინგს ქალებზე ძალადობის პრევენციის, ბავშვთა უფლებების დაცვის და დისკრიმინაციების (რასისტულ და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე) შესახებ

სამედიცინო პროფესიონალთა საქმიანობის მხარდაჭერა

- უფლება წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების კვლევის პროცესში სამედიცინო

პროფესიონალებს მიეცეს დამოუკიდებელი და კონფიდენციალური მუშაობის უფლება

- ექიმთა, სასამართლო მედიცინის ექსპერტთა და სხვა სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა დაცვა, რომლებიც ახდენენ წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების დოკუმენტირებას

აუტოფსიების წარმოება

- გარანტია იმისა, რომ სამედიცინო-იურიდიული აუტოფსიები ტარდება პროფესიონალი და კვალიფიციური სასამართლო მედიცინის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში

- დაკავებული პირის სერიოზული დაზიანების ან ტრავმის შემთხვევაში შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზის უზრუნველყოფა

სხვა ინიციატივები

ევროკავშირი (EU):

- გააგრძელებს წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხის დაყენებას ისეთი ორგანიზაციების წინაშე როგორცაა გაერო, ევროპული საბჭო და ეუთო. EU გააგრძელებს შესაბამისი რეზოლუციების აქტიურ მხარდაჭერას გაეროს ორგანიზაციებში გენერალური ასამბლეის და ადამიანის უფლებების კომიტეტის ჩათვლით
- მხარს უჭერს შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ მექანიზმებს (მაგ. წამების აკრძალვის კომიტეტი, წამების პრევენციისა და შესაბამისი სპეციალური მომსხვებლების ევროპის კომიტეტი) და ხაზს უსვამს აღნიშნულ მექანიზმებთან სახელმწიფოების თანამშრომლობის აუცილებლობას
- მხარს უჭერს გაეროს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობით ფონდს და სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდებს გააკეთონ იგივე
- სთავაზობს ერთობლივ და ბილატერალურ თანამშრომლობას წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის თვალსაზრით
- მხარს უჭერს საზოგადოების განათლებას კამპანიებს წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ
- მხარს უჭერს შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ბრძოლას წამებისა და

სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ და მხარს უჭერს ასევე მათთან დიალოგს

- აგრძელებს პროექტების ფონდირებას პერსონალის ტრეინინგისა და დაკავების დაწესებულებებში გასაუმჯობესებლად და გააგრძელებს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრების დახმარებას მოქალაქეების მსოფლიოს მასშტაბით

შენიშვნა

- პირველი დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ CPT ხელმისაწვდომი გახდება ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფოებისათვის, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიწვევის საფუძველზე. ძალაში შესვლამდე ოქმს აკლია მხოლოდ ერთ დამატებით რატიფიკაცია (უკრაინა). უკრაინის რატიფიკაცია მიღებული იქნება უახლოეს პერიოდში

დამატება

დოკუმენტების ჩამონათვალთან ერთად, რომელიც შეტანილია გაიდლაინების შესავალ ნაწილში ევროკავშირის შეუძლია, საჭიროებისამებრ, წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხებზე მესამე ქვეყნებთან ურთიერთობისას, გამოიყენოს ქვემოთმოყვანილი ნორმები, სტანდარტები და პრინციპები

- გაეროს დეკლარაცია წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ
- გაეროს დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ
- გაეროს დეკლარაცია იძულებით გატაცებული ადამიანების დაცვის შესახებ
- გაეროს პრინციპები ეფექტურ პრევენციასა და დამატებით-იურიდიულ, საარბიტრაჟო და შამაჯამებელ გადაწყვეტილებათა აღსრულების კვლევის შესახებ
- გაეროს პატიმართა მკურნალობის მინიმალური სტანდარტული წესები
- გაეროს ორგანიზაცია ყველა დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვის შესახებ

- გაეროს წესები თავისუფლებადაცემითილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ
- გაეროს დეკლარაცია სისხლის სამართლის დანაშაულის და უუფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლთა სამართლის ძირითადი პრინციპების შესახებ
- გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ
- გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ
- გაეროს გაიდლაინები ბრალმდებელთა როლის შესახებ
- გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არა-თავისუფლების აღმკვეთი ზომების შესახებ
- გაეროს ქცევის კოდექსი სასჯელ შეფარდების პერსონალისთვის
- გაეროს სამდიცინო ეთიკის პრინციპები ჯანდაცვის პროფესიონალთა, განსაკუთრებით კი ექიმთა როლის შესახებ, წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯისაგან პატიმართა და დაკავებულთა დასაცავად
- წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური კვლევისა და დოკუმენტირების პრინციპები (სტამბულის ოქმი), ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს კომისიის რეზოლუციის - 2000/43 დამატება
- უსაფრთხოების ზომები სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვის გარანტიებზე (ECOSOC რეზოლუცია 1984/50)
- ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა
- გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარები, განსაკუთრებით კი საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (№20 მუხლი 7, და №21 მუხლი 10)
- კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები (№19) ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ
- ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკული ქარტია
- ბავშვთა უფლებების და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია

- ამერიკის ბავშვთა უფლებების კონვენცია
- პანამერიკული კონვენცია წამების პრევენციისა და აკრძალვის შესახებ
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები
- * № R (87) 3 ევროპის საპატიმრო დაწესებულების წესები
- * № R (98) 7 დაკავშირებულია ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ და საორგანიზაციო ასპექტებთან
- * № R (99) 3 სამედიცინო-იურიდიული აუტოფსიის წესების პარმონიზაციის შესახებ
- * № R (99) 22 ეხება ციხეების გადატვირთვას და ციხის პოპულაციის გადავსებას

**ევროკავშირის დეკლარაცია წამების
წინააღმდეგ**

*მიღებულია გენერალურ საქმეთა საბჭოს მიერ
25 ივნისი, 2002*

“გაეროს საერთაშორისო დღის დღესასწაულთან დაკავშირებით წამების მსხვერპლთა დასახმარებლად (26 ივნისი), ევროკავშირი საუბრობს უპირველეს მნიშვნელობაზე, რომელსაც ის ანიჭებს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციას მსოფლიოს ყველა რეგიონში. წამება, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა განიხილება, როგორც ყველაზე მძიმე დანაშაული, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებისა და ღირსების წინააღმდეგ. აღნიშნულ დღეს ადამიანებმა უნდა ისაუბრონ ამ დანაშაულის შესახებ, იფიქრონ მათზე ვინც იტანჯება აღნიშნულის გამო და პატივი მიაგონ მათ, ვინც თავგამოდებით იბრძვის წამების წინააღმდეგ და ეხმარება ძალადობის მსხვერპლთ გადალახონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტკივილი. თოთხმეტი წლის წინ 1987 წლის 26 ივნისს მიღებული იქნა და ძალაში შევიდა გაეროს კონვენცია წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ. მას შემდეგ 124 ქვეყანამ მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ წამების ფაქტების გამოვლენა კვლავ ხშირია და დამნაშავეები კვლავ ხშირად რჩებიან ასევე დაუსჯელნი, იმ ქვეყნებშიც კი,

სადაც უკვე განხორციელდა კონვენციის რატიფიკაცია. ეს ხაზს უსვამს უფრო ინტენსიური ქმედებების აუცილებლობას ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რომლის მიზანი იქნება წამების პრაქტიკის გლობალური აღმოფხვრა. ამ კონტექსტში ის, რომ ევროსაბჭომ ამა წლის აპრილში დაამტკიცა სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შეეხება ევროკავშირის პოლიტიკას მესამე ქვეყნების მიმართ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებს, აღნიშნულ პრობლემას განიხილავს, როგორც ევროკავშირის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემას. გაიდლაინები წარმოადგენენ ოპერაციულ, მოქმედ იარაღს იმისათვის, რომ ევროკავშირი ჩაერიოს წამების ფაქტების განხილვაში და გააფართოვოს საქმიანობა საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების პატივიცემის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

ევროკავშირი მიესალმება და მხარს უჭერს ევროკავშირის, ევროსაბჭოს და ეუთოს საქმიანობას წამების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სახელმწიფოების თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო მექანიზმებთან, როგორცაა გაეროს სპეციალური მომხსენებელი და წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, აუცილებელია იმისათვის რომ ჩვენი საერთაშორისო დაცვის სისტემა და ადამიანთა უფლებების პრომოცია გაეხადოთ ეფექტური. ევროკავშირი მხარს უჭერს კონვენციაზე წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის დამატებითი ოქმის დროულად მიღებას, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლის მექანიზმს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის მიზნით. კავშირი აქტიურად უჭერს მხარს გაეროს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობით ფონდის საქმიანობას. ეროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე ფონდირების საშუალებით, ფონდი სთავაზობს და უწევს დახმარებას იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო, სოციალურ, იურიდიულ და სხვა სახის დახმარებას ადამიანებისთვის, რომლებიც გახდნენ წამების მსხვერპლი, მათი ჯანმრთელობისა და ჰუმანური ღირსების აღდგენის მიზნით.

ადამიანის უფლებების არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებების დამცველთა როლი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ისინი მუშაობენ თავდაუზოგავად და ხშირად დიდი რისკის ქვეშ,

იმისათვის რომ წამების ფაქტები გახადონ საერთაშორისო საზოგადოების განხილვის საგანი და დაეხმარონ მათ ვინც იმყოფება წამების რისკის ქვეშ. ევროკავშირი სიამოვნებით და პატივისცემით აღნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილს და ძალისხმევას ეს დღე გადააქციონ ცოცხალ მოვლენად. საჭიროა ბევრი სექტორის, ისეთები როგორცაა: სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიონალი ადვოკატების, პოლიციის, სამედიცინო პერსონალის, მასწავლებლთა და ა.შ., ჩართვა და მონაწილეობა აღნიშნულ საქმიანობაში, რათა მოიძებნოს წამებასთან ბრძოლის გზები და საშუალებები.

ჩვენ ყველა ერთად უნდა დავდგეთ იმისათვის რომ მსოფლიო გავათავისუფლოთ წამებისაგან“

ახლო აღმოსავლეთი

კაიროს დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ ისლამში

მიღებულია ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის მიერ, 1990 წელი

[...]

მუხლი 2

(ა) სიცოცხლე, ეს არის ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქარი და სიცოცხლის უფლება გააჩნია ყველა ჰუმანურ არსებას. ინდივიდები, საზოგადოებები და სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ეს უფლება ძალადობრივი ქმედებებისაგან. დაუშვებელია სხვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სიცოცხლის ხელყოფა გამართლებულია შარიათის კანონებით.

(ბ) აკრძალულია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კაცობრიობის გენოციდური განადგურება (ანნიჰილაცია)

(გ) ადამიანის სიცოცხლის დაცვა და შენარჩუნება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ღმერთის ნებიდან გამომდინარე, ეს არის მოვალეობა, რომელიც მოყვანილია შარიათის კანონში

(დ) სხეულის დაზიანების უსაფრთხოება ეს არის ადამიანის გარანტირებული უფლება. სახელმწიფოს მოვალეობაა დაიცვას აღნიშნული უსაფრთხოება და აკრძალულია მისი დარღვევა შარიათის კანონში მოყვანილი მიზეზის გარეშე

[...]

მუხლი 20

კანონიერი მიზეზის გარეშე დაუშვებელია ინდივიდის დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების აღკვეთა, ქვეყნიდან გაძევება ან დასჯა. დაუშვებელია მისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური წამება ან მის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის ღირსების შემლახველი ან არაადამიანური მოპყრობა გამოყენება. დაუშვებელია და აკრძალულია ინდივიდზე განხორციელდეს სამედიცინო ან მეცნიერული ექსპერიმენტი მისი თანხმობის გარეშე ან იმ შემთხვევაში თუ ეს წარმოადგენს რისკს მისი ჯანმრთელობისათვის. აკრძალულია ასევე ისეთი კანონების მიღება რომელიც მისცემს აღმასრულებელ პერსონალს ზემოთმოყვანილი ქმედებების განხორციელების უფლებას.

[...]

ადამიანის უფლებათა არაბული ქარტი

მიღებულია 1994 წლის 15 სექტემბერს (დღემდე არ არის რატიფიცირებული)

[...]

მუხლი 13

(ა) სახელმწიფომ უნდა დაიცვას ნებისმიერი ადამიანი მის ტერიტორიაზე ფიზიკური ან მენტალური წამებისაგან, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან. მათ უნდა მიიღონ ეფექტური ზომები იმისათვის, რომ მოახდინონ ასეთი აქტების პრევენცია და აღნიშნულ პრაქტიკა ან მასში მონაწილეობის მიღება უნდა ჩაითვალოს, როგორც დასჯადი დანაშაული

(ბ) დაუშვებელია და აკრძალულია ინდივიდზე სამედიცინო ან მეცნიერული ექსპერიმენტების განხორციელება მისი პირადი თანხმობის გარეშე

[...]

წამების შეტყობინების საერთაშორისო მემჩანიზმები და სასარჩემო პროცედურები

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი

წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტი ახორციელებს გაეროს კონვენციის პრინციპების დანერგვისა და გამოყენების მონიტორინგს. კომიტეტი შედგება 10 ადამიანის უფლებების სფეროში კვალიფიცირებული ექსპერტისაგან.

წამების საწინააღმდეგო კონვენციის დებულებების მიხედვით კომიტეტის ფუნქციები მოიცავს:

- (ა) სახელმწიფოს რაპორტების დოკუმენტაციების კვლევას (მუხლი 19)
- (ბ) კონფიდენციალურ დაკითხვებს სადაც ის მიიღებს ინფორმაციას წამების სისტემატიურ პრაქტიკაზე (მუხლი 20)
- (გ) შიდა-სახელმწიფოებრივი სარჩელების განხილვას (მუხლი 21)
- (დ) ინდივიდუალური სარჩელების განხილვას (მუხლი 22)

კონვენციის მუხლი 19-ის საფუძველზე სახელმწიფო მხარეები ვალდებული არიან პერიოდულად მოასვენონ კომიტეტს იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ეფექტური შესრულებისათვის ეროვნულ დონეზე. კომიტეტი ახორციელებს მონიტორინგს და იკვლევს თუ როგორ მოხდა კონვენციის დებულებების ჩართვა ეროვნულ კანონმდებლობაში და როგორ ფუნქციონირებენ ისინი პრაქტიკაში. პირველი მოხსენება უნდა იქნას შეტანილი კონვენციის რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში; დამატებითი მოხსენებების შეტანა კი ხდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

კომიტეტი განიხილავს თითოეულ მოხსენებას რიგის მიხედვით და შეუძლია გასცეს რეკომენდაციები იმ საშუალებებთან დაკავშირებით, რომელიც დაეხმარება მათ უკეთესად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები. სანამ კომიტეტი გააკეთებს საბოლოო დასკვნას მან მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა მის ხელთ არსებული ინფორმაცია. აქედან გამომდინარე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ “ალტერნატიული მოხსენების” მომზადება ეს არის მნიშვნელოვანი გზა, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების და მათი განხორციელების შესახებ შეიძლება გახდეს კომიტეტის ყურადღების საგანი. კომიტეტი, ადამიანის უფლებების დამცავი სხვა მექანიზმების მსგავსად ეყრდნობა სარწმუნო ალტერნატიულ მოხსენებას, რათა მიღწეული იქნას ქვეყანაში წამებისთან დაკავშირებული სიტუაციის დაბალანსებული შეფასება. მუხლი 20-ის მიხედვით კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია და ჩაატარონ გამოკითხვები სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატიური პრაქტიკის ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა, კონვენციის მუხლი 28 ტოვებს შესაძლებლობას სახელმწიფოსთვის

“უარი თქვას” აღნიშნულ პროცედურაზე განცხადების საშუალებით, სადაც ის განაცხადებს, რომ არ ცნობენ კომიტეტის კომპეტენციას მუხლი 20-ის მიხედვით.

თუ კომიტეტი მიიღებს მუხლი 20-ის შესაბამის ინფორმაციას, რომელსაც ის თვლის სანდოდ, ის თხოვნით მიმართავს სახელმწიფოს მხარეს პასუხი გასცეს აღნიშნულ ინფორმაციაზე. მიღებული პასუხის მიხედვით კომიტეტს შეუძლია ჩაატაროს სრული გამოძიება, ქვეყანაში ვიზიტის შესაძლებლობის ჩათვლით. კომიტეტის მონაცემები რეკომენდაციებთან ერთად გადაეცემა დაინტერესებულ სახელმწიფოს მხარეს. მთელი ეს პროცედურა კონფიდენციალურია, თუმცა შემაჯამებელი დასკვნა სახელმწიფოს მხარესთან კონსულტაციების შემდეგ შეიძლება იქნას შეტანილი კომიტეტის ყოველწლიურ ანგარიშში.

მუხლი 22-ის მიხედვით სახელმწიფოს მხარეს შეუძლია გააკეთოს განაცხადი სადაც ის აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინდივიდუალური შეტყობინებები თვითონ ინდივიდებისაგან ან მათი სახელით, რომელთაც აქვთ იმის პრეტენზია, რომ წამების წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით ისინი გახდნენ ძალადობის ობიექტი სახელმწიფოს მხრიდან. კომიტეტს შეუძლია განიხილოს აღნიშნული ინდივიდუალური საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ადგილობრივი იურიდიული შესაძლებლობები კომპენსაციის მისაღებად უკვე ამოწურულია. თითოეული შეტყობინების განხილვის დროს კომიტეტმა, საკუთარი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენამდე, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც თვითონ საჩივარი, ასევე ნებისმიერი მასალა, რომელსაც მას მიაწვდის სახელმწიფოს მხარე. მთელი პროცესი კონფიდენციალურია.

ამ მომენტისთვის, 126 სახელმწიფოდან მხოლოდ 46-მა სახელმწიფომ გააკეთა განაცხადი, სადაც აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მუხლი 22-ის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ წამების საწინააღმდეგო კონვენცია მოიცავს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეებმა არა მხოლოდ უნდა აკრძალონ წამების პრაქტიკა, არამედ უნდა მიიღონ პრევენციის შესაბამისი ზომები და უზრუნველყონ ძალადობის მსხვერპლისთვის ეფექტური დაცვის ხელმისაწვდომობა. როგორც ასეთი, შესაძლებელია სარჩელის შეტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეს შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ წამების აქტს, არამედ სახელმწიფოს სხვა ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია მოცემული კონვენციით. შემთხვევათა უმრავლესობა

უკავშირდება მსხვერპლის უფლებას მიიღოს კომპენსაცია (მუხლი 14). შესაძლებელია გაკეთდეს შეტყობინების, განაცხადის მოდელი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეიტანონ ინდივიდუალური განაცხადი კომიტეტში მუხლი 22-ის მიხედვით.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტი აკონტროლებს სახელმწიფოების მხრიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (ICCPR) და პაქტზე დამატებული ოქმების გამოყენებას პრაქტიკაში. 1976 წელს პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ დაფუძნდა 18 დამოუკიდებელი და ადამიანის უფლებების სფეროში კომპეტენტური ექსპერტისაგან შედგენილი კომიტეტი.

თითოეული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ICCPR-ის მიმართ, რომ მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანი გამოიყენებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრულია პაქტის მიხედვით, რაიმე გამონაკლისის გარეშე (მუხლი 2,1). კომიტეტის როლი მდგომარეობს იმაში რომ, გააკონტროლოს თუ რა მასშტაბით მოხდება აღნიშნული უფლებების პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული უფლებები მოიცავს უფლებას არ გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ობიექტი (მუხლი 7) და ყველა თავისუფლებადკეთილი პირის უფლებას პატივი სცენ მის ღირსებას (მუხლი 10)

კომიტეტის ფუნქციები:

- (ა) სახელმწიფოს მოხსენებების, დოკუმენტაციების კვლევა (მუხლი 40, ICCPR)
- (ბ) შიდა-სახელმწიფოებრივი სარჩელების განხილვა (მუხლი 41, ICCPR)
- (გ) ინდივიდუალური სარჩელების განხილვა (ფაკულტატიური ოქმი, ICCPR)

ICCPR მუხლი 40-ის მიხედვით სახელმწიფო მხარეებმა უნდა გააკეთონ პერიოდული მოხსენებები იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ეფექტური შესრულებისათვის და ამ უფლებების შესრულებისას მიღწეული პროგრესის შესახებ. კომიტეტი განიხილავს მოხსენებას საზოგადოებრივ სესიაზე. შემაჯამებელი მონიტორინგის შედეგად კომიტეტს შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები სახელმწიფოს მხარეს იმ საშუალებებთან დაკავშირებით, რომელიც დაეხმარება მათ

უკეთესად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები რომელიც განსაზღვრულია ICCPR-ით. მოხსენებების განხილვა ეს არის დიალოგი კომიტეტსა და სახელმწიფოს შორის. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ აღნიშნული პროცესის განხორციელებაში იმ ქვეყნებში არსებულ სიტუაციაზე ალტერნატიული ინფორმაციის მიწოდებით, რომელთა განხილვა იგეგმება კომიტეტის უახლოეს სესიებზე.

ადამიანის უფლებების კომიტეტმა მიიღო რიგი ზოგადი შენიშვნებისა და კომენტარებისა, სადაც მოცემულია პაქტის სპეციფიური მუხლების ინტერპრეტაცია და ახსნა. აღნიშნული შენიშვნებისა და კომენტარების მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოებს მოამზადონ მოხსენებები (მუხლი 40) და შეასრულონ პაქტის ვალდებულებები.

ICCPR ფაკულტატიური ოქმი, რომელიც მიღებული იქნა 1976 წელს, მოიცავს ინდივიდუალური სარჩელის პროცედურას. სახელმწიფო მხარეები რომელთაც უკვე გააკეთეს ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაცია აღიარებენ ადამიანის უფლებების კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები თვითონ ინდივიდებისაგან ან მათი სახელით, რომელთაც აქვთ იმის პრეტენზია, ისინი გახდნენ ძალადობის ობიექტი სახელმწიფოს მხრიდან და დაირღვა მათი უფლებები, რომელიც გარანტირებულია ICCPR მიხედვით. კომიტეტს შეუძლია განიხილოს აღნიშნული ინდივიდუალური საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ადგილობრივი იურიდიული შესაძლებლობები კომპენსაციის მისაღებად უკვე ამოწურულია. დღემდე, 147 სახელმწიფოდან 97-მა გააკეთა ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება.

რამოდენიმე სახელმწიფომ შეიტანა შესწორება ადგილობრივ კანონმდებლობაში პასუხად იმ დასკვნებზე, რომელიც მიღებული იქნა კომიტეტის მიერ საჩივრების განხილვის შედეგად ფაკულტატიური ოქმის მიხედვით. რიგ შემთხვევებში გაცემული იქნა კომპენსაციები იმ პირებზე რომელთა უფლებებიც უხეშად იქნა დარღვეული.

შესაძლებელია გაკეთდეს შეტყობინების, განაცხადის სტანდარტული ფორმა იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეიტანონ ინდივიდუალური განაცხადი კომიტეტში.

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი ხელმძღვანელობს სახელმწიფოების მხრიდან გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ (CRC) მიხედვით მათთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, იმ უფლების ჩათვლით, რომ მათ უნდა ქონდეთ გარანტია წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (მუხლი 37).

კომიტეტმა, რომელშიც გაერთიანებული იყო 10 დამოუკიდებელი ექსპერტი, გააკეთა კონვენციის შესრულების მონიტორინგი 1991 წლიდან დღემდე.

კომიტეტის ძირითადი ფუნქცია არის სახელმწიფოს მოხსენებების განხილვა და კვლევა. კონვენციის მუხლი 44-ის მიხედვით, სახელმწიფო მხარე ვალდებულია პერიოდულად შეიტანოს მოხსენებები კომიტეტში მიღწეული პროგრესის შესახებ და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს CRC-ში განსაზღვრული უფლებების ეფექტურობისათვის. პირველი მოხსენება უნდა იქნას შეტანილი კონვენციის რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის შემდეგ ორი წლის განმავლობაში; დამატებითი მოხსენებების შეტანა კი ხდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. კომიტეტმა მიიღო გაიდლაინები, რაც დაეხმარება მათ მოხსენებების სტრუქტურულად გაფორმებაში. მოხსენებაში უნდა იყოს მოყვანილი “ფაქტორები და სირთულეები, თუ ასეთი არსებობს”, რომელსაც ეჯახება სახელმწიფო თავისი ვალდებულებების შესრულების პროცესში. მოხსენება ასევე უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ ქვეყანაში (მუხლი 44,2)

სახელმწიფოს მოხსენების განხილვის შემდეგ სხვა შესაბამის მასალასთან ერთად იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებების დაცვას ქვეყანაში, კომიტეტი აძლევს რეკომენდაციებს სახელმწიფო მხარეს შემდგომი მოქმედებებისთვის.

კომიტეტს ყავს სამუშაო ჯგუფი და ყოველი სესიის აღნიშნული ჯგუფი ადგენს ჩამონათვალს იმ პრობლემებისა და საკითხებისა, რომლებზეც გაიმართება დისკუსია სახელმწიფო მხარესთან სესიის მიმდინარეობის პროცესში. აღნიშნული ჩამონათვალი გაკეთებულია სახელმწიფოს და გაეროს ორგანიზაციების მოხსენებების ბაზაზე იმ არგუმენტებთან ერთად, რომლებიც მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაციების და სპეციალიზირებული სააგენტოების მიერ. აუცილებელია რომ

არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავისი არგუმენტები წარუდგინონ კომიტეტს წინასწარ, სესიის დაწყებამდე, რომელზეც სავარაუდოდ მოხდება სახელმწიფოს, როგორც დაინტერესებული მხარის მოხსენების განხილვა.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტმა, რომელიც შედგება 23 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, ჩაატარა მონიტორინგი გაეროს კონვენციის ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) შესრულებაზე 1981 წლიდან დღემდე.

კომიტეტის ძირითადი ფუნქციები:

- (ა) სახელმწიფოს მოხსენებების, დოკუმენტაციების კვლევა (მუხლი 18, CEDAW)
- (ბ) ინდივიდუალური სარჩელების განხილვა (ფაქულტატური ოქმი, CEDAW)
- (გ) ფაქტების დადგენა და მათი შეფასება, კონფიდენციალურ გამოკითხვებზე დაყრდნობით (მუხლი 8, ფაქულტატური ოქმი, CEDAW)

კომიტეტი იკვლევს სახელმწიფო მხარის მოხსენებას და შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს მათთვის. კონვენციის მუხლი 18-ის მიხედვით, სახელმწიფო მხარე ვალდებულია შეიტანოს მოხსენებები კომიტეტში საკანონმდებლო, იურიდიული ან სხვა ზომების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს კონვენციაში განსაზღვრულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში. პირველი მოხსენება უნდა იქნას შეტანილი კონვენციის რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში; დამატებითი მოხსენებების შეტანა კი ხდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ან სხვა დროს კომიტეტის მოთხოვნის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ მოხსენების პროცესი კომპლექსურია, კომიტეტმა შეიმუშავა და განავითარა ზოგადი გაიდლაინები სახელმწიფოებისათვის მოხსენებების მოსამზადებლად რაც დაეხმარება მათ შეასრულონ აღნიშნული ვალდებულებები. კომიტეტი, თავისი ფუნქციის შესრულებისას მხედველობაში იღებს ინფორმაციას რომელიც მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაციების ან გაეროს სპეციალური სააგენტოების მიერ.

CEDAW ფაქულტატური ოქმი რომელიც მიღებული იქნა 2000 წლის 22 დეკემბერს, მოიცავს ინდივიდუალური სარჩელის პროცედურას. შეტყობინებები შეიძლება შეტანილი იქნას თვითონ ინდივიდის ან

ინდივიდუალური ჯგუფების მიერ, რომლებიც იმყოფებიან აღნიშნული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ და რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ არიან ძალადობის ობიექტი და დაირღვა მათი კონვენციით გარანტირებული უფლებები (მუხლი 2, ფაკულტატიური ოქმი). კომიტეტს შეუძლია განიხილოს აღნიშნული ინდივიდუალური საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ადგილობრივი იურიდიული შესაძლებლობები კომპენსაციის მისაღებად უკვე ამოწურულია ან კომპენსაციის მიღების ვადა ძალიან გასანგრძლივდა ან იმედი ეფექტურ შედეგზე უკვე ამოწურა (მუხლი 4,1)

ფაკულტატიური ოქმი ითვალისწინებს გამოკითხვის პროცედურას, რომლის მიხედვითაც კომიტეტს შეუძლია განახორციელოს კონფიდენციალური კვლევა, ქვეყანაში ვიზიტის ჩათვლით, იმ შემთხვევაში თუ ის მიიღებს სარწმუნო ინფორმაციას სახელმწიფოს მხრიდან კონვენციაში მოყვანილი უფლებების სისტემატური დარღვევის შესახებ.

CEDAW მუხლი 21 კომიტეტს ანიჭებს უფლებას მისცეს რეკომენდაციები გაეროს გენერალურ ასამბლეას, რომლებიც ეფუძნება სახელმწიფო მხარეებისგან მიღებულ მოხსენებას. კომიტეტმა მიიღო რიგი რეკომენდაციებისა იმ პრინციპულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გადადგას სახელმწიფო მხარემ, რათა მოხდეს იმ კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების მხარდაჭერა, მათი იურისდიქციის ფარგლებში

ბაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საპრობლემატიკა

1985 წელს ადამიანის უფლებების კომიტეტმა, რეზოლუციით 1985/33, გადაწყვიტა დაენიშნა სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე. სპეციალური მომხსენებელი ეს არის წამყვანი, დამოუკიდებელი ექსპერტი გაეროში წამების საკითხებზე. სპეციალურ მომხსენებელს აქვს ასევე პირველადი პასუხისმგებლობა გაეროს სისტემაში - მიიღოს და უპასუხოს წამებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ან იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ იმყოფებიან წამების რისკის ქვეშ და შემდგომ სპეციალური მომხსენებელი აღნიშნული საკითხებით მიმართავს ქვეყანაში არსებულ შესაბამის ორგანოებს.

სპეციალური მომხსენებლის მანდატი (რეზოლუცია 1985/33) მოიცავს “წამებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას” და მოხსენებას “მისი გამოვლენისა და გავრცელების მასშტაბების შესახებ”. მანდატის ჩარჩოები განსაზღვრულია წამების წინააღმდეგ გაეროს

კონვენციის, მუხლი 1-ში მოყვანილი განმარტებით და არ ვრცელდება სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებზე. ყოველწლიურ მოხსენებაში (1996), რომელიც მან გააკეთა ადამიანის უფლებების კომიტეტში, სპეციალურმა მომხსენებელმა აღწერა მანდატი, როგორც “უპირველესად დაკავშირებული წამებასთან, როგორც “ნაცრისფერი ზონა” წამებასა და სასტიკ მოპყრობის სხვა ფორმებს – არაჰუმანურ, დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას შორის”. ნაცრისფერი ზონის ფენომენი უნდა მოიცავდეს ფიზიკური დასჯის განსაზღვრულ ტიპებს ან ციხის პირობებს, თუ ისინი საკმაოდ მძიმეა.

თავისი საქმიანობის პროცესში, პრაქტიკაში, სპეციალური მომხსენებელი არ აკეთებს შუღუდებს წამებასა და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებს შორის განსხვავებაზე. უნდა აღინიშნოს რომ 1985 წლიდან მოყოლებული მანდატის ფუნქციები საკმაოდ გაფართოვდა და დღესდღეობით ის უკვე მოიცავს, მაგალითად, წამების იარაღებით ვაჭრობისა და წარმოების კვლევას, ქალებთან და ბავშვებთან დაკავშირებული წამებისა და სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებს და წამების პრევენციისა და კვლევის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების ფორმულირებას. სპეციალური მომხსენებლის მანდატი არ არის შეზღუდული გაეროს კონვენციით წამების წინააღმდეგ, მაგრამ მისი უფლებები ვრცელდება გაეროს წევრ სახელმწიფოებზე და გაეროში დამკვირვებლის სტატუსით მყოფ სახელმწიფოებზე.

რაც შეეხება წამების პრევენციას, სპეციალურმა მომხსენებელმა გააკეთა რეკომენდაციების სერიები გლობალური მოქმედებისთვის, რომელიც მოყვანილია მის 1994 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომლის შესწორებული ვერსიაც გამოქვეყნდა 2001 წელს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. რაც შეეხება შინაარსს, რეკომენდაციები მოიცავს ორ გზას რომლებიც ითვლება ძალზედ მნიშვნელოვან ნაბიჯებად წამების პრევენციისათვის ესენია: ინკომუნიკადოს (დაკავება გარე სამყაროსთან კავშირის უფლების გარეშე) დასრულება და დაუსჯელობის სინდრომის დასრულება.

სპეციალურმა მომხსენებელმა დეტალურად აღწერა მისი მუშაობის მეთოდები 1996 წლის მოხსენებაში. მოკლედ, ისინი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- (ა) სარწმუნო ინფორმაციის მოძიება და მიღება სამთავრობო, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ინდივიდებისაგან;

- (ბ) შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციებისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდება პიროვნებაზე რომლებიც იმყოფებიან წამების რისკის ქვეშ, რათა მოხდეს შიშის ფაქტორის პრევენცია
- (გ) მთავრობის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება წამების და სასტიკი მოპყრობის ფაქტების თაობაზე მისი მანდატის ფარგლებში
- (დ) წერილებზე და მიმართვებზე პასუხების მიღება და მათი განხილვა
- (ე) ფაქტების დადგენისა და მათი შეფასების მისია ქვეყნის თანხმობის საფუძველზე
- (ვ) ყოველწლიური მოხსენების წარდგენა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში და გაეროს განერალურ ასამბლეაზე

2000 წლის განმავლობაში სპეციალურმა მომხსენებელმა გადასცა ინფორმაცია ან მიიღო პასუხი დაახლოებით 100 ქვეყნიდან, გააკეთა 164 სასწრაფო მიმართვა 470 ინდივიდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაციები ესმარებიან სპეციალურ მომხსენებელს მის საქმიანობაში, ისინი რეგულარულად აწვდიან მომხსენებელს ინფორმაციას წამების ფაქტების შესახებ ან იმ ინდივიდების შესახებ რომლებიც დარწმუნებული არიან რომ იმყოფებიან რისკის ქვეშ.

ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარის ოფისმა მოამზადა კითხვარი იმ ადამიანთა დასახმარებლად ვისაც სურს გადასცეს ინფორმაცია სპეციალურ მომხსენებელს განსაკუთრებული შემთხვევის თაობაზე

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა ძალადობის საკითხებზე, მისი მიზეზები და შედეგები

სპეციალური მომხსენებელი ქალთა ძალადობის საკითხებზე, მისი მიზეზები და შედეგები განისაზღვრა გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1994/45. სპეციალური მომხსენებლის მანდატი ეფუძნება ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის განმარტებას, რომელიც შეტანილია გაეროს დეკლარაციაში ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ. დეკლარაციაში ძალადობა განმარტებულია, როგორც “ნებისმიერი ქმედება სქეს-სპეციფიური ძალადობისა, რომლის შედეგიც არის, ან ჩანს რომ იქნება ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ტანჯვა ქალებისთვის, მუქარების, დაშინების ან საარბიტრაჟო თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, მიუხედავად

იმისა ხდება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში”

სპეციალური მომხსენებლის ფუნქციები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- (ა) სარწმუნო ინფორმაციის მოძიება და მიღება ქალების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სამთავრობო ორგანოებიდან, სპეციალიზირებული სააგენტოებიდან, სხვა სპეციალური მომხსენებლებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებების საკითხებზე და მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ქალთა ორგანიზაციების ჩათვლით და ასეთ ინფორმაციებზე ეფექტური პასუხის გაცემა
- (ბ) ზომების, გზების და საშუალებების რეკომენდება ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე, ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრა მისი მიზეზები და მისი შედეგების პრევენცია; და
- (გ) ახლო თანამშრომლობა სხვა სპეციალურ მომხსენებლებთან, სპეციალურ წარმომადგენლებთან, სამუშაო ჯგუფებთან, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის დამოუკიდებელ ექსპერტებთან და ადამიანის უფლებების დაცვისა და პრომოციის ქვე-კომიტეტებთან, ხელშემკერდ ორგანიზაციებთან - კომიტეტის მოთხოვნის გათვალისწინებით რეგულარულად და სისტემატურად მიეწოდოთ ინფორმაცია ქალთა უფლებების დარღვევის შესახებ - და ახლო თანამშრომლობა კომიტეტთან ქალთა სტატუსის შესახებ, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე.

დამოკიდებულება ქალთა წინააღმდეგ ძალადობასა (განსაკუთრებით ოჯახებში) და წამებას, ან სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას შორის, ნათლად იყო ახსნილი სპეციალური მომხსენებლის მიერ მის მოხსენებაში ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის 52 სესიაზე 1996.45. ამ მოხსენებაში ის აცხადებს, რომ ოჯახური ძალადობა, ისევე როგორც წამება მოიცავს ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას. უფრო მეტიც, ოჯახური ძალადობის პრაქტიკა საერთაშორისო და ჩვეულებრივ გამომდინარეობს სპეციფიური მიზნებიდან მაგ. ისეთი როგორცაა დასჯის ფორმა, მსხვერპლის პიროვნული დაშინება ან დამცირება და ბოლოს, ოჯახური ძალადობა ვლინდება სულ მცირე სახელმწიფოს პაზიური უმოქმედობის გამო, თუ სახელმწიფო არანაირ ზომას არ მიიღებს მის აღსაკვეთად. ზემოთაღნიშნული მიზეზებს მიყვაროთ იმ დასკვნამდე, რომ ოჯახური ძალადობა შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში

გაგებული იქნას, როგორც წამების ერთერთი ფორმის კონსტიტუცია

სპეციალური მომხსენებლის მანდატი შეზღუდულია იმ შემთხვევებზე, რომელიც უკავშირდება ქალის სქესს. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია რომ შეტყობინებაში, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მომხსენებლისთვის, შეტანილი იქნას მიზეზები, თუ რატომ ფიქრობენ რომ ქალის სქესი იყო საფუძველი იმისათვის, რომ ის გამხდარიყო ძალადობის სამიზნე. ინფორმაციები შეიძლება იყოს დაკავშირებული არა მხოლოდ ძალადობის აქტებთან, რომელიც განხორციელებულია სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან, არამედ ძალადობასთან საზოგადოებაში ან ოჯახებში. ყველა ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება სპეციალურ მომხსენებელს რჩება კონფიდენციალური. სპეციალურმა მომხსენებელმა მოამზადა შეტყობინების მოდელი ინდივიდებისა ან ოგანიზაციებისთვის, რომელთაც სურთ განაცხადონ კონკრეტული შემთხვევის თაობაზე.

ადამიანის უფლების დამცველთა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი

56-ე სესიაზე ადამიანის უფლებების გაეროს კომიტეტმა სთხოვა გაეროს გენერალურ მდივანს დაენიშნათ ადამიანის უფლებების დამცველთა სპეციალური წარმომადგენელი, რაც ხელს შეუწყობს “დეკლარაციის - ინდივიდების, ჯგუფების საზოგადოების ორგანოების უფლებებსა და პასუხისმგებლობების შესახებ დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები “ პრინციპების დანერგვასა და შესრულებას (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 53/144, 9 დეკემბერი 1998).

დეკლარაცია წარმოადგენს გაეროს პირველ დოკუმენტს, რომელიც ცნობს ადამიანის უფლებების დამცველთა საქმიანობას.

პირველი ადამიანის უფლებების დამცველთა სპეციალური წარმომადგენელი დანიშნული იქნა 2000 წლია აგვისტოში. მისი მანდატი, ადამიანის უფლებების კომიტეტის რეზოლუციის 2000/61 მიხედვით, მოიცავს შემდეგს:

(ა) მოძიება, მიღება, ექსპერტიზა და პასუხი ინფორმაციაზე სიტუაციასთან დაკავშირებით და ნებისმიერი ადამიანის უფლებაზე, რომელიც მოქმედებს ინდივიდულურად ანსხვებთან ერთად, რათა დავიცვათ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

(ბ) თანამშრომლობა და დიალოგები სამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, რაც უკავშირდება დეკლარაციის პრომოციასა და მის ეფექტურ შესრულებას; და

(გ) რეკომენდირებული სტრატეგიები ადამიანის უფლებების დამცველთა უკეთესი პროტექციისათვის

სპეციალური წარმომადგენლების მუშაობის მეთოდები მოიცავს:

(ა) ინფორმაციის მიწოდებას, გადაუდებელი მიმართვების ჩათვლით, სამთავრობო კომპეტენტური ორგანოებისათვის და განსაკუთრებული სიმძიმის შემთხვევის დროს, მკაცრი განცხადებების გამოქვეყნებას

(ბ) თანამშრომლობას საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაეროს სხვა სააგენტოებსა და რეგიონალურ ორგანიზაციებთან

(გ) ქვეყანაში ვიზიტებს, დაინტერესებული სახელმწიფო მხარის მოწვევის საფუძველზე

(დ) თანამშრომლობა და დიალოგების გამართვა სამთავრობო და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დეკლარაციის პრომოციისა და ეფექტური გამოყენებისათვის

(ე) მოხსენების გაკეთება, მოიცავს ყოველწლიურ მოხსენებებს ადამიანის უფლებების გაეროს კომიტეტში და გენერალურ ასამბლეაზე - სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის და მისი მანდატის შესახებ

2000 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის აგვისტომდე სპეციალურმა წარმომადგენელმა 83-ჯერ მიმართა გადაუდებელი მნიშვნელობის საკითხებზე მთავრობის წარმომადგენლებს და წარმოადგინა 9 ფაქტების მტკიცებულების წერილი

ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარის ოფისმა მოამზადა გაიდლაინები იმ ადამიანთა დასახმარებლად ვისაც სურს გადასცეს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს

აზრიკული მძაწინი

ამერიკისა და ევროპისაგან განსხვავებით, აფრიკას არ გააჩნია საკუთარი რეგიონალური კონვენცია წამების აკრძალვისა და პრევენციის შესახებ. ადამიანის უფლებების დაცვის აფრიკული სისტემა დაფუძნებულია ჰუმანურ და ადამიანის უფლებების აფრიკულ ქარტიაზე

(ACHPR), რომელიც მიღებულია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის (OAU) მიერ

წამება, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა აკრძალულია ქარტიის მუხლი 5-ის მიხედვით, რომელიც რატიფიცირებულია აფრიკის სახელმწიფოების მიერ. ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკული კომიტეტი აკონტროლებს ქარტიასთან შესაბამისობას სახელმწიფო მხარეების საშუალებით. კომიტეტს მის საქმიანობაში ეხმარება რიგი სპეციალური მექანიზმებისა, აფრიკაში პატიმართა და დაკავებულთა მდგომარეობების სპეციალური მომხსენებლის ჩათვლით. 1998 წელს, კომიტეტის მიერ მიღებული იქნა აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი აფრიკის ჰუმანური და ადამიანის უფლებების სასამართლოს დაფუძნების თაობაზე

აფრიკის სახალხო და ადამიანის უფლებების სასამართლო

ოქმი აფრიკის ჰუმანური და ადამიანის უფლებების სასამართლოს (ACHPR) დაფუძნების შესახებ ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს 15 ქვეყნის მიერ მისი რატიფიკაციის შემდგომ. ACHPR-ის სტატუტი ჯერ არ არის გამოქვეყნებული და ასევე არ არის განსაზღვრული მისი ადგილმდებარეობაც, აქედან გამომდინარე ბევრი მონაცემი მისი ფუნქციონირების თაობაზე ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი

ოქმის მიხედვით საქმე სასამართლოში განსახილველად შეიძლება გადაეცეს ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში (მუხლი 3.1). უფრო მეტიც, აფრიკულ ქარტიასთან ერთად (მუხლი 7) სასამართლოს შეუძლია მიმართოს ასევე სახელმწიფოს მხრიდან რატიფიცირებულ ნებისმიერ რელევანტურ დოკუმენტს ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც კანონმდებლობის წყაროს.

ACHPR სპეციფიკა ითვალისწინებს ინდივიდისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსს. სხვა იურიდიული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რეკომენდაციები შეიძლება ეთხოვოს არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის (OAU) ორგანოებს, არამედ ნებისმიერ აფრიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აღიარებულია OAU მიერ, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს,

ოქმის რატიფიკაციის პროცესში ან მის შემდგომ, გააკეთოს განცხადება სასამართლოს იურისდიქციის აღიარების შესახებ. და კიდევ, არის კიდევ ერთი პირობა, თუ OAU აღიარებს არასამთავრობო ორგანიზაციის ლიბერალობას, ამან შეიძლება გააძლიეროს ACHPR-ის საპრომოციო ფუნქცია. საკამათო იურისდიქციის ზონაში, ინდივიდს შეუძლია შეიტანოს სარჩელი სასამართლოში.

სახალხო და ადამიანის უფლებების აფრიკული კომიტეტი

ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკული კომიტეტს, რომელიც შეიქმნა 1987 წელს, აქვს მანდატი “ მხარი დაუჭიროს ჰუმანურ და ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოს მათი დაცვა აფრიკის კონტინენტზე”.

კომიტეტის ფუნქციები, განსაზღვრული აფრიკის ქარტიაში:

- (ა) სახელმწიფოს მოხსენებების ექსპერტიზა (მუხლი 62, ACHPR)
- (ბ) ადამიანის უფლებების მონიტორინგი და ფაქტების დადგენა და მათი შეფასება (მუხლი 45 და 58, ACHPR)
- (გ) ადამიანის უფლებების სწავლება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება (მუხლი 45, ACHPR)
- (დ) ACHPR-ის ინტერპრეტაცია (მუხლი 45, ACHPR)
- (ე) სახელმწიფოთაშორისი სარჩელების განხილვა (მუხლი 47, ACHPR)
- (ვ) ინდივიდუალური სარჩელების განხილვა (მუხლი 55, ACHPR)

აფრიკული ქარტიის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან წარუდგინონ მოხსენებები კომიტეტს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების თაობაზე

მუხლი 55-ის მიხედვით, კომიტეტს შეუძლია მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია ინდივიდებისაგან ან სხვა პირებისაგან რომლებიც მოქმედებენ მათი სახელით, აფრიკული ქარტიის დებულებების დარღვევის თაობაზე სახელმწიფო მხარეების მხრიდან. კომიტეტი იკვლევს შემთხვევის ხარისხს და იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე იყო თუ არა განხორციელებული აღნიშნული დარღვევა.

აფრიკის კონტინენტზე ციხეებსა და დაკავებულთა მდგომარეობაზე სამეცნიერო მომხსენებელი

**ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული
კომისია**

სპეციალური მომხსენებლის პოსტი, აფრიკის კონტინენტზე ციხეებსა და დაკავებულთა მდგომარეობაზე, შეიქმნა ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკის კომიტეტის რეზოლუციის საფუძველზე 1996 წელს. სპეციალურ მომხსენებელს აქვს მანდატი “ჩაატაროს თავისუფლებადაცვეთილ პირთა მდგომარეობის კვლევა ჰუმანური და ადამიანის უფლებების აფრიკული ქარტიის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიების ფარგლებში”.

მანდატით მინიჭებული უფლებების განხორციელების პროცესში სპეციალური მომხსენებელი:

- (ა) იღებს ინფორმაციას მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ინდივიდების მხრიდან აფრიკის კონტინენტზე საპატიმროების და დაკავებულთა მდგომარეობის შესახებ
- (ბ) აგზავნის სპეციალურ მიმართევებს ან აკეთებს ზოგად რეკომენდაციებს ქვეყნის შესაბამის ორგანოებში
- (გ) სახელმწიფო მხარეთა თანხმობით ახორციელებს ვიზიტებს ქვეყნებში და ვიზიტებთან დაკავშირებით მოხსენებებს წარუდგენს აფრიკულ კომიტეტს ღია სესიაზე

ამერიკული იმპანიზმები

ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის (OAS) შემადგენლობაში შედიან ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის და კარიბის სახელმწიფოები. OAS-ს მიღებული აქვს რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ამერიკული დეკლარაციის, ადამიანის უფლებებზე ამერიკული კონვენციის (ACHR), ადამიანების იძულებითი გატაცების ინტერ-ამერიკული კონვენციის, წამების პრევენციისა და დასჯის ინტერ-ამერიკული კონვენციის (ACPT) და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის, დასჯის და აღმოფხვრის ამერიკული კონვენციის ჩათვლით.

ორი მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ დოკუმენტებზე ეს არის: ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული კომიტეტი და ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული სასამართლო.

ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკული კომიტეტი შეიქმნა 1959 წელს OAS-ის უცხოელ მინისტრების რეზოლუციის საფუძველზე. ინტერ-ამერიკული კომიტეტის მანდატი მოიცავს “ადამიანის უფლებების პატივიცემის პრომოციას და მათ დაცვას“ (მუხლი 41, ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია (ACHR)). კომიტეტი ახორციელებს მისთვის მანდატით მინიჭებულ უფლებებს ქმედებების საფუძველზე, რომელიც მოყვანილია მუხლებში 41 და 44 (ACHR)

- (ა) ადამიანის უფლებების მონიტორინგი, ფაქტების დადგენა, შეფასება და მოხსენება;
- (ბ) ადამიანის უფლებების დარღვევების კვლევა და სახელმწიფოსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება
- (გ) მოხსენების გაკეთება ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ განსაკუთრებული ქვეყნების შემთხვევაში
- (დ) საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა, სადაც გათვალისწინებულია ტექნიკური დახმარება და ადამიანის უფლებებზე შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება;
- (ე) ინდივიდუალური სარჩელების მიღება და განხილვა

ACHR მუხლი 44-ის მიხედვით, ნებისმიერი პირს, ადამიანთა ჯგუფს ან ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აღიარებულია იურიდიულად OAS წევრი სახელმწიფოს მიერ, შეუძლია შეიტანოს პეტიცია კომიტეტში სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის დარღვევის თაობაზე

ფუნქციები, რომელიც მოყვანილია პუნქტებში ა) – დ) სრულდება კომიტეტის მიერ OAS წევრებთან თანამშრომლობის საფუძველზე. კომიტეტის იურისდიქცია, ე) (ინდივიდუალური სარჩელები) პუნქტის გათვალისწინებით, ლიმიტირებულია და ეხება დარღვევებს, რომელიც განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან ACHR მიმართ (მუხლი 44, ACHR). ყველა საშუალება ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა იყოს უკვე ამოწურული, სულ მცირე ისე მაინც, რომ შეუძლებელი იყოს კიდევ რაიმე საშუალების გამოხატვა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში (მუხლი 46 (1) (2), ACHR). კომიტეტის უფლებები წამების პრევენციისა და დასჯის

ინტერ-ამერიკულ კონვენციასთან დამოკიდებულებაში შემდეგია:

რეკომენდაციების შესრულება (მუხლი 48-50, 61, ACHR)

- (ა) ინფორმაციების მიღება სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის შესრულების პროცესში მიღებული ზომების შესახებ (მუხლი 17, ACHR); და
- (ბ) წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის ანალიზი წამების პრევენციასა და აღმოფხვრასთან მიმართებაში (ყოველწლიური მოხსენება, მუხლი 17, ACHR)

კომისიის უფლებას, მოახსენოს წევრ ქვეყნებში წამებასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ, გააჩნია პოტენციური გაზარდოს ცოდნა წამებასთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე და იმ ქმედებების აუცილებლობაზე, რომელიც დაკავშირებით უნდა განახორციელონ წევრმა სახელმწიფოებმა. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაეხმარონ აღნიშნული პროცესის მიმდინარეობას და გააუმჯობესონ კომიტეტის საქმიანობის ხარისხი, წამების ფაქტების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციების რეგულარული მიწოდების და წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე განხორციელებული პრევენციული ზომების საფუძველზე

ადამიანის უფლებების დაცვის ინტერ-ამერიკული სასამართლო

ადამიანის უფლებების დაცვის ინტერ-ამერიკული სასამართლო დაარსდა ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენციის (ACHR) რეზოლუციის საფუძველზე. ის არის ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის ავტონომიური იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია კონვენციის ინტერპრეტაციაზე და გამოყენებაზე. მხოლოდ წევრ სახელმწიფოებსა და კომიტეტს აქვთ ლეგალური უფლება საქმე განსახილველად წარადგინონ აღნიშნულ სასამართლოში (მუხლი 61,1, ACHR). საქმის მოსმენამდე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

- (ა) სარჩელი ეხება ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენციის დებულებების დარღვევებს (მუხლი 62 (3) ACHR)
- (ბ) დარღვევა ეხება სახელმწიფოს მხარეს (მუხლი 62 (3), ACHR)
- (გ) დაინტერესებული სახელმწიფო მხარე აღიარებს სასამართლოს იურიდიულობას (მუხლი 62, ACHR)
- (დ) საჩივარი უკვე იყო განხილული კომიტეტის მიერ და დაინტერესებული სახელმწიფო მხარემ ვერ მოახერხა კომიტეტის

ევროპული იმპანიზმები

ევროპის რეგიონში წარმოდგენილია რიგი მრავალმხრივი ორგანიზაციებისა: ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ევროპის საბჭო (CoE), ევროპის კავშირი (EU). დღემდე მხოლოდ ევროსაბჭომ მოახერხა შეემუშაებინა ოფიციალური იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურები წამებისა და სასტიკი მოპყრობის ბრალდების, კომპენსაციისა და პრევენციისათვის

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია (ECHR) მიღებული იქნა ევროსაბჭოს მიერ 1950 წელს და ძალაში შევიდა 1953 წელს. ევროპული კონვენციის მუხლი 3-ის მიხედვით “არავინ არ უნდა გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ობიექტი”. კონვენციის დამატებითი ოქმი 11-ის ძალაში შესვლის შემდეგ, 1998 წლის 1 ნოემბრიდან, ევროპულ სასამართლოს დაკისრებული აქვს ერთადერთი პასუხისმგებლობა დაიცვას კონვენციაში მოყვანილი უფლებები და თავისუფლებები. ინდივიდუალური სარჩელის პროცედურა, ნებაყოფლობითი, ახლა მანდატორული პროცედურაა კონვენციის წევრი სახელმწიფოებისთვის, და წამების ყველა მსხვერპლისთვის უკვე ხელმისაწვდომია აღნიშნული სასამართლო.

არსებული რევიზირებული სისტემას მიხედვით, სასამართლოს ფუნქციები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- (ა) შიდა სახელმწიფოებრივი შემთხვევების მოსმენა და განხილვა (მუხლი 33, ECHR)
- (ბ) ინდივიდუალური სარჩელების მიღება და განხილვა (მუხლი 34, ECHR)
- (გ) კონვენციის და ოქმების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემა (მუხლი 47, ECHR)

ნებისმიერი პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან ინდივიდთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ ისინი გახდნენ ძალადობის მსხვერპლი ხელშემკერელი სახელმწიფოს მხრიდან და კონვენციის მიხედვით დაირღვა მათი უფლებები, შეუძლიათ შეიტანონ

განაცხადი სასამართლოში წარმოდგენილი ფორმით. ხელშეშემკერედი მხარეები ვალდებული არიან არ შეუშალონ ხელი აღნიშნული უფლების ეფექტურ გამოყენებას. სასამართლოს შეუძლია განიხილოს აღნიშნული ინდივიდუალური საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ადგილობრივი შესაძლებლობები უკვე ამოწურულია და აპლიკაცია უნდა იყოს მიღებული საბოლოო დაგაწვეტილების მიღების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში (მუხლები 34, 35, ECHR).

თუ სასამართლო მიიჩნევს რომ განცხადება მისაღებია, ის გადაეცემა შემდგომი განხილვისათვის რათა დადგინდეს შემთხვევის ხარისხი. მოსმენები იმართება სასამართლოში, გამონაკლისი შემთხვევების გარდა (მუხლი 40, ECHR). საქმის არსთან დაკავშირებულ პროცედურებზე სასამართლოს შეუძლია გააკეთოს მცდელობა მეგობრული მოლაპარაკებების გზით მშვიდობიანად გადაწყვიტოს საკითხი მხარეებს შორის. აღნიშნული მოლაპარაკებები კონფიდენციალურია (მუხლი 38(2), ECHR). სასამართლო განაჩენის გამოტანა ხდება ხმათა უმრავლესობის მიღების საფუძველზე და სავალდებულოა. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ადგილი ქონდა კონვენციის დებულებების დარღვევას, და იმ შემთხვევაში თუ ხელშეშემკერედი სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობა არ მოიცავს ადექვატურ საშუალებას აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლო ვალდებულია უბრალოდ დააკმაყოფილოს დაზარალებული მხარე (მუხლი 41, ECHR). ყოველი განაჩენი უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით (მუხლი 45, ECHR).

განაჩენის აღსრულების კონტროლზე პასუხისმგებლობა ეკისრება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს. მინისტრთა კომიტეტმა უნდა მოახდინოს ვერიფიკაცია ხელშეშემკერედი მხარეებმა, რომელთაც დაარღვიეს კონვენციის ნორმები მიიღეს თუ არა ადექვატური ზომები, რათა შეესრულებინათ სასამართლო განაჩენი.

წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის პრევენციის შესახებ (ECPT), რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს, მოიცავს პრევენციის მექანიზმს, წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს, რომელიც აკომპლექტებს

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს იურიდიულ მექანიზმს. კომიტეტის მანდატოს ფუნქციები მოყვანილია მუხლი 1-ში (ECPT).

“კომიტეტი, განხორციელებული ვიზიტების საშუალებით, ჩაატარებს ალკვეთის დაწესებულებებში თავისუფლებაალკვეთილ პირთა მდგომარეობის მონიტორინგს და აუცილებლობის შემთხვევაში დაიცავს აღნიშნულ პირებს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ფაქტებისაგან”.

კომიტეტის როლი მოიცავს თავისუფლებაალკვეთილი პირების დაცვის გაუმჯობესებას და წამების ფაქტების პრევენციას. მას არა აქვს უფლება მიიღოს ინდივიდუალური საჩივრები ან გასცეს რაიმე კომპენსაციები დაზარალებულ პირებზე. კომიტეტის წევრები, რომლებიც შეირჩევა ხელშეშემკერედი მხარეების მიერ ნომინირებული კანდიდატებიდან, არიან აღნიშნული დარგის ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია ადამიანის უფლებების დაცვასა და წამების პრევენციის სფეროში.

კომიტეტი უფლებამოსილია ეწვიოს ნებისმიერი სახის დაკავების ადგილებს (მაგ. ციხეები, არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებები, პოლიციის განყოფილებები, სამხედრო ბარაკებს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს) ხელშეშემკერედი სახელმწიფოების ტერიტორიაზე რათა განახორციელოს თავისუფლება ალკვეთილ პირთა მდგომარეობის მონიტორინგი. ვიზიტები პერიოდულია, მაგრამ ვიზიტი შეიძლება განხორციელდეს ასევე მოცემულ მომენტში თუ საზმე გვაქვს სერიოზულ გადაუდებელ პრობლემას ან დარღვევებთან შემთხვევაში. დღემდე კომიტეტს განხორციელებული აქვს უკვე 82 პერიოდული და 37 საგანგებო ვიზიტი. კომიტეტმა უნდა აცნობოს სახელმწიფოს მისი განზრახვის თაობაზე განახორციელოს ვიზიტი, მაგრამ არ არის ვალდებული მიუთითოს ვიზიტის თარიღი (მუხლი 8, ECPT). გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს განაცხადი კომიტეტში ვიზიტის წინააღმდეგ განსაკუთრებული დროისა და შეთავაზებულ ადგილის საპირისპიროდ. განაცხადის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დაკავების დაწესებულებებში სერიოზული დარღვევების, პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულზე საგანგებო დაკითხვების მიმდინარეობის საფუძველზე. ასეთ

განაცხადს შეუძლია მხოლოდ ვიზიტის დროებით გადადება (მუხლი 8, ECPT).

ECPT მუხლი 8-ს მიხედვით, კომიტეტის წარმომადგენლებს არ უნდა შეზღუდოს დაკავების ადგილების მონახულების უფლება და აღნიშნულ ადგილებში დაშვებული უნდა იქნას მათი თავისუფალი გადაადგილება. კომიტეტის წარმომადგენელს შეუძლია ინტერვიუ ჩამოართვას დაკავებულს კონფიდენციალურად და შეუძლია გაესაუბროს ნებისმიერ პირს, რომელსაც თვლის რომ გააჩნია მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ყოველი ვიზიტის შემდეგ კომიტეტი მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებს მოხსენებას და აძლევს სახელმწიფო მხარეს შესაბამის რეკომენდაციებს (მუხლი 10, ECPT).

კომიტეტის მთელი საქმიანობა დაფუძნებულია კონფიდენციალობასა და თანამშრომლობაზე. ეროვნულ მთავრობებთან თანამშრომლობა წარმოადგენს ევროპული კონვენციის "გულს" წამების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კონვენცია უპირატესობას ანიჭებს დაიცვას დაკავებულები ვიდრე ბრალი დასდოს სახელმწიფოებს გადამეტებაში. აქედან გამომდინარე დღეისთვის, კომიტეტის მოხსენებები გამოქვეყნებულია ამ სახით. გამონაკლის შემთხვევებში თუ სახელმწიფო არ თანამშრომლობს ან უარს ამბობს მიიღოს კომიტეტის რეკომენდაციები, კომიტეტს შეუძლია გადაწყვიტოს გააკეთოს საზოგადოებრივი განცხადება. აღნიშნული შეიძლება მოხდეს მხოლოდ 3-ჯერ თერთმეტი წლის განმავლობაში.

OECPD დამატებითი ოქმი (ოქმი №1), ევროპის საბჭოს არაწევრი-სახელმწიფოებისთვის ხსნის შესაძლებლობას მომავალში შეუერთდნენ ECPT-ს. ოქმი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 მარტს.

წამებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პროფესიული სტანდარტები

მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია

შენევის დეკლარაცია

მიღებულია: მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის II გენერალური ასამბლეის მიერ (ვენევა, შვეიცარია, 1948 წლის სექტემბერი)

შესწორებულია: XXII მსოფლიოს სამედიცინო ასამბლეის მიერ (სიდნეი, ავსტრალია, 1968 წლის აგვისტო).

XXXV მსოფლიოს სამედიცინო ასამბლეის მიერ (ვენეცია, იტალია, 1983 წლის ოქტომბერი).

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის LXVI გენერალური ასამბლეის მიერ (სტოკჰოლმი, შვედეთი, 1994 წლის სექტემბერი);

სარედაქციო ცვლილებები: მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 170-ე საბჭოს სხდომაზე (დივონ ლე ბენი, საფრანგეთი, 2005 წლის მაისი);

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 173-ე საბჭოს სხდომაზე (დივონ ლე ბენი, საფრანგეთი, 2006 წლის მაისი);

© 2006. ტექსტი მოწოდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ

ვხდები რა სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელი:

სახეივრდ ვიზიტზე: ჩემი ცხოვრება მიუძღვნა ადამიანის სამსახურს;

პატივი და მადლიერება **მივამო** ჩემს მასწავლებლებს;

კეთილსინდისიერად და ღირსეულად **შევისრულო ჩემი პროფესიული მოვალეობა;**

პაციენტის ჯანმრთელობა გაეხადო ჩემს უმთავრეს საზრუნავად;

პატივი ვცე ჩემთვის მინდობილი საიდუმლო პაციენტის სიკვდილის შემდეგაც კი;

შეაღებინებ დაგვირგობად სამედიცინო პროფესიის კეთილშობილური ტრადიციები;

კოლეგები მიეჩინო ძმებად და დებად;

არ დავშვავ პაციენტის ასაკის, დაავადების ან შეზღუდული შესაძლებლობის, რწმენის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ეროვნების, პოლიტიკური კუთვნილების, რასის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური მდგომარეობის ან სხვა ნებისმიერი ფაქტორის ზეგავლენა ჩემს მოვალეობასა და ჩემს პაციენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე;

უსაზღვრო **პატივი ვცე** ადამიანის სიცოცხლეს;

არ გამოვიყენო სამედიცინო ცოდნა ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების შესაღებად, მუქარის შემთხვევაშიც კი;

ამ აღთქმას ვღებ საზეიმოდ, ნებაყოფლობით და ღირსეულად.

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია - ექიმთა გაიდლაინები დაკავშირებულია და პატივითა წამებასთან და სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების

შემლახავ მოპყრობასა და დასჯასთან მიმართებაში

მიღებულია 29-ე მსოფლიოს ექიმთა ასამბლეაზე, ტოკიო, იაპონია 1975წ.

სარედაქციო გადახედვა მოხდა 170-ე საბჭოს სესიაზე. დივონ ლე ბენი, საფრანგეთი. მაისი 2005 და 173-ე საბჭოს სხდომაზე. დივონ ლე ბენი, საფრანგეთი. მაისი 2006

© დოკუმენტის ოფიციალური თარგმანი მოწოდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ.

პრეამბულა

სამედიცინო პრაქტიკის წარმოება კაცობრიობის სამსახურში, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნება და აღდგენა განურჩევლად ნებისმიერი პირისა; პაციენტთა მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის ტანჯვის შემსუბუქება, ექიმის განსაკუთრებით საპატიო პრივილეგიას წარმოადგენს. ადამიანის სიცოცხლის განსაკუთრებული პატივისცემა უნდა განხორციელდეს საფრთხის არსებობის პირობებშიც და სამედიცინო ცოდნა არ უნდა იქნას გამოყენებული კაცობრიობის კანონების წინააღმდეგ. აღნიშნულ დეკლარაციაში წამება განისაზღვრება როგორც ერთი ან რამდენიმე პირის მიერ განზრახული, სისტემატური ან სასტიკი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის მიყენება სხვა პირისათვის, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რომელიმე ოფიციალური ორგანოს ან პირის მითითებით, რათა მსხვერპლისაგან იძულებით მოიპოვონ ინფორმაცია ან აღიარება ნებისმიერი მიზნით.

დეკლარაცია

1. ექიმმა არ უნდა გაამართლოს, არ უნდა შეურიგდეს და არ უნდა მიიღოს მონაწილეობა წამებაში ან სასტიკ არაადამიანურ მოპყრობისა და ღირსების შემლახველ ქმედებებში, როგორც სახის დანაშაულში ეჭვმიტანილი, განსასჯელი ან ბრალდებულიც არ უნდა იყოს მსხვერპლი და რა შეხედულებები ან მოტივაციებიც არ უნდა გააჩნდეს მას ნებისმიერ სიტუაციაში; მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამოქალაქო დაპირისპირების დროს.
2. ექიმმა არ უნდა გადასცეს არანაირი ადგილი, ინსტრუმენტი, ნივთიერება ან ცოდნა, რომელიც გამოიხმნულია წამების ან სხვა ფორმის სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისათვის ან მსხვერპლის

3. შესაძლებლობების შესამცირებლად გაუძღოს ასეთ მოპყრობას.
3. დაკავებულთა და პატიმართათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, რომლებიც იკითხებიან ან ახლო მომავალში უნდა დაიკითხონ, ექიმებმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა უზრუნველყონ ნებისმიერი სახის სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციურობა. ექნევის კონვენციის ნებისმიერი ფორმით დარღვევა ექიმის მიერ უნდა ეუწყოს შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს ან პირს. ექიმმა სამედიცინო ცოდნა, სამედიცინო ჩვევები ან კონკრეტულ პირთან დაკავშირებული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს; და არ უნდა დაუშვას მათი გამოყენება მისი სრული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა ხელი შეუწყოს ან ნებისმიერი ფორმით დახმარება გაუწიოს ამ პირთა დაკითხვის პროცესს, თუნდაც კანონიერად ან უკანონოდ.
4. ექიმი არ უნდა დაესწროს არანაირ პროცედურას, რომლის დროსაც გამოიყენება ან ხორციელდება მუქარა წამებაზე ან სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის სხვა ფორმები.
5. ექიმი უნდა ინარჩუნებდეს სრულ კლინიკურ დამოუკიდებლობას იმ პირის მკურნალობისა და მოვლის დროს, რომლის მიმართაც მას გააჩნია სამედიცინო პასუხისმგებლობა. ექიმის ფუნდამენტური როლი მდგომარეობს შეუმსუბუქოს ტანჯვა სხვა ადამიანს და პირადი, ჯგუფური ან პოლიტიკური მოტივაცია არ დააყენოს უზენაესი მიზნების უპირატესად.
6. თუ პატიმარი უარს აცხადებს კვებაზე და ექიმი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი საღად აცნობიერებს თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საკვების მიღების თვითნებურ შეწყვეტას, მან არ უნდა აწარმოოს იძულებითი კვება. გადაწყვეტილება, პატიმრის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის შესაძლებლობის შეფასების შესახებ უნდა დადასტურდეს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი ექიმის მიერ მაინც; ამასთან, ექიმმა პატიმარს უნდა განუმარტოს ის შედეგები, რაც შეიძლება დადგეს საკვების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.
7. მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს

საერთაშორისო საზოგადოებას, ნაციონალურ ექიმთა ასოციაციებსა და კოლეგა ექიმებს, რათა ექიმებმა და მისმა ოჯახის წევრებმა მიიღონ მხარდაჭერა საფრთხისა და რეპრესიების შემთხვევაში, რომელიც შედეგად მოჰყვა წამებასა და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამოყენებაზე უარის თქმას.

მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის დეკლარაცია - იმ ექიმთა მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც უარს აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ ან შეუბრძნონ წამებისა ან სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის სხვა ფორმების ბამოყენებას

მიღებულია მსოფლიოს გენერალური ასამბლეის 49-ე გენერალური ასამბლეის მიერ. 1997 წლის ნოემბერი. გერმანია, ჰამბურგი

© დოკუმენტის ოფიციალური თარგმანი მოწოდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ.

პრეამბულა

1. თანახმად საერთაშორისო ეთიკის მრავალი დეკლარაციისა და გაიდლაინისა, რომლებიც მოწოდებულია სამედიცინო პროფესიისათვის, ექიმებს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ეკრძალებათ შეურიგდნენ, ითანამშრომლონ ან მონაწილეობა მიიღონ წამებაში ან სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის პრაქტიკაში, ნებისმიერი მიზეზით.
2. უპირველესი ამ საერთაშორისო დეკლარაციებში და გაიდლაინებში არის მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის საერთაშორისო ეთიკის კოდექსი, ჟენევის დეკლარაცია, ტოკიოს დეკლარაცია და რეზოლუცია სიკვდილით დასჯაში ექიმთა მონაწილეობის შესახებ; ასევე, ევროპის ექიმთა მულტიმოქმედი კომიტეტის მადრიდის დადგენილება, ჩრდილოეთის ქვეყნების რეზოლუცია ექიმთა მონაწილეობის შესახებ სიკვდილით დასჯაში და მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაციის ჰავაის დეკლარაცია.
3. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დეკლარაციებისა, არც ერთ მათგანში არ არის დებულება, რომელიც განმარტავს საკითხს, თუ როგორ უნდა იყოს დაცული ექიმი თუ მასზე ხორციელდება ზეწოლა,

მოწოდებენ ან უბრძანებენ მიიღონ მონაწილეობა წამებაში ან სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის სხვა ფორმებში. არც ერთი ზემოთ ხსენებული დეკლარაცია ან დადგენილება არ გამოხატავს პირდაპირ მხარდაჭერას იმ ექიმთა მიმართ, რომლებიც აწყდებიან ამ პრობლემას ან რომელთათვისაც ცნობილი ხდება ამ ქმედებათა შესახებ.

რეზოლუცია

1. აღნიშნულთან დაკავშირებით, მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია, კვლავ ადასტურებს და განამტკიცებს ორგანიზებული სამედიცინო პროფესიის მოვალეობას:
 - I. მხარი დაუჭიროთ იმ ექიმებს, რომელთა მოვალეობაა, როგორც ექიმებისა, ემსახურონ კაცობრიობას და გაუძლონ ნებისმიერ ზეწოლას და არ იმოქმედონ ეთიკური პრინციპების საწინააღმდეგოდ, რომლებიც არეგულირებს მათ მოვალეობას აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
 - II. მხარი დაუჭიროთ ექიმებს, რომლებიც განიცდიან სიმწელებს, რომლებიც იქმნება მათი რეზისტენტულობით, ასეთი სახის ნებისმიერი ზეწოლის გამო ან მათი მცდელობის შედეგად გამოავლინონ ან იმოქმედონ ამგვარი არაპუმანური პროცედურების წინააღმდეგ; და,
 - III. მხარი დაუჭიროთ და ხელი შეუწყოთ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ნაციონალურ წევრ ექიმთა ასოციაციებს მხარი დაუჭიროთ იმ ექიმებს, რომლებიც განიცდიან სიმწელებს, მათი მცდელობის გამო, იმოქმედონ სამედიცინო პროფესიის უმაღლესი ეთიკური პრინციპების შესაბამისად.
2. გარდა ამისა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აღნიშნული არაპუმანური მოპყრობის ფაქტების და პროფესიული ეთიკური პრინციპების დარღვევისათვის ექიმებზე ზეწოლის დოკუმენტირებული ფაქტების არსებობის გათვალისწინებით, მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს:
 - I. გამოთქვას საერთაშორისო პროტესტი წამებაში ან სასტიკი

არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმებში მონაწილეობისათვის ექიმებზე ზეწოლის ნებისმიერი ფაქტის წინააღმდეგ.

II. მხარი დაუჭიროს, დაიცვას და მოუწოდოს ნაციონალურ ექიმთა ასოციაციებს დაიცვან ის ექიმები, რომლებიც განიცდიან ზეწოლას, მათი წინააღმდეგობის გამო მონაწილეობა მიიღონ ამგვარ არაჰუმანურ ქმედებებში, ან რომლებიც მუშაობენ, რათა უმკურნალონ ან ჩაუტარონ რეაბილიტაცია მსხვერპლებს; ასევე განამტკიცონ უფლება რათა შეინარჩუნონ უმაღლესი ეთიკური პრინციპები, მათ შორის სამედიცინო კონფიდენციალურობა.

III. გამოაქვეყნონ ინფორმაცია და მხარი დაუჭიროს იმ ექიმებს, რომლებიც ახდენენ წამების შემთხვევების რეპორტირებას და გაეცნონ გამოვლენილ შემთხვევებს ასეთ პროცედურებში ექიმთა ჩართვის ძალისხმევების შესახებ; და,

მხარი დაუჭიროს ნაციონალურ ექიმთა ასოციაციებს, რათა თხოვნით მიმართონ შესაბამის საგანმანათლებლო ოფიციალურ სტრუქტურებს, ასწავლონ და იკვლიონ ყველა სამედიცინო სკოლაში და საავადმყოფოში წამების შედეგები და მისი მკურნალობის საკითხები, გადარჩენილ პირთა რეაბილიტაციის საკითხები, წამების დოკუმენტირების საკითხები და დეკლარაციაში აღწერილი პორფესიული დაცვის საკითხები.

**მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის რეზოლუცია
- ექიმთა ვალდებულებების შესახებ
გამოავლინონ წამების ან სხვა
არაადამიანური მოპყრობის, ღირსების
შემლახველი და ღირსების ფაქტები, რომლებიც
მათთვის ცნობილი გახდა**

ინიცირებულია 2002 წლის სექტემბერში მიღებულია, მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ. პელსინკი, ფინეთი 2003 წ.

© დოკუმენტის ოფიციალური თარგმანი მოწოდებულია საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ.

მსოფლიოს ექიმთა ასოციაცია,

1. მხედველობაში იღებს რა გაერთიანებული ერების 1945 წლის 26 იანვრის წესდების პრეამბულას, რომელიც ოფიციალურად აცხადებს გაერთიანებული ერების ხალხების მისწრაფებას დაიცვან ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, პატივი სცენ ადამიანის ღირსებასა და ადამიანურ ღირებულებებს,
2. ითვალისწინებს რა 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულას, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა უპატივცემულობას და დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს ბარბაროსული აქტები, რომლებიც ღალატს ქუშიანობის პრინციპებს,
3. ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს, რომელიც აცხადებს, რომ არავინ არ შეიძლება იყოს წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობის, დასჯისა და ღირსების შელახვის ობიექტი,
4. ითვალისწინებს რა ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციას, რომელიც 1969 წელსაა მიღებული “ამერიკის შტატების ორგანიზაციის” მიერ და, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 18 იანვრის; ასევე წამებისა და დასჯის პრევენციის ინტერ-ამერიკულ კონვენციას, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 28 თებერვალს,
5. ითვალისწინებს რა მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 1975 წლის ტოკიოს დეკლარაციას, რომელიც კვლავ ადასტურებს ნებისმიერი სახის სამედიცინო ღონისძიების აკრძალვას ან ექიმის თანდასწრებას ან მონაწილეობას წამების ან სხვა არაჰუმანური და ღირსების შემლახველ აქტებში,
6. ითვალისწინებს რა 1977 წელს მიღებულ მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაციის პავაის დეკლარაციას,
7. ითვალისწინებს რა 1981 წლის ისლამური ექიმთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის კუვეიტის დეკლარაციას,
8. ითვალისწინებს რა სამედიცინო ეთიკის პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება

ჯანდაცვის პროფესიონალების, განსაკუთრებით კი ექიმების როლს, დაკავებულთა და პატიმართა დასაცავად წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯისაგან, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1982 წლის 18 დეკემბერს, განსაკუთრებით 2 პრინციპი, რომელიც აცხადებს, რომ: “ჯანდაცვის პროფესიონალთა და განსაკუთრებით ექიმთა მიერ სამედიცინო ეთიკის უხეში დარღვევაა ...მონაწილეობა მიიღონ აქტიურად ან თუნდაც პასიურად, იმ ქმედებებში, რომლებიც მიზნად ისახავს ან ფაქტიურად წარმოადგენს წამებას ან სხვა სასტიკ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას...”

9. ითვალისწინებს რა კონვენციას წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის დეკემბერში,
10. ითვალისწინებს რა წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კონვენციას, რომელიც მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1987 წლის 26 ივნისს და ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს,
11. ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა რეზოლუციას, რომელიც მიღებულია მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 1990 წლის 42-ე გენერალურ ასამბლეაზე რანჩო მირაჟში და შესწორებულია 45-ე, 46-ე და 47-ე გენერალურ ასამბლეებზე,
12. ითვალისწინებს რა მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ჰამბურგის დეკლარაციას, რომელიც მიღებულია 1997 წლის 49-ე გენერალურ ასამბლეაზე და მოუწოდებს ექიმებს ინდივიდუალურად გამოთქვან პროტესტი არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციებს - მხარი დაუჭირონ ექიმებს აღნიშნულ საქმიანობაში,
13. ითვალისწინებს რა სტამბოლის პროტოკოლს (წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ), რომელიც

მიღებულია 2000 წლის 4 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ,

დასაშვებად აღიარებს

1. ექიმის მიერ წამების ფაქტების შესახებ ინფორმაციის ფრთხილ და თანმიმდევრულ გამოაშკარავებას (დასმენა) და დახმარებას მსხვერპლის ფიზიკური და გონებრივი ერთიანობის შესანარჩუნებლად და ზოგადად ექიმის ბრძოლას ადამიანის ღირსების შელახვის წინააღმდეგ,
2. რომ ექიმებმა წამების შედეგების დადგენისას მომხდარისაგან ადრეულად ან თუნდაც მოგვიანებით, აქვთ უპირატესობა გამოვიდნენ მოწმედ ადამიანის უფლების ამგვარი დარღვევის გამო,
3. რომ მსხვერპლები, იმ ფსიქოლოგიური შედეგების გამო, რომლისგანაც ისინი დაზარალებდნენ ან მათზე ზეწოლის გამო, ხშირად უუნარონი არიან ინიველონ იმათ წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელია მათდამი ისეთ მოპყრობაში, რომელიც გადაიტანეს,
4. რომ წამების აქტების სააშკარაოზე გამოუტანლობა ჩაითვლება ტოლერანტობის ფორმად წამებისადმი და მსხვერპლისათვის დახმარების გაუწევლობად,
5. რომ არ არსებობს არანაირი თანმიმდევრული და აშკარა კავშირი ეთიკის პროფესიულ კოდექსსა და კანონმდებლობას შორის, რომელიც ავადდებულებს ექიმებს გაახმაურონ წამების და სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და ღირსების შელახვის ფაქტი, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა

რეკომენდაციას აძლევს ნაციონალურ ექიმთა ასოციაციებს რათა:

- ა. მათსავე ქვეყნებში ხელი შეუწყონ ეთიკური წესებისა და საკანონმდებლო წინადადებების მიღებას:
 - 1.1. რომლებიც მიზნად ისახავს გაამყაროს ექიმთა ეთიკური მოვალეობა გაახმაურონ და გამოააშკარაონ წამების და სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი აქტები, რომლებიც

მათთვის ცნობილი გახდა; გარემოების მიხედვით, გამოაშკარავების შესახებ ინფორმაცია მიმართული უნდა იყოს სამედიცინო, იურიდიული, ეროვნული ან საერთაშორისო პასუხისმგებელი ორგანოებისა და პირების მიმართ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიმართ. ექიმებმა ასეთ შემთხვევებში უნდა გამოიჩინონ კეთილგონიერება და გაითვალისწინონ სტამბოლის პროტოკოლის 68-ე მუხლი.

12. დააწესონ და აამოქმედონ ეთიკური და საკანონმდებლო გამონაკლისის წესი პროფესიული კონფიდენციალობის დარღვევის, რომელიც ექიმს საშუალებას მისცემს გაახმაუროს ინფორმაცია წამების ფაქტების შესახებ, შესაძლებლობის მიხედვით წამების ობიექტის ინფორმირებული თანხმობით, მაგრამ გარკვეულ პირობებში, როდესაც მსხვერპლს არ შესწევს უნარი თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება, მისი აშკარა თანხმობის გარეშე.

13. გააფრთხილოს ექიმები რათა ამ უკანასკნელებმა თავიდან აიცილონ თავისუფლება აღკვეთილი, შეზღუდვა დაწესებული და საფრთხეში მყოფი ინდივიდების საფრთხეში ჩაყენება მათი ინფორმაციის სახელობითი გამჟღავნების გამო.

2. გაავრცელოს სტამბოლის პროტოკოლი ექიმთა შორის.

3. ხელი შეუწყონ მათ ტრენინგს წამებისა და მისი შედეგების იდენტიფიკაციის სხვადასხვა მონაცემების შესახებ.

4. ხელმისაწვდომი გახადონ ყველა სასარგებლო ინფორმაცია ინფორმაციის მიწოდების პროცედურების შესახებ, კერძოდ ეროვნული პასუხისმგებელი სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსადმი.

სტამბოლის პროტოკოლი, მუხლი 68 ცალკეულ შემთხვევებში ორმაგი ეთიკური ვალდებულება შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს.

საერთაშორისო კოდექსებისა და პრინციპების შესაბამისად, აუცილებელია ინფორმაციის შეტყობინება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ ამა თუ იმ უფლებამოსილ ორგანოსათვის. ზოგიერთ ქვეყანაში ეს აგრეთვე დადგენილია კანონით. მაგრამ, რიგ შემთხვევაში პაციენტები შეიძლება არ დათანხმდნენ ამ მიზნისათვის ჩასატარებელ ექსპერტიზაზე ან იმაზე, მსგავსი ექსპერტიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამჟღავნებულ იქნას სხვა პირებისა და ორგანოებისათვის. პაციენტებს შიში უნდა ჰქონდეთ, რომ მათზე ან მათი ოჯახების წევრებზე შეიძლება განხორციელდეს რეპრესიები. ასეთ გარემოებებში ჯანდაცვის პროფესიულ მუშაკებს შეეძქნებათ ორმაგი პასუხისმგებლობა: პირველ რიგში პაციენტის, ხოლო შემდგომ მთლიანად საზოგადოების წინაშე, რომლის ინტერესები იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანობისათვის სამართალდარღვევებში ბრალდებული პირები იყვნენ გასამართლებული. მსგავსი სახის დილემების გადასაწყვეტად უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნას ზიანის არ მიყენების ფუძემდებლური პრინციპი. ჯანდაცვის მუშაკები ის ეთ გადაწყვეტილებებს უნდა პოულობდნენ, რომლებიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების აღსრულებას, მაგრამ ამასთან არ დაირღვევა ცალკეული პირების უფლება კონფიდენციალობის დაცვაზე. ასეთ შემთხვევებში საჭიროა კონსულტაციები სანდო დაწესებულებებთან; ზოგჯერ ეს შეიძლება იყოს შესაბამისი ეროვნული სამედიცინო ასოციაცია ან ორგანიზაციები. სხვა შემთხვევებში კი შესაბამისი მხარდაჭერისა და დარწმუნებისას ზოგიერთი პაციენტი, რომელიც უარს ამბობდა ღიად მიეცა მონაცემები, შეიძლება დათანხმდეს ინფორმაციის გამჟღავნებაზე წინასწარ დათქმულ ჩარჩოებში.

17.9.2003

მქთანთა საერთაშორისო საბჭო ICN

ექთნების როლი დაკავებულთა და დაპატიმრებულთა მოვლაში მიღებულია 1998 წელს, ცვლის ICN-ს წინა პოზიციას

ექთნების როლი დაკავებულთა და დაპატიმრებულთა მოვლაში, მიღებულია 1975 წელს

ICN პოზიცია:

ექთნების საერთაშორისო საბჭო მხარს უჭერს გაეროს საყოველთაო დეკლარაციას ადამიანის უფლებების შესახებ, 1948 და 1949 წლის ენევის

კონვენციას და დამატებით ოქმებს. აქედან გამომდინარე ადასტურებს, რომ:

- პატიმრებსა და დაკავებულებს აქვთ უფლება მკურნალობაზე და ჰუმანურ მოპყრობაზე
- ჩვენ ვაცხადებთ, რომ დაკითხვის პროცედურები მავნებელია მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის
- პატიმრებს და დაკავებულებს აქვთ უფლება უარი თქვან მკურნალობაზე ან სადიაგნოსტიკო პროცედურებზე და ღირსების გრძობითა და მშვიდობიანად დატოვონ ეს სამყარო

ექთნების ძირითადი მოვალეობაა, ხელი შეუწყონ ადამიანის ჯანმრთელობას, მოახდინონ დაავადების პრევენცია, შეამსუბუქონ ტანჯვა და აღადგინონ ჯანმრთელობა. ექთნის უპირველესი მოვალეობა მოიცავს პასუხისმგებლობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ საექტონო მომსახურებას. ხშირად ექთნები გვევლინებიან პირველ პროფესიონალებად, რომლებიც ამჩნევენ და ადგენენ სასტიკი მოპყრობის ნიშნებს დაკავებულებისა ან დაპატიმრებულების შემთხვევაში. ძალზედ მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ მათ დაიცვან ეთიკურ პრინციპები პატიმრებთან მიმართებაში და იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით:

- ექთნები, რომელთაც იციან დაკავებულთა ან დაპატიმრებულთა სასტიკი მოპყრობის თაობაზე უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები საკუთარი უფლებების დასაცავად
- ციხის სამდიცინო პუნქტებში მომუშავე საექტონო პერსონალი არ არის უფლებამოსილი შეითავსოს ციხის დაცვის სამსახურის ფუნქციები, ისეთი როგორცაა მაგ. ჩხრეკის პროცედურა, რომელიც ხორციელდება საპატიმროს უაფრთხოების მიზნით
- ექთნების ეროვნული ასოციაციები (NNA) და ექთნები როგორც ინდივიდები, უნდა იქნას დაცული ძალადობის ფაქტებისაგან რაც უკავშირდება დაკავებულთა და პატიმართა მკურნალობას
- ექთნების ეროვნულმა ასოციაციებმა ციხის ექთნების პერსონალისთვის უნდა უზრუნველყონ კონფიდენციალური რჩევის, ადვოკატის მომსახურების და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა

საფუძველი:

გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის, 1948, მიხედვით, ყველა ადამიანი უფლებამოსილია ისარგებლოს ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, მისი რასის,

ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად და არ გახდეს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ობიექტი

შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, 1949 წლის ენევის კონვენციისა და დამატებითი ოქმების მიხედვით, შეიარაღებული ძალების წევრებს, პატიმრებსა და იმ პირებს, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, აქვთ დაცვისა და ჰუმანური მოპყრობის უფლება

ემქნები და ადამიანთა უფლებები

მიღებულია 1998 წელს, ცვლის ICN-ს წინა პოზიციას ექთნების როლი ადამიანთა უფლებების დაცვაში მიღებულია 1983 წელს, განახლებულია 1993 წელს

ICN პოზიცია:

ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებები მოიცავს, როგორც რეციპიენტებს ასევე პროვაიდერებს. ექთნების საერთაშორისო საბჭო (ICN) ჯანდაცვის მომსახურებას განიხილავს, როგორც ყველა ინდივიდის უფლებას, მიუხედავად მათი ფინანსური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, რასისტული ან რელიგიური შეხედულებებისა. აღნიშნული მოიცავს უფლებას, მიიღოს ან უარი თქვას მკურნალობაზე ან საკვების მიღებაზე; წერილობით თანხმობას; კონფიდენციალობას და ღირსებას, ღირსეული სიკვდილის ჩათვლით

ადამიანის უფლებები და ექთნების როლი

ექთნები ვალდებული არიან დაიცვან ადამიანის ჯანმრთელობის უფლება ყველა დროსა და ადგილას. აღნიშნული მოიცავს გარანტიას ადექვატურ მკურნალობაზე არსებული რესურსებიდან გამომდინარე და საექტონო ეთიკის სრული დაცვით. ასევე, ექთნები ვალდებული არიან პაციენტს მიაწონონ შესაბამისი ინფორმაცია მკურნალობის ან შესაბამისი პროცედურების დაწყებამდე, კვლევით ექსპერიმენტებში მონაწილეობის ჩათვლით

ICN მხარს უჭერს და მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებებსა და ექთნების როლთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეტანილი იქნას საექტონო განათლების პროგრამებში, ყველა დონეზე

როგორც პროფესიონალები, ექთნები პასუხს აგებენ საკუთარ ქმედებებზე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ექთნების ეროვნული ასოციაციები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პაციენტის უფლებებთან დაკავშირებულ ჯანდაცვისა და სოციალური კანონმდებლობის განვითარებაში

ექთნების უფლებები

ექთნებს აქვთ უფლება იმოქმედონ იმ ქვეყნის საექთნო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ და შეიმუშაონ და მიიღონ ICN საექთნო კოდექსი ან მათი საკუთარი ეროვნული ეთიკური კოდექსი. ექთნებს ასევე აქვთ უფლება იმოქმედონ ისეთ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილი იქნაბა მათი უსაფრთხოება, თავისუფლება, და დაცულობა ძალადობისა, მუქარისა და დაშინებისაგან

ექთნების ეროვნული ასოციაციები მოითხოვენ გარანტირებულ მექანიზმს რომლის საშუალებითაც ექთნებს საშუალება ექნებათ მიიღონ კონფიდენციალური რჩევები, ადვოკატის მომსახურება, მხარდაჭერა და დახმარება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ რთულ სიტუაციებში

საფუძველი:

ექთნებს ყოველდღიური შეხება აქვთ ადამიანის უფლებებთან, მათი პროფესიული როლის ყველა ასპექტიდან გამომდინარე. ექთნებზე შესაძლოა განხორციელდეს ზეწოლა, რათა აიძულონ ისინი გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და პროფესიონალიზმი პაციენტებისა და სხვა პირების საზიანოდ. არსებობს მზარდი მოთხოვნა სიფრთხილესა და კარგად ინფორმირებულობაზე, იმაზე თუ რამდენად მოქმედებენ ახალი ტექნოლოგიები და ექსპერიმენტები ადამიანის უფლებებზე. გარდა ამისა, ექთნებს სულ უფრო ხშირად უწევთ შეეჯახება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემებთან, რომლებიც წარმოიშებიან კონფლიქტურ სიტუაციებში იურისდიქციის ფარგლებში, პოლიტიკური გადატრიალებებისა ან ომების პირობებში. ადამიანის უფლებების დაცვის აპლიკაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთ დაუცველ ჯგუფებს როგორცაა ქალები, ბავშვები, მოხუცები, ლტოლვილები და სტიგმატიზირებული ჯგუფები.

ICN განავითარა ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებების მონაცემთა ცხრილი, რომელიც მოიცავს იმ ძირითად სფეროებს, სადაც ადამიანის უფლებები გავლენას ახდენენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის რეფორმის, მეურნეობის ხელმისაწვდომობის და გენდერული პერსპექტივების ჩათვლით

ICN მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც მიღებულია 1948 წელს.

წამება, სიკვდილით დასჯა და სასჯელაღსრულების პროცესში ექთნების მონაწილეობა

მიღებულია 1998 წელს, ცვლის ICN-ს წინა პოზიციას «ექთნები და წამება», მიღებულია 1989 წელს და «სიკვდილით დასჯა და სასჯელაღსრულების პროცესში ექთნების მონაწილეობა», მიღებულია 1989 წელს

ICN პოზიცია:

ექთნების საერთაშორისო საბჭო (ICN) მხარს უჭერს გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას. გარდა ამისა ჩვენ ვაცხადებთ:

ექთნის უპირველესი მოვალეობა მოიცავს პასუხისმგებლობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ საექთნო მომსახურებას. ექთანი ვალდებულია უზრუნველყოს ძალადობის, სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა მსხვერპლთა მეურნეობის მაღალი დონე. ექთანმა არ უნდა მიიღოს ნებაყოფლობით მონაწილეობა წინასწარგანზრახულ ფიზიკური ან მენტალური ძალადობაში. ექთნის პასუხისმგებლობა პატიმრის მიმართ, რომელსაც მისჯილი აქვს სიკვდილი გრძელდება სასჯელის საბოლოო აღსრულების მომენტამდე.

ICN სიკვდილით დასჯას განიხილავს, როგორც არაპუმანური ქმედების უკანასკნელ, ზღვრულ ფორმას.

ექთნების პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა სასჯელაღსრულების მომზადებისა ან განხორციელების პროცესში განიხილება, როგორც საექთნო ეთიკური კოდექსის დარღვევა.

ICN მხარს უჭერს ექთნების ეროვნული ასოციაციის (NNA) წევრების მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. INC მოითხოვს, რომ ექთნების ეროვნულმა ასოციაციამ განავითაროს შესაბამისი მექანიზმები, რათა ექთნებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს კონფიდენციალური რჩევების მიღება და დახმარება ძალადობის მსხვერპლთან და სიკვდილმისჯილ პატიმრებთან ურთიერთობის პროცესში.

ICN მოითხოვს, რომ საექტონო განათლების პროგრამები, ყველა დონეზე, მოიცავდეს შემდეგს: ადამიანის უფლებების დარღვევების აღიარებას, ისეთი როგორცაა წამება და სიკვდილით დასჯა; სამედიცინო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას სასჯელადსრულების პროცესში; და ექთნის უფლების აღიარებას, უარი თქვას სასჯელადსრულების პროცესში მონაწილეობაზე.

საფუძველი:

ICN საექტონო კოდექსის მიხედვით ... ექთნის ძირითადი პასუხისმგებლობაა შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, მოახდინოს დაავადების პრევენცია, აღადგინოს ჯანმრთელობა და შეამსუბუქოს ტანჯვა

ადამიანთა უფლებების დარღვევა ეს არის ყოვლისმომცველი და სამეცნიერო მიღწევები, რასაც საბოლოოდ მივყავართ წამების დამახინჯებულ ფორმებამდე. ექთნებს სჭირად მოუწოდებენ განახორციელონ ფიზიკური გამოკვლევები პატიმართა დაკითხვის და წამების წინ, დაესწრონ სხდომებს, სესიებს წამების შესახებ იმისათვის რომ უზრუნველყონ ზრუნვა და/ან წამების ფიზიკური ეფექტების მკურნალობა.

დონისძიებებმა, რომლებიც ხორციელდება სიკვდილით დასჯის თითქოსდა «გაპუმანურების» ან «მედიცინიზაციის» მიმართულებით, შესაძლოა მიგვიყვანოს საპირისპირო იურიდიულ და ეთიკურ პრობლემებამდე.

ფიზიკური თერაპიის (რეაბილიტაციის) მსოფლიო კონფედერაცია

სახელმძღვანელო პრინციპები წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის შესახებ

მიღებულია ფიზიოთერაპევტთა მსოფლიო კონფედერაციის 13-ე გენერალურ სხდომაზე, იენისი 1995 წელი

1. ფიზიოთერაპევტი არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, უჭერდეს მხარს ან შეეგუოს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრაქტიკას, როგორცაა არ უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმე, რომლის მსხვერპლი არის ეჭვმიტანილი, დადანაშაულებული ან ბრალდებული და ასევე მიუხედავად იმისა რა არის მსხვერპლის მოტივი, ყველა სიტუაციაში,

შეიარაღებული კონფლიქტისა და სამოქალაქო უთანხმოების ჩათვლით

2. ფიზიოთერაპევტმა არ უნდა გამოიყენოს შენობა, ინსტრუმენტები, სუბსტანციები ან ცოდნა იმისათვის რომ ხელი შეუწყოს წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის პრაქტიკის გამარტივებას ან შეამციროს მსხვერპლის უნარი შეეწინააღმდეგოს ასეთ მოპყრობას

3. ფიზიოთერაპევტი არ უნდა ესწრებოდეს პროცედურებს, რომლის დროსაც გამოყენებულია წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აქტები ან მათზე მუქარა.

4. ფიზიოთერაპევტის ძირითადი როლი მდგომარეობს იმაში, რომ შეუმსუბუქოს ადამიანებს სტრესული მდგომარეობა და არა აქვს მნიშვნელობა სტრესის მიღების მოტივი პერსონალურია, კოლექტიური თუ პოლიტიკური

5. ფიზიოთერაპევტთა მსოფლიო კონფედერაცია მხარს დაუჭერს და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, ეროვნული ფიზიოთერაპევტების ასოციაციებს და კოლეგა ფიზიოთერაპევტებს ასევე მხარი დაუჭირონ იმ ფიზიოთერაპევტებსა და მათ ოჯახებს, რომელთაც ემუქრებიან რეპრესიებით იმის გამო რომ მათ უარი თქვეს დათანხმებოდნენ წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის გამოყენებას

6. პრაქტიკოს ფიზიოთერაპევტებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური ცოდნა ზოგადი და ვიწრო სპეციალიზაციის ნევროლოგიაში, ჩონჩხ-კუნთოვანი და ფსიქოლოგიური დარღვევების ჩათვლით, რაც შეიძლება გამოვლინდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ეფექტების სახით, მათ ასევე უნდა შეეძლოთ შესაბამისი ფუნქციური შეფასების გაკეთება და სამკურნალო პროცედურების ჩატარება წამების მსხვერპლთა გადასარჩენად

7. წამების პრევენციასა და აკრძალვასთან, ისევე როგორც წამების მსხვერპლთა მდგომარეობის შეფასებასა და მკურნალობასთან დაკავშირებული მასალები უნდა იქნას შეტანილი, როგორც დიპლომამდელ სასწავლო პროგრამებში, ასევე დიპლომის შემდგომ ფიზიოთერაპევტთა უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში

წამების მსხვერპლთა დღე და მისი მხარდამხმარი რეზოლუცია

ღანიის ფიზიოთერაპევთა ასოციაციის წინადადება, ქვემოთმოყვანილი რეზოლუცია მიღებული იქნა ფიზიოთერაპევთა მსოფლიო კონფედერაციის 13-ე საერთაშორისო კონგრესზე (WCPT), 23-28 მაისი, 1999 წელი, იოკოჰამა, იაპონია

წინადადება

ფიზიოთერაპევთა მსოფლიო კონფედერაციის (WCPT) გამოთქვამს სურვილს ყოველი წლის 26 ივნისს წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერად დაწესდეს « გაეროს დღე »

საფუძველი

წამებას წარმოადგენს ერთერთ ძირითად წინააღმდეგობას დემოკრატიის და ჰუმანური კეთილდღეობის გზაზე და ამ დღის აღნიშვნით გვსურს გამოვხატოთ ფიზიოთერაპევტების სურვილი წამების ტოტალური აღმოფხვრის მხარდასაჭერად

ბოლო წლის მანძილზე WCPT და IRCT (წამების მსხვერპლთა საერთაშორისო რეაბილიტაციის საბჭო) თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული იქნა სემინარები ფიზიოთერაპევტებისათვის. აღნიშნული სემინარები სეტანილია საგანმანათლებლო პროგრამებში ფიზიოთერაპევტი სტუდენტებისათვის, რაც ხელს შეუწყობს წამებასთან დაკავშირებული WCPT გაიდლაინების რეალიზაციას და პრაქტიკაში დანერგვას. წამების პრევენციასა და აკრძალვასთან დაკავშირებული მასალები და ცოდნა, ისევე როგორც წამების მსხვერპლთა მდგომარეობის შეფასებისა და მკურნალობის კრიტერიუმები უნდა იქნას შეტანილი ფიზიოთერაპევტთა საგანმანათლებლო პროგრამებში

ჩვენი სურვილია ეს « გაეროს საერთაშორისო დღე » იქცეს წამების შეცნობის და წამების მსხვერპლთა, გადარჩენილთა და მათი ოჯახების, მეგობრების და მხარდამჭერების პატივისცემის დღედ. ჩვენ მხარს ვუჭერთ IRCT-ის მოსაზრებას, რომ « შეუძლებელია დემოკრატიის აშენება გატეხილ სულელებზე » და ვუერთდებით ინიციატივებს შეიქმნას შესაბამისი ცოდნა შესაბამისი მასალების შეგროვებით, რომლებიც ეხება სასტიკ და დამამცირებელ მოპყრობას და იმ ადამიანების აღიარებით, რომლებიც იბრძოდნენ უკეთესი მსოფლიოსათვის და იტანჯებოდნენ

WCPT აცხადებს, რომ « გაეროს საერთაშორისო დღეს » ფიზიოთერაპევტები მიუძღეს მსოფლიოში მხარს უჭერენ ბრძოლას წამების და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერად

მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაცია

მაღრიდის დეკლარაცია ფსიქიატრიული პრაქტიკის ეთიკურ სტანდარტებზე
დამტკიცებულია მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ, 25 აგვისტო, 1996 წელი

1977 წელს მსოფლიოს ფსიქიატრიულმა ასოციაციამ მიიღო ჰავაის დეკლარაცია, რომელიც მოიცავს ეთიკურ გაიდლაინებს ფსიქიატრიის პრაქტიკაში. მოგვიანებით, მოხდა დეკლარაციის გადახედვა და განახლება ვენაში 1983 წელს. სოციალური ურთიერთობების ცვლილებების გავლენის და სამედიცინო სფეროს ახალი მიღწევების ასახვისათვის ფსიქიატრიის პროფესიაში, მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციამ კიდევ ერთხელ ჩაატარა კვლევები და გააკეთა ეთიკური სტანდარტების რევიზია. მედიცინა, ეს არის ერთდროულად მკურნალობის ხელოვნებაც და მეცნიერებაც. აღნიშნული კომბინაციის დინამიკა საუკეთესოდ არის ასახული ფსიქიატრიაში, მედიცინის ერთერთ დარგში, რომელიც სპეციალიზირებულია იმ ადამიანთა მოვლასა და მკურნალობაზე, რომელთაც აქვთ მენტალური დარღვევები. თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს კულტურული, სოციალური, ეროვნული განსხვავებები, მაგრამ მოთხოვნა ეთიკური ქცევისა და ეთიკური სტანდარტების უწყვეტ რევიზიაზე საერთოა. ფსიქიატრები, როგორც მედიცინის პრაქტიკოსები, უნდა იცნობდნენ ექიმის პროფესიის ეთიკურ პრინციპებს და ფსიქიატრიის, როგორც სპეციალობის, სპეციფიურ ეთიკურ მოთხოვნებს. როგორც საზოგადოების წევრებმა, ფსიქიატრებმა უნდა მოითხოვონ გონებრივი ავადმყოფების შესაბამისი და ექვივალენტური მკურნალობა, სოციალური სამართალი და სამართლიანობა ყველა ადამიანის შემთხვევაში. ეთიკური ქცევა დაფუძნებულია ფსიქიატრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძობაზე პაციენტის მიმართ და გადაწყვეტილებაზე თუ რისი გაკეთებაა სწორი და შესაბამისი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. საერთაშორისო სტანდარტები და გავლენები, ისეთი როგორცაა პროფესიული ქცევის კოდექსი, ეთიკის სწავლა ან კანონის მართვა თავისთავად არ შეიძლება იყოს მედიცინაში ეთიკური პრაქტიკის გარანტია. ფსიქიატრებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ფსიქიატრიულ პაციენტებთან ურთიერთობის საზღვრები და უპირველეს ყოვლისა უნდა ხელმძღვანელობდნენ

პაციენტის პატივისცემის, მათი კეთილდღეობის და ღირსების გრძობიდან გამომდინარე, სწორედ აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაციამ გენერალურ ასამბლეაზე, 25 აგვისტო, 1996 წელი, მიიღო შემდეგი ეთიკური სტანდარტები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მსოფლიოს ფსიქიატრთა ქცევის მართვა.

1. ფსიქიატრია ეს არის სამდიცინო დისციპლინა, რომელიც დაკავშირებულია მენტალური დარღვევების მკურნალობასთან, მენტალური დაავადებების მქონე ინდივიდების რეაბილიტაციის ჩათვლით. ფსიქიატრები მკურნალობენ პაციენტებს იმ თერაპიული მეთოდებით, რომლებიც შეესაბამება სამეცნიერო ცოდნას და ეთიკურ პრინციპებს. ფსიქიატრებმა უნდა მოიძიონ ისეთი თერაპიული მეთოდები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს პაციენტის თავისუფლებას და ასევე მიიღონ რჩევები და რეკომენდაციები მათი საქმიანობის ისეთ სფეროებში სადაც მათ არ ჩაუტარებიათ კვლევა. საქმიანობის პროცესში ისინი უნდა ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას და დაინტერესდნენ ჯანდაცვის რესურსების სამართლიანი გადანაწილებით

2. ფსიქიატრების მოვალეობაა ფეხი აუწყონ სამეცნიერო განვითარებას და შესაბამისად გადასცენ სხვებს ინფორმაცია უახლესი მიღწევების შესახებ. ის ფსიქიატრები რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ვალდებული არიან გააფართოვონ და წინ წასწიონ ფსიქიატრიის სამეცნიერო საზღვრები

3. თერაპიული პროცესის მიმდინარეობის დროს პაციენტი უნდა იქნას განხილული როგორც პარტნიორი. ფსიქიატრი-პაციენტის დამოკიდებულება დაფუძნებული უნდა იყოს ორმხრივ ნდობასა და პატივისცემაზე, რის საფუძველზეც პაციენტს ეძლევა უფლება მიიღოს თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილება. ფსიქიატრი ვალდებულია მიაწოდოს პაციენტს რელევანტური ინფორმაცია რაც საშუალებას მისცემს პაციენტს მივიდეს რაციონალურ გადაწყვეტილებამდე

4. თუ პაციენტს არა აქვს შესაბამისი მსჯელობის უნარი მისი მენტალური დარღვევებიდან გამომდინარე ან არაკომპეტენტურია ფსიქიატრი ვალდებულია კონსულტაციისთვის მიმართოს მის ოჯახს, და თუ აუცილებელია მოითხოვოს ადვოკატის მომსახურება პაციენტის ღირსების და იურიდიული უფლებების დასაცავად. დაუშვებელია რაიმე მკურნალობის ჩატარება პაციენტის სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ

შემთხვევის გარდა თუ მკურნალობაზე უარის თქმა საზიანო იქნება პაციენტის სიცოცხლისთვის და/ან მის გარემომცვეთათვის. მკურნალობა ყოველთვის უნდა განხორციელდეს პაციენტის ინტერსებიდან გამომდინარე

5. როდესაც ფსიქიატრს სთხოვენ შეაფასოს პიროვნების მდგომარეობა, ის ვალდებულია უპირველეს ყოვლისა მიაწოდოს მას ინფორმაცია დაკითხვის მიზანზე, მიღებული მონაცემების გამოყენებასა შეფასების შესაძლო რეპერკუსიის (შედეგების) თაობაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ როდესაც ფსიქიატრი წარმოადგენს მესამე მხარეს

6. ინფორმაცია მიღებული თერაპიული ურთიერთობების დროს კონფიდენციალურია და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექსკლუზიურად პაციენტის მენტალური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. სიქიატრებს აკრძალული აქვთ ასეთი ინფორმაციის გამოყენება პერსონალური მიზნებისათვის ან ფინანსური და აკადემიური სარგებელის მისაღებად. ონფიდენციალურობის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს ან მესამე პირს შეიძლება დაემუქროს სერიოზული ფიზიკური ან მენტალური ზიანი იმ შემთხვევაში თუ კონფიდენციალობა იქნება დაცული; როგორც ეს შეიძლება მოხდეს ბავშვის გაუპატიურების შემთხვევაში, ფსიქიატრები, როდესაც კი ეს შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა ურჩევენ პაციენტს ამა თუ იმ ქმედების შესრულებას.

7. კვლევა, რომელიც არ არის ჩატარებული სამეცნიერო ნორმების დაცვით ითვლება არაეთიკურად. კვლევითი საქმიანობა უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული ეთიკური კომიტეტის მიერ. ფსიქიატრებმა კვლევების ჩატარებისას უნდა დაიცვან ეროვნული და საერთაშორისო წესები. კვლევითი საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგი აღნიშნულ სფეროში. ამომდინარე იქიდან რომ ფსიქიატრიული პაციენტები არიან განსაკუთრებით მგრძობიარე კვლევის სუბიექტები, საჭიროა დამატებითი სიფრთხილის ზომების მიღება რათა დაცული იყოს მათი ავტონომია ისევე როგორც მათი ემენტალური და ფიზიკური მდგომარეობა. ეთიკური სტანდარტები უნდა იქნას გამოყენებული ასევე პოპულაციური ჯგუფების შერჩევისას, ყველა ტიპის კვლევით საქმიანობაში ეპიდემიოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების ჩათვლით და კოლაბორაციულ კვლევის დროს, სადაც

ჩართულია სხვა დისციპლინები ან რამოდენიმე კვლევითი ცენტრი.

სპეციფიკურ სიტუაციებთან დაკავშირებული გაიდლაინები

მსოფლიოს ფსიქიატრთა ასოციაციის ეთიკის კომიტეტი აღიარებს სპეციფიური გაიდლაინების განვითარების აუცილებლობას სპეციფიური სიტუაციების შესახებ. ირველი სუთი იქნა დადასტურებული გენერალური ასამბლეის მიერ, მადრიდი, ესპანეთი, 25 აგვისტო 1996 წელი, და ბოლო გენერალური ასამბლეის მიერ ჰამბურგში, გერმანია, 8 აგვისტო, 1999

ეუთანაზია :

ექიმის უპირველესი და ყველაზე მთავარი მოვალეობაა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება, ტანჯვის შემცირება და სიცოცხლის დაცვა. ფსიქიატრი, რომლის პაციენტებს შორის ზოგიერთი ძალიან უნარშეზღუდული და არაკომპეტენტურია მიიღოს გადაწყვეტილება, ყოველთვის უნდა იყოს ფრთხილად გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელმაც შესაძლოა მიგვიყვანოს იმ პაციენტების გარდაცვალებამდე, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა უუნარობის გამო.

ფსიქიატრმა უნდა ქონდეს გათვითცნობიერებული, რომ პაციენტის აზროვნება შეიძლება იყოს დამახინჯებული მენტალური დაავადებიდან გამომდინარე, ისეთი როგორცაა დეპრესია. ასეთ სიტუაციაში, ფსიქიატრის მოვალეობაა უმკურნალოს დაავადებას

წამება :

ფსიქიატრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მენტალური და ფიზიკური წამების პროცესში, მაშინაც კი თუ ხელისუფლების ორგანოების ცდილობენ მის დათანხმებას მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ აქტებში

სიკვდილით დასჯა :

არავითარ გარემოებებში არ უნდა მიიღოს ფსიქიატრმა მონაწილეობა არც სასჯელადსრულების პროცედურაში და არც სასჯელის კომპეტენტურობის შეფასებაში

სქესის შერჩევა:

არავითარ გარემოებებში არ უნდა მიიღოს ფსიქიატრმა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში მშობიარობის შეჩერების თაობაზე. სქესის შერჩევის მიზნით

ორგანოების ტრანსპლანტაცია :

მოცემულ შემთხვევაში ფსიქიატრის როლი მდგომარეობს იმაში რომ აუხსნას პაციენტს ის პრობლემები, რაც თან ახლავს ორგანოს

დონაციას და მისცეს რჩევა რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ და ოჯახთან დაკავშირებულ ფაქტორებზე, რათა დარწმუნდეს რომ პაციენტის მხრიდან მიღებული ინფორმირებული და შესაბამისი გადაწყვეტილება. ფსიქიატრი არ უნდა იყოს როგორც ნდობით აღჭურვილი გადაწყვეტილების მიმღები პირი პაციენტებისთვის და ასევე არ უნდა გამოიყენოს ფსიქოთერაპიული უნარები პაციენტის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად. ფსიქიატრებმა უნდა დაიცვან საკუთარი პაციენტები და დაეხმარონ მათ თვით-გამორკვევაში ორგანოს ტრანსპლანტაციის სიტუაციაში

[...]

ევროპის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტი (CPME – Standing Committee of European Doctors)

მაღრიდის დადგენილება

ევროპის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტის პლენარული ასამბლეის რეკომენდაციები ექიმების, ეთიკისა და წამების შესახებ

მადრიდი, 1989 წლის ნოემბერი

1986 წლის 23 აგვისტოს, კოპენჰაგენში ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრის – “ექიმები, ეთიკა და წამება”- რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით, 1989 წლის 24-25 ნოემბრის ევროპის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტის მადრიდის პლენარული სხდომა აცნობიერებს იმ პრობლემებს, რომლებსაც აწვდებიან ექიმები და ზოგადად სამედიცინო პროფესია - სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებშიც წამების პრაქტიკა არსებობს ან არსებობდა.

ევროპის თანამეგობრობის ექიმთა მუდმივმოქმედი კომიტეტის პლენარული სხდომა თანხმდება, და

- მოუწოდებს ყველა იმ ქვეყნის ექიმთა ნაციონალურ ასოციაციებს, რომლებსაც ჯერ არ მოუხდენიათ მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 1975 წლის ტოკიოს დეკლარაციის (ექიმთათვის განკუთვნილი გაიდლაინები დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებული წამებისა და სხვა სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის საქმიანობის შესახებ) რატიფიცირება და გამოქვეყნება როგორც ფუძემდებლური დებულება სამედიცინო პროფესიის დამოკიდებულების განსასაზღვრავად

აღნიშნული საკითხების მიმართ, დაუყოვნებლივ მოახდინონ ამ დეკლარაციის რატიფიცირება და გამოქვეყნება;

- მოუწოდებს რათა მოხდეს სამედიცინო განათლების სასწავლო გეგმებში ამ პრობლემის არსებობის და ინსტრუქციების ჩართვა და ინტეგრირება; ასევე იმ ეთიკური მოვალეობების რეგულაციების გათვალისწინება, რომლებიც ექიმთა ვალდებულებას წარმოადგენს და რომლებსაც უნდა მიმართავდნენ ექიმები როდესაც მათზე შესაძლოა განხორციელდეს ზეწოლა – იმოქმედონ სამედიცინო პროფესიის ეთიკური პრინციპების საწინააღმდეგოდ;

- მოუწოდებს ყველა ნაციონალურ მთავრობებს, რომლებსაც ჯერ არ განუხორციელებიათ აღნიშნული რათა მოახდინონ გაეროს 1982 წლის დეკლარაციის და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველა სხვა საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირება და იმპლემენტაცია;

- მოუწოდებს ყველა სამეცნიერო და პროფესიულ სტრუქტურას და პროფესიას ყველა ქვეყანაში რათა მოახდინონ ტოკიოს დეკლარაციის პრინციპების ჩადება მათ დებულებებში, წესდებებში და სხვა სახის მარეგულირებელ დოკუმენტებში; მათ შორის აუცილებელი ძირითადი პრინციპის რეალიზებას, რომ – ექიმი არასოდეს არ უნდა მონაწილეობდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ან თუნდაც მისი დასწრების სახით, ისეთ ქმედებებში ან პროცედურაში, რომლებიც თავისი ბუნებით უთანაბრდება ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური ერთიანობის დარღვევას, ან ლახავს ადამიანის ღირსებას;

- მოუწოდებს ამ მიმართებით დაარსდეს პროფესიული ეთიკური დარღვევების საერთაშორისო შეტყობინების სისტემა და გამოქვეყნდეს ინფორმაცია წამების აღმოჩენის შესახებ; ამასთან დაფუძნდეს მსგავსი საგანმანათლებლო საშუალებები ჯანდაცვის ყველა პროფესიონალისათვის, პოლიტიკოსებისა და სამხედრო პირებისათვის, გაფართოვდეს და მხარი დაეჭიროს წამების საწინააღმდეგო და წამების მსხვერპლთა მკურნალობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო საქმიანობას;

- მოუწოდებს მიეცეთ საერთაშორისო პროფესიული მხარდაჭერა იმ კოდექსებს, რომლებიც იღებენ ზომებს რათა ებრძოდნენ ექიმთა მონაწილეობას ამგვარ ქმედებებში და გამოხატონ საერთაშორისო პროტესტი იმ ნებისმიერი ძალისხმევის წინააღმდეგ, რომელიც უბიძგებს პრიფესიას დაარღვიოს ექიმთა უზენაესი ეთიკური პრინციპები.

ციხის სამედიცინო სამსახურების სამართაშორისო საბჭო

ათენის ფიცი

ციხის სამედიცინო სამსახურების საერთაშორისო საბჭო, 1979 წ.

ჩვენ, ჯანდაცვის პროფესიონალები, რომლებიც ვმუშაობთ საპროფესიონალიზმში, და რომლებიც 1979 წლის 10 სექტემბერს შევიკრიბეთ ათენში, და ამგვარად პირობას ვდებთ დაიცვათ ჰიპოკრატეს ფიცის მისწრაფებები, შევეცდებით მივაწოდოთ მაქსიმალურად შესაძლებელი ჯანმრთელობის დაცვა მათ, ვინც მოთავსებულია საპროფესიონალიზმში, ნებისმიერი გზით, ზიანის მიუყენებლად და ჩვენი პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით

ჩვენ ვაღიარებთ პატიმართა უფლებას მიიღონ შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესო ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება.

ჩვენ თავზე ვიდებთ პასუხისმგებლობას:

1. თავი შევიკავოთ ნებისმიერ ფორმის ფიზიკურ დასჯაზე ნებართვისაგან და გამართლებისაგან;
2. თავი შევიკავოთ წამების ნებისმიერ ფორმაში მონაწილეობისაგან;
3. არ ჩავერთოთ ადამიანის მონაწილეობით ჩატარებულ არანაირ კვლევაში პატიმართა შორის მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე;
4. პატივი ვცეთ ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობას, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა პატიმარ პაციენტთან პროფესიული ურთიერთობის დროს;
5. რომ, ჩვენი გადაწყვეტილება იქნება დამყარებული ჩვენი პაციენტების საჭიროებაზე და იქნება უპირატესი ნებისმიერ სხვა არასამედიცინო საკითხთან მიმართებაში.

მეან-ბინეპოლოგთა საერთაშორისო უფლებაცნია (FIGO)

ქალების წინააღმდეგ ძალადობის რეზოლუცია მიღებულია FIGO გენერალური ასამბლეის მიერ FIGO მე-XV მსოფლიო კონგრესზე, კოპენჰაგენი, დანია, 3-8 აგვისტო, 1997 წელი

FIGO გენერალური ასამბლეა,

თვლის, რომ ძალადობა ქალების წინააღმდეგ ყველა მისი ფორმით ფართოდ პრევალირებს

მსოფლიოში და ის არის ქალის კუმანური უფლებების უხეში დარღვევა ;

აღიარებს, რომ მას აქვს სერიოზული არასასურველი შედეგები ქალების ფიზიკურ, მენტალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და შესაძლოა ქონდეს ასევე სერიოზული გავლენა მათი ჩვილებისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე (განსაკუთრებით მაშინ როდესაც ისინი არიან ძალადობის მსხვერპლი ან იმ შემთხვევაში როდესაც ბავშვი ხდება ძალადობის მოწმე) ;

აღიარებს სპეციალური გამოკვლევის და მკურნალობის ჩატარების აუცილებლობას იმ ქალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი ; და

გვახსენებს, 1993 წლის გაეროს დეკლარაციას ქალების წინააღმდეგ ძალადობის შესახებ და ქალების შესახებ მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მოქმედების პლატფორმა;

მხარს უჭერს რეკომენდაციებს რომელიც მიღებულია FIGO კომიტეტის მიერ ადამიანის რეპროდუქციის ეთიკური ასპექტების გამოსაკვლევად

1. მოუწოდებს წევრ საზოგადოებებს:

- მოსთხოვონ საკუთარ მთავრობებს პეკინის მოქმედების პლატფორმის რეკომენდაციების დანერგვა და კონვენციის ქალების წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რატიფიკაცია თუ ეს უკვე არ არის გაკეთებული მათი მხრიდან და რატიფიკაციის შემდგომ უზრუნველყონ მისი დანერგვა პრაქტიკაში. მოსთხოვონ საკუთარ ხელისუფლებას მიიღოს შესაბამისი იურიდიული და სხვა ზომები, რაც აუცილებელია იმისათვის რომ საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის მიუღებელი გახდეს ძალადობა ქალების წინააღმდეგ
- უზრუნველყონ ქალების წინააღმდეგ ძალადობის შეტანა ყველა რეპროდუქციული ჯანდაცვის პროვაიდერების სასწავლო პროგრამებში მენ-გინეკოლოგების ტრენინგის და უწყვეტი განათლების პროგრამებში ; და რომ ჯანდაცვის სისტემა არ უნდა უწყობდეს ხელს ქალების მსხვერპლადქცევის პროცესს
- თანამშრომლობა ეროვნულ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო და მთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან

და მედიასთან რათა მხარი დაუჭიროთ ისეთი ზომების მიღებას რომელიც მოახდენს ქალებზე ძალადობის ფაქტების პრევენციას, და თანამშრომლობა შესაბამის ორგანოებთან რათა უზრუნველყოთ ეფექტური დაცვის ქსელი იმ ქალებისათვის, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი

2. რეკომენდაციას უწევს რომ შეანებმა და გინეკოლოგებმა:

- იზრუნონ საკუთარი, სხვა ჯანდაცვის პროფესიონალთა და საზოგადოების მომსახურე პერსონალის ცოდნაზე და ინფორმირებულობაზე ქალების წინააღმდეგ ძალადობის ტიპებისა და ნეგატიური შედეგების შესახებ
- იზრუნონ საკუთარი შესაძლებლობების გაზრდაზე, იმისათვის რომ მოახდინონ იმ ქალების იდენტიფიცირება, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ძალადობა, უზრუნველყონ მათთვის საადვოკატო მომსახურება და შესაბამისი მკურნალობა
- პრობლემაში უკეთ გასარკვევად იმუშაონ სხვებთან ერთად, მოახდინონ ქალების წინააღმდეგ ძალადობის დეტერმინანტების და მისი საზიანო შედეგების დოკუმენტირება
- დახმარება სექსუალური ძალადობის და გაუპატიურების დანაშაულის შემთხვევების გამოძიებაში სამხილების დოკუმენტირების საშუალებით
- იმათი დახმარება ვინც ცდილობს აღმოფხვრას ძალადობა ქალების წინააღმდეგ საკუთარ ოჯახებსა და საზოგადოებებში

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირი (IUPS)

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის განცხადება

მიღებულია ფსიქოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო კავშირის ასამბლეის მიერ, ივლისი, 1976 წელი

ფსიქოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო კავშირი, რომელიც მოიცავს ეროვნულ ფსიქოლოგიურ საზოგადოებას სადაც გაერთიანებულია 42 ეროვნების წარმომადგენელი მთელი მსოფლიოდან;

რომელიც საუბრობს 70000 პროფეიონალი ფსიქოლოგის სახელით ვინც, იქიდან გამომდინარე რომ მათი კვლევის საგანია ქცევა, პრაქტიკულად დაკავშირებული არიან ნებისმიერ ქმედებასთან, რომლის საშუალებით ინდივიდები სისტემატურად და წინანსარგანზრახული გზით არღვევენ ადამიანთა უფლებებს, რასის, რელიგიის ან იდეოლოგიის მიუხედავად, აღნიშნული უფლებები გარანტირებულია გაეროს წესდებით

და რომელიც უკავშირდება ეთიკის პროფესიული სტანდარტის მკაცრ გამოკვლევას ფსიქოლოგიის პრაქტიკაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე აკეთებს შემდეგ განცხადებებს:

აცხადებს, რომ არც ერთმა ფსიქოლოგმა მისი პროფესიული ფუნქციების შესრულების დროს არ უნდა მიიღოს და შეასრულოს ის ინსტრუქციები და მოტივაციები, რომლებიც ინსპირირებულია მოსაზრებებით რომლებიც უცხოა პროფესიისათვის

ოფიციალურად პროტესტს უცხადებს ფსიქოლოგიის იმ სამეცნიერო მონაცემების ან პროფესიული მეთოდების გამოყენებას, რომლებიც არღვევს ზემოთ მოყვანილ უფლებებს;

ოფიციალურად უარყოფს ფსიქოლოგის მხრიდან ნებისმიერ თანამშრომლობას- აქტიური იქნება ეს თუ პასიური, პირდაპირი თუ არაპირდაპირი - ზემოთ მოყვანილ ზალადობაში და ავადღებულებს მის წევრებს წინ აღუდგენენ ნებისმიერ ასეთი სახის ძალადობას

თხოვს ნებისმიერ წევრ-საზოგადოებას დარწმუნდეს, რომ ის შეესაბამება ეთიკის კოდექსს და განახორციელოს აღნიშნული ქმედებები ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და რომელიც განსაზღვრულია კოდექსით

აცხადებს, რომ IUPS კომიტეტი მზადაა მხარი დაუჭიროს, ყველა მის ხელთა არსებული საშუალებებით, ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც განახორციელებს წევრი-საზოგადოება, რათა შეასრულოს რეზოლუციაში წარმოდგენილი პირობები

შეგვახსენებს განცხადებას, რომელიც გააკეთდა მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 12 ივლისს, 1974 : «აღმასრულებელ კომიტეტს სურს განაცხადოს, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო კავშირი უარს ამბობს ნებისმიერ პრაქტიკაზე, რომელიც

ეწინააღმდეგება მორალის უმაღლეს კანონებს, რამაც უნდა არეგულიროს ის სამეცნიერო და პროფესიული როლები რომელიც მინიჭებული აქვთ ფსიქოლოგებს თანამედროვე საზოგადოებაში »

ეთანხმება გაეროს რეზოლუციას, რომელიც მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ (მესამე კომიტეტი : A/10408 ; 243-ე პლენარული სხდომა, 9 დეკემბერი, 1975) არაპუმანური მოპყრობისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ. მოგვიანებით მიღებული იქნა როგორც გაეროს დეკლარაცია წამების წინააღმდეგ

სხვა რელივიანტური დოკუმენტები

წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური კვლევისა და დოკუმენტირების პრინციპები

რეკომენდებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 55/89, 4 დეკემბერი, 2000

1. წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის (შემდგომში მოხსენიებული როგორც « წამება ან სასტიკი მოპყრობა ») ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების მიზანია :

- (ა) ფაქტების დადგენა და ინდივიდუალური და სახელმწიფო პასუხისმგებლობების განსაზღვრა მსხვერპლისა და მისი ოჯახისათვის
- (ბ) რეციდივის პრევენციული ზომების იდენტიფიკაცია
- (გ) სასამართლო პროცესის გამართვა და/ან დისციპლინარული სანქციების დაწესება მათთვის, ვინც გამოძიების მიხედვით პასუხს აგებს აღნიშნულ დანაშაულზე და სრული რეპარაციის და კომპენსაციის აუცილებლობის დემონსტრირება, სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციების და სამედიცინო მკურნალობისა და რეაბილიტაციის ჩათვლით.

2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ წამებასა ან სასტიკი მოპყრობასთან დაკავშირებული სარჩელებისა და მოხსენებების დროული და ეფექტური გამოძიება. გამოძიების დაწყება შესაძლებელია საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი თუ არსებობს სხვა მინიშნებები იმის თაობაზე, რომ წამება იქნა განხორციელებული. გამოძიებლები, რომლებიც

ატარებენ გამოძიებას უნდა იყვნენ კომპეტენტური და მიუკერძოებელი და მოქმედებდნენ დამოუკიდებლად. ისინი უნდა იყვნენ უფლებამოსილი საგამომძიებლო კომისიის მხრიდან და ქონდეთ ხელმისაწვდომობა მიუკერძოებელ სამედიცინო ან სხვა სახის ექსპერტიზაზე. მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მსვავსი გამოძიების ჩასატარებლად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებს და მიღებული შედეგები უნდა იქნას გამოქვეყნებული.

3 (ა) საგამომძიებლო კომისიის უნდა ქონდეს უფლება და ვალდებულება მოითხოვოს და მიიღოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია. პირები, რომლებიც ახორციელებენ გამოძიებას მისი ეფექტური განხორციელებისთვის უნდა ფლობდნენ თავის განკარგულებაში აუცილებელ საბიუჯეტო და ტექნიკური რესურსებს. მათ ასევე უნდა ქონდეთ უფლება დაკითხონ ის ოფიციალური პერსონალი, რომელიც არსებობს ეჭვი რომ რაიმე სახით მონაწილეობდა წამებას ან სასტიკ-მოპყრობაში. იგივე შეიძლება ითქვას მოწმეებზეც. ამ მიზნით, საგამომძიებლო ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს გასცეს ოფიციალური მიწვევა სასამართლოში, მათ შორის ხემოთაღნიშნულ ოფიციალურ პერსონალზე და მოითხოვოს აღიარებითი ჩვენება.

(ბ) წამების მსხვერპლი, მოწმეები, პირები, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას და მათი ოჯახის წევრები დაცული უნდა იყვნენ ძალადობის, მუქარის ან დაშინების ფაქტებისაგან, რაც შეიძლება მოყვეს აღნიშნულ გამოძიების წარმოებას. ყველა ვინც პოტენციური მონაწილეობა მიიღო წამების ან სასტიკი მოპყრობის აქტებში, უნდა მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან (ხელმძღვანელი ან მაკონტროლებელი).

4. წამების მსხვერპლი და მისი იურიდიული წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ ნებისმიერი მოსმენის თაობაზე და ასევე ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება გამოძიებას და ქონდეთ უფლება წარმოადგინონ სხვა მტკიცებულებები.

5. (ა) იმ შემთხვევებში, როცა დადგენილი საგამომძიებლო პროცედურები არაადეკვატურია, არა-დამაკმაყოფილებელი ექსპერტიზის, საეჭვო გავლენის, აშკარად გამოკვეთილი დანაშაულის მოდელის ან სხვა არსებითი მიზეზებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ გამოძიება ჩატარდეს დამოუკიდებელი საგამომძიებლო ამ მსვავსი პროცედურული კომისიის მიერ. აღნიშნული კომისიის წევრების შერჩევა უნდა მოხდეს მათი პიროვნული მიკერძოებლობის, კომპეტენტურობის, და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით. განსაკუთრებით კი, აუცილებელია რომ იყვნენ დამოუკიდებელი

ეჭვმიტანილი დანაშაულების ან იმ ინსტიტუტებისა და დაწესებულების გავლენისაგან, რომელსაც ისინი ემსახურებიან. კომისიას უნდა ქონდეს უფლება მიიღოს ნებისმიერი საჭმის წარმოებისათვის აუცილებელი ინფორმაცია, როგორც ეს განსაზღვრულია წარმოდგენილი პრინციპების მიხედვით.

(ბ) წერილობითი მოხსენება, რომელიც მზადდება განსაზღვრულ პერიოდში, უნდა მოიცავდეს გამოძიების საგანს, მტკიცებულებების შეფასების პროცედურებსა და მეთოდებს და ასევე ფაქტებზე დაფუძნებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს და არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. გამოძიების დასრულების შემდეგ საჭიროა მისი გამოქვეყნება. მასში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სპეციფიური მოვლენები, რომელთაც ადგილი ქონდა გამოძიების პროცესში, მტკიცებულებები რომელზეც ეყრდნობოდა აღნიშნული მონაცემები და დაკითხულ მოწმეთა ჩამონათვალი, მათი გამოკლებით, რომელთა სახელი არ ფიგურირებს მათივე უსაფრთხოების მიზნით. სახელმწიფო, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი რეაგირება აღნიშნულზე და შესაბამისად მიუთითოს ის ზომები რომელიც მიღებული იქნა ამ მიმართულებით.

6. (ა) სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც ჩართული არიან წამების ფაქტის გამოძიების პროცესში უნდა იმოქმედონ და იხელმძღვანელონ უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და განსაკუთრებით კი საჭიროა რომ ნებისმიერი ექსპერტიზის წინ მიიღონ ინფორმაციული თანხმობა. ექსპერტიზა უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. მნიშვნელოვანია ექსპერტიზის ჩატარებასამედიცინო ექსპერტთა მეთვალყურეობის ქვეშ. ექსპერტიზას არ უნდა ესწრებოდნენ უშიშროების სამსახურის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

(ბ) სამედიცინო ექსპერტმა დაუყოვნებლივ უნდა მოამზადოს წერილობითი მოხსენება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(i) დაკითხვის მასალა (ფაქტები) : საგნის დასახელება და ექსპერტიზაზე წარმოდგენილ პირთა სახელები და თანამდებობა ; ზუსტი თარიღი და დრო ; მდებარეობა ; დაწესებულების პროფილი და მისამართი (ოთახის მითითებით), სადაც ტარდება გამოძიება (მაგ. დაკავების ცენტრი, კლინიკა ან სახლი) ; სუბიექტის მდგომარეობა ექსპერტიზის დროს (მაგ. პრობლემები მოსვლისა ან ექსპერიმენტის პროცესში, უშიშროების წარმომადგენელთა დასწრება, პატიმრის თანმხლებ პირთა და ექსპერტთა მიმართ

მუქარის განცხადებების დემინორიზაცია) ; და ნებისმიერ სხვა რელევანტური ფაქტორი ;

(ii) ისტორია : სუბიექტის ისტორიის დეტალური ჩანაწერი, წამების მეთოდების აღწერის ჩათვლით, დრო რომლის დროსაც განხორციელდა წამება და დაზარალებულის ყველა ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომი ;

(iii) ფიზიკური და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა : კლინიკური გამოკვლევის დროს ყველა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემის ჩაწერა, დიაგნოსტიკური ტესტების და აუცილებლობის შემთხვევაში ყველა დაზიანების ამსახველი ფერადი ფოტოების ჩათვლით

(iv) დასკვნა : ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემებისა და წამების შესაძლო დამოკიდებულების ინტერპრეტაცია და დაგეგმვა. რეკომენდაციები სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მკურნალობაზე და შემდგომ რეაბილიტაციაზე ;

(v) მოხსენებაში ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული ჩატარებული ექსპერტიზა და შესაბამისად უნდა იყოს ხელმოწერილი

(გ) მოხსენება უნდა იყოს კონფიდენციალური და უნდა გადაეცეს კვლევის სუბიექტს ან მის მიერ ნომინირებულ წარმომადგენელს. დაზარალებული პირისა ან მისი წარმომადგენლების მოსაზრებები ექსპერტიზის პროცესზე უნდა იყოს ჩაწერილი მოხსენებაში. მოხსენება ასევე წერილობითი სახით უნდა მიეწოდოს კომპეტენტურ ორგანოებს რომლებიც არიან პასუხისმგებელი წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე. სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს აღნიშნული პირებისათვის მისი უსაფრთხო მიწოდება. მოხსენება არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა პირისთვის, დაზარალებულის ან სასამართლოს თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნულზე.

პრიშტინას დეკლარაცია ეროვნული უსიტო-სოციალური რეაბილიტაციის, მშობლიან თანაასეობისა და წამების პრევენციის შესახებ

მიღებულია პრიშტინაში, კოსოვო, 2000 წლის 26 ივნისს

ორშაბათს, 26 ივნისს, კოსოვოს საზოგადოების წარმომადგენლები და საერთაშორისო საზოგადოება შეიკრიბა პრიშტინაში გაეროს წამების მსხვერპლთა დასახმარებლად საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

ვადიარებთ რა რომ წამებას – ერთერთი ყველაზე სასტიკი და არაპუანური დანაშაული - აქვს საშინელი და ხანგრძლივი ეფექტები წამების მსხვერპლზე და მის ოჯახზე და რომ წამების

აქტები და მასთან დაკავშირებული სასტიკი მოპყრობა და აშინებს და ტრავმას აყენებს მოელს მოსახლეობას.

ვადასტურებთ, რომ კოსოვოში დროდადრო ვლინდება წამების აქტები და ადამიანის უფლებების სხვა უხეში დარღვევები ;

იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი პატიმრები და ისინი, ვინც ამჟამად არიან დაკავებული სერბიის ციხეებში გახდნენ წამებისა და ადამიანის უფლების სხვა დარღვევების ობიექტები; გამომდინარე წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პრინციპების მნიშვნელობიდან, რომელიც კრძალავს წამებას და ადგენს ვალდებულებებს წამების მსხვერპლთა სრული რეაბილიტაციისთვის; რეალიზაცია აღებული ვალდებულებებისა მოსახლეობის რეაბილიტაციისა და წამების პრევენციის მიზნით, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აშენების წინაპირობა;

ვიღებთ ვალდებულებას მოვახდინოთ წამების და ადამიანის უფლებების დარღვევის აქტების პრევენცია და ამით ხელი შეუწყოთ რევანშის ციკლის დარღვევას და მშვიდობიანი კოსოვოს აშენებას, სადაც იმეფებს ტოლერანტობა, პატივისცემა და მშვიდობიანი თანაარსებობა.

ვაცნობიერებთ რა იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ვეწინააღმდეგებით რა იმ საშინელ ძალადობას, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების წინააღმდეგ, ვიღებთ პასუხისმგებლობას შემდეგზე:

- კონსტრუქციული დიალოგების პრაქტიკის ხელშეწყობა პოლიტიკურ წარმომადგენლებსა და იმ პირებს შორის რომლებიც ქმნიან დემოკრატიულ ჩარჩოებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ;
- ეთნიკურ საზოგადოებებს შორის ტოლერანტობის პრომოცია და მათი პასუხისმგებლობები, განსაკუთრებით კი პასუხისმგებლობა იმაზე რომ ისტორია არ განმეორდეს;
- ეროვნულ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რომელიც ეფუძნება ეროვნულ პროგრამებს - ტრავმის ეფექტების მკურნალობისა და ტოლერანტობის და მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების შესახებ;
- ტრავმირებულ ადამიანთა და მათი ოჯახების რეაბილიტაცია, მიუხედავად მათი ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობისა ;
- წამების მსხვერპლთათვის სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფა,

დამნაშავეთა სასამართლოს წინაშე წარდგენისა და მოწმეთა უსაფრთხოებისა და მათი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საშუალებით ;

- წამების მსხვერპლთა რეპარაციის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს სოციალურ, მორალურ და ეკონომიკურ რეაბილიტაციას ;
- ტრეინინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენება ჯანდაცვისა და იურიდიულ სფეროში, წამების მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა, მკურნალობის და წამების პრევენციის მიზნით და ამით მყარი ცოდნის ბაზის შექმნა
- ძირითადი პირობების შექმნა იძულებით გადაადგილებულთა დასაბრუნებლად, მიუხედავად მათი ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობისა;
- დემოკრატიის და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნის პრომოცია, ყველა ეთნიკური ჯგუფისა და წარმომადგენლობის მონაწილეობით ;
- მიუხედავად მათი ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობისა;

**საერთაშორისო ამინისტრის
12- პროგრამა წამების პრევენციისათვის
სახელმწიფო წარმოებადგენილთა მხრიდან**

*მიღებულია, საერთაშორისო ამინისტრის, 1983,
რევიზია განხორციელდა 2000*

წამება და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობა და დასჯა წარმოადგენს ადამიანთა უფლებების დარღვევას, განიხილება როგორც ადამიანის ღირსების შელახვა და აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით. მაგრამ აღნიშნული ფაქტები ხდება ყოველდღიურად მთელ მსოფლიოში. საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ დანაშაულის აღმოფხვრა. საერთაშორისო ამინისტრია მოუწოდებს ყველა მთავრობებს, ორგანიზაციებსა და ინდივიდებს გამოიყენონ 12-პუნქტიანი პროგრამა.

საერთაშორისო ამინისტრია დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ზომების მიღება არის პოზიტიური ნიშანი იმისა რომ მთავრობა მოახერხებს დასასრული დაუდოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრაქტიკას.

ა. წამებისა და სასტიკი მოპყრობის შეფასება

ყველა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა მოახდინონ წამებისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულების დემონსტრირება. მათ უნდა განუმარტონ პოლიციის, სამხედრო ან

უშიშროების ძალების წარმომადგენლებს, რომ წამებას და სასტიკ მოპყრობას ყოველთვის ექნება ნულოვანი ტოლერანტობა მთავრობების მხრიდან.

2. პატიმართა უფლებების გარანტირება

წამების, ან სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აქტებს ხშირად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პატიმრებს არა აქვთ უფლება იქონიონ კონტაქტი გარე სამყაროსთან. ასეთი დაკავების პრაქტიკა სამუდამოდ უნდა დასრულდეს. მთავრობები უნდა გახდნენ გარანტი იმისა, რომ ყველა პატიმარი წარსდგება დამოუკიდებელი იურიდიული სასამართლოს წინაშე დროულად და დაყოვნების გარეშე.

3. არა დაკავება გასაიდუმლოებულ ადგილებში

ზოგიერთ ქვეყნებში წამებასა და სასტიკ მოპყრობას ადგილი აქვს გასაიდუმლოებულ ადგილებში, ხშირად ეს ხდება ადამიანთა გატაცების შემდეგ. მთავრობა უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ პატიმართა დაკავება მოხდება მხოლოდ ოფიციალურად აღიარებულ დაკავების დაწესებულებებში და ზუსტი ინფორმაცია მათი დაკავების და მოთავსების ადგილების შესახებ ცნობილი იქნება დაუყოვნებლივ ნათესავებისათვის, ადვოკატებისა და სასამართლოსათვის. ინფორმაცია აღნიშნულზე გადაეგზავნება ასევე ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა წითელი ჯვრის კომიტეტი (ICRC). უნდა იყოს გათვალისწინებული ეფექტური იურიდიული საშუალებები, რაც ხელს შეუწყობს ნათესავებსა და ადვოკატებს ნებისმიერ დროს მიიღონ ინფორმაცია პატიმრის ადგილსამყოფელის თაობაზე და შესაბამისად უზრუნველყონ პატიმრის დაცულობა.

4. უსაფრთხოების ზომები დაკავებისა და დაკითხვის პროცესში

ყველა პატიმარი უფლებამოსილია იყოს ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ დაუყოვნებლივ. აღნიშნული უფლებები მოიცავს : საჩივრის შეტანას და მისი საქმის დაუყოვნებლივ განიხილვას დაკავების კანონიერების დასადასტურებლად. მოსამართლე განიხილავს წამების ნებისმიერ ფაქტს და იმ შემთხვევაში თუ დაკავება უკანონოა მოხდება მისი გათავისუფლება უპირობოდ. აუცილებელია რომ დაკითხვას ესწრებოდეს ადვოკატი. მთავრობა უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ დაკავების პირობები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული

უნარმოკლებული ჯგუფის წევრების მოთხოვნები. დაკავებაზე პასუხისმგებელ პირებს არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ დაკითხვის პროცესში. ინსპექტირებისთვის უნდა იყოს დაშვებული რეგულარული, დამოუკიდებელი და შეუზღუდავი ვიზიტების განხორციელება დაკავების ყველა ადგილებში.

5. წამება და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტების აიკრძალვა კანონმდებლობაში

მთავრობებმა უნდა მიიღონ კანონები წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვისა და პრევენციის თაობაზე, სადაც გათვალისწინებული და შეტანილი იქნება გავრცელებული კონვენციის წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ (კონვენცია წამების წინააღმდეგ) და სხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების ძირითადი ელემენტები.

6. გამოძიება

ყველა საჩივარი და მოხსენება წამების თაობაზე უნდა იქნას გამოძიებული დროულად, მიუკერძოებლად და ეფექტურად დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ასეთი გამოძიებების საგანი მეთოდები და მონაცემები უნდა ეცნობოს საზოგადოებას. ის ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც არიან ეჭვმიტანილი წამების განხორციელებაზე უნდა შეწყვიტონ აქტიური მოღვაწეობა გამოძიების პროცესის დასრულებამდე. დაზარალებულები, მოწმეები და სხვა პირები, რომლებიც იმყოფებიან რისკის ქვეშ დაცული უნდა იყვნენ მუქარისა და რეპრესიებისაგან.

7. ბრალდება

პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წამების აქტებზე უნდა წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. აღნიშნული პრინციპები ძალაშია ყველა ეჭვმიტანილის შემთხვევაში სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის და რაც არ უნდა იყოს მათი ეროვნება ან თანამდებობა, მიუხედავად მსხვერპლის ეროვნებისა და იმისა თუ სად მოხდა აღნიშნული დანაშაული და ამასთანავე არა აქვს მნიშვნელობა რამდენი დროა გასული დანაშაულის ჩადენიდან. მთავრობებმა აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებზე უნდა გააგრძელონ საყოველთაო იურისდიქცია, მოახდინონ მათი ექსტრადირება, ან გადასცენ ისინი საერთაშორისო სასამართლოს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობაში. სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი. ბრძანება მიღებული ზემდგომი

ორგანოდან არასოდეს არ უნდა იქნას მიღებული, როგორც წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამამართლებელი გარემოება.

8. წამებისა და სასტიკი მოპყრობის დროს მიღებული განცხადებებისა და სამხილების მიუღებლობა

მთავრობა უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ დაუშვებელია იმ განცხადებებისა და სამხილების გამოყენება, რომელიც მიღებულია წამების აქტის დროს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის გამოიყენება მწამებელი პირის წინააღმდეგ.

9. ეფექტური ტრენინგი

ტრენინგის პროცესში ყველა ოფიციალური პირი, რომელიც მონაწილეობს პატიმრის დაკითხვის ან მკურნალობის პროცესში, უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ წამება და სასტიკი მოპყრობა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მათ უნდა მიეცეთ ინსტრუქციები ასევე იმის თაობაზე, რომ აქვთ უფლება და ვალდებული არიან უარი თქვან ნებისმიერ ბრძანებაზე, რომელიც ითვალისწინებს წამებას ან სასტიკ მოპყრობას.

10. რეპარაცია

წამების მსხვერპლს და მასზე დამოკიდებულ პირებს უნდა ქონდეთ უფლება მიიღონ დროული რეპარაცია სახელმწიფოსგან, რაც მოიცავს რესტიტუციას, სამართლიან და ადეკვატურ ფინანსურ კომპენსაციას, შესაბამის მკურნალობასა და რეაბილიტაციას.

11. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია

ყველა მთავრობა ვალდებულია რეზერვაციების გარეშე მოახდინოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია, რომლებიც მოიცავს წამების საწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომებს, საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პლიტიკურ უფლებების შესახებ და მისი პირველი ფაკულტატური ოქმის; და წამების წინააღმდეგ გავრცელებული კონვენციის ჩათვლით, დეკლარაციებს და მათ ფაკულტატურ ოქმებს. მთავრობებმა უნდა ისარგებლონ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა რეკომენდაციებით წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის შესახებ.

12. საერთაშორისო პასუხისმგებლობა

მთავრობებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო არხი, რათა ითანამშრომლონ იმ ქვეყნების

მთავრობებთან, სადაც განხორციელდა წამების აქტი. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ სამხედრო მომზადება და სამხედრო, უშიშროების ან პლიციის იარაღი არ იყოს გამოყენებული, როგორც წამების საშუალება. მთავრობებმა არ უნდა დააბრუნონ ან აიძულონ დაბრუნება ადამიანს იმ ქვეყანაში, სადაც ის შეიძლება გახდეს წამების ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი.

წამების პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები

ნაწევრი სპეციალური მომხსენებლის მოხსენებიდან გენერალური ანამბლესა და წამების, და სხვა სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ, რომელიც წარდგენილი იქნა გენერალური ასამბლეის რეზოლუციის 55/89 თანახმად, 2001 წლის 3 ივლისი

წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ზოგადი რეკომენდაციები

(06-28-2004)

(ა) სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის შესახებ კონვენციის და მისი ფაქულტატიური ოქმის ან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (მისი ორი ფაქულტატიური ოქმით) ხელშემკვერელი სახელმწიფოები, ვალდებული არიან შეუერთდნენ აღნიშნულ დოკუმენტებს და გააკეთონ რატიფიკაცია. სახელმწიფო კანონმდებლობაში წამება უნდა განვიხილოთ, როგორც ძალიან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული. ქვეყნებში, სადაც კანონი არ აძლევს სახელმწიფო ორგანოებს იურისდიქციას წამებისა და სასტიკი მოპყრობის აქტების დასჯაზე, მიუხედავად იმისა თუ სად განხორციელდა იგი ან რა არის მსხვერპლის ან დამნაშავეს ეროვნება (საყოველთაო იურისდიქცია) უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღნიშნული კანონის მიღებას;

(ბ) ქვეყნებმა ხელი უნდა მოაწერონ და მოახდინონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების რატიფიკაცია, იმ მიზნით, რომ წამებაში ეჭვმიტანილი პირები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე გენოციდის, ადამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულის ან სამხედრო დამნაშავეს ბრალდებით;

(გ) კანონი, ფიზიკური დასჯისათვის, რომელიც მოიცავს აქტიურ დევნას, როგორც სასჯელს სისხლის სამართლის დანაშაულზე ან დისციპლინარულ სასჯელს, ამოღებული უნდა იქნას კანონმდებლობიდან. ქვეყნებმა უნდა მიიღონ ადეკვატური იურიდიული და სხვა ზომები, საგანმანათლებლო სფეროს ჩათვლით, ბავშვთა ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობის დასაცავად, როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორში. ეფექტური იურიდიული, პრევენციული და უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს ჩადებული კანონმდებლობაში, რათა დაეიცვათ ქალები ყველა სახის ძალადობისაგან, ოჯახში და სამსახურში ძალადობის ჩათვლით.

(დ) უმადლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ყოველთვის მიუღებელი უნდა გახდეს სისასტიკის გამოვლენა ნებისმიერი ფორმით. განსაკუთრებით კი პოლიციის საქმიანობაზე პასუხისმგებელმა პირებმა საჯაროდ უნდა განაცხადონ ის ფაქტი რომ დაკავებული ოფიცრები პასუხს აგებენ დაკავების ადგილებში განხორციელებულ ძალადობაზე. აღნიშნული რეკომენდაციების განსახორციელებლად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა განახორციელონ ოფიციალური ვიზიტები პოლიციის, წინასწარი დაკავების და პენიტენციურ დაწესებულებებში, რომლებიც ცნობილია აღნიშნული ფაქტების სიტყვით. უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება, რომელთა მიზანია მიაწოდოს საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია, განსაკუთრებით კი საზოგადოების მარგინალურ და უნარმოკლებულ სეგმენტებს, მათი უფლებების შესახებ დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი საჩივრის შატანასთან დაკავშირებით პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ, რომელთაც განახორციელეს წამების აქტი

(ე) დაკითხვა უნდა მოხდეს მხოლოდ ოფიციალურ ცენტრებში და გასაიდუმლოებული ადგილები საერთოდ უნდა იქნას ამოღებული კანონმდებლობის შესაბამისად. არაოფიციალურ ადგილებში დაკავებულის მოთავსება უნდა ისჯებოდეს კანონით. ნებისმიერი ჩვენება ან განცხადება რომელიც მიღებული იქნება დაკავებულისაგან არაოფიციალურ ადგილას და არ დასტურდება დაკავებულის მხრიდან ოფიციალურ დაწესებულებებში დაკითხვის პროცესში არ შეიძლება მიღებული იქნას როგორც სამხილი და მტკიცებულება სასამართლოში. არანაირი განცხადება აღიარებაზე დაკავებულის მხრიდან არ ჩაითვლება მისაღებად თუ აღნიშნული ფაქტი არ მოხდება მოსამართლის ან ადვოკატის თანდსწრებით

(ვ) დაკავების ადგილების რეგულარული ინსპექცია ითვლება ერთ ერთ ეფექტურ პრევენციულ ზომად წამების წინააღმდეგ. დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ქონდეთ უფლება განახორციელონ ვიზიტები დაკავების ადგილებში, მათ შორის პოლიციის ციხეებში, წინასწარდაკავების საკნებში, უშიშროების სამსახურის დაწესებულებებში, ადმინისტრაციული დაკავების ზონებში, სამედიცინო და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, პატიმართა მდგომარეობის და პირობების მონიტორინგის მიზნით. ინსპექციის დროს, ინსპექციის ჯგუფის წევრებს უნდა ქონდეთ დაკავებულებთან კონფიდენციალური საუბრის უფლება. გუნდმა საჯაროდ უნდა განაცხადოს მის მიერ შეგროვებული მონაცემების შესახებ. ამასთან ერთად, ოფიციალური ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ ინსპექციები, ინსპექტირების გუნდში უნდა მონაწილეობდნენ იურისტები, პოლიციის თანამშრომლები, ადვოკატები და ექიმები და ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ომბუცმენებსა და ეროვნულ ან ადამიანის უფლებების დამცველ ინსტიტუტებს ასევე უნდა ქონდეთ უფლება განახორციელონ ვიზიტები დაკავების ადგილებში პირობების მონიტორინგის თვალსაზრისით. თუ ამაზე იქნება შესაბამისი მოთხოვნა, წითელი ჯვრის კომიტეტს უნდა მიენიჭოს ასევე უფლება მონახულოს დაკავების ადგილები. ასეთივე უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები და მონიტორინგის სხვა ჯგუფები, მათ უნდა ქონდეთ უფლება მოინახულონ სახელმწიფო დაწესებულებები მოხუცებისათვის, გონებრივად ჩამორჩენილებისა და ობოლთა თავშესაფრები და ასევე უცხოელთა გადაგზავნის ცენტრები, ემიგრანტებისა და სავადმყოფოების ჩათვლით;

(ზ) წამება არის ყველაზე ხშირი პრაქტიკა « ინკომუნიკადო » დაკავების პირობებში. აუცილებელია « ინკომუნიკადო » დაკავებული პირების უპირობო გათავისუფლება. უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის სკურპულოზური ჩაწერა, რომელიც დაკავშირებულია დაკავების დროსა და ადგილთან და იმ პირთა იდენტიფიკაციასთან, რომელთაც განახორციელეს დაკავება; მსგავსი ინფორმაციის ჩაწერა უნდა მოხდეს ასევე დაკავების პირობების შესახებ, დაკავების ცენტრში მიყვანის დროს დაკავებულის ჯანმრთელობის შესახებ და ასევე უნდა დაფიქსირდეს დრო, როდესაც ნათესავმა და ადვოკატმა მოინახულეს დაკავებული. იურიდიული პრინციპების საფუძველზე

დაკავებულს უნდა ქონდეს უფლება ადვოკატის მომსახურებაზე დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპების მიხედვით, ყველა დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უნდა იყოს ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ აიყვანონ ადვოკატი მათი სურვილის შესაბამისად ან მიიღონ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის მომსახურება. პატივი უნდა ვცეთ უცხოეთის მოქალაქის უფლებას, რომელსაც აქვს საკუთარი საკონსულო ან სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობა აღნიშნულ სახელმწიფოში. უშიშროების პერსონალი, რომელიც პატივს არ სცემს აღნიშნულ პრინციპებს უნდა დაისაჯოს დისციპლინარული სასჯელით.

(თ) ადმინისტრაციული დაკავება ხშირად დაკავებულებს ტოვებს იურიდიული კონტროლის გარეშე. პირებს, რომლებიც იხდიან ადმინისტრაციულ სასჯელს უნდა ქონდეთ იგივე უფლებები დაცვაზე როგორც ეს აქვთ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ამავე დროს ქვეყნებმა, საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, უნდა განიხილონ საკითხი ადმინისტრაციული სასჯელის ამოღების თაობაზე ;

(ი) აღნიშნული პრინციპების საფუძველზე, ყველა დაკავებულ პირს უნდა ქონდეს უფლება გაასაჩივროს დაკავების კანონიერება, მაგ. როგორცაა სასამართლოში პატიმრის გამოძახება («habeas corpus») ;

(კ) ქვეყნებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები რათა არ დაუშვან პატიმარი-პატიმარზე ძალადობა და ამისათვის გამოიყენონ მოხსენებები ასო ძალადობებზე, აღნიშნულ ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა ბრალდება და დასჯა, და დაცვის საშუალებების შეთავაზება უმწეო ადამიანებისთვის, ციხის მოსახლეობისაგან მათი მარგინალიზაციის გარეშე უფრო მეტად ვიდრე ამას მოითხოვს დაცვის მექანიზმი რათა ისინი არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. ტრეინინგების პროგრამები უნდა იყოს გათვალისწინებული იმაზე, რომ მოხდეს ციხის ოფიციალის წარმომადგენელთა გააქტიურება, რათა მათ მიიღონ შესაბამისი ზომები პატიმარი-პატიმარზე დანაშაულის პრევენციისათვის. პატიმრები უნდა მოთავსდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულად სქესის, ასაკის და დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით; ციხეში პირველად მოხვედრილი პატიმრები არ უნდა მოთავსდეს კრიმინალური წარსულის მქონე დამნაშავეებთან, ხოლო წინასწარი დაკავების საკანში არ უნდა იყვნენ უკვე სასჯელმისჯილი პატიმრები ;

(ლ) როდესაც დაკავებულს ან ადვოკატს ან ნათესავს შეაქვს საჩივარი წამების თაობაზე, ყოველთვის უნდა ჩატარდეს დაკითხვა, და იმ პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ აქტში უნდა შეწყვიტონ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულება გამოძიების და დისციპლინარული პროცედურების დასრულებამდე. იქ სადაც წამების აქტი განხორციელების თაობაზე საჩივრი გაკეთდა ბრალდებულის მხრიდან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, დანაშაულის დამტკიცების უფლება უნდა გადაეცეს ბრალდებას, რათა დამტკიცდეს რომ აღიარება არ იყო მიღებული უკანონო გზით, წამებისა და სასტიკი მოპყრობის საფუძველზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოწმის დაცვის პროგრამების შექმნას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ინციდენტების შემთხვევაში, რაც უნდა გავრცელდეს იმ პირებზეც რომელთაც აქვთ კრიმინალური წარსული. იმ შემთხვევაში, თუ იმ ადგილას სადაც პატიმარი იმყოფება არსებობს რაიმე რისკი მისთვის ის გადაყვანილი უნდა იქნას სხვა დაკავების დაწესებულებაში სადაც მიღებული იქნება უსაფრთხოების სპეციალური ზომები. საჩივრის სწორად განსაზღვრის და შედგენის შემთხვევაში, მსხვერპლი ან მისი ნათესავი შედეგად იღებს კომპენსაციას. საპატიმროში ან გათავისუფლების შემდეგ დაკავებულის სიკვდილის შემთხვევაში გამოძიება უნდა ჩატარდეს იურიდიული ან სხვა მიუკერძოებელი პირის მიერ. პირი რომლის მიმართაც არის სარწმუნო სამხილი წამების ფაქტში მონაწილეობის შესახებ უნდა გასამართლდეს და თუ დაუმტკიცდა დანაშაული უნდა დაისაჯოს. იურიდიული შემამსუბუქებელი საშუალებები რომლებიც ანიჭებენ სისხლის სამართლის დამნაშავეს ამინისტის (დემოკრატიისა და მშვიდობის სახელით კონსოლიდაციის კანონების ჩათვლით) ან რეპარაციის უფლებას და ა.შ. უნდა გამოირიცხოს. თუ წამებას ადგილი ქონდა ოფიციალური დაკავების დაწესებულებაში, აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელი უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან და დაისაჯოს. წამების აქტში დამნაშავე პირის გასამართლებისას არ უნდა იქნას გამოყენებული სამხედრო ტრიბუნალები. უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ეროვნული ხელისუფლების ორგანოები, როგორცაა ეროვნული კომიტეტი ან ომბუდსმენი, ბრალდებისა და გამოძიების უფლებებით, რომლებიც მიიღებენ და გამოიძიებენ საჩივრებს. იმ საჩივრების გამოძიება, რომლებიც ეხება წამების ფაქტებს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და იგი უნდა გამოიძიოს დამოუკიდებელმა ორგანომ, რომელიც არ არის არც პოლიციის

და არც პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარებაში. საზოგადოებრივი სასამართლო მედიცინის სამსახურები სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე არ უნდა ფლობდნენ მონოპოლიას. ამ კონტექსტში, ქვეყნებმა უნდა იხელმძღვანელონ წამების და სხვა სასტიკი, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის (სტამბულის პრინციპები) ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირებისა პრინციპებით

(მ) კანონმდებლობის მიხედვით წამების მსხვერპლისთვის გათვალისწინებული და გარანტირებული უნდა იყოს ზარალის ანაზღაურება და სამართლიანი და კომპენსაცია, სრული რეაბილიტაციის ჩათვლით. ადეკვატური, ეფექტური და დროული რეპარაცია უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის პროპორციული და ფიზიკური და მენტალური ტრავმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას (სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობა, ისევე როგორც სოციალური მომსახურება), და ასევე გარანტიებს რომ აღნიშნული პრაქტიკა არ განმეორდება. ასეთი კანონმდებლობა იძლევა ასევე გარანტიას, რომ მსხვერპლი, რომელზეც განხორციელდა წამების აქტი უნდა სარგებლობდეს სპეციალური მოპყრობით რათა არ მოხდეს მისი რეტრავმატიზაცია იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურების დროს ;

(ნ) ტრეინინგის კურსი და სახელმძღვანელო ინსტრუქციები უნდა ჩატარდეს პოლიციისა და უშიშროების პერსონალს და აუცილებლობის შემთხვევაში გაეროს პროგრამები გაუწევს მათ გარკვეულ დახმარებას რჩევისა და ტექნიკური თანამშრომლობის სახით ადამიანის უფლებების სფეროში. უშიშროებისა და სამართალშეფარდების პერსონალმა უნდა მიიღოს შესაბამისი ინსტრუქციები პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების, პოლიციის პერსონალის ქცევის კოდექსის, პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი პრინციპების, დაკავებულთა და დაპატიმრებულთა დაცვის ნორმების, შესახებ და ეს დოკუმენტები უნდა ითარგმნოს შესაბამის ეროვნულ ენებზე. ტრეინინგის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პრინციპს, რომ წამების აკრძალვა არის აბსოლუტი და შეუცვლელი და არსებობს ვალდებულება, არ შესრულდეს ზემდგომი ორგანოს ბრძანება თუ ის უკავშირდება სასტიკ არაადამიანურ მოპყრობასა და წამების აქტებს. მთავრობებმა სკურპულოზურად უნდა მოახდინონ საერთაშორისო სტანდარტების გადაყვანა ეროვნულ გარანტიებში, და უნდა აცნობონ სამართალშეფარდების პერსონალს იმ წესების

თაობაზე, რომელთა გამოყენებასაც აპირებენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებს და სხვა სტანდარტებს, როგორც აკრძალვის მეთოდებს, ასევე სადამსჯელო ზომებს. ამ მიმართებით ცალკეული ხანგრძლივი პატიმრობის ვადები უნდა იქნას აკრძალული ;

(ო) ითვალისწინებს რა სამედიცინო ეთიკის პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება ჯანდაცვის პროფესიონალების, განსაკუთრებით კი ექიმების როლს, დაკავებულთა და პატიმართა დასაცავად წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური მოპყრობისა და დასჯისაგან. მთავრობებმა და პროფესიულმა სამედიცინო ასოციაციებმა მკაცრი ზომები უნდა მიიღონ ჯანდაცვის პროფესიონალთა და განსაკუთრებით ექიმთა წინააღმდეგ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წამებაში, აქტიურად ან თუნდაც პასიურად. ასეთი აკრძალვა უნდა გავრცელდეს ისეთ პრაქტიკაზე, როგორცაა დაკავებულის გამოკვლევა და მათი « დაკითხვაზე შესაბამისობის » განსაზღვრა და წამებაში მონაწილეობა, ისევე როგორც ისეთი სამედიცინო დახმარების გაწევა, როცა დაკავებული კარგავს უნარს გაუმკლავდეს შემდგომ ზეწოლას. შხვა შემთხვევებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან სამედიცინო მკურნალობის შეჩერება ისჯება შესაბამისი სანქციით

(პ) ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა ასახავდეს პრინციპებს რომელიც მოყვანილია წამების წინააღმდეგ კონვენციის მუხლი 3-ში, სახელდობრ კი აკრძალვა პიროვნების დაბრუნებაზე, გაძევებასა ან ექსტრადირებაზე სხვა სახელმწიფოში « სადაც არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეს პიროვნება შეიძლება გახდეს წამების მსხვრპლი ». არ დაბრუნების პრინციპი უნდა იყოს დაკმაყოფილებული ყველა შემთხვევაში მიუხედავად იმისა ჩაიდინა თუ არა პიროვნებამ სისხლის სამართლის დანაშაული და არ უნდა იყოს დამოკიდებული დანაშაულის სერიოზულობასა ან ხასიათზე.

International Instruments and Mechanisms for the Fight against Torture (Produced by the International Rehabilitation Council for Torture Victims, Updated version, 2007);

Georgian Version was provided by the RCT/EMPATHY, Georgia, Tbilisi, 2007. pp.214, Adaptation and translation were provided in the framework of the project of the Centre "EMPATHY": "Implementation of International Standards on Prevention of Torture in Georgia".

ISBN 978 – 9941 – 0 – 0102 - 4

This Project is funded by the European Union and IRCT/Oak foundation, Rausing Trust New Initiatives;

Co – funding of the above mentioned publication is provided by the UNDP Project "Capacity Building of the Public Defender's Office in Georgia"

Editorial Committee for Adaptation of Georgian Version:

- Dr. Mariam Jishkariani
- Dr. Levan Labauri
- Prof. Marina Kvachadze

Translator: Nino Aptsiauri

Published in Tbilisi: LTD "Unicolor"

Copies: 100



This Project is Funded by the European Union

www.preventingtorture.org

www.irct.org
www.empathy.ge



საქართველოს სახალხო დამცველი



გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა



ნორვეგიის სამეფოს მთავრობა
Kongeriket Norge

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ინსტრუმენტები და მექანიზმები, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო, 2007 წლის განახლებული ვერსია, ქართული გამოცემა, თბილისი, 2007 წ. გვ. 214 ISBN – 078 – 9941 – 0 – 0102 - 4

ქართული გამოცემა მომზადებულია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია"-ს მიერ, პროექტის "წამების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელება საქართველოში" ფარგლებში. პროექტი განხორციელებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ასევე წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭოს – IRCT/Oak Foundation, Rausing Trust – ახალი ინიციატივები) ფინანსური მხარდაჭერით.

მოცემული პუბლიკაციის თანადაფინანსება განხორციელებულია გაეროს განვითარების პროგრამის "საქართველოში სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება" ფარგლებში.

სარედაქციო საბჭო:
მარიამ ჯიშკარიანი
ლევან ლაბაური
მარინა კვაჭაძე
თარგმანი შესრულებულია: ნინო აფციაურის მიერ
გამოცემულია თბილისში: შპს. "უნიქოლორი"

გირაჟი: 100